

1973/2



საქართველოს
რეპუბლიკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა აკადემიის გაზეთი

12

1973

გნათობი

სოციალური ლიტერატურა-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 49-ე

№ 12

დეკემბერი, 1973 წ.

საქართველოს საგოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაირი

ირაკლი აბაშიძე — *** ლექსი	3
ოთარ ველიძე — ლექსები	4
ფრიდონ ხალვაში — ლექსები	7
გურამ დონანაშვილი — სამე. მოთხრობა	10
მინაილ ქვლივიძე — სამი წერილი. ლექსები	46
ამირან კოხრაძე — ფატი. მოთხრობა	48
გურამ პეტრიაშვილი — შემთხვევა დამით ქალაქში. ლექსი	52
აბაგი ვასაძე — ლექსები	54
გივი გოგიჩაიშვილი — სამაია. რომანი. დასასრული	59
ფრანგული კოეზია — თარგმანი ვივი გეგეკეორისა	105

ნარკვევები ხუთწლადის დღეებზე

გიორგი გონიბაშვილი — ოპროსი კანძი	113
-----------------------------------	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

მინაილ დავითაშვილი — კონსტანტინე ლესელიძე	118
ალექსანდრე გარამია — რუსთველის დასაცავად	127
გიორგი ჯიბლაძე — ახალი ისტორიული ტრილოგია	133

ცხოვრებისეულ კრიგლემებზე

ლევან ფრთია — დღის შველა შეიძლება, ხვალ გვიან იმდება!	172
---	-----

აქაი ვეჩაძე — მუღამ თანამედროვე და უზარმაზარი

საქვლკრკრეთ

შარხალ „მნათობი“ 1973 წლის ნომრების შინაარსი



მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ავაშუკელი (პ/მგ მდივანი) დ. ბენაშვილი, დ. გომეზარდუშვილი, მ. ლევა-
ნიძე, თ. მალრაძე, ზ. ძლანდი, ბ. სულაბაძე, ბ. ქუთათელი, ს. შანუიაშვილი, დ. შანუი-
აბია, ვ. წულუკიძე, თ. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაპუტაძე

გადაცე ასაწყობად 23/X-73 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბუღად 20/X11-73 წ. ასაწყობის ზომა
7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საად.-საგამომცემლო
თაბაში 12.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 18.

№ 13652 ტირაჟი 13100. შეკვ. 3463
საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ბალეშონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მგ მდივნის — 98-55-18, განყოფილებ-
ის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

© „მნათობი“, 1973 წ.



ირაკლი აბაშიძე

• • •

ჩემთვის დღესაც არის ნათელი
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.


გ. ტაბიძე

ჭებაც, ვედრებაც, კიციხეც, მადლობაც,
წყრომაც, ვარამიც —
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას,
აღარავის.

გმობაც, დანდობაც, ლოცვაც, გალობაც,
ჭირდევაც მზარავიც —
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას,
აღარავის.

ძეგლად სასახლეც, ოქროს წყალობაც,
ისლის კარავიც —
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას,
აღარავის.

მშვიდად, გულმშვიდად
მტრობაც, წამლობაც,
ღირსიც, არამიც —
სიტყვა ეკუთვნის შთამომავლობას,
სხვას,
აღარავის.



კობეძე

გ ვ ი რ თ ი

ეჰ, ნადირობა რა გვირობაა,
თოფის დაქუხებით, მწვერის შეყუფებით!..
გვირობა სულ სხვა ნადირობაა,
როდესაც კალმის წვერის შეხებებით
გატეხავ ღამეს და მის ნამსხვრევებს
წყალში ჩასაყრელად მხრებით შევბმები
და გასწევ ტვირთით, სადაც მთამსვლელებს
გვანან უშველებელ კედლის მშენებლები...
და მიადგები სულ სხვა სამყაროს,
როგორც შეგობრობის ღმერთი

მულაზანზარს,

სადაც საბალნე უნდა ჩაჰყარო,
გზა რომ ჩაურაზო ძალას უხარმაზარს.
ლოდს თან გადაჰყვე, ხომ შეიძლება,
ვექცეს სამაროვნად ტვირთი საკუთარი,
მაგრამ ამითი რა შეიცვლება,
ერთ ხედრსაც დაიტევს დიდი საგუბარი,

ზვირთებს აზიდავს ათამაშებულს,
შეკრებს უსახელო ღვართა შენაკადებს.
სიცოცხლე, მომწყდარ ზვავად დაშვებულს,
შენ რა ჯებირები, რა მთა შეგაკავეს?
რა შეგაჩერებს მძიმე ტვირთიანს:
ჰპოვეს სარბიელი ღამის ნამსხვრევებმა.
შუბლზე ტკივილად ამოგტიფრია
შენს წინ დაცემული კაცის გახსენება.
ჯერ ხომ ნაბიჯიც არ გადაგიდგამს,
რომ არ შემოგყროდეს გზაზე განსაცდელი,
მაინც მიდიხარ, რადგან თავიდან
გდაგდა არსებობა სხვაზე გასაცვლელი.
ეჰ, ნადირობა რა გვირობაა,
თოფის დაქუხებით, მწვერის შეყუფებით!...
გვირობა სულ სხვა ნადირობაა,
პაწია კალმის წვერის შეხებებით.

დიღის ხეაზიანი

დიღა, სიფხიზლესთან ერთად,
მოვა, გამომიწვდის მარჯვენს,
რომ არ გადავიქცე ლეჰად,
დამწყნარ წამალივით მანჯღრევს;
მაგდებს ოთახიდან გარეთ,
უზმოს დამანაყრებს ხაშით,
ქურის ჟრიაშულში გამრევს,
შეზავრად შემაზავებს საღმში.

რად არ მივიჩნიო სწორად
დიდი ამფსონობა მისი,
რად არ მიხაროდეს, რომ ვარ
მისი გულწრფელობის ღირსი!
დიღაც ჩემნაირად, მახლას,
ასწრებს ადრიაანად გარჯას,
სისხლით მოპოვებულ თანხას
ჩემზე ხელგაშლილად ხარჯავს.

დილა მსაჯულია მკაცრი,
 ლამის ნაცოდვილარს მიშლის
 და მცრის უწმინდესი საცრით
 მსგავსად ოქრონარევე ქვიშის.

დილა დამტრიალებს თავზე
 და იმ ხეაშიადით მათრობს,
 უვალ წუთისოფლის გზაზე
 როგორ გამისტუმრებს მარტოს.

ჩ რ ღ ი ღ ი

შუქი დაეცემა ქუჩას
 და ხეს იდუმალი ჩრდილი
 მზისგან გაუჩნდება ჩუმად,
 როგორც უკანონო შვილი.
 მტვრიან ფილაქანზე წვება
 და სხვა სამყაროდან მოსულს,
 საიდუმლოებით მოცულს,
 თელავს გამვლელების წვება.
 მორწყავს, ახალშობილს განბანს,
 დაჭკვის მვეზოვე დილით;
 ნაბიჯს გაბედულად ადგამს
 უცბად წამოზრდილი ჩრდილი.

ქუჩებს მოედება ლალად,
 მოედნებისაკენ მიდის,
 ჩემსკენ წამოსული ტალღად
 წინამორბედი ბინდის.
 ჩემსკენ წამოსული მწუხრი,
 ვიდრე შეშომასვევს უკუნს,
 ვისმენ წინათგრძნობის გუგუნს
 და ქედს მორჩილებით ვუხრი.
 კარს არ მივუხურავ მზის შვილს,
 და არ მივუკეტავ ფანჯრებს;
 და არც მენანება — დარჩეს
 ჩემი არსებობა ჩრდილში.

ღელეს ბაღად

ძველი კოშკის ბზარებს ვუმზერ
 ქვებზე დაყრილს ნაოჭებად,
 უცებ, სავსე მთვარის შუქზე
 ლელას ლანდი გამორჩნდება.
 თოკი მისგან ჩაშვებული
 ჩაცურდება სარკმლის მიღმა
 და ზედ ცოცვას დაჩვეული
 ჯამბაზივით ადის ვიღაც,
 ვინც ბედს უმტრო ულამაზესს
 და სხვა ქალთან სტუმრად იყო,
 ლელამ იგი უკანასკნელ
 პაემანზე ჩუმად იხმო.

იბაგრება სარკმლის იქით
 ბეწვის ხიდი ორთაშორის
 და ზედ მძიმე აწვეს ტვირთი —
 არყოფნა, თუ ყოფნა ორის...
 დადგა წამი ბედისწერის,
 შურისგების წამი, უცბად:
 ლელას თოკის ცალი წვერი
 ყელზე ვულფად წამოუცვამს.
 ოდეს მრუმე ბზარებს ვუმზერ,
 ქვებზე დაყრილს ნაოჭებად,
 კოშკში, სავსე მთვარის შუქზე,
 ქალის ლანდი გამორჩნდება.

ეჩიქვა და ქართული ღვინა

გალაღა



მეფის გუნდი სახტად შედგა,
გზაზე თმებგაშლილი შესუდათ
შინმოუსვლელ შეილთა დედა —
იავარქმნილ ქვეყნის სევდა;
ვის ეძებდა ამაღაში?
თავის შვილებს თუ ეძებდა...

იდგა დედა, ქართველის დედა,
კლოვის მძიმე ზარი რეკდა
უბედური დედის ხმაში:
— სად არს ჩემი სამი ვაჟი?
და მხედრებმა ცრემლის წამი
ძლივს დალანდეს მეფის თვალში.

რაც კურცხალმა უწყო ბრწყინვა
მწარე კრწანისგადანახადს,
დიდხანს აღარ უცოცხლია

დამარცხებულ პატარა კახს;
მკვდართან მკვდართა დედა მივა,
პირჯვარს სამჯერ გადასახავს.

და თელავის გალაგანში
როცა ჩაქრა ცეცხლის ალი,
სვეტს მიაბეს მეფის რაში,
ფერხთ დაუგდეს მეფის ხმალი,
ცხენქვეშ ცხრა დღეს და ცხრა ღამეს
რვალს ცვიოდა ნაპერწყალი.

ხმალი ორად გადიკვეთა...
და ის დედა კრწანისელთა
ფეხშიშველი აცილებდა,
თან მოსდევდა წმინდა ცხედარს
და პატარა კახის მერე
ისიც მიაბარეს მცხეთას.



ზღვაზე დაბრუნება

მშვიდობით, მიწავ, შენი ფიქრები
ზღვის უდაბნოში მიმაქვს საგზალად,
შორეთს მიხმობენ სხვა ამინდები,
ქარმა ანძები ამიზანზარა.

მშვიდობით მიწავ, შენი ფიქრები
ლურჯ უდაბნოში მიმაქვს საგზალად.

თითქოს ვილაცამ პონტოს ზვირთების
წაშლილ სტრიქონთა კითხვად გამგზავნა,
სიტყვის ყლორტებზე დაირითმება
ულამაზესი სევდა ამ გზათა.

მშვიდობით, მიწავ, ეს დაშორება
გთხოვ განშორებად არ ჩამითვალო,
ზღვაშიც მე შენი წუთისოფელის
აკვარგობასთან უნდა ვიდავო.

არ მემეტები, თუნდაც დროებით
დაგტოვო მთავ და კლდეთა პიტალოვ,
როგორ იქნება ჩვენ, მეგობრებო,
აქ ერთმანეთი ვერ გავეიტანო?

თქვენი თვალები ყველგან დამდევენ,
რომ დანახული უფრო გადიდდეს,
ზღვათა და ხმელთა გზები ამდენი
გადასაეალად გამიადვილდეს.

რომ დაუბრუნდეს გული დაღლილი
იმ სიყვარულს უფრო ადრინდელს,
ქვეყანა გვედგას მშობლის სახლივით
და მნათობებთან აზრი აფრინდეს.



მშვიდობით, მიწავ, სტიქიონები
ჩემი ხომალდის მკერდზე გრიალებს,
ოკეანეთა ფსკერზე დამზობილ
სამყაროების ვუსმენ სიარულს.

მშვიდობით, მიწავ, შენი ნაყოფი
და შენი სახლი ნუმც კქნას იავარ,
დაგიბრუნდები „ზღვით ავადმყოფი“;
რომ ისევ შენი ვკურნო იარა.

საუბანი ენისთვის

გასულ ზაფხულს ემონაწილეობდი „ენისვის შეხვედრებში“,
რომელიც ვოველწლიურად ეწეობა ციმბირის ამ უღიდეს, უმდიდ-
რეს, უღამაზეს მხარეში.

მე რომ ცა ვიყო, დინჯი, უვრცესი,
შუბლიდან დრუბელს გადავიწვედი
და ერთი მოსმით ლაქვარდ ფურცელზე
მთელ ენისვის გადავიწერდი.

თორემ ვით გაწვდეს მარტო კალამი
ჩქერს კლდეებთან და ჭამთან მორკინალს,
დღეს მეც ზვირთივით ამ საიანის
ვიწროებიდან ნავით მოვრბივარ.

ანგრევს და ანგრევს ჩემს წარმოდგენებს
წყლისა და ხმელის უსასრულობა,
კედრები ხელის ქნევით მომდევნენ,
მდინარე იმით ფესვებს ულოკავს.

მე რომ ცა ვიყო, დავინახავდი
მძლავრი დინების მთელ სიდიადეს,
იქნებ მეც რამ დიდს განვიზრახავდი,
ძირს დაგაფენდი ახალ სინათლეს.

მაგრამ კაცია ვარ და რადგან მენდო
თვითონ ეს ცა და თვითონ ეს მიწა,
იქნებ სჯობია ვალივით მედოს
ვატარო ძმობის სიმღერა ფიცად.

და ამით ვიყო შენი მსახური,
დიდო მშრომელო, ძმავ ენისვი.
აქ მართლაც ზეცა ქუდად მახურავს,
გყვიჩნებ შენი შეხვედრით სველი.

თუ კაიკაცებს დაგვირდეს ოდეს —
 სიტყვის მალამო ვადო იარებს
 და ენისეის დენით დიოდეს
 ჩემი ქართული ლექსის მდინარე.



ღირი და პაზარი


ენისეისთან, ტიგაში, კოკონის შექზე ბრგე უღვაშა ციმბირე-
 ლმა მითზრა სადღევრძელო:

გეყავს კაცთა შორის დიდიც, პატარაც,
 ხალხი კი, მჯერა, ყველა დიდი,
 დე, შეგვაყვაროს ამ სამართალმა
 მზე, ჩვენი სახლის ჭერს რომ ჰკიდია.

ეს გაუმარჯოს დევს — ენისეის!
 დღევრძელი იყოს ვეფხი-ენგური!
 ორივეს ერთი მადლობა ელის,
 ერთ უღელშია ორივე შებმული.

მომეცი ხელი, მომეცი ხელი,
 ვიყოთ ერთგულნი, ვიყოთ ერთგულნი!..

ახლაც ვიგონებ მე იმ ციმბირელს,
 ვერც დავივიწყებ,
 დადგეს სხვა დრონი,
 ალალი იყოს, რაც თავი გწირე,
 სამშობლოვ!
 — გამზობ შენი პატრონი.



ს ა კ მ ე

მოთხრობა

— ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?

ლუკას ჰკითხეს.

კაცი, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა ლუკას უცნაურმა ღიმილმა, ოდნავ გადაიხარა მისკენ და შიშნარევი მუქარით ასე ჰკითხა: „ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?“

— არა, არა, — თავი გაიჭინა ლუკამ და იმავე ღიმილით ახლა ტრამვაის ჰერს ახედა. სულ სხვას ფიქრობდა, იმ კაცთან რა საქმე ჰქონდა — ლუკას ახსენდებოდა ამოჩემებული, მხოლოდ მისთვის ნაცნობი სიტყვა „კამორა“ და კიდევ უფრო უცნაური სიტყვა „კანუდოსი.“ რომ გამოერკვა, თვალები მოიფშვნიტა და ვაგონის თავში გოგო დაინახა, რომელიც სარკეში იჭირებოდა, თუმცა, სარკეს ტრამვაიაში რა უნდოდა, — უბრალოდ, გოგოები ერთი სიმაღლისანი იყვნენ და ერთნაირად ეცვათ, თავისთვის მასლაათობდნენ.

„ჩქარა, ჩქარა, — გაიფიქრა ლუკამ, — ველარ მივედით, როდემდე ვივლით!“ ლუკას საქმე ჰქონდა.

ეს ერთადერთია ქვეყნად არსებულ ხელობათაგან, როდესაც ყველაფერი

კარგია, რაც შეგემთხვევა, გამოუსწორებელი უბედურების გარდა — უსაშველოდ გრძელ, აზუზუნებულ რიგში დგომა, დაღლა, შიმშილი, ყოველივე ეს ძალიან კარგია; კიდევ უფრო კარგია გატეხილი ძილი და ლამის მიუგნებელი ხმების ყურისგდება, ბნელ, უკაცრიელ ადგილას თავსდატეხილი შიში, ყინულოვან ხელებს უცებ ნეკნებში რომ გტაცებს; მომაბეზრებელი ლოდინიც მშვენიერებაა და წონასწორობადაკარგული, გაცოფებული, სადღაც გულის კუნჭულში მაინც გრძნობ, რომ მშვენიერად გამოგადგება ყოველივე ეს; და მხოლოდ ის რად ღირს, თუ უცნობები თავისთვის წყნარად საუბრობენ და თუ შენ, კუთხეში მიმდგარს, თავშებრუნებულს, აღელვებულს, ყველაფერი გვისმის და არასწორ, მაგრამ ბუნებრივ გამოთქმებს ხარბად იმასსოვრებ — ეგებ რომელიმე გამოგადგეს სადღაც, ხოლო თუ მძიმე, ერთხანს უიმედო ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელდები, ოო, პირდაპირ ღვთის წყალობაა.

ლუკას მშვენიერი ხელობა ჰქონდა, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ მიხვდა, რა საქმეს შეება.

თავიდან ადვილი იყო. თავიდან, იცოცხლე, ძალიან ადვილი იყო — ნახევ-

რადნამდვილი ამბავი, პატარა სითბო, ზომიერი ოცნება ბედნიერებაზე, გრამატიკულად უშეცდომო მოკლე-მოკლე წინადადებები და კეთილი სურვილები დამშვიდობებისას, მორჩა — ეს იყო და ეს. მაგრამ თანდათან, მერე და მერე, მერე... მერე გამოჩნდა ორი გზა, ერთი — განიერი, კეთილმოწყობილი, გაჩირაღდებული, ფლონდ დალმართში შეუშინებლად მიმავალი, მეორე კი ბნელი, დაკლანძვილი, ვიწრო, ადვილად გადასახეხი და უზომო ტანჯვისა და ბედნიერების მომტანი; ლუკამ ვერც გაიგო, ისე დაადგა ამ მეორეს, მარადმიუღწეველი მწვერვალისაკენ მიმავალ აღმართს. იქითკენ, მაღლა, ალარაფერი ჩანდა, მაინც უნდა ევლო, ევლო, კარგად იცოდა, სანამ სული ედგა, სულ უნდა ევლო და ევლო...

აღმართთან გზას ერთი არჩევანი მაინც ჰქონდა — ყოველთვის შეეძლო იმ კეთილმოწყობილი გზისაკენ გადახვევა, ერთი ნაბიჯი კი კმაროდა, სულაც არ უნდოდა ნაბიჯი, თავის ოთახში მჯდარს, აწრიალებულსა და დროებითი მარცხით გზაბნეულს, ყოველთვის შეეძლო იმ ფართო გზაზე გადასვლა, მაგრამ ლუკა ყოველთვის სიბი აღმართისაკენ იყურებოდა, რომლის ბოლოშიც უცნაურსახელიანი მწვერვალი უნდა მდგარიყო — „ღიადი ვერასოდეს...“

ლუკას ისეთი ხელობა ჰქონდა, რომ გამოთქმა „პროზაული“ კარგი ეგონა და რომ გეკითხათ, თუ ვინ იყო დედამიწის ზურგზე ყველა დროის საუკეთესო ექიმი, არც დაფიქრდებოდა, ისე გიპასუხებდათ, განცვიფრდებოდა კიდევ: „როგორ თუ ვინ? — რა თქმა უნდა, ჩეზოვი...“

ლუკას მეზობლად, კუთხის სახლში, პატარა ხელიანი ცხოვრობდა. გასტრონომთან დგომა უყვარდა, სიგარეტს რომ ექაჩებოდა, თვალებს წკურავდა. ამაყი მიხრა-მოხრა სჩვეოდა, ტოლ-ბიჭებში ღირსეულად ევირა თავი. ტანად დაბა-

ლი იყო, მაგრამ ისე ამპარტავნად უსაუბრებოდა გრძელ, წვრილკისერა ბიჭებს, და ისინიც ზემოდან ისეთი დიდი ინტერესით დასცქეროდნენ, ლუკა ღიმილს ვეღარ იკავებდა. პატარა ხელიგანს ხელზე ცხვირსახოცის გადახვევა უყვარდა, „მარჯვენა აქვს დაბეჭდილი“, ეცინებოდა ლუკას. საოცრად პატარა, მოკლე ფეხსაცმელი ეცვა, მთელი თავისი გარეგნობითა და პაწია ტანსაცმლით უწყინარი ბიჭი ჩანდა, მაგრამ თვალეში, თვალეში რომ შეგხედათ, უცნაური, უსიამო რამ მოგებჩინებოდათ გულზე; ლუკას კი თავის დროზე ბევრი ენახა მისდაგვარი ჯეელი და, პირიქით, მუდამ ინტერესით ათვალაიერებდა. პატარა ხელიგანი ათი წლით უმცროსი მაინც იქნებოდა ლუკაზე, სწორედ იმ ასაკისა იყო, როცა დიდად სიამოვნებთ ტაქსში, განსაკუთრებით შოფრის გვერდით. ჯდომა, და როცა ძალიან უხარიათ, თუ ამ დროს ნაცნობმა მოჰკრა თვალი; როცა დარწმუნებულნი არიან, რომ ქალაქის საუკეთესო ბიჭები სწორედ ისინი და მათი ამხანაგები არიან, და როცა მტკიცედ სჯერათ, რომ მოხდენილი მოძრაობებისა და მტკიცე სიტყვა-პასუხის წყალობით თანდათან დაიპყრობენ ქალაქის ლამაზი ქალების გულებს, და როცა ძალიან უყვართ ტანსაცმლის გაცვლა — ხელად მორიგდებიან, მახლობელ სადარბაზოში შევლენ და, პალტო იქნება ეს თუ ჯემპრი, გაცვლიან და გახალისებულნი, ან მცირედ შეეპყვებულნი გამოდიან ქუჩაში — პატარა ხელიგანი სწორედ იმ ასაკისა იყო, როცა ჰყავთ 320-მდე კარგი ამხანაგი, 100-მდე ძმაკაცი და 7 „ნამდვილი“ მეგობარი, და როცა წამითაც არა სჯერათ აბანოში ვინმე გაბანჯვლულის გატიკინებულ მკლავზე ამოკითხულ წარწერისა: „სიტყვა ფულია, ძმაკაცი ტყუილია“.

ლუკა ოცი წლისა რომ იყო, ერთ პატარა, მშვენიერ, თოვლიან ქალაქში მო-

ხვდა. ქუჩები მოკირწყლული, სუფთა იყო, კოხტა სახლები იდგა, სამსართულიანი, მოკლე, ვიწრო, ფერადი ტრამპეები რბილად მიგორავდნენ ლიანდაგზე, ჰაერიც სუფთა იყო, მშრალი, გამჟვინვალე, კამკამა... აღარ იცოდა, საით წასულიყო, გაკვირვებული შესცქეროდა გამვლელებს და მათი გულგრილობა აბნევდა — ისინი ქალაქს შეჩვეულნი იყვნენ. ლუკა კი, უცხო, აფორიაქებული, პატარა ქუჩებში დაბორილობდა და მერე ფანჯრებშეორთქლილი ტრამპეისაკენ გაუწია გულმა. რატომღაც მეხუთე გაჩერებაზე გადაწყვიტა ჩასვლა, მიწას ხელისგული წაუსვა და ხარბად შეაქცერდა სახლებს, წარწერებს, უფოთლო ხეებს... პირველსავე გაჩერებაზე დიდი ბალი დაინახა, ორი მხარზე თხილამურგადებული ბიჭი ფართო ჰიშკარში შედიოდა. ტრამპეაი რომ დაიძრა. მაშინვე ინანა, ბალთან რომ არ ჩავიდა. — „რას ამოვიჩინე ეს მეხუთე“. მეორე გაჩერება მაღაზიასთან იყო, უხარმაზარ მინის მიღმა იდგა და ურცხვად, გულგრილად უღიმოდა პერანგისამარა, ვარდისფერფეხებიანი მანეკენი. მერე რაღაც უშნოდ გლუვი, ჩაქამებული შენობა დაინახა, ხასიათი წაუხდა. ერთხანს აღარც იყურებოდა ფანჯარაში, ვაგონი მოათვალიერა. ხალხი წამოიშალა და ყველამ ჩასასვლელს მიაშურა. „მესამე, — გაიფიქრა, — მესამე გაჩერებაა, ბოლო“... მარტოკა დარჩა. ოქროსკბილებიანი კონდუქტორიც ჩავიდა, „ეს თუ მესამეა, — ფიქრობდა, მობრუნდება და მეოთხე გაჩერება ისევ მაღაზიასთან იქნება, მეხუთე კი“... აღელდა, ძალიან უნდოდა, სწორედ ბალთან ყოფილიყო მეხუთე გაჩერება. კონდუქტორი მალე შემობრუნდა, ტრამპეიმ წრე შემოიარა და ისევ უკან, დაღმართში ფრთხილად დაეშვა. ლუკა ახლა მეორე მხარეს გადაჯდა, კარგად რომ დაენახა მაღაზია. მართლაც იქ გაჩერდა, ალტაცებული შეჰყურებდა ლამაზფეხება მანეკენს — ეს მეოთხე გაჩერება იყო, მეხუთე კი სწორედ დიდ ბალ-

თან აღმოჩნდა. ისე გაეხარდა, რატომღაც გაამაყდა კიდევ და მძიმედ ჩაეფურცლა მავის ორი მაღალი საფეხურის მანქანაც ასევე დარბაისლურად შევიდა, მაგრამ დიღბანს აღარ ეყო ეს სიღინჯე — საამო სუსხი იდგა, სწორედ ისეთი, სახეს ოდნავ რომ წიწვნის. იქვე შესასვლელთან, უხარმაზარი თოვლის პაპა ვაჭგიმულიყო, გვერდში ცოცხარქობილი, თავზე კასრი ჩამოემხოთ. ბალი ფერდობზე იყო, ზევიდან თხილამურებით მოსრიალეებდნენ, უხილავ სვეტებს მოხდენილად უვლიდნენ გვერდს, ციგებითაც მოჰქროდნენ. დიდი ოღრო-ჩოღრო დაღმართი იყო და ხანდახან ციგა თუ გადაყირავდებოდა, სიცილი ისმოდა, ისეთი სალი, ისეთი ბედნიერი... ლუკა აღმართს სირბილით შეუყვავა, ხარბად ისუნთქავდა კრიალა ჰაერს, გზად თოვლს დასწვდა, დაგუნდავა, არბოდა და უხაროდა, მერე მაღალი ხის კენწეროს ესროლა გუნდა — ოცი წლისა იყო... გორაკის თავზე შეჩერდა და ქვემოთ, ჰიშკართან მდგარ ხალხს დააცქერდა. თავი მაღლა ასწია, გადიღდა — ეს მაღლა დგომის უნებური სიამაყე იყო, კბილებსშუა ლონივრად, გაბმით შეისრუტა ჰაერი. სწორედ აქედან ეშვებოდნენ ციგით და მასაც მოუხდა, ქარი რომ აწივლებულიყო. რიგში ჩამწკრივებულ ბავშვებს გადახედა, ყველაზე დიდი ციგა შეირჩია და პატრონს სთხოვა: „ერთხელ ჩავალ, რა...“ უარსაც გააჩნია — ბიჭს არც შეუხედავს მისთვის, ისე გაიქნია თავი. ათი წლის ბიჭი იქნებოდა, წარბებშეკრული, ტუჩებმოკუმული; თავი გაიქნია და მორჩა, უარის თქმა ოდნავადაც არ ეუხერხულა — ხელთათმანი წაიძრო, უბიდან ჩხირი ამოიღო, დაიხარა და ფეხსაცმლიდან ბეჭითად მოიცილა თოვლი. ლუკა რაღაცნაირად დაჩიავდა, მოტყუდა, ხელემაჩოყრილი, გორაკის თავზე იდგა, მოიბუზა, აღარ იცოდა, რა ექნა, რა ჯანდაბა უნდოდა ამ ბალში, ანდა, საერთოდ, ამ ქალაქში რა უნდოდა და უცებ იგრძნო, ზურგსუკან პალტოზე ვილაცამ რომ დაქაჩა. შებრუნდა და ჯერ ვერავინ დაი-



ნახა, მერე ძირს დაიხედა და განცვიფრდა — ერთი ციდა ბავშვი იყო, ისე შეფუთვნილი, მხოლოდ თვალები უჩანდა; მაინც ეტყობოდა, რომ უღიმოდა, ცალი ხელით ლუკას პალტოს ებლაუჭებოდა, მეორეთი კი თავისი ციგის ღვედს აწვდიდა. ლუკა თავიდან ვერაფერს მიხვდა, ისე დაუჭერებლად პატარა იყო ბავშვი და იმისი ციგა, ორ გაშუქებულ თვალს შესცქეროდა და როცა გამოერყვა, იგრძნო, მასაც შუქი რომ ჩაუდგა თვალებში. ასე იდგნენ და ერთმანეთს მიჩერებოდნენ — ლუკა, თხელი, მაღალი, ზემოდან დაპყურებდა და, გახარებული, გულიანი ღიმილით უღიმოდა, ის კი, პატარა, ბუთხუზა, მრგვალი, ქვემოდან ასცქეროდა და ღიმილით აკიაფებულ მზერას არ ამორებდა. ირგვლივ ალბათ ისევ იციინოდნენ და მხიარულობდნენ, მაგრამ ლუკას აღარაფერი ესმოდა, მოჯადობული, სიხარულისაგან ყელში გორგალმოწოლილი, ამ მოულოდნელად თავს დამტყდარ, გაციკროვნებულთვალებიან, კოკებამდე ჭურჭში შეფუთვნილ ბედნიერებას მოხიბლული დასცქეროდა და მერე ბავშვი უფრო მაგრად დაებლაუქა პალტოს, ფეხისწვერებზე აიწია. ღვედიანი ხელი ლუკას თითებზე მიადო და ორჯერ დაუქნია თავი... ლუკამ ციგას უმწეოდ დახედა, ორი მტკაველი თუ იქნებოდა, სიფრიფანა, კრელ-კრელი ფიცრებით იყო აწყობილი და გაეცინა — რომ დამჯდარიყო, ერთიანად დაღეწავდა... ბავშვი ახლა რალაცნაირი ვედრებითაც კი უყურებდა და ლუკამ ვეღარ მოითმინა, დაიხარა, ხელები წაავლო და აიყვანა, თვალებში ჩახედა და, ისევ გაღიმებულს; ყურებიან ქუდზე იქ აკოცა, სადაც ლოყა უნდა ჰქონოდა. ციგა ჭერ პაერში კონწიალობდა, მერე კი თოვლზე უხმაუროდ დაეცა, რადგან ბავშვმა ხელები კისერზე შემოაპლო, სქელი კაშნითი აფარებული ტუჩები თვალის უბეზე მიადო და ასე აკოცა. ლუკამ მაგრად ჩაიხუტა გულში, ქუდზე გადაუსვა ხელი და თოვლზე ფრთხილად დასვა. მერე დაღმართი ჩაირბინა, ასე სჩევრდა

— თუკი რაიმე ძალიან გაუხარდებოდა, თუკი ნამდვილ ბედნიერებას იგრძნობდა, იქაურობას სასწრაფოდ უნდა მისცემოდა — ეშინოდა, რაიმე რომ არ შეცვლილიყო... ის კი არა, ქალაქიც იმავე დღეს დატოვა, პირველივე მატარებლით, და დიდი ხნის შემდეგაც, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ათასნაირი ჯურის ხალხი ხვდებოდა და თუ უსამართლოდ აწყენინებდა ვინმე, გულდაწყვეტილსა და გაგულისებულს, როცა დიდი მხარდაქერა მოუწოდებოდა, ლუკა ყოველთვის გრძნობდა, რომ ვიღაცა პალტოზე ექაჩებოდა და მაშინვე თვალის უბესაც ასვენებოდა სქელი კაშნედან გამოყოფილი კოცნა...

მეორე ბავშვი...

ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, ზუსტად აღარც ახსოვს, სად და როდის ნახა მეორე ბავშვი, ანდა საერთოდ, მართლა შეხვდა თუ არა, მაგრამ ის ისეთი ნამდვილი იყო, ისე ცხადად წარმოედგინა და განა შეიძლება არნახული სახის გამოგონება, ტანსაცმელიც კი ისე აშკარად ახსოვდა... დიდ, საოცარი გულგრილობით დათოვლილ ველზე პატარა, გახუნებული ბაჭანი ძლივს მოჩანდა, ბნელოდა, ღამე იყო. მატარებელი იგვიანებდა, სახურავებდათოვლილი, მინებშეჭირბული, სადღაც შორს იდგა და, მთელს სიგრძეზე მკრთალად აბეჭებებული, შუბლზე უზარმაზარი, განათებული თვალთ, ოციოდე ნაბიჯზე წითლად აბღღვიალებულ ორ პატარა, მკაცრ სინათლეს რიდით შესცქეროდა. ამ მატარებელს იქ, მომცრო ბაჭანში, ხალხი უცდრდა. ხუთ მოყავისფრო, გაცრეცილ მერხზე მგზავრები ისხდნენ, საგულდაგულოდ გამოიწვეული აბგები ფეხებშუა მოემწყვდით, ვიღაცის ახალთახალ ჩემოდანზე გახეთი გაეფინათ და დომინოს თამაშობდნენ. კუთხეში ნახშირი ეყარა, ღუმელი ენთო, ნასვრეტებიდან გამოვარდნილი სინათლე დროდადრო ამბუკვიალებდნახშირს, გაბოლილ შენობაში მაინც ციოდა. ვიღაცას, ეტყობა, აგვიანდებოდა და მოსაცდელ ოთახში ერთთავად წრი-

ალებდა, სხვები კი, იმ ოთხი მოთამაშის გარდა, უდარდელად ისხდნენ. სამნი გულთანად ატყაპუნებდნენ დომინოს, მეოთხე კი, ალბათ ჩემოდნის პატრონი, შავ ქვებს ფრთხილად დებდა. ოთახის შუაში მერხზე, ვიღაცა მთვრალს არხეინად ეძინა. ხშირად ეღვიძებოდა, ხალხს გაკვირვებულ მზერას მოაგებდა, მერე გაახსენდებოდა, სადაც იყო, პირს გააწყლავუნებდა და ისევ იძინებდა. იმ ოთხი მოთამაშისა და აფორიაქებული კაცის გარდა ყველანი უხმოდ, გასუსულნი ისხდნენ. ლუკას აღიზიანებდა ასეთი მორჩილი ლოდინი, ერთხანს ითმინა, მერე მერხებისაკენ გაემართა, შეჩერდა, გაბრაზებულმა, ფეხები ღონივრად გადაგა განზე და თქვა: „ძალიან იგვიანებს!“ რამდენიმე შეხედა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია, ისევ ამოჩემებულ წერტილებს შეაკვირდნენ და გაიტრუნნენ. ლუკა განრისხდა, ხელები გულზე გადაიჭდო და ყველას გამოძვრევად, რიგრიგობით მიაჩერდა. კედელთან, მერხზე, მეორე ბავშვი იჯდა... ლუკა ისევ შუა ოთახში იდგა, ოდნავ დაბნეული, და თამბაქოს მყრალი კვამლის მიღმა ათიოდე წლის გოგონას რილით შესცქეროდა — უცნაური, წარმოუდგენელი სითბო და უბრალოება იგრძნობოდა ამ ბავშვში, ფეხისწვერებს ძლივს რომ უწვდენდა ასფალტის გაყინულ იატაკს. სქელი, ნაცრისფერი თავშალი მკიდროდ მოეხვია თავზე, ნაცნობი თავშალი იყო — ყველაზე უბრალო რომ არის, თბილი და უხეში; დაუჯერებლად დიდი, კვამლისაგან აცრემლებული თვალებით თექის ჩქებებს დასცქეროდა, თავშალი წელსუკან მაგრად ჰქონდა შეკრული და ორივე გამხდარი, იდაყვამდე შიშველი ხელი, ისეთი გამხდარი, ღმერთო, სინათლე გასდიოდა, გულზე გადაეჯვარედინებინა და თითები, გრძელი, სიფრიფანა, მხრებზე ელაგა. ფერმკრთალი იყო, სიფერმკრთალე ძალიან უხდებოდა. გვერდით მამამისი მოკალათებულყო, დაბალი, ჭიუტსახიანი, ჩაფსკენილი კაცი; თვლემდა. ლუკა ბავშვს მოჭადოებული შესცქეროდა,

ის ისევ წყნარად იჯდა, მაგრამ რაღაცნაირად შინაგანი აფორიაქებაც ეტყობოდა, და მერე ველარ მოითმინა და დიდძალად თვალებით ლუკას შეხედა. და ლუკა მაშინვე მიხვდა, რომ გოგონასათვის იგი დაუჯერებელი, წარმოუდგენელი მემამბოხე იყო, ვინც მოსაცდელ ოთახში ჩვეული მყუდროება უხეშად დაარღვია. გოგონა ალტაცებული შესცქეროდა ფართოქამრიან, პალტოვადღელი ლუკას, და რაღაც ღმილისმავგარი, ოღონდ ჯერ მაინც სევდანარევი, ლამაზ დამლად დააჩნდა სახეზე. ლუკამ გაუღიმა და თავისი გულზე გადაქდობილი ხელებისა ეუხერხულა, მაშინვე ძირს დაუშვა, მერე სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან და ასანთი გააჩხაკუნა. გოგონამაც მაშინვე მოიცილა თითები მხრებიდან და მუხლებზე დაილაგა ხელები. ლუკამ სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა, თან ბავშვს უყურებდა. ის ახლა გულიანად უღიმოდა, ლუკას ამბობით უზომოდ ბედნიერი და გამოცვლილი, ოთახში ისევ გაისმოდა დომინოს პატყა-პუტყი და ლუმელის ჩუმბი, თანაბარი გუგუნე. ლუკა სიგარეტს მადიანად სწევდა და უცებ ბავშვის მამამ, მანამდე გახევებულმა, მთვლემარე კაცმა, ღონივრად დაამთქნარა, საიდანაც პური ამოაძვრინა, შუაზე გადატეხა და ჩაკბინა, მეორე ნახევარი კი გოგოს გაუწოდა. ლუკას გული შეეკუმშა, ისე უცებ დაფრთხა ბავშვი და მამას თავი შიშით გაუქნია. კაცმა თავის მკვეთრი მოძრაობით ანიშნა პურზე და გოგონამ ორივე ხელით გამოართვა პური, თვალები დახუჭა და ძალისძალათი ჩაკბინა. ახლა ის ისევ თავდახრილი, ძველებურად გატრუნული იჯდა და მერე, დიდი ხნის შემდეგ, როცა რამდენიმე წელი გავიდა, ბედნიერი სიცილისას ლუკას უეცარი წუხილით ახსენდებოდა ლამაზი, მაგრამ მაინც გულისტკივილამდე მორჩილი ბავშვი, ვამპვირვალე ხელებიანი, კალთაში პურის ფინჩხებით, ახსენდებოდა ის სიფერმკრთალე და უბრალო თავშალი, აი ისეთი, მორუხო, ნაქსოვით ფიქსა რომ

წყაავს, და კიდევ დიდი, დიდი, ცისფერი თვლები...

იმთავითვე, როცა ლუკა თავის საქმეს შეება, ერთმა კითხვამ ააწრიალა— „ვისთვის?“ ისიც იცოდა, რომ ყველას არ აწუხებდა ეს კითხვა — სულ სხვა იყო ის შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი, სამეგრელო-სვანეთის გადასახედთან, პატარა დაბაში საზეიმო სუფრასთან გაცნობილი, რომელიც წამოდგა და თქვა: „დიდად გმადლობთ, ჩემი საქმე რომ აღვივრებდეთ...“ მერე დაფიქრდა და წყნარად დაამატა — „ეს კარგი საქმეა, პესი — ესაა სინათლე, სითბო, გზა...“ მართალი იყო. მისი საქმე თანაბრად კარგი გახლდათ ყველასათვის, ისევე, როგორც სხვა აუარებელი საქმე, ვთქვათ, მედიცინა, გეოლოგია, მშენებლობა, მელიორაცია და ბევრი ამდაგვარი რამ, მაგრამ ეს, ეს, ლუკასი... ლუკამ იცოდა, რომ მსოფლიოში იმდენნაირი მკითხველია, რამდენიც წერა-კითხვის მცოდნე და რომ კარგი მკითხველების გარდა, არსებობენ მკითხველები, რომლებიც განურჩევლად ყველაფერს ბოლომდე ჩაარჩინებენ და ყველაფერი თითქმის ერთნაირად, ზანტად მოსწონთ; მკითხველები, რომლებიც მხოლოდ მაშინ კადრულობენ წიგნის ხელში აღებას, თუ ქალაქში ამ ნაწარმოების ქება დიარხევა; მკითხველები, რომლებიც ჯერ ბოლო გვერდს წაიკითხავენ და, მერე ავტორისადმი ერთგვარი ამპარტავნული დამოკიდებულებით (რადგან ფინალი უკვე იციან), მედიდურად კითხულობენ წიგნს; მკითხველები, რომლებსაც უჭირთ ნაწარმოების გაგება და ამის დასაფარავად ხან სხვებს აპყვებიან და აქებენ ან აძაგებენ ამა თუ იმ ნაწარმოებს. ანდა, ნიპილოზმის ფარდას ამოფარებულნი, აცხადებენ, რომ არაფერი მოსწონთ; მკითხველები, რომლებიც ღამით სისტემატურად კითხულობენ ნახევარ გვერდს, რათა სწრაფად დაიძინონ; მკითხველები, რომლებიც მხოლოდ ნათესავთა, ამხანაგთა და მეზობლების და-

წერილ წიგნებს კითხულობენ — ეს, სხვათაშორის, დიდი უცნაური ხალხია: მკითხველები, რომლებსაც გრძელვადის შემოკლება სურთ და ტრამვაი-ავტობუსებში რწევა-რწევით, გაპირვებით აჩევენ სტრიქონებს და მალიმალ ფანჯარაში იხედებიან; ახლადწამოჩიტული მკითხველები, რომლებიც წიგნში მხოლოდ ინტიმურ ადგილებს კითხულობენ, მაგრამ იმდენჯერ, რომ ხუთი იმოდენა წიგნის გადაბუღებულებას ეყოფოდა; ყველაზე მეტად უსიამო კატეგორია მკითხველებისა, რომლებიც კმაყოფილი სახით აცხადებენ: „რა კარგი ნაწარმოებია, რომ ვკითხულობ, პირდაპირ ვისვენებ, მისწრებაა პირდაპირ...“ ამ დაჯგუფების მკითხველთათვის ლიტერატურა ჰამაკში ჩაწოლასთანაა გაიგივებული, ყოველ მათგანს, ჯანმრთელობისაგან დამოუკიდებლად, რატომღაც დაბრაწული ლოყები აქვს და ძალიან უყვართ მარცტენი, ილფი და პეტროვი და ოჰენრი, დაბოლოს, მკითხველთა ის საზარელი კატეგორია, რომელიც რაც უფრო მეტ წიგნს წაიკითხავს, მით უარესია.

და ხანდახან, როცა ლუკა, წელატყე-ბული, მისავათებული და მაინც ისევ საქმის მონატრული, მცირე ხნით სკამის ზურგს მიაწვებოდა, მთელ სხეულს ტყვილამდე დაძაბავდა და მერე, მოშვებული, უეცარი კითხვით — „ვისთვის“ — თავიდან აფორიაქებული, სხვებთან და სხვებთან, სხვადასხვა, ჭრელ ხალხთან ერთად, სუყველაზე წინ, და მერე სუყველას შემდეგ, იმ ორ ბავშვს წარმოიდგენდა და, თვალბდახუქულს, ღრმად სწამდა, მართალი რომ იყო.

კუთხეში, გასტრონომთან, პატარა ხელიკანი იდგა. თვალმოკუტულს, ცალი წარბი ამაყად აეპრინხა და აშკარა უპირატესობით უგდებდა ყურს ვილაცა გაფითრებულ ბიჭს, დიდის მონდომებით რომ უყვებოდა რაღაც ახლად მომხდარ ამბავს. ლუკა ფანჯარასთან იჭდა, აქ დიდხანს ჩერდებოდა ხოლმე ავტობუსი,

სანამ მგზავრებს არ შეაქუჩებდა შოფერი. გაფითრებულმა ბიჭმა უკან დაიხია და კედლამდე რალაც მანძილი ანიშნა. პატარა ხულიგანს, მერე მუშტი ვაიჭინდა. მუცელზე იტაცა ხელები, რითაც მსმენელის მცირე გაკვირება დაიმსახურა. მერე თავი გააქან-გამოაქანა და ჯიბეში ჩაიყო ხელი, მეორე ხელი იტაცა მაჯაზე, დაიგრიხა, პატარა ხულიგანი გამოცოცხლდა, სიგარეტი ტუჩის კუთხეში გაეჩარა, კვამლი თვალეში რომ არ მოხვედროდა და ასე უსმენდა, მერე კი, ბიჭმა, ამბის მოყოლა რომ დაამთავრა და შეაკებრდა, მყისვე ძველებურად, ზედარბაისლურად თავისი სიტყვა ჩააგდო ახლად გაგონილ ამბავზე, შეეტყო, რომ მოეწონა თავისი აზრი, სიგარეტს ფერფლი წიკპურტით მოაშორა და ამაყად მიმოიხედა ირგვლივ და უცებ გაშრა — ავტობუსიდან, ფანჯრის მიღმა, ლუკა უყურებდა და იცინოდა, იცინოდა, კვდებოდა სიცილით. პატარა ხულიგანი ისე დაიბნა, პირიკი დაალო და მერე უკან მიიხედა, მაგრამ იქ არავინ იდგა და დარწმუნდა, სწორედ მასზე რომ იცინოდა ასე გულიანად ლუკა. ნირწამხდარმა, უეცრად გამწარებულმა, უკვე დაძრულ ავტობუსს გააყოლა მხერა და ლუკა თვალს რომ მოეფარა, გაფითრებული ბიჭისაკენ შებრუნდა, ისევ მოერგო საკუთარ თავს, ბიჭს მრისხანე მხერა სტყორცნა და, სანამ ის თავისი დანაშაულის გამოცნობას აწრიალებული ცდილობდა, პატარა ხულიგანმა ხელზე ცხვირსახოცი მრისხანედ შემოიხვია და ასფალტზე ორჯერ ნერვიულად დააბაკუნა ფეხი.

• • •

და სანამ დიდი, ნამდვილი მწერლები მოვიდოდნენ, ლუკამაც განვლვ წლები, წლები, უმიზეზო სისულელეებითა და ხეპრული შეცდომებით სავსე, რომელთა გახსენებაც არ სიაშოვნებდა და არც ახსოვდა კარგად, რადგან დღეები ძალიან ჰკავდნენ ერთმანეთს და გახსენებისას დამძარბული ღვინის სუნი ასდიოდათ;

და აღარც ის მთავარი, უცნაური ძალა ახსოვდა, რომელმაც რეჟისორს ბაღალს დიდად უცნაური რამ დააფინანსებდა. წლისა რომ იყო, ეზოში უთავბოლოდ მიმოყრილი კასრებიდან ერთ-ერთი ამოარჩია, შიგ ჩაძერა, მოიკუნტა, ჯიბიდან მწვანე ფანჯარი ამოაძვრინა, დაკმუქვნილი ქაღალდი ფრთხილად გაშლა, მუხლზე დაიდო და იქ, მოკუნტულმა, კასრში დაწერა პირველი ლექსი... ადარაფერი ახსენდებოდა, უშნოდ გაამპარტავნდა, დღეები კი გადიოდნენ, დღეები, ზიფათიანი და უხიფათო, ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად მოკლენი და გრძელნი, და ყოველივე რომ მობეზრდა, რომ დაიღალა, ძალიან რომ დაიღალა... მერე მოვიდნენ დიდი, ნამდვილი მწერლები, მათ იცოდნენ სულში მოურიდებლად ჩახედვა და კითხვისას მთელი სხეულის დაქიმულ სიმებზე უხეშად ხელის ფათური... იმათ შეეძლოთ ქეჩოში ხელის ჩავლება და კლიენტის იქითკენ წაყვანა, საითაც მოეპრიანებოდათ; იმათ კიდევ იცოდნენ მეფური წყალობის გაცემა და ცივი წყლის გადასხმაც მშვენივრად იცოდნენ. ყველას თავისი ქვეყანა ჰქონდა, ხალხითა და ნივთებით სავსე, რომელსაც ვერავითარი შემთავლა თუ დროთაღინება ვერ წაშლიდა, ერთს — ესპანეთი, დიდი ოღრო-ჩოღრო გზებით, რომლებზედაც ხნიერმა ინვალიდმა თავისი გერი, მრავალტანჯულნი იდაღგო ხან აჯირითა და ხანაც დინჯის ნაბიჯით გაარონია; მეორეს — ნესტიანი, დიდი ნაცრისფერი ქალაქი სანკტ-პეტერბურგი, მესამეს — ირლანდია, რომელსაც ხანდახან ისე ხვავრიელად, ისე უნამუსოდ ათოვდა... დარეტიანებული, გამბრუებული ლუკა ხანდახან, ათასში ერთხელ ქუჩაში თუ გავიდოდა, ყურადღებითა და კრძალვით შესცქეროდა ადამიანებს, რადგან გაიგო იმათი მნიშვნელობა და ფასი; მერე ისევ კითხულობდა, კითხულობდა, კითხვა კარგი იყო, ხანდახან მზე მიადგებოდა და ოთახის ჩრდილიან კუთხეში გადაჯდებოდა, ხან წვიმდა, ხან — თოვდა, ქარი უბერავდა, სი-

ოც არ იძვროდა და ლუკას ხელთ ეპყრა ნაღდი, სტრიქონების ჩაწიკწიკებულ, თითქოსდა სუსტ ხერხემაღზე ჩამოსხმული ცოცხალი, უახლოესი ადამიანები და ქვეყანა, მართლაცაღა დიდი ადამიანის გონებითა და მარჯვენა ხელით ბოძებული, შექმნილი თითებში გამოიწყვედული კალმითა თუ ბატის ფრთით, რომელსაც ვერავითარი „ნამდვილი ამბავი“ ვერ შეედრებოდა — ეს მხატვრული სიმართლე იყო, სინამდვილეთაგან ყველაზე ძლევაგამოსილი, უდიადესი, ქუჩაში კი, კითხვისას, ვიღაც უხამსი ისე ხმამაღლა, ისე საქვეყნოდ ღრიალებდა — ჰაეოეე, მარია...

ლუკა მიჩერებოდა მოპირდაპირე მალალ სახლს, ერთნაირად ვიწრო აივნებითა და ფანჯრებით, სახურავებზე აქა-იქ გაფარჩხულ ანტენებს, ქარში აფრიალებულ საცვლებს და საღდაც შორს, სხვაგან გაუწია გულმა — იმ მივარდნილ ნახევრადაყრილ სოფელში დილაადრიან, სისხამი დილით, მხარზე წერაქვეადებული მიაბიჯებდა, აღმართს რომ აივლიდა, იქიდან, მალლიდან, მდოგრედ აორთქლებულ სოფელს მორიდებით დასკქეროდა, ოღონდ ფეხებს მაინც ღონივრად გადაგამდა ხოლმე განზე, მერე მოდიოდნენ ექსპედიციის წევრები, ხელმძღვანელი, ლუკა წერაქვეს ღონივრად ურტყამდა მიწას, ფართო ნიჩბით საზიდარზე ჰყრიდა; იქ, მთიან სოფელში, პირველად იწვნია იმ ძილის სიტკბო, როცა მუშაობით კუნთებდატეხილი სხეული ყრუდ, ჯიუტად გღრღნის; იქ პირველად მიხვდა შრომისა და დასვენების ფასს. ჩრდილის გემოს, წყაროს წყლის მადლს, და გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ თუ მართლა გშია, ყველაზე გემრიელი საჭმელი ყოფილა ხმელა პური და ხახვი: მერე კი, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სიმყუდროვეში, ამორჩეულ ხესთან ჯდებოდა და წერდა, მაგრამ ხანდახან წვიმდა. ლუკას მოსწონდა ფიზიკური მუშაობა, მთელი დღეც რომ ემუშავა. კუნთები აღარ ტკიოდა, წერაქვეს ხმარება ისწავლა და ნიჩაბსაც კობტად აშვე-

ლებდა მუხლს; სოფლებს იცვლიდნენ. სატვირთო მანქანის ძარიდან ლუკა გასკქეროდა ამწვანებულ ბორცვებს, შორეულ მთებს კი მოლურჯო ფერი დაჰკარავდა, და დასვენების ეამს ილიაში რვეულამორილი, ქურდულად მიმავალი, სიმიდის მალალ ყანაში შედიოდა და იქ, იმ უწყვეტ შრიალში იჯდა და წერდა, მაგრამ მაინც გრძნობდა ვილაცის დიდ, მოთვალთვალე მზერას და შევებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა ქალაქში დაბრუნებული, ოთახში მარტოდმარტო დარჩა. ლუკა გრძნობდა, სისულელეებს რომ წერდა, მაგრამ მაინც ძალიან მოსწონდა ავტოკალმის მეღონით ავსება, ქალაღლის მომარაგება, ძალიან მოსწონდა ის სხვადასხვა გამოგონილი ამბებიც, რომლებსაც საერთო სათაურად შეიძლებოდა რქმეოდა „ვიითომ“ — ვითომ ერთხელ ვიღაც კაცი სათამაშოების მალაზიაში ძალიან კარგი დედოფლების რიგში იდგა და ეშინოდა, ის დედოფლები რომ არ გათავებულებო, მაგრამ როცა გამყიდველთან პირისპირ აღმოჩნდა, კაცმა იყიდა სულ სხვა თოჯინა, რადგან მოეჩვენა, რომ ის „თაროზე გულდაწყვეტილი იჯდა“, გამყიდველმა კი უთხრა: „ეს ურიგოდ იყიდებოდა“; ვითომ თერმომეტრი შეიძინეს და ისიც ჰაერის ტემპერატურას სწორად აჩვენებდა — თუ ციოდა, სვეტი დაბლა ჩამოდიოდა, თუ ცხელოდა, მალლა მიცოცავდა და ცოლ-ქმარი პირველ ხანებში ხშირად უყურებდა თერმომეტრს, და რომ შეეჩვივნენ და ყურადღებას აღარ აქცევდნენ, თერმომეტრმა ითმინა, ითმინა, მერე კი „აილო და გაფუქდა. ის სულ ნორმალურ ტემპერატურას აჩვენებდა, მაგრამ... ტყუოდა“; კიდევ ვითომ ხანშიშესული „ბედნიერი“ წყვილის დანახვისას ჰაბუკი შეურიგდება შეყვარებულს, ვითომ... და ჰეეე, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი „ვიითომ“... ისე კი, წერა მაინც კარგი იყო, კარგი იყო წერა აფხაზეთის მთიან სოფელში, საღაც ღამით აუარება მწერი დაბორილებდა ნათურის ირგვლივ და ცხვირ-

12/4

პირზედაც ეხლებოდა. ლუკა დრო და დრო სინათლეს აჭრობდა, აივანზე გადიოდა და ლობე-ლობედ, ეზოში, უამრავ აბეჭუტებულ ციციანთულას გაოცებული დაჰყურებდა, მერე ისევ შებრუნდებოდა, ნათურას ანთებდა და წერდა, სანამ ოთახი კვლავ არ გაივსებოდა სინათლის ჭიუტი მაძიებლებით და სანამ აუცილებელი არ გახდებოდა ნათურის ჩაჭრობა, მწერები გარეთ რომ გაკრეფილიყვნენ და სწრაფად რომ გამოეტყუებინა, აივანზე ასანთს ანთებდა და ასე, ციცქნა სინათლით ხელაწეული იღგა, ეზოდან კი დუნე გაკვირვებით უმზერდა დაღლილი, ხეს ზურგიით მიყრდნობილი ცალთვალა გლეხი; კარგი იყო წერა ბორცვებიან და დაბალხეებიან მხარეშიც, სადაც ყველაფერი დეკორაციას ჰგავდა; კარგი იყო მადლიან ქართლშიც, სადაც ყოველივე სინამდვილე იყო და სვანეთშიც, წარმოუდგენლად, გორიზად აღზევებულ კუთხეში, სადაც საღამოობით, დიადი მიყურჩებისას, დალისა და დაეუს არსებობა ისე კი არა, მართლა გჯერა... და წერა კარგი იყო იმ ხრიოკ, გველებიან სოფელშიც, სადაც წამდაუწუმ გელანდებდა, რომ ქუსლში ორი წვეტიანი, უმიზეზოდ გამწარებული კბილი ჩაგაფრინდა... ლუკა ისევ კითხულობდა, საოცარი იყო იმ დიდი მწერლებით გადატვირთულ დღეებში ამ უსუსური „ვითომ“-ის არსებობა, ლუკა კითხულობდა დიდ პოეტებს, მათი აფეთქებული ტაეპებით უზომოდ ბედნიერი, გამოცვლილი, დარეტრიანებული და აღზევებული, და თითქოს მართლა შეიყვარა კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი მარინა ცვეტაევა — დიდი ქალბატონი, მაგრამ უფრო უყვარდა პროზა — პროზა, თავისა მკაცრი, ბრძნული კანონებითა და თითქოს მიწიერი, და მაინც უხილაფი რითმებითა და რიტმით სავსე, და იქამდე შეიყვარა, რომ მოეჩვენა, თითქოს პროზა უფრო მეტს ჰკარგავს თარგმნისას, ვიდრე ლექსი, სადაც ყოველივე, რაც პროზაში შენიღბულია, იქ უფრო თვალსაჩინოდ, სააშკარაოზეა წარმოდგენილი

და თუმცა დიდი ექვიც ეზარებოდა, ხანდახან, იშვიათად, მაინც სჯეროდა, რომ ასე იყო... პოეტებთან, რა თქმა უნდა, ვერასოდეს იტყოდა ამას, პოეტები ცოტათი ფიცხი ხალხია და მათი ადვილი წყენისა ერიდებოდა — ისინი ძმები იყვნენ, იმ ერთი ძუძუთი გაზრდილნი, რომელსაც სახელად „სიტყვა“ ერქვა. დრო გადიოდა, და დიდხანს იყო ეს „ვითომ“, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, მოულოდნელად, ერთ მოთხრობაში ნამდვილი წვიმა მოვიდა, ჩუმი, შიშინა, გუბებში აცახცახდა სახლი, ეზოში სასწრაფოდ ჩამოსხნეს სარეცხი; მერე წამოვიდა თოვლი, ნამდვილი, მსხვილფანტელებმა, სინათლის გრძელ სვეტზე ათასგან აფეთქებული, და ერთი კაციც მშვენივრად, ლალად ალაპარაკდა... კარგი იყო წერა, კარგი იყო შუალამისას, როცა თვლები ეხუქებოდა, და გამთენიისასაც, როცა ჭერ კიდევ სადღაც შორს, ბურანში მყოფი, ლამინდელ ნაცოდვილარს გაკვირვებული შეასწორებდა; კარგი იყო ყოველივე ამის შემოწმება ნასადილევს, როცა შედარებით გულგრილსა და გაზარმაცებულს, ქუაში დაუჯდებოდა თუ არა რომელიმე საექვო წინადადება; და კიდევ რამდენიმე წელი გავიდა, წლები, როცა ორივე ხელით ეყრდნობოდა მაგიდას, ერთში ახრჩოლებული სიგარეტი ეჭირა, მეორეში — რაღა თქმა უნდა, კალმისტარი, როცა მაგიდაზე მუშტს დებდა, მუშტზე კი ნიკაბს და დაექვებული დასცქეროდა ოკრობოკრო, მხოლოდ მისთვის გასარჩევ ნაწერს, როცა აწრიალებული, ოთახში ბოლთას სცემდა და როცა ხან სკამის ქვეშ ფეხებშეკეცილი იქდა, ხან — მუხლგამოლილი, წლები, მარადიული ექვითა და სიხარულით სავსე, სავსე წლები, და მერე ლუკამ თავისი პირველი წიგნი, რომელშიაც მოცილილობის ეამს ორიოდ მოთხრობის წაკითხვა თავისუფლად შეიძლებოდა, შინ სახეგაბრწყინებულმა მიიტანა...

წიგნი, რომელიც მას, ავტორს, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ იმ პირველი

სიყვარულით ეყვარებოდა, მაგრამ მისთვის, ავტორისათვის, უცნაურად გაუსუსურდებოდა — ასეთი იყო წესი.

• • •

ლუკა, თვალეზზე ქუდჩამოფხატული, შინიდან გამოვიდა. ნება-ნება მიიბიჯებდა, გამვლელები უსწრებდნენ, მოდიოდნენ, ლუკა მხოლოდ მუხლამდე ხედავდა მათ, და თუ ფეხსაცმელი, შარვლის ტოტი ანდა ტანსაცმლის ფერი დაინტერესებდა, თავს მაღლა სწევდა და გამვლელს თვალეზში უყურებდა. ლუკამ არ იცოდა, საით მიდიოდა, სად წასულიყო, ისე, უბრალოდ, ქუდი დაიდო თავზე და შინიდან გამოვიდა. ეს რაღაცნაირი იშვიათი მდგომარეობა იყო, როცა არც წერა შეგიძლია, არც კითხვა, მაგრამ მაინც მშვიდად ხარ — იცი, რომ ყოველივე ჩქარა გადავივლის და სანამ მუშაობა მოგიწდება, პირდაპირ მისწრებაა ქუჩებში ასე ყოფილი. მაგრამ გარკვეული მასალის მოკრეფა აქაც შეიძლებოდა — აგდებულად ახედა მყვირალაწინდებიან გოგოს, ის დაიძაბა და ლუკასავით უკან გადასწია თავი; მერე წითელჩექმებიან ქალს შეხედა, მაგრამ იმას ლუკასათვის არა სცხელოდა — ჩაძინებული ბავშვი მიეხუტებინა და გამალებული მიდიოდა შინისაკენ. გაიხედა, გამოიხედა, კიოსკში გაზეთები იყიდა და ხურდის მოლოდინში რაფას რომ ჩამოეყრდნო, გამყიდველმა ხელი სტაცა და იდაყვი მოაშორებინა — თურმე ახალი შეღებილი იყო და ლუკამ სახელო კარგა გვარიანად მოითხუშნა. აიხედა და მოზრდილი წარწერა ეცა თვალში — „ფრთხილად, შეღებილია!“ სულ იმ ჩამოფხატული ქუდის ბრალი იყო, ცხვირსახოკით იწმენდა იდაყვს და უფრო მოზრდილ ლაქად რომ გადააქეთა, თავი ასწია და პირველი, ვინც დაინახა, პატარა ხულიგანი იყო. საფოსტო ყუთთან რამდენიმე ახლადწამოჩიტული ყმაწვილი იდგა, პატარა ხულიგანი ნასვამი გახლდათ. ხელი ლურჯ ყუთზე კარგა მოდლღეზილი ვაჟაკივით ჩამოე-

დო, და გესლიანი ღიმილით ლუკას უყურებდა. „ოჰ, პატარა, პატარა, — გაიფიქრა ლუკამ, — ნეტავ რას იტყვის,“ და შორიდანვე თვალი გაუსწორა. სელა უახლოვდებოდა და, როცა იმულებული გახდა, მზერა ვიდაც სხვა ბიჭზე გადაეტანა, რომელიც ვიწრო ქუჩის შუაგულში, ლუკას გზაზე იდგა, პატარა ხულიგანმა ხელი ჩამოიღო ყუთიდან და უცებ ძალიან ხმამაღლა გამოაცხადა: „მიყვარს ეშხიანი ხალხი“. ამ განცხადებაში თითქოს არაფერი იყო თავხედური, მაგრამ ლუკა... წითური გახლდათ. იმ ბიჭმა, შუაგზაზე რომ იდგა, უცნაურად, ყანჩასავით გადადგა ფეხი, და ლუკამ, სანამ გზას განაგრძობდა, პატარა ხულიგნისაკენ არც მიუხედავს, ისე განაცხადა:

— ოქრო პატარაა, მაგრამ კარგია.

და თქმისთანავე სახე შეუთვალეირა. პატარა ხულიგანს გონება დაეძაბა ნათქვამში იყო ორი სასიამოვნო, კარგი სიტყვა — „ოქრო“ და „კარგია“, ერთიც — სინამდვილის ამსახველი, „რეალისტური“ — „პატარაა“, და ერთადერთი, რომელიც ყურს სჭრიდა, იყო სიტყვა „მაგრამ“, და პატარა ხულიგანმა თავიდან რომ გაიხზრა მთელი წინადადება, რომ აწონ-დაწონა, ჭკუაში დაუჯდა და შეეტყო, რომ გულს მოეფონა. მერე ლუკამ უთხრა: „ასანთი ხომ არა გაქვთ ბოდიში?“ „ასანთი... — ჯიბეზე ხელი გაიკრა იმან, — არა... მიეცი, ბიჭო!“ „არა, არ მინდა, — თქვა ლუკამ, — ახლახანს მოვწიე... აბა, კარგად!“ „კარგად“, — თავი ოდნავ დაუკრა პატარა ხულიგანმა და გაეკვირვებულმა გააყოლა თვალი.

• • •

„დიდი ვერასოდეს...“

არც ერთი დიდი რომანი ძახილის ნიშნითა და ზეაწეული განწყობით არ მთავრდებოდა, ჭეშმარიტი მწერლები რატომღაც უკან იხევდნენ. ეს ლუკას თავიდან პროზის უცნაური კანონი ეგონა, ასე მთავრდებოდა „ჯადოსნური მთა“, „წითელი და შავი“, „ქალბატონი

ბოვარი“, „ომი და მშვიდობა“, „დანაშაული და სასჯელი“, „დონ კიხოტი“, სახარება იოანესი... ამ ხალხმა კარგად იცოდა, რა იყო „დიადი ვერასოდეს“ და არ კადრულობდნენ საზეიმო, მგრგვინავი წინადადებებით დამთავრებას თუნდაც ასეთი გრანდიოზული რომანებისა. რადგან შორს, ყოველივეს მიღმა, მიუღწეველი მწვერვალი — „დიადი ვერასოდეს“ ეგულებოდათ. და როცა ლუკა ამას მიხვდა, ჭერ იყო და, დანაღვლიანდა — წამებითა და ნეტარებით იარო იქით. სადაც ვერასოდეს ახვალ, „დიადი ვერასოდეს“ მაშინაც კი არ დაიქცეოდა, შეუძლებელი რომ მომხდარიყო და ერთსა და იმავე კაცს რომ დაეწერა „დონ კიხოტი“, „ძმები კარამაზოვები“, „კაზაკები“, „მკვდრები“, „მამული“, „ტონკა“, „ასწლიანი სიმარტოვე“ და ზოგიერთი ადგილი ტურგენევის მოთხრობებიდან. ეს წარმოუდგენელი კაცი მაშინ მთის ერთ მეთაურს თუ აივლიდა, თუმცა, რომელ ერთ მეთაურზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა შესადარებლად თვით უსასრულობა იყო. მაგრამ თანდათან, მერე და მერე, ლუკა მიხვდა, რომ ბედნიერება ასეთი მწვერვალის არსებობა... ლუკა დიდად აფასებდა ალპინისტებს, ჯიუტსა და მამაც ხალხს, ალპინიზმი — ეს იყო ღრუბელთა ზემოდან ჰერეტა, საკუთარი თავის დიდებული გამოცდა, ეს იყო სახიფათო სილამაზის მოსურვება და გამარჯვება თანდაყოლილ შიშზე, და მაინც, ლუკა მათდამი ერთგვარი თანაგრძნობით იყო განწყობილი, რადგან ევერესტი... დაპყრობილია. ის კი, ის, „დიადი ვერასოდეს“, სწორედ ის იყო ხელოვნების მარადიული მუდმივობის მცველი — თვალუწვდენელი, უხილავი ქანდაკება, თვით მიქელანჯელოს დავითზე უსასრულობამდე მაღალი, „დიადი ვერასოდეს, ვერასოდეს“, აღფრთოვანებული ფიქრობდა ლუკა... ერთადერთი მწვერვალი, რომელთანაც შეებმა მართლა ღირდა — „ვერასოდეს ახვალ...“

ლუკას ძალიან აინტერესებდა, ვინ იყო მის ნაცნობებში ამ მწვერვალის

არსებობა. ერთის შეხედვით გულგრილი სახით, დაფარული მღელვარებით ათვალეირებდა ნაცნობებს, ამ მოქმად, ვინმეს რაიმე რომ დაებეჭდა, აუცილებლად მივიდოდა იქ, სადაც ავტორთან თითქოსდა უცაბედ შეხვედრას შესძლებდა, და თავით-ფეხამდე შეათვალეირებდა ხოლმე. ზოგს მშვენივრად ეპირა თავი, ზოგიერთები კი, განსაკუთრებით მასავით დამწყვებნი, ისეთი გადიდგულებულნი იყვნენ, ისეთი, რომ... მტრისას. გამოვიდოდა ამათგან რაიმე? — აჰ, არა, არა...

იმათ ნაღდად წარმოდგენა არა ჰქონდათ, რა იყო „დიადი ვერასოდეს“...

არადა, ეს ყველაზე კარგად იმათ იცოდნენ, ვინც სხვებზე მეტად მიუახლოვდა მწვერვალს. იმათ, ვინც შეუძლებელი შესძლეს — ბოლოსდაბოლოს, ყველაფერთან შეიძლებოდა მიახლოება, უსასრულობასთანაც კი — ასე, მაგალითად, პირველ ფერმწერალს დაუმთავრებლად მიაჩნდა თავისი ყველა ნამუშევარი. ცოტათი უხერხული კი იყო გადიდგულებულ დამწყებ ავტორთა შემდეგ პირველი ფერმწერლის გახსენება, მაგრამ ფიქრი რისი ფიქრია, ყველაფერს თუ არ გადასწვდა.

ნაცნობებს, უცნობებს, ყველას აკვირდებოდა ლუკა, აინტერესებდა, რა ხდებოდა გარშემო — პოეტი ან მხატვარი თავისი მაგიდისა თუ სახელოსნოს გარეთ შეიძლებოდა ყოფილიყო პირქუში, უშუალო, ანდა უნებურად ამაყი, დაბნეულიც; სულელურად მოლაპარაკე ან უტყვი, გატრუნული, მომლოდინე, ხუმარა, გულახდილი თუ ოდნავ ცინიკურიც კი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა, ერთადერთი, რაც ლუკას მართლა აღიზიანებდა, იყო კმაყოფილების ხეპრული დამლა, უგუნურების ტლანქი თითებით სახეზე შიტყაპნილი. ასეთები კი, გაგიხარია (რალა გაგიხარიაა), იყვნენ.

ლუკას ერთი ამხანაგი ჰყავდა.

ადრე ლუკას პატარა ხელიგანავით ორასამდე ამხანაგი ეგულებოდა, მაგრამ ბოლოს ეს ერთიდა შემორჩა, შეიძლება

იმიტომ, რომ ორივენი ერთ საქმეს მიჰყვნენ. და თუმცა იშვიათად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს და სულ ყვირილით კამათობდნენ, და თუმცა უკვე მიმხედარნი იყვნენ მარტოობის აუცილებლობასა და პირქუშ მადლს, უერთმანეთოდ გაძღვებამინც უჭირდათ — აშკარად ერთი ჯილაგისანი იყვნენ.

კამათი იცოდნენ, მტრისას. ისეთი ხმა-მალალი და არეული ყაყანი სჩვეოდათ, გარეშე კაცს რომ მოესმინა, აუცილებლად დაიბნეოდა, თუმცა უცხოსთან არც ილაპარაკებდნენ ასე.

მაგრამ ხანდახან, ათასში ერთხელ, მართლაც სერიოზულად აღაპარაკებოდნენ. ლაპარაკობდნენ ხან აღტაცებულნი, ხან კიდევ დაფიქრებულნი და, მოწყენილნი — დროებითი მარცხით. საქმე კი ისეთი ჰქონდათ, მარცხი ხშირად იცოდა. დაახლოებით უკვე იცოდნენ, რაც იყო „დიადი ვერასოდეს“, „დიადი ვერასოდეს“ ტივტივებდა ყოველ წინადადებაზეც კი — შეუძლებელი იყო საჭირო, ერთადერთ სიტყვათა საუკეთესო შეხამება, საუკეთესო, თორემ ისე, არა უშავს რა, წერდნენ... და მიუხედავად მუდმივი კამათისა, ზოგიერთ ამბებში მინც შეთანხმდნენ.

დიდად ეეპყებოდათ ცალკეული ნაწარმოების რომელიმე „იზმით“ შეფასება, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გამოთქმებს „რომანტიზმი“, „რეალიზმი“, „აბსტრაქციონიზმი“, „ექზის...“ და ასე შემდეგ — მხატვრულ ნაწარმოებს ძირითადად ორი საზომით აფასებდნენ — ეს იყო სინამდვილე და... ტყუილი. სინამდვილე, მართლაცაჲ ქეშმარიტი, ძლევამოსილი გაგებით და ტყუილი, ხანდახან ისე დაფარული, ისეთის დიდი ოსტატობით შენიღბული, ხშირად — შეუნიღბავიც, უმწეო, აფართხალბული. ტყუილი ხანდახან შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი მარტივი ამბავიც, რომ „კაცმა მლაშე ქამა, მოწყურდა და წყალი დალია“, ხანდახან კი, ვინმე მადლიანის გონებითა და ხელით აღამიანის ხოკოდ გადაქცევა ეპყვიურა-

ნელი სინამდვილე იყო. სინამდვილე — ეს ყველაზე რთული, მაგრამ ერთადერთი გზა იყო, მწვერვალზესაგან მიმავალი და თუნდაც მხოლოდ ცოდნა ასეთი ბილიკის არსებობისა, უკვე რაღაცას ნიშნავდა. და ისიც იცოდნენ, რომ სინამდვილე მხოლოდ ერთგული მსახური იყო იმ უცილობელი მბრძანებლისა, რომელსაც სიტყვით „ქეშმარიტება“ ერქვა. ჰე, გზა, გზა, რა შეედრებოდა მათ გზას, ნისლიანს, დაკლავილს, უცხოს... ეს უკვე იცოდნენ.

იცოდნენ აუარება წვრილმანი, მაგრამ აუცილებელი კანონიც: მიუხედავად უხერხული ელერადობისა, ეს იყო „სიხარბე“, „გაუმადლობა“, „შური...“ „არაფერი გამოვა სხვაგვარად, — ამბობდა ერთ-ერთი, — თუ გინდა რომ რაიმეს მიაღწიო, უნდა იყო გაუმადარი, შურიანი, ოლონდ... კარგი გაგებით. მე, მაგალითად, — ჩაფიქრდებოდა და სახე მოექმუნებოდა, — შურიანი ნამდვილად ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე იმას, რომ ვიყო ხარბი და გაუმადარი... ასე ამბობდა. ეს რომ უცხოს მოესმინა? — გაგიუდებოდა კიდევ... მაგრამ არაფერი იყო ამაში ცუდი, მარადიული ნაწარმოების წაკითხვისას მათთვის უცხო იყო ის მორჩილება, ბევრ სხვას კისერს რომ მოუდრეკს, იმათ კი, პირიქით, ერთიანად აიტანდათ ხოლმე რაიმე კარგის, რაიმე ღირებულის დაწერის სურვილი და, სახეაღწეილნი, თავჩარგულნი, ამ სურვილით იკლინებოდნენ და წრიალებდნენ, სწორედ ამას ეძახდნენ „შურს“. იცოდნენ, რომ აუცილებელი იყო ბევრი რამ კარგის სწავლა იმათგან, ვინც ხელოვნების სხვა დარგს ეზიარა, ლუკა, მაგალითად, თვლიდა, რომ წერისას აუცილებელია ყოველთვის გახსოვდეს ერთი კომპოზიტორი, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე აქვს ისეთი დიდებული მუსიკალური ფრაზა, სხვა რომ ათასჯერ გაიმეორებდა, ის კი, მშვიდი, აუღელვებელი, ამ დიდებულ ფრაზას მხოლოდ ერთხელ უბოძებდა მსმენელს და მერე დინჯად აუვლიდა გვერდს. ლუ-

ვას მიანდა, რომ ეს იყო სილამაზისადმი ყველაზე ჯანსაღი, სწორი დამოკიდებულება — თავშეკავება, აღუფრთოვანებლობა... და თუმცა ორიოდ კომპოზიტორს იმაზე მალა აყენებდა, სხვა მაინც არაინ ვეულებოდა ისეთი, ვისაც ამდაგვარი შესანიშნავი კანონი ჰქონოდა, ამ კანონს „ჰენდელის კანონს“ ეძახდა. ზანდახან იცოდნენ შორეული სიმართლის თქმა: „არ არსებობს არავითარი მასწავლებელი, არსებობს მხოლოდ მოწაფე“. იცოდნენ, რომ მიუღებელი იყო ზოგიერთი იაფფასიანი, იოლად მომგებიანი ხერხი — ვთქვათ, მოთხრობაში სხვათაგან გამოსარჩევად ვინმეს ენაბლულ ალაპარაკება, ანდა ნაწარმოების ძალისძალათი გაბუნდოვანება, რასაც ზშირ შემთხვევაში ცუდი მკითხველის აღფრთოვანება მოჰყვება; არ კადრულობდნენ „საინტერესო ნამდვილი ამბების“ გაკითხვა-გამოკითხვას და სრულებითაც არ ებიტნავებოდათ მოკლემოკლე წინადადებებით წერა, ესოდენ ვაბატონებული... და საქვეყნოდ გამომზეურებული სიკეთისაც არაფერი სწამდათ. ერთადერთი, რაც ბუნდოვანი, დაფარული უნდა ყოფილიყო, მათთვის ჰქმნარიტი სიკეთე ვახლდათ, ისე კი, „სინათლე, ნამდვილი სინათლე, სინამდვილე. — ფიქრობდნენ თავ-თავისთვის, ამას ხმაშალა ვერ იტყოდნენ, რადგან პათეტიურობისა ჰირის დღესავით ერიდებოდათ, — მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, ოლონდ... ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით“... ხერხი და საშუალება კი, ღვთის შეწევნით, მოგვსენეშათ, ბევრია, და, არა უშავს რა, წერდნენ.

ლუკას ამხანავი ყოველთვის სადღაც შიისწრაფოდა, ყოველთვის ეჩქარებოდა, მეტსახელად „ჩქარა-ჩქარას“ ეძახდნენ. წინასწარ არასოდეს გაიფიქრებდა, რა უნდა ეთქვა — ყველაფერს ამბობდა, რაც კი პირზე მოადგებოდა. ერთი მშვენიერი ჩვევა ჰქონდა: მოთხრობას რომ დაწერდა, იმ მოთხრობის შექმნება იცოდა — იმდენჯერ გადაიკითხავდა, და

ისე მიზეზიანად, სანამ ყელში არ ამოუვიდოდა, მერე განზე მიფეხებდა და ახალი მოთხრობისათვის შემზადებდა. ასე რომ, ეს გულწრფელი შექმნება დიდად შეელოდა, — ყოველი ახალი მოთხრობა წინას სჯობდა. მაინცდამაინც განებივრებული არ იყო ქათინაურებით, ხანდახან კი, როცა ვინმე ეტყოდა, რომ მოეწონა მისი მოთხრობა, ზრდილობისათვის მიუგებდა: „ძალიან სასიამოვნოა“, მერე განზე გაიხედავდა და უსიამოდ დაიჭლანებოდა. ეს მართლაც კარგი ჩვევა იყო — წინა მოთხრობის შექმნება. ცოტათი ესეც „გაუმაძღრობა“ იყო — კარგი გაგებით.

და თითქოს რაღაც-რაღაცეები ისწავლეს, ზანდახან მაინც გრძნობდნენ, რაღაცა მთავარი რომ აკლდათ, რაღაცის არცოდნა, თუ ზედმეტად ცოდნა, თუ... რაღაც ამდაგვარი. ეს იგრძნობოდა ყოველთვის, გულის ყველაზე მგრძნობიარე კუნჭულში აფრთხილებული ეჭვი, როცა წინადადებას უმთავრესი რამ ძარღვი აკლდა, ანდა როცა მოთხრობაში ვინმე ყალბად აულაპარაკებოდათ, ან როცა... ასე იყო თუ ისე, რაღაც კიდევ უნდოდათ, უცნაურად შიოდათ რაღაც... და ეს რაღაც პირველმა „ჩქარა-ჩქარამ“ აღმოაჩინა, ვინც ორი თვით გადაიკარგა სადღაც, მერე კი დაქინძრებული მივარდა ლუკას და სხაპასუპით მიიყარა: „შენა გგონია, რომ წაკითხული გაქვს, არა, რაღაი ერთხელ, ბავშვობაში წაკითხე, გგონია, რომ კარგად იცი, არა? ვაჰ! — და თავში შემოირტყა ხელი, — რა შტერია, ბიჭო?“ „რა იყო... რა დაგემართა“, — გაუყვირდა ლუკას. „არა, მაინც რა ყოფილა და რომ არ ვიცოდი? — ჩილიაპარაკა იმან, — რა კარგი მწერალი ყოფილა, ა?“ „ვინ... ვინ?“ „ილია, ჭაჭკავაძე, — უთხრა და თვალებში შეხედა, — და, საერთოდაც...“

ეს ყველაზე დიდი „აღმოჩენა“ იყო — მშობლიური, მართლაცდა მშობლიური ლიტერატურა, რომელსაც, ჩქარა-ჩქარას თქმისა არ იყოს, ეგონა, რომ იცნობდა,

რადგან ადრე წაქითხული ჰქონდა. მაშინ ოცდამეათე წლისანი იყვნენ, ადრე თუ გვიან ის უცნაური შიმშილი მაინც აპოვინებდათ ღედის ძუძუს, ადრე თუ გვიან მაინც მოივლიდნენ თათქარიძეების სახლ-კარს, სამანიშვილების ოჯახს, ადრე თუ გვიან დიდ, ღონიერ თითებს მაინც ჩასჰიდებდათ ვაჟა და, აღზევებულნი, ათასჯერ გაიმეორებდნენ ნელა, დამარცვლით: „რომელმან, შეჰქმნა, სამყარო, ძალითა, მით ძლიერთა... ჩვენ, კაცთა, მოგვცა, ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერი...“ და ალტაცებისაგან თავბრუს დაახვევდათ კიდევ ერთი ღვთის წყალობა, რომელსაც სახელად ხალხური პოეზია ერქვა; ვინ, რა იმოქმედებდა ისე, როგორც თუნდაც ასეთი პაწია, საოცრად სევდიანი წინადადება: „ქალას ჩიტი მომკვდარიყო...“ ანდა სად იმოვიდნენ სხვაგან ასეთ „თვითკრიტიკულს“: „მე, რეგენშა პატარძალმა“, ანდა ისეთ შეაღ ლამაზს „ბინდისფერია სოფელი“, და თავფარაველი ჰაბუკის შემზარავ ბედს; ვინ შეედრებოდა ვაეკაცობაში დინჯ სოლომან ბუტულაშვილსა და გადარეულ ხირჩლა ბაბურაულს, ვის დიტირებდნენ ხოგაის მინდიასავით, ვერავის — ეს მათ ენაზე იყო დაწერილი, ეს — გულს ხედებოდა, სწორედ ეს ყოფილა პური მათი არსობისა — ამ უსახელო მთქმელთა და გიორგი მთაწმინდელის, რუსთაველის, სულხან-საბას, ვაჟას, მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ჭავჭავაძის, ხიზიაშვილის ენა... ახლა უკვე მშვენივრად იცოდნენ, თუ განსაკუთრებული საჭიროება არ მოითხოვდა, სიტყვა „კომპლიმენტის“ ნაცვლად რომ იტყოდნენ უფრო კარგ სიტყვას — „ქათინაური“, და ისიც იცოდნენ, მიუხედავად ჰეშმარიტი, უსაზღვრო სიყვარულისა სერვანტესზე რომ ვერ იტყოდნენ — „მიგელ“, და ასეც რატომ ვერ ამბობდნენ: „ვოლფგანგი დიდი კომპოზიტორია“, და, სამაგიეროდ, ისე უბრალოდ შექმლოთ სხვა ტიტანის ხსენება: „შოთა“, რაც ასე ბუნებრივად ეღერს — იმიტომ, რომ შენია... ეს — პოეზია, მაგრამ პროზა-

ში... და პატარა ხნის შემდეგ ერთ-ერთი ისევ ფიქრებში წავიდა, თვალები გაუელამდა, მერე ხელი საზეიმოდ აიჭინა და თქვა: „დიდ ხეიბარს ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ სხვადასხვა ქალისაგან, ერთი — მაღალი, გამხდარი, მეორე — დაბალი, მსუქანი...“ ამის პასუხად მეორეს თვალები გაუბრწყინდა და შესძახა: «Этo он в Иерусалим идет, братцы, с детьми, с родной прощается, всему миру поклоняется, столичный город Санкт-Петербург и его грунт лобызает!» — და გამომწვევად შეხედა ამხანაგს, მერე, მოიწყინა. და ლუკას უცებ ის ფიქრი აეკვიატა; საოცრად გაბედული ფიქრი, რომლის ხმამაღლა თქმა არ შეიძლებოდა. ყოველივე გადიდდა, ფასი დაედო, გაიზარდა, გაკვირვებული უმზერდა ახლად აღმოჩენილ ნაცნობ საგნებს. სიტყვებს, სახელებს... ახლა აღარ შეეძლო ნაცნობებთან უდარდელი საუბარი, სულ თავისას ფიქრობდა და ვერავინ უგდებდა ყურს. და ერთხელ ჩქარა-ჩქარამ სწორედ ის უთხრა, რისი თქმაც ლუკას ასე ძალიან ეშინოდა.

საუბარი კი სულ სხვანაირად წამოიწყო: „ცუდია, როცა წერ და ვინმე შემოტორღილდება.“ „ძალიან ცუდია,“ — თქვა ლუკამ, თავის მაგიდასთან იჯდა. „როცა ვწერ, — უთხრა ამხანაგმა, — აი, როცა ვწერ, უცებ ვიგრძნობ, რომ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, რომ ხელებს ვიქნევდი, ან ხმამაღლა ვიციხოდდი და რა ვიცი, რეები აღარ... ერთხელ ერთი მეზობელი შემოვიდა და ალბათ ძალიან არეული სახე მქონდა, კი მივჩერებოდი, მაგრამ აშკარად სხვაგან ვიყავი და თუმცა იმას ჩემთან რაღაც საქმე ჰქონდა და მე წამოვდექი და სკამი შევთავაზე, იმან მაინც შემბატყო, სხვაგან რომ ვიყავი და გავიდა. „ჰო, — თავი დაუქნია ლუკამ, — ძალიან ცუდია.“

ამხანაგი ძალიან უჩვეულოდ — დინჯად ლაპარაკობდა და ირჭებოდა.

— შინ თუ ხარ და გრძნობ, რომ მეუშაობა კარგად აეწყო, — გაიღიმა ამხა-

ნაგმა, — სტუმრისათვის დას ან დედას უნდა ათქმევინო, რომ... შინ არა ხარ.

— შენ იზამ მავას?

— მე ვერა.

— ვერც მე, — თქვა ლუკამ, — თუ იცი, რატომ...

— ვიცი.

— იცი?

— ეგრე რომ ათქმევინო, — უთხრა ამხანაგმა, თვალეში უყურებდა, — და სტუმარი კარს რომ გაიხურავს, ვედარაფერს დაწერ.

— რატომ...

— რა ვიცი, ნამუსიო, სინდისი... სინდისი შეგაწუხებს და ვედარ იმუშავებ — რამე რომ დაწერო, მართლაცდა ღირებულებული, სინდისი სუფთა უნდა გქონდეს. იმ დღეს მაინც... და, საერთოდაც.

ქეშმარიტება გახლდათ. ყოველშემთხვევაში, მათთვის.

კარგახანს ჩუმად იყენენ, ორივე ფიქრობდა ახლახან ნათქვამ სიტყვებზე „მართლაცდა ღირებულებული“. მერე კი ამხანაგმა ვითომ სასხვათაშორისოდ თქვა:

— ქართველ ხალხს აქვს ქეშმარიტად დიდი პოემა, — ასე წამოიწყო ამხანაგმა, დაფიქრებული, სადღაც შორს იყურებოდა, და დაამატა: — ძალიან კარგი იქნებოდა, ქართველ ხალხს რომ ჰქონდეს ქეშმარიტად დიდი რომანიც.

ეს დაბალის ხმით ნათქვამი წინადადება მეხის გავარდნას ჰგავდა, და რაგინდ გულუბრყვილოდ და სასხვათაშორისოდ თქმულიყო, ლუკა მაშინვე მიხვდა, რომ მისი ამხანაგი სწორედ ასეთი რომანის დაწერას ოცნებობდა, ყმაწვილი.

იმას ერთი უცნაური თვისება ჰქონდა — წინა ნაწარმოების შექმნა იცოდა და ყოველი ახალა მოთხრობა წინასა სჯობდა.

ჯიუტი იყო, როგორც არავინ და ვისაც რა უნდა ეთქვა, თავისას ფიქრობდა. ჯიუტი, აბეზარი, ურჩი — მართლა მწეორალი იყო.

იმას ხანდახან შეეძლო უჩვეულო სიმალღეზე ასვლა და იქ ლამაზად ზოდი-

ლი. ოღონდ ფარულად... აი, თურმე, რასა ფიქრობდა.

ერეკლე

და ლუკაც. ლუკა წამდაწუმდა სტუმრის იმეორებდა მხოლოდ მისთვის გასაგებ სიტყვებს — „ლამაზ-ქალაქი“, „კამო-რა“, „კანუდოსი...“

რა გამოვიდოდა, კაცმა არ იცოდა, ისე კი, თურმე, ოცნებობდნენ...

უოცნებობას მაინცა სჯობდა.

და ერთხელ, ორივენი, თოვლიანი სოფლის განაპირას, დაბალკერიან ოთახში მოხვდნენ. კვამლის სქელი ზოლის მიღმა ძლივს მოჩანდნენ ჩახუტებული მოცეკვავენი და სამი დამკვრელი; ჯემბურიანი ბიჭს, ლოყებდაბერელს, თვალეზისისხლიანებულს, საყვირი მიედო პირზე და ისე უნამუსოდ ხმამაღლა უკრავდა, ყურთასმენა აღარ იყო. ერთმანეთისათვის რომ გაეგებინებინათ, მაგიდებთან მსხდომნი უწყინარ სიტყვებს მთელი ძალ-ღონით გაჰყვიროდნენ. გაბრუნებული, ოთახში ახლად შესული ლუკა კართან იდგა და საზოგადოებას ათვალისებრად ეყურებოდა. ნაცნობებიდან ყველანი ნასვამები იყვნენ, რაც შეეხება ჩქარა-ჩქარას, ოთხ გოგოსთან იჯდა და ასეთ სისულელებებს იძახდა, გული გეტკინებოდა. თუ ჩქარაჩქარა სამიოდე ქიქა ღვინოს დალევედა, წასული იყო საქმე — ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა და რაც კი პირზე მოადგებოდა, ყველაფერს აფრქვევდა. საოცარი სიმთვრალე იცოდა — ახლომახლოს ყველა უყვარდა და რადგან დარწმუნებული იყო, რომ კარგ, საინტერესო „რამეებს“ ჰყვებოდა, თავისი ჰკუთხით სიკეთეს სჩადიოდა და ენას არ აჩერებდა. მეორე დილით, თავატყიებულის, დარცხვენისი, აუცილებლად კი გაიკითხავდა — „ისევ ვილაპარაკე, არა?“ — მაგრამ ახლა, ნასვამს, პაუზას სულაც თავი რომ დავანებოთ, ერთი მძიმე რომ ერთი მძიმეა, ისიც კი არ ჩაუბრუნებია უგრძელეს ექსპრომტში, ისე მოჰყვა, რომ მთიან აფხაზეთში ერთი სოფელია, სადაც დღისით წამდაწუმებ იცვლებდა ამინდი — ხან მზე, ხან ნისლი, ისევ მზე, მე-

რე ნისლი და ასე, მერე პირდაპირ გადავიდა შორეულ, ბავშვობისდროინდელ შემთხვევაზე, როცა ცირკში იყო და ცნობილმა ილუზიონისტმა კიომ ლამაზ ქალს ხმალი გაუყარა მუცელში, გული როგორ წაუვიდა, იქიდან პირდაპირ გადავიდა კამიუს ქაგებაზე, რომელსაც მთელი თავისი არსებით მართლა, სიფხიზლეშიც ვერ იტანდა და სამაგიეროდ ძალიან აქო ფლობერი, ფლობერიდან გადახტა ზამთარში ზღვის სპეციფიკურ სილამაზეზე, იქიდან გადაინაცვლა გურიის ერთ საოცარ ადგილას, სადაც ჯერ მხოლოდ ფართო ფოთლები ჩანს და ფოთლებს თუ გადასწევ, დაინახავ ორმოს, სადაც წისქვილი დგას და ძალიან გრილა და მერე ერთ-ერთ გაბრუებულ, მოწყენილ მსმენელს დიდი ინტერესით ჰკითხა, უყვარს თუ არა გაზაფხულის წვიმაში ფეხშიშველას სიარული და პასუხს არც დაუცადა, ისე შეაქო, აღფრთოვანდა და ხელზე აკოცა, რითაც მსმენელთა ერთგვარი გამოცოცხლება გამოიწვია.

ლუკა ისევ კართან იდგა და აღარ იცოდა, სად დამჯდარიყო. შორეულ მაგიდასთან მხოლოდ ერთ ბიქს მოჰკრა თვალი, ლუკამ მოცეკვავეებში დინჯად გაიარა, მაგიდასთან შეჩერდა, ერთ-ერთ თავისუფალ სკამს დაადო ხელი და იკითხა: „შეძლებმა?“ „მარტო ბრძანდებით?“ — გაკვირვებით შეაქებრა ბიქი. „ღიახ,“ — უთხრა ლუკამ და შეათვალიერა. „მაშინ დაბრძანდით, სწორედ ერთი ადგილი გახლავთ თავისუფალი.“ ბიქს რაღაცნაირად არ უხდებოდა ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი, ყალბად გამოსდიოდა. „თქვენც მარტოკა ბრძანდებით, ბატონო?“ — დაეკითხა ლუკა. „აჰ, არა, არა, რასა ბრძანებთ, — შეიცხადა ბიქმა, — აქ კიდევ ორნი გახლავან, ცეკვავენ, რაღა“...

ერთ-ერთი გრძელთმიანი მოცეკვავე ვაჟი ოთახის შუაგულიდან გაკვირვებული შესცქეროდა ლუკას, მერე ბიქს ანიშნა: „ვინაა“... ბიქმა მხრები აიჩეჩა და გაუღიმა. მოცეკვავე შეტრიალდა და

ლუკამ უცებ ის გოგო დაინახა, გრძელთმიანთან რომ ცეკვავდა, გუგუშვც-წაშინვე შენიშნა და უზომოდ მოწყენიდა სახე წაშში შეეცვალა — ჯერ თვალში გაუფართოვდა და გაკვირვებისაგან თითქოს შეშინდა კიდევ, მერე, ლუკასთვის სრულიად მოულოდნელად, ძალიან გახარებული შეაქებრა, მისალმების ნიშნად თვალები პატარა ხნით დახუჭა და გაუღიმა. ლუკა შორიდან, მხოლოდ საღმით იცნობდა ამ გოგოს, და მხოლოდ ის იცოდა, რომ „ძნელი წარსული“ ჰქონდა — ასე უთხრა რომელიღაც ნაცნობმა და ლუკა ერთხანს განცვიფრდა, გაგონებისთანავე რატომ არ დააინტერესა გამოთქმამ „ძნელი წარსული“ და გაახსენდა, რატომაც — იმ ჰორიკანა ბიქს აშკარად სურდა საუბრით გულის მოფხანა, და გაღიზიანებულმა ლუკამ პასუხად ასე ჰკითხა: „რა დღეა დღეს, ხომ არ იცი...“ — და ზიზღით გამოსცრა, — ბიქო...“ ახლა თითქმის ისეთივე ზიზღით სხვა ბიქს უყურებდა, გრძელთმიანსა და ზიზღილი ბიჭილოებიანს; იმან კი, თითქოს ლუკას გასაბრაზებლად, გოგოს თავზე დაადო ლოყა და მაგიდასთან მოკალათებულ ზრდილობიანს თვალი ჩაუყრა — ჰმ, ამაყობდა ბიქი... ლუკამ იგრძნო, მუშტებდა რომ შეეკრა თითები, ისე განრისხდა, გაუკვირდა კიდევ. „შამპანური? — გულგრილად ჰკითხა ოფიციატმა, თავს დასდგომოდა, — რამდენი, ერთი?“ „ღიახ“, — ახედა ლუკამ. „კიდევ რა...“ „კიდევ არაფერი“. ღრიანცელს საყვირის ხმა ჩამოსცილდა, მოცეკვავენი მაგიდებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. გოგამ აღარ დაუცადა იმ გრძელთმიანს, გამოსაწრო და ლუკასთან მივიდა. ღიმილით უახლოვდებოდა, ლუკას რაღაც ტყბილ-მომწარო შემოაწვა გულზე, რატომღაც აღუბლის გემო იგრძნო, მკრთალად გაუღიმა. მერე ისევ მოელეშა სახე, ვიღაცას ახსენებდა ეს გოგო, ისე ძალიან, ისე საოცრად, რომ აქვე უნდა მოეცილებინა ის ორი ბიქი. ახლავე, წაშში... „როგორა ხარ, როდის ჩამოხვედი?“ — ჰკითხა გოგომ. ისე იქცე-

ოდა, თითქოს ახლობელს შეხვდა, ხელიც გაუწოდა. მაგრამ ლუკამ ვულზე გადაიჭვარდინა ხელები და მკაცრად, ცივად ჰკითხა: „ჩემი ბექედი რა უყავი?...“ „რა?“ — დაიბნა გოგო. „ჩემი ბექედი — ჩემი ბექედი რა უყავი.“ „რომელი ბექედი...“ — შეერთა გოგო, უძწო, დამფრთხალი, ახლა გაცილებით ლამაზი ჩანდა. „დედაჩემმა რომ გაჩუქა — თვალები დააბრიალა ლუკამ, — რატომ არ გიკეთია!“ და გოგო უცებ ყველაფერს მიხვდა, რადგან ლუკას მხერაში ფარული ღიმილი ამოიკითხა. გრძელთმიანი და ზრდილობიანი დაბნეულნი შესტკეროდნენ ლუკას და თვალებს ბეჭითად ახამამებდნენ. „ოთახში დავტოვე“, — თქვა გოგომ და ამოისუნთქა. „რატომ“, მკვანედ გამოსცრა ლუკამ. „რომ არ დამკარგოდა“, — წამოიძახა გოგომ და თვალები აუციმციმდა. „ეს ახალგაზრდები ვინ არიან?“ — გამკაცრდა ლუკა და გრძელთმიანისათვის არც შეუხედავს, ისე მიაბჯინა თითი. „ესენი დღეს გავიციანი, კარგი ახალგაზრდები არიან, — თქვა გოგომ, — რა იყო, რა მოხდა ასეთი...“ „და დღეს გაცნობილებთან ცეკვავ, არა?“ „დიდი ამბავი, — მხრები აიჩინა გოგომ, — მთელი ევროპა ცეკვავს.“ „ევროპა რაში მეკითხება, — განრისხდა ლუკა, — ევროპა არ ვიცი მე!“ „მე მხოლოდ ერთხელ...“ — თქვა გოგომ. „მერედა ვისთან, — დანაღვლიანდა ლუკა და შეაქტვრდა, — ამასთან მაინც რამ გაცეკვა...“ „მე მხოლოდ ერთხელ...“ — ჩუმად გაიმეორა გოგომ და თავი დახარა. ლუკამ შეამჩნია, რომ გოგომ ეს სიტყვები ყოველგვარი ტყუილის გარეშე, მართლაც შეწუხებულმა თქვა — რალაცნაირად, ლუკას მიერ გაუფრთხილებლად, უნიშნოდ შეთავაზებული თამაში სულ გადაავიწყდა. ლუკაც კინალამ შეცბა, ისე აშკარად დამორცხვებული ჩანდა მის წინაშე ეს თითქმის უცნობი გოგო და, საბოლოოდ რომ არ არეულიყო, გამოერკვა, ისევ იმ გამოგონილ კალაპოტში ჩადგა და ბიჭებს უთხრა: „გთხოვთ ახლავე დატოვოთ დარბაზი“.

ერთი მათგანი ისე ყალბად თავაზიანი რომ არ ყოფილიყო, მეორე კი მკაცრულა ტანსაცმლიანი და თმაგრძელი, მარტო ყოდა ამას, მაგრამ დარწმუნებული იყო, ორივენი ყველაფრის ღირსნი რომ იყვნენ და, შეშინებულებს, მკაცრად მიუგდო: „მართლაც კარგი წესი იყო დღეული“. „კი მაგრამ...“ — წამოიწყო გრძელთმიანმა, მაგრამ ლუკამ თვალბეჭში შეხედა. და როცა ბიჭმა საცოდავად დაიხედა საათზე და თქვა: „მაინც უნდა წავსულიყავით... წავიდეთ, თამაზ“ ლუკას ერთბაშად გადაავიწყდა ისინი და იგრძნო, რომ მასაც იმ წუთას ახლობლად ეგულეზოდა ეს გოგო. ასე იდგნენ, ოდნავ შემცბარნი, და მერე ბიჭებს ერთდროულად გახედეს. და ორივე განცვიფრდა, როცა მეგარდერობემ გრძელთმიანს თეთრი ნაბადი გადმოულო (ასეთებიც დააქვთ ხანდახან ბაკურიანში) — ძველქართული სამოსი. იმ ბაიყუშს... და იმან ნაბადის ვაი-ვაგლახით რომ მოირგო აწურულ მხრებზე და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა, ლუკამ გაიციანა, იცინოდა გოგოც, თავგადაგდებული, გახალისებული, და თხელი ნესტოები უთრთოდა. ლუკამ დაჭიმულ ყელზე თვალი შეაქლო და უცებ მიჩუმდა.

— დიდი მადლობა, — თქვა გოგომ და სახელოდან ცხვირსახოცი გამოაქვრინა, წამით მიიღო ცხვირზე და ისევ შეინახა. ყოველივე ეს ძალიან მოხდენილად გააქეთა, ლუკას დიდად სჭეროდა უბრალო მოძრაობების სილამაზისა.

— როდის ჩამოხვედით? — ჰკითხა გოგომ.

— დღეს.

— მარტო?

— არა, ამხანაგთან...

ოფიციალტმა შამპანური მოიტანა და რომ დაეჭაჭურა, ლუკამ ხელი გაიშვირა:

— მომეცით, მე გავხსნი.

გოგო გაკვირვებით, ნაღვლიანად შესტკეროდა.

— თქვენ დიდი ხანია, აქა ხართ?

— ერთი კვირა... არა, ექვსი დღე.

— შუე მოგვიდებიათ.

— ჰოო? ცოტათი... — გამოცოცხლდა გოგო.

ლუკამ ჰიქები შეავსო და თქვა:

— ეს ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს.

ისევე, როგორც ყოველ გოგოს, მასაც ჰქონდა ნებსითა და უნებლიედ დაზეპირებული ღიმილი, მაგრამ ახლა სხვანაირად გაიღიმა.

— რა უცნაურია, — წამოიწყო ლუკამ და ჰიქა მაგიდაზე დადგა, — მეგონა, რომ ასეთი ხმა არა გქონდათ.

— მართლა? აბა როგორი...

— საერთოდ კარგი, მაგრამ უფრო ცუდი...

დიდი აბნეული წინადადება გამოვიდა, მაგრამ გოგო მაინც მიხვდა და გაიღიმა.

— მე ლუკა მჭევია.

— ვიცი, ვიცი, — შეაქებრდა გოგო. ვილაცას ჰგავდა. ხანდახან, სახის დაქინებული თვალეგრებისას, უფრო ჰირს ხოლმე მსგავსების გამოცნობა და ლუკამ მოცეკვავეებზე გადაიტანა შურა. პატარა ხანს ათვალეგრა მაღალი, ცეკვისას მოხრილი ბიჭები და თავაწეული, გამართული გოგოები, დროდადრო მართლა კითხვის ნიშანივით რომ აღიქვამდნენ, მოხრილ ბიჭებს, რომლებსაც მხოლოდ დღევანდელი გეგმები უტრიალებდათ თავში, გოგოები კი უფრო შორს იცქირებოდნენ.

ეს პატარა გოგო, ცელქი გამოხედვითა და მაინც, სიცილისასაც კი მკაფიოდ დარდიანი, რომელიღაც მომცრო, ცქვიტცხოველს ჰგავდა, ტოტიდან ტოტზე რომ ხტის და დროდადრო სევედიანი გაკვირვებით შეაქებრდება ადამიანებს. მაგრამ ეს სხვა მსგავსება იყო, უფრო ვის ჰგავდა, ლუკა ვერ იხსენებდა.

— ერთი რაღაც მინდა გკითხოთ.

— რა? — თავი ასწია გოგომ, ოღონდ ისევ ჰიქას დასცქეროდა.

— რომ დამინახეთ... რატომღაც... არა, მომეჩვენა, რომ გაგიკვირდათ. რატომ?

— გითხრათ? — შეხვდა და ისევ ჩარგო თავი, — არა ღირს...

— რატომ?

— მაინც არ დამიჯერებთ.

ლუკამ შეათვალეგრა, გაჩნზე გაიხვდა და თქვა:

— მაშინ ნუ მეტყვი.

არა სწყენია.

— როგორ ცხელა, — თქვა გოგომ, — და რა ბულია...

— ჰერია დაბალი.

— ჰერი? — მაღლა აიხედა გოგომ, ლუკამ ისევ შეათვალეგრა დაჭიმული ყელი და თვალი არ მოუცილებია, ისე მოსვა შამპანური, — ჰერი მართლაც დაბალია, ეს მუსიკაც...

ვილაცას ჰგავდა!

— გიყვართ მუსიკა?

— რაზე გაგახსენდათ?

— აქ რომ უკრავენ...

— ამ ხმაურმა?

— დიახ. ესეც მუსიკაა... თავისებური

— და თქვენ გიყვართ?

გოგო მიხვდა, რაც უნდა ეპასუხა და მხრები აიჩეჩა:

— რა საყვარელი ესაა...

— რაღას ცეკვავდით...

— რა ვიცი, ისე.

ლუკამ თვალი აარიდა და სიგარეტს დასწვდა. უგემურად შეიხსენებდა კვამლი და ჰერს მიაბოლა.

— ეგებ აქაურობაც არ მოგწონთ.

— რა ვიცი, ისე...

— რაღა გინდათ აქ...

— აბა რა ვაკეთო?

— არ იცი?

— არა. აუცილებელია, ვიცოდე?

გოგო ისე უცებ გამოიცივლა, და ისე გაღიზიანებული პასუხობდა, ლუკასაც გადაეღო.

— ხვალაც აქ მოხვალთ?

— აუცილებლად. ეს რა, პაემანია?

— არა. და იმ ნაბღიანმა საცეკვაოდ რომ მიგწვივით, ისევ იცეკვებთ?

— რა დაშავდება ვითომ...

— წარმოდგენა არა გაქვთ, არა?

— არა, — გამომწვევად მიანერდა გოგო.

მესაყვირე სულ გადაირია, ისე ხმამაღლა უკრავდა რაღაც სისულელეს. გი-

ტარის ელარუნი აღარ ისმოდა და დამკვრელს რიტმი სხეულის უთავბოლო მანქვით გამოჰყავდა. კლავიშებზე უხმოდ დაპოტინებდა ვიღაც ზურგმეკციულის მოკლე, კოტიტა თითები. შორს, ბურუსში, ჩქარა-ჩქარა ხელებს იქნევდა და რაღაცეებს ისევ აღფრთოვანებული ჰყვებოდა, ხვალ კი შეწუხებული იკითხავდა: „ნეტავ რეები ვილაპარაკე, ჰა?“ ოთახში ცეკვავდნენ, კვამლში ძლივსლა მოჩანდნენ გამართული გოგოები, რომლებსაც ძახილის ნიშნად აღიქვამდნენ მოხრილი ბიჭები — დღესვე, დღეს!

— მაინც რატომ არ მოგწონთ აქ?

— იმიტომ, რომ...

— იმიტომ რომ რა?

— ტყუილია, — თქვა ლუკამ და თვალბში შეხედა.

— რა არის ტყუილი?

— ყოველივე ეს, — ჰაერში წრე შემოხაზა ლუკამ.

— როგორ თუ ტყუილი... რატომ?

— არის და იმიტომ.

გოგო გაბრაზდა:

— რაღა ვინდოდათ აქ?

— ტყუილიც საინტერესოა.

— არაფერიც — აქ სხვა არაფერია საინტერესო და იმიტომ.

— საინტერესოს მეტი რაა.

— სად, სულ სხვაგან?

— არა.

— აბა სად — ააქ?

— აქვე, — უთხრა ლუკამ, — აქვე ორიოდ ნაბიჯზე.

— აქვე, ორიოდ ნაბიჯზე, — სუნთქვა შეეკრა გოგოს, — რაა.

— აქვე, ორიოდ ნაბიჯზე, — ჩუმად თქვა ლუკამ, თვალს არ აცილებდა, — სინამდვილეა.

— ჰე! — ხელი აიჭნია გოგომ, და აგდებულად რომ შეხედა, მაშინვე მოიკუნტა.

— წამოდი, გაჩვენებ.

თქვა ლუკამ, უკვე ფეხზე იდგა.

დიდ, დათოვლილ ველზე მიდიოდნენ: რბილ, ყავისფერ, კოჭებადღე ქურქიანი გოგო წინ, თვალებზე ჭედჩამოფხატული

ლუკა კი ჯიუტად შლიდა დიდი სათხილამურო ფეხსაცმლებიან გარეშე მსაქარა ნაფეხურებს. ნათელი ღამე უყო და ლუკა ხედავდა, ყოველი დაბიჯებისას ფეხქვეშ სუსტად როგორ ნაბიჯებოდა თოვლი. ფართო ბილიკი იყო, მაგრამ ლუკას ასე, გოგოს კვალდაკვალ ერჩია სიარული. ჰაერი, ცივი, მოლურჯო, კამკამა, იწიწკნებოდა. მხოლოდ სახეს ციოდა და თითქოს ყელამდე თბილ წყალს მიარღვევდნენ. ველზე ახალი, სუფთა თოვლი მდუმარებად იდო, დაუტყეპნავი, მთვარეზე სუსტად აბეუტებული, სალუქი თოვლი. და ის-ის იყო, ტყეში უნდა შესულიყვნენ, გოგომ თავი მიაბრუნა და ლუკას ახედა. დიდი, გაოცებული თვალებით უყურებდა, ლუკას წინ გოგოს სახე ჩანდა, შორეული ტოტის ჩრდილით ირიბად გადასერილი. მერე შეტრიალდა და ტყეში მიმავალ ბილიკს გაუყვა. აქ მაღალი ფიჭვები იდგა, და მათი უამრავი, დათოვლილი, თითებგამლილი ხელისგულების ჩრდილი მსუბუქად იდო თოვლზე. გოგომ წაიფორხილა და ლუკამ ხელი სტაცა ხელზე, გოგო გაიმართა, მაგრამ ლუკას აღარ გაუშვია ხელი და ახლა გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ხელისგულჩაქიდებულნი. ტყეში დიდი ბუნჩქებიც იყო, თოვლით აზელილი. გოგო შეჩერდა, ლუკაც დიდხანს იდგა უხმოდ, ასე, და თითქოს ხელისგულში გამომწყვდეულ შემთბარ თითებს ყურს უგდებდა. „ეს არის, არა? — მორიდებული ჩურჩული ესმოდა თითქოს, — ეს არის, არა, სინამდვილე... ესაა, არა? „ჰო, ჰო, ესაა, ესაა, — მოისმოდა გარინდულ ფიჭვზე მძიმედ, ფისსავით ჩამოღვრილი პასუხი, — ესაა, ესაა...“ და ლუკამ ორიოდ მოკლედ ნაბიჯი გადადგა, გოგოს შეხედა ტყეში ბნელოდა და ლუკამ ვერ გაარჩია სახე, მხოლოდ ის ჩანდა, გოგო თავგადაწეული რომ შეჰყურებდა. მხრებზე შეავლო ხელი, მთვარისაკენ შეაბრუნა, მონატრებული სახე რომ დაენახა, მაგრამ ვერა — ბნელოდა ტყეში. და მაინც, ლუკა უყურებდა და გრძნობდა, სიბნელეში როგორ მქდავდებოდა ყოველი

ნაკეთი, სევდიანი გამომეტყველება, ისეთი სევდიანი, რომ გული შეეკუმშა, ალუბლის გემოც: ისევ იგრძნო და ფრთხილად, ხმადაბლა ჰკითხა: „შენ... მართლა ძნელი წარსული გქონდა?“ „პო,“ — ჩუმად თქვა გოგომ. ასე იდგნენ და ლუკა უყურებდა, უყურებდა, მერე ველარ მოითმინა, ჯიბეებზე ხელი მოისვია, ასანთი იპოვნა, გაჰკრა და ანთებული ღერი თვალებთან მიუტანა. გოგო წყნარად, უხმოდ, მხრების აუციხცახებლად ტიროდა, თავაწეულს, სიცივი-საგან გათოშილ ლოყებზე გაკვალული გზით ჩამოსდროდა ცრემლი, და მაინც, ასანთის სუსტ შუქზე, უცნაური ბედნიერებისაგან თვალები უბრწყინავდა. ახლა იგი მართლა ჰგავდა ცელქს, პატარა ცხოველს, ტოტიდან ტოტზე რომ დახტის და დროდადრო სევდიანად რომ შეაცქერდება ადამიანებს, და ლუკა მოხიბლული უყურებდა, სანამ თითებზე საშინელი ტკივილი არ იგრძნო, გამოფხიზლდა და დანახშირებული ღერი გამწარებულმა რომ მოისროლა, გოგოსაყენ შეტრიალდა და მაგრად ჩაიკრა გულში. ლუკა კოცნიდა და ჩუმად ზედ ყურთან ეუბნებოდა: „მგონი მიყვარხარ... მგონი მართლა მიყვარხარ, ციყვო...“ ის დიდი, ცრემლებით დანისლული თვალებით მადლიერი ასცქეროდა, ლუკა კი სამი დამწვარი თითით ნელა უმშრალებდა სველ სახეს და უხილავ, მაგრამ საბოლოოდ დამახსოვრებულ თვალეებში ჯიუტად ჩასცქეროდა.

ვილაცას კიდევ ჰგავდა...

• • •

მეორე სართულის აივნის ქვეშ თავშეფარებული პატარა ხულიგანი აბუზული იდგა და გაფითრებულიყო — ციოდა, ჭარბი ისუსხებოდა და უგემურად სცრიდა. პატარა ხულიგანს საწვიმრის საყვლო აეწია და ჯიბეში ჩაეყო ხელე-ბი, მერე კი, ეტყობა, სიგარეტის ვაბო-ლება მოუწია, რადგან იქვე ატუზულ ბიჭებს მიუბრუნდა და ორი თითი მიი-ღო პირზე. იმათ მაშინვე დააძრეს სიგა-

რეტის კოლოფები, ერთმა დაკმეკნი-ლი, მეორემ — ახალთახელი და პატარა ხულიგანმა არც ერთს შეხედა. ხულიგანი — ახლადგახსნილი კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მეორე ბიჭს კი თბილად გაუღიმა და „ცოტა გქონია, შეინახეო“, რაღაც ამდაგვარი აგრძნობინა გაშლილი ხელისგულის ორჯერ დაქნე-ვით.

ლუკას პატარა ხულიგანთან მისვლა და გამოლაპარაკება მოუწია. მაგრამ ჯერ არ იცოდა, რა ეთქვა და ამიტომ ძალიან ნელა მიაბიჯებდა წვიმაში. მაინც რა ეთქვა, როგორ აეწყო საუბარი, წარმოდგენა არა ჰქონდა, მაგრამ ასე თუ წამოუვლიდა ახირებული სურვილი, რომ არ აესრულებინა, არ შეეძლო. ლუკა უახლოვდებოდა და ის კი, მობუზული, სიგარეტს თვალმოწყურული ქაჩავდა, კვამლს ღრმად ისუნთქავდა და მერე ცხვირ-პირიდან უშვებდა. ლუკამ უფრო შეანელა ნაბიჯი, ვერ იქნა და ვერაფერი მოიფიქრა, მაგრამ ახლა ისიც მოუწია. ღრმად, კარგად რომ ჩაეხედა პატარა ხულიგანის თვალეებში. სამიოდე ნაბიჯი რჩებოდა, და პატარა ხულიგანმაც შეამჩნია მისკენ უცნაურად მიმავალი ლუკა — წვიმაში ასე დინჯად არ დაიარებიან. მაშინვე თვალი აარიდა, მაგრამ ლუკა შეჩერდა, მხარზე დაადო ხელი და უთხრა: „თუ შეიძლება, ორიოდე წუთით... საქმე მაქვს თქვენთან.“ „ჩემთან?“ — ამაყად იკითხა პატარა ხულიგანმა, თუმცა ოდნავ გაკვირვებულიც ჩანდა. „ღიახ! — შესახა ლუკამ და შემკრთალს მაშინვე თავაზიანად, ხმადაბლა უთხრა: — თუკი მოისურვებთ, რა თქმა უნდა, თუკი გაქვთ საამისოდ ორიოდ წუთი,“ — და თვალეებში პირველად შეხედა, ოღონდ ნაუცბათევედ, გაკვირით. პატარა ხულიგანმა კი წარმოსთქვა მისთვის უჩვეულო წინადადება: „ღიახ, ინებეთ... მე გისმენთ,“ — და წვიმაში გაჰყვა. მიაბიჯებდა ფრთხილად, ერთიანად აკრეფილი, მზადყოფი ყოველგვარი მოულოდნელობისათვის და მარცხენა ხელი ჯიბეში ჰქონდა. ის ორი

ბიჭი, აღელვებული, კუდში მისდევდა, ერთმა ცხვირსახოციც გადაიხვია პაწია მუშტზე, მაგრამ ლუკას იმათი დარდი არა ჰქონდა, ყველაფერზე მეტად ის აწუხებდა, ჯერ კიდევ რომ არ იცოდა, რა ეთქვა და მიიხს, ბრტყელ-ბრტყელები წამოიწყო: „ღიახ, ხანდახან ისე დაინტერესებს ადამიანს რომელიმე საკითხი, ღიახ, ხანდახან ისეთი გაუგებრობაა, და ისეთი მოულოდნელობანი, ღიახ...“ „მოულოდნელობანი?“ — გაკვირვებით ახედა პატარა ხულიგანმა. „ღიახ, — განაგრძო ლუკამ, სიამოვნებდა ამ ყალბადნათქვამი სიტყვის გამოკრება, — თქვენ ალბათ ძალიან გაკვირდით როცა ასე მოულოდნელად დაგელაპარაკეთ, მაგრამ ხანდახან ცხოვრებაში ისეთი მოულოდნელი ამბები ხდება, აჰ, იმდენი რამ, — პატარა ხულიგანს მომწვანო თვალები ჰქონდა, — შე იძულებული გავხდით, რომ თქვენ, ესე იგი, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას, პირველივე შემხვედრი, შეგაწუხეთ და ისიც, აი, ასეთ ცუდ ამინდში და...“ „არა უშავს, ღიახ“, — თქვა პატარა ხულიგანმა და მომცრო გუბებს გადააღაჯა. „და შეიძლება მოულოდნელი იყოს თქვენთვის ეს შეკითხვა, მაგრამ ისეთი რამ გავიგე, „ნუთუ ვერაფერს ვერ მოვიგონებ?“ — გაიფიქრა ლუკამ, — რომ ძალიან გამიკვირდა და გადაწყვიტე პირველივე შემხვედრისათვის, იგი კი თქვენ აღმოჩნდით, მეკითხა, რომ... ეე... უნდა მეკითხა, რომ... — როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა ბიჭისა და გოგოს ამხანაგობა?“ „ვისი და ვისი — ბიჭის და გოგოს?“ — გაუკვირდა პატარა ხულიგანს და გულზე მოეშვა. ხელი ჭიბიდან ამოიღო და იმ ორ ბიჭს შეუმჩნევლად ანიშნა, აღარ გაპყროდნენ. იმათაც შევებით ამოისუნთქეს, იქვე მალაზიაში შევიდნენ და სველ თმაზე ცხვირსახოცები გადაისვეს. „ღიახ, ღიახ, — განაგრძობდა ლუკა, — ბიჭისა და გოგოს ამხანაგობა...“ „რატო, — შეფიქრიანდა პატარა ხულიგანი, — რატო არ შეიძლება“. „ოო, — დიდმნიშვნელოვნად გაკვიმა ლუკამ, — თქვენ ნამდვილად

დარწმუნებული ბრძანდებით ამაში?“ პატარა ხულიგანს ესამოვნა სიტყვა „ბრძანდებით“ და იმანაც თვეწიანად მიუგო: „ღიახ, რა თქმა უნდა, ინებეთ; მე მაგალითად, ერთი და-ქალი მყავდა“. „და ახლა რატომ არა გყავთ, ა? რატომ აღარა გყავთ, თუკი, როგორც თქვენ ამბობთ, შეიძლებაო?“ „ეჰაჰ, გადაბმულები კი არ ვიყავით, მე რავი, წავიდა.“ — გაკვირვებისაგან ჩვეულებისამებრ ალაპარაკდა. „ოო, — კვლავ გააგრძელა ლუკამ, — ესე იგი, არ ყოფილხართ ნამდვილი ამხანაგები.“ „როგორ არა, — იუკადრისა პატარა ხულიგანმა და შიგ გუბეში ჩატოპა, — ძალიან კარგად ვიყავით.“

აქ კი ძალაუფლებურად შესწყვიტეს საუბარი, რადგან ლურჯ-ყვითლად შეღებულ მანქანაში მჭდარი, პირთან მიკროფონმიტანილი მილიციელი ვიდაც გაწუწულს მისძახოდა: „მოქალაქე, მანდ არ შეიძლება გადასვლა, არ შეიძლება-მეთქი, დაბრუნდით ახლავე უკან!“

„კი მაგრამ, — გააგრძელა საუბარი ლუკამ, — თუ შეიძლება, ამიხსენით, მიიხსნის როგორ იყავით კარგად?“ „როგორ და, — გაამაყდა პატარა ხულიგანი, — საშინაო დაეპლებებს მიწერდა, დღიურებს მივსებდა, მორიგედ რომ ვიყავი, დაფას აპრიალეხდა... და კიდევ რაღაც-რაღაცეები...“ „აჰ, სკოლაში რომ იყავით, მაშინ?“ „ღიახ“, — თქვა პატარა ხულიგანმა და შეიკმუნა — წვეთი ჩაუვარდა კისერში. „ღიღი ხანია, დაამთავრეთ?“ — აათვალიერა ლუკამ. „ორ წელზე მეტია“. „აჰაჰ, — დაფიქრდა ლუკა, ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გაეცინებოდა — ახლა კი, თუ ნებას მომცემთ, ერთი რაღაც უნდა გკითხოთ, მე დღეს ისეთი ამბავი გავიგე, რომ, ძალიან მაინტერესებს და ამიტომ მოგაბეზრეთ თავი. მოგაბეზრეთ, არაა?“ „არა, რატომ“, — თავი გვერდზე გადახარა პატარა ხულიგანმა. „და თუ არ გეწყინებთ, ერთი რამ უნდა გკითხოთ — ეგება უყვარდით და იმ-იტომ დაგიამხანაგდით? „რა ვიცი, —

ახლა კი სერიოზულად დაფიქრდა პატარა ხულიგანი, — არა მგონია, რა ვიცი... ვინ იცის...“ „ხოო, — თითქოსდა მრავლისმეტყველად შეხედა ლუკამ, — ეს კარგი, ვთქვათ, იმის მხრიდან არ იყო ნამდვილი ამხანაგობა, მაგრამ თქვენის მხრიდან... ა?“ „ჩემი მხრიდან რა...“ — გაფაციცდა პატარა ხულიგანი. „თქვენ თუ უყურებდით ამხანაგოვით?“ „მე კი, მე კი.“ „და ახლა ერთი რამ კიდევ უნდა გკითხოთ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენს ნებართვაც იქნება — თქვენ გულში არ გაგივლიათ არავითარი?“ „არა, ჩემმა მშემ,“ — გულზე ხელი მიიღო პატარა ხულიგანმა — ჯერ კიდევ მაინც ბავშვი იყო და ლუკას შერცხვავ, ასე უნამუსოდ რომ ალაპარაკებდა, მაგრამ თვალეზში ძალიან უნდოდა ჩახედვა და რა ექნა... „მე მაინც ერთი რამ უნდა გკითხოთ, თუ არ გეწყინებათ, რა თქმა უნდა... დავიწყებ იმით, რომ არსებობს აი, როგორც იტყვიან, დამამძიმებელი გარემოებანი — ვთქვათ, იმას რაიმე ეგრძობინებინა და...“ „არა, არა, — გააწყვეტინა პატარა ხულიგანმა, — არ ვიკისრებდი.“ „და მთვრალი რომ ბრძანებულებით, თუმცა, მთვრალი რა გამოთქმაა — ნასვამი...“ „არა, არა.“ „რატომ?“ „მაზინჯი იყო,“ — თქვა პატარა ხულიგანმა. აქ ლუკას ისეთი სიცილი აუტყდა, რომ პატარა ხულიგანიც აპყვა, ლუკამ ერთი-ორჯერ მხარზედაც მოუტყაპუნა ხელი და ღიმილისაგან სანახევროდ მოქუტულ თვალეზში რომ შეხედა, ისევ გაახსენდა, რამაც ალაპარაკა და ღიმილ-ღიმილით შესთავაზა: „იცი თუ... წვიმს და თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ამ ტელეფონის ჯიხურში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ, კარგი?“ „შევიდეთ“, — სიამოვნებით დათანხმდა პატარა ხულიგანი.

ჯიხური, მოგეხსენებათ, ვიწროა და ახლა ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, პატარა ხულიგანი ქვემოდან აპყურებდა, რაც აშკარად არ შეეფერებოდა მის ჩვეულ სიამაყეს და, როგორც კი ლუკამ უკმაყოფილება შეატყო, მაშინვე მხი-

რულად ალაპარაკდა: „ეს კი შესანიშნავად თქვით, აჰ, რამდენად ვეცინეთ, მაგრამ, დავუშვათ, ლამაზი რომ ყოფილიყო, ა, ლამაზი რომ ყოფილიყო, მაშინ, პა?“ „ლამაზი რას დავიამხანაგდება?!“ — მხიარულად მიუგო პატარა ხულიგანმა, ფეხი მოინაცვლა და ლუკასათვის რომ არ დაებიჯებინა, ძირს დაიხედა, მერე გაუტყვირდა, სიცილი რომ არ მოესმა, ახედა და გაშრა: ვიღაცა სხვა ჩაპყურებდა თვალეზში, ისე მოუტირებლად, ისე უტიფრად... დაბნეულმა, მზერა აარიდა და უნებურად ლუკას საწვიმარი რომ მოათვალიერა, ღილზე შეაჩერა მზერა, მაგრამ ლუკას თვალიც არ მოუშორებია, ისე დაიფარა ხელისგულით ღილი და პატარა ხულიგანმა უმწეოდ რომ ახედა, ლუკა მისკენ გადაიხარა და უფრო დაეინებით ჩააცქერდა.

პატარა ხულიგანს მომწვანო თვალეზი ჰქონდა — ლამაზად მწვანე, დამდგარ წყალში ჩაგდებული გაზაფხულის ფოთლოვით და ზედ ყვითელ ნამცეცხვად მიმოფრქვეული წერტილები თვალის ჩინთან მრავლდებოდა და თვალის შავი გუგა თითქოს ყვითლად ფეთქდებოდა, მერე კი ყვითელ ნამცეცხვად იმსხვრეოდა მრგვალ სიმწვანეში და ძლივს-ღა ჩანდა, ჭეჭილში ფოთლებმემოცლილ გვირილებივით მიმოფანტული, ნაზად შემოხაზული წრის შემდეგ კი იწყებოდა სითეთრე, საოცრად თეთრი მკაფიოვნებით, ოღონდ ალაგ-ალაგ მკრთალი წითელი ხაზები იკლავებოდა, თავწაქრილი ქათმის გამწარებული ცეკვისას თოვლზე დატოვებული უთავბოლო ნაკვალევით და ყოველივეს სისველე გადაპყროდა, გამალამაზებელი, თანაბარი, პატარა ხულიგანი კი ასეთი დაეინებულ თვალიერებისას უმწეოდ გრძობდა რალაცნაირ უხერხულობას, თითქოს ამიშვლებდნენ და ბუნდოვნად ხედებოდა, ადრე ჩადენილი ყოველნაირი სისულელე თუ უმსგავსი საქციელი ახლა აშკარად რომ იკითხებოდა მის თვალეზში, თითქოს მართლა გააშიშვლეს და სასირცხვო ადგილების დაფარვა თვალის არი-

დებით უნდოდა, და მზერას თუკი სადმე გადაიტანდა, ის თავხედი მეთვალყურეც კისერს წაიწვრილებდა და მაინც ჩასტკეროდა. და მერე ლუკას მაინც აღტაცებამ სძლია — ეს იყო ადამიანის თვალი, უამრავი ფერისა და საგნის გამომრჩევი, აღმომჩენი, ყველაფერი სწორედ ამ უბრალო, წყვილი სასწაულიდან იწყებოდა და ლუკა შავ პატარა თვალის ჩინში ხედავდა საკუთარ თავსაც, ოღონდ უშინოსა და წაგრძელებულს, ერთადერთი, რაც იმ დიდებულ სილამაზეში უსიამოდ ჩანდა, მისი სახე იყო შავ, პაწია სარკეში და როცა რაღაც ახალი შექიცი შენიშნა, სახეზე მოაეღო მზერა და შეცბა — პატარა ხულიგანი ბრაზისაგან დაღმეკილი, განრისხებული უყურებდა და ლუკას გაუყვირდა, გაბრაზებასაც რომ ჰქონია თავისი შექი და უცებ ვალიშების თანმხლები შექის დანახვაც მოუნდა, ვითომც ძალდაუტანებლად იკითხა: „აჰ, ლამაზი რომ ყოფილიყო, მაშინ...“ მაგრამ ისე ყალბად გამოუვიდა, თვითონაც შეიკმუნხა.

— გამოდი გარეთ, — უთხრა იმან და ჯიხურის კარს მხარი ჰკრა.

— რატომ, პატარა ხულიგანი? — მოფერებით დაეკითხა.

— რაო? — კინალამ გადაიჩია ის, — ვინაა შენი ხულიგანი, გამოდი ახლავე, ან შენ, ან მე...

— აჰა, — თქვა ლუკამ და ჯიხურიდან გავიდა, — ერთ ჭარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგება, არა? ახლა რა ვქნათ? — აინტერესებდა, რას დაუპირებდა, რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დადგა და იმის გაფიქრებაც მოასწრო, რომ პატარაობისას ამგვარ შემთხვევებში მუხლები აუკანკალდებოდა, შიშისაგან კი არა, არა, რაღაცნაირად, ისე... ახლა კი ძალიან მშვიდად იდგა და არხეინად მიჩერებოდა.

— წამო აქეთ წავიდეთ, დაიცა, მე შენ გაჩვენებ... თავლებში არ ვიყო, არც წაგიყვანდი სხვაგან, ვინ ვისზე გაიციენებს, იმასაც ვნახავთ, — სული ყელში ებჭინებოდა, — აქეთ წავიდეთ...

— აჰ, არა, არა, წვეთის დამლვეი არ ვარ, — თქვა ლუკამ.

თქმასაც გააჩნია — პატარა ხულიგანი დაიბნა.

— რისი დამლვეი არ ხართ? — გაკვირვებულმა იკითხა.

— წვეთის.

— რისი? წვეთი რა შეუშია...

— აბა სად მეპატიებოდით?

— სად გეპატიებოდით...

— აჰ, დიდი ბოდიში, სხვანაირად გაგიგეთ — მანდეთ რესტორანია და...

პატარა ხულიგანმა ხელი გადაისვა შებლზე, ვინ იყო მაინც ეს კაცი, რეებს ამბობდა, რანაირად უყურებდა... მაგრამ მთავარი წყენაც გაახსენდა.

— ვინაა შენი ხულიგანი! მე ჩემთვის ვიდექი, შენ თვითონ მოხვედი, ლაპარაკი დამიწყე. კიდევ მე ვარ ხულიგანი?

— მე არაფერი მიკადრებია, — თავაზიანად მიუგო ლუკამ — მართლაც არ ახსოვდა.

— არაფერი, ბიჭო? — აგდებულად უთხრა პატარა ხულიგანმა.

— არაფერი, ბიჭო, — აღერსიანად მიუგო ლუკამ და მაშინვე გაახსენდა, ცოტათი შეეუხერხულა, „მართლაც, მე თვითონ არ ვიწყევ? გაიგე ახლა, რომელია ჩვენში ხულიგანი,“ — გაიფიქრა და გაეღიმა. მერე ღიმილს ელფერი სასწრაფოდ შეუცვალა და თავაზიანად უთხრა: — მე ხომ თქვენის ნებართვით დავიწყე საუბარი...

— არაფერიც არა! — ისევ გაცხარდა პატარა ხულიგანი, — ბოლოსდაბოლოს, რა გინდა ჩემგან, რა!

— რა და... როგორ გგონიყთ, შეიძლება თუ არა ბიჭისა და გოგოს ამხანაგობა? — კითხა ლუკამ და აქ კი ველარ შეიკავა თავი — გულიანად გაიციენა. ისე იცინოდა, და ისე აშკარად არ მოელოდა არაფერს, პატარა ხულიგანი დაიბნა, ხელები ჩამოჰყარა და, გაბრუნებულმა, სანამ გაეცლებოდა, ესლა თქვა:

— კაცი არ ვიყო, ამ დღეებში თუ არა გნახო.

* * *

ლუკა, ალტაცებული, ოთხსართულიანი შენობის თავზე იდგა და აღარ იცოდა, საით გაეხედა — ყოველი მხარე ერთიმეორეს სჯობდა. ლუკა იდგა სიღნაღის ყველაზე მაღალი შენობის თავზე და, გაბრუნებული, ადგილზე ტრიალებდა, ხუთიოდ ბრუნის შემდეგ ძლივს შეჩერდა და საგულდაგულოდ მიაჩერდა წინ გაღმართულ ველს. ველი ჯერ კიდევ მწვანე იყო, ამ გვიანი შემოდგომისას მხოლოდ ალაზნის ქალა ბეჭუტავდა ყვითლად, თავად ალაზანი, მზით ამრქვეყილებული, ვერცხლისფერ ტალღებადაც ბზინავდა, პირდაპირ, მაღლა, თოვლიანი მთები მკაფიოდ გამოძერწილიყვნენ მუქ ლურჯ ცაზე, ცა მოწმენდილი იყო, მხოლოდ ერთგან, ზეირთად გარდამავალ თხემზე, აჩეჩილი ღრუბელი ტივტივებდა, ისეთი თეთრი... როგორღაც, ველი თითქოს უფრო შორს ვრცელდებოდა, ვიდრე ამ დათოვლილ მთათა მოკამკამე მწვერვალები, მთები გორგზად მოიწევენ წინ, სითეთრის ბრალი თუ იყო, ქვემოთ კი სიმწვანე, მარადიული ფერი, უსასრულობამდე იკარგებოდა... მარცხნივ ერეკლეს ქუჩა ჩანდა, მოკირწყლული, დახვეული, ქვის მდინარესავით ჩადიოდა დაბლა, ნაპირზე შეყვითლებული ხეები იდგნენ, ამ გვიანი შემოდგომით ფოთლებამჩატებულნი მარჯვნივ თბილისიდან ამომავალი, ასფალტიანი გზა იყო, ისიც დახვეული, ბუნქნარი და ხეხილი ამოსდევდა სიღნაღამდე, მერე კი, უცნაურ ტკივილამდე სასიამოვნოდ ვიწრო, მიმოხვეულ ქუჩებში ორსართულიანი სახლები იდგა, ძველებური ბანებით, გახუნებული კრამიტით მოფენილნი, სიღნაღის მიღმა კი, შორს, დიდი ველი ჩანდა, ალაგ-ყვითლად შეფერილი, მოთიბული პურის ყანა, ალაგ-ალაგ — უკვე გადაბნული, შავად გამომზირალი. ზურგსუკან გლუვი, ტალღა-ტალღად გაყოლებული ბორცვები იყო, ხასხასა სიმწვანემოდებული, ისე რბილად მწვანე, და მხოლოდ ერთგან წითელ-ყვითლად აღმოდებული ბუჩქი ჩუმიდ იწვო-

და, შემოდგომის ჯიუტი, მჭრქალი ცეცხლით აბღღვიალებული.

კარგახანს იდგა, ქვეშოდან ცრემლებდნენ და ხელს უქნევდნენ. პატარა ხანს მოიყრუა, მაგრამ ასე, ამ ძახილში, თვალიერებას აღარ ჰქონდა გემო და კიბეს დინჯად ჩაუყვია. ჩადიოდა და გაახსენდა, რომ სტუდენტობისას, დიდი ენაქვეილობის დროს, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი როგორ აქებდნენ თავიანთ მხარეს, კახელები კი ყოველთვის ჩუმიდ ისხდნენ. ახლა კი, როცა ლუკამ მოიარა ვეჯინი, გრემი, ნეკრესი, ალავერდი, იყალთო, წინანდალი, გაბრუნებული თვალებს აღარ უჯერებდა, და ყველაფერზე მეტად მაინც ის უჯვირდა, უნივერსიტეტის ბაღში კახელები ჩუმიდ რომ ისხდნენ ხოლმე გრძელ მერხზე.

— საით მივდივართ? — უკმაყოფილოდ იკითხა ლუკამ, აღარსად წაესვლებოდა, ისე მოსწონდა იქაურობა.

— მოდი, მოდი, — ათუხთუხებულნი მსუბუქი მანქანიდან ხელი დაუქნია ნაცნობმა, — ტიბაანში მივდივართ.

— რა გვინდა... სადაა.

— აქავეა, ახლოს... მოსავლის აღების დღესასწაულია.

ორი უცნობი ლუკას უცდიდა, ისინიც მანქანით აპირებდნენ წასვლას.

— ფანჯარასთან დაჯდები, კარგი?

— დაჯე, კაცო, — თქვა შოფერმა, შავგვრემანი კაცი იყო, მხრებაწეულს, მაგრად ჩაებღუჯა საქე, — ტარება თუ იცი, სულაც შენ წაიყვანე, სტუმარი ხარ და...

— არა, არა, — გაელიმა ლუკას, — თვალიერება მირჩევნია.

— რა უნდა ათვალიერო რო...

ლუკა ჩუმიდ იჯდა, მანქანა დაღმართში ჩადიოდა, გზა წამლალურად უხვევდა და ლუკას კისერი მოედრიცა — სიღნაღს ასცქეროდა.

— აქაური ხარ, არა? — ჰკითხა ნაცნობს.

— არა, ტიბაანელი.

— ეგ საითაა?

— აქეთაა, აი...

— არა, — თქვა უცებ ლუკამ, — მანდეთ კი არა, აქეთაა...

— ხუმრობ? — იკითხა შოფერმა, მანქანა თითქმის შეაჩერა, ერთი კარგად შეხედა, თავი მიაბრუნა და მანქანა ისევ დაიძრა, — მეც არა ვთქვი, მართლა იმხნდი?

— მართლა ვამბობ, — ჯიუტად გაიმეორა ლუკამ — წინ, გზაზე, ხალხი მოდიოდა და იმათთან გამოლაპარაკება მოუწინა, — ჩემი თუ არა გჯერათ, აი, ამათ ვკითხოთ.

— ბოლო, — გაუყვირა შოფერს, — ტიბაანში ვცხოვრობ, სიღნაღში ვმსახურობ, წელიწადი თორმეტი თვე ამ გზასა ვტყეპნი და შენ კიდევ იმხნდი, იქით არიო?

— აი, ვკითხოთ, თუ არა გჯერათ.

— ვკითხოთ, აჰა! — დაჰყვა შოფერი და პირველივე შემხვედრთან შეაჩერა მანქანა, მაგრამ იმ ჯეღს ისეთი ჰყეტელა პერანგი ეცვა, ლუკამ საჩქაროდ წამოიძახა, — აჰ, მაგას არა, მაგას არა, აგერ ამ ბერაკაცს ვკითხოთ...

— მაგას რო ვკითხო, — გაიცინა შოფერმა, — კარგ დღეს არ დამაყრის?

— რატომ?

— რათა და ბიძაჩემია.

— მაშინ იმას ვკითხოთ.

— მიდი, ჰა...

— ბოდიში, — თავი გაჰყო ფანჯარაში ლუკამ, გამოლაპარაკება უნდოდა, — ეს გზა ტიბაანისაკენ მიდის?

იმან კი ერთი ახედ-დახედა და უთხრა:

— მაშ...

ლუკა სავარძელზე გადაწვა, ეს ერთადერთი სიტყვა გულს მოეფონა — „არაფერი ზედმეტი, ნაღდი ხალხია“... შოფერსაც არ დასცდენია სიტყვა — „ხომ გეუბნებოდი“, „აქი ვითხარი“, და ამისდაგვიარა. გვერდით სტუდენტობისდროინდელი ნაცნობი ეჭდა, ტიბაანელი, და, სამარცხვინოდ, ლუკას მისი სახელი აღარც ახსოვდა. იმან კი, ქალაქში თვალი რომ მოჰკრა, ფართოდ გაუღო მანქანის კარი და უთხრა: „წამო კახეთში, ლუკა...“ „რამდენი ხნით.“ „რამდენი

ხნითაც გინდა...“ „წავიდეთ“, — თქვა ლუკამ და მანქანაში ჩაჯდა.

— აქედან ტიბაანამდე რამდენს ტყეპა.

— რამდენი რა...

— კილომეტრი. სხვა რა...

— რა ვიცი, ეგება ხეებზე მეკითხებოდი, — შოფერმა ისევ შეანელა სიჩქარე, ვალიშებულ მიუბრუნდა და ჰკითხა: — თოთხმეტი რომ ვითხრა, დამიჯერებ?

— კი.

— ჰოდა, თოთხმეტი.

ლუკას გაეცინა, სასიამოვნო კაცი ჩანდა ეს შოფერი.

— ესეცა, ტიბაანიი, — თქვა მერე იმან და მანქანა ფართო ქიშკარში შეიყვანა.

დიდ, უზარმაზარ ეზოში ხალხი ირეოდა. წინსაფრიალი ქალები და კაცები საქმიანად მიმოდიოდნენ, გრძელ, ერთსართულიან შენობაში უზურგო სკამები და მაგიდები შეჭკონდათ. ლუკამ მუხლებიდან ფერფლი გადაიფერთხა და მანქანიდან ორად მოკეცილი გადმოვიდა. ნაცნობმა მაშინვე ვილატეებს წარუდგინა. ლუკას ესიამოვნა ნაჯაფი, დახეშეშებული თითების შეხება. მერე განზე მიდგა. ხალხს ათვალეირებდა, მზემოკიდებული, ბაცი ყავისფერი ლაწვები ჰქონდათ, დინჯად დაიარებოდნენ. აჰა-იქ ბავშვებიც ჩანდნენ, ერთი პატარა, ახლადფეხადგმული, გაფაციცებით აჰყურებდა და დედის მუხლზე მიედო ლოყა, „აჰ, ერთი კანფეტი“, — გაიფიქრა ლუკამ და უიმედოდ მოისევა ჯიბეზე ხელი.

კედელთან სამი სკამი იდგა, ზედ აკორდეონი, კლარნეტი და დოლი ელაგა. ბავშვები შორიხლოდან უკირკიტებდნენ, ლუკა იმათთან მივიდა. ერთი ბიჭი მაინც, რვა წლისა თუ იქნებოდა, ანთებული თვალებით შესცქეროდა პრიალა კლავიშებს. კარგი ბიჭი ჩანდა, ცელქი, მოუსვენარი, ერთიანად დუღდა.

— რა გქვია, ბიჭი... — ჰკითხა ლუკამ.

— მიტო გურაშვილი ვარ.

ლუკა ხუმრობის ხასიათზე დადგა და ინტერესით ჰკითხა:

— მიტო წერწემიასი რა ხარ?

ბიჭმა მშვიდად აათვალიერა, ერთი კი გაიფიქრა: „ე რეებ მეკითხებიანო“ და მერე დინჯად, კახურად უთხრა:

— მოგცლია ერთიი...

ლუკამ გემრიელად გაიცინა, მხარზე მოუთათუნა ხელი:

— რომელ კლასში ხარ.

— მეორეში.

— ხომ არ ჩარჩენილხარ.

— ჩაერჩენილვარ რა — ხეპრე კი არა ვარ.

მერე ლუკა შეათვალიერა და ჰკითხა:

— თქვენა, რა გქვიან, პოეტრი ხომ არა ხართ?

— არა, — გაიკვირვა ლუკამ, — პოეტსა ვგავარ?

— რავი, პოეტები უნდა ჩამოვიდნენ სტუმრადო და...

— საიდანაო... — დაინტერესდა ლუკა.

— თბილისიდანაო.

— პოეტრი რასა ნიშნავს...

— არ იცი, არა? — დაანამუსა ბიჭმა.

— ვიცი, ვიცი, — შერცხვა ლუკას, მხაზე დაადო ხელი და შემრიგებლურად ჰკითხა: — სუფრაზე ხომ იქნები, მიტო გურაშვილო?

— რავი, თუ დამსვენს...

მოშორებით ცოტათი უცნაურ სანახაობას წააწყდა — ხმელ, დაბალ მილიციელს სანელოზე ებლაუქებოდნენ. ლუკამ გვერდით ჩაუარა და მილიციელის დაპირება მოესმა: „მოვალ, კაცო, რატო არ მოვალ, ოღონდ შინ შევივლი, გამოვიცვლი, თორემ ფორმაში უხერხულია...“

„ხო გაათავე, კაცო, მორიგეობაა თუ რაღაცა...“ „კი, მაგრამ, ფორმაში მაინც უხერხულია, გადავიცვამ და მოვალ...“

ლუკამ თვალი გააყოლა და უცებ ჰიმ-კარში სამი მსუბუქი მანქანა შემოვიდა. „მოვიდნენ, მოვიდნენ,“ გაისმა ერთიორგან, მაინცდამაინც დიდი ყრიაშული არ ატეხილა, სახე კი ყველას გაუნათდა. და მანქანის კარი რომ გაიღო, დამკვრელებმა მოულოდნელად ტუში დასცხეს. პოეტებს ეუხერხულათ და მანქანიდან

გადმოსვლას აგვიანებდნენ, ღამილით ეუბნებოდნენ რაღაცას სახეგუნდულ მუღღლებს, დამკვრელებს. მანქანები და სტუმრები მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ისეე დასცხეს ტუში. პოეტებს ჯერ თავმჯდომარე მიესალმა, მერე ბრიგადირები, ბულალტერი, სხვები შორიახლოს იდგნენ და რომ არ შეეცებუნებინათ, სტუმრებს მაინცდამაინც არც ათვალიერებდნენ, მერე ზურგიანი სკამები გამოიტანეს, ყველანი დასვეს, მაგრამ სტუმრები მალე წამოდგნენ — ნამგზავრები იყვნენ, მუხლი გამართეს.

ჯერ არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ეკითხათ, ბოლოს ხნიერმა პოეტმა იკითხა:

— წვიმები ხომ არ იყო აქეთ... ჰა?

— იყო, — თქვა თავმჯდომარემ, — როგორ არ იყო.

ისეე სიჩუმე ჩამღვარდა.

— ისე, როგორა ბრძანდებით?

— მადლობთ, მადლობთ, კარგადა ვართ, — თქვა ხნიერმა პოეტმა და სიჩუმე აუტანელი რომ გახდა, სთხოვა:

— ერთი, თუ შეიძლება, წყალი დამალევიეთ.

— წყალი რად გინდა, კაცო, — გაიკვირვა ბრიგადირმა, — ცოტაც მაითმი-ნეთ და იგეთ ღვინოი დაგალევიებთ, რომაა... — და უცებ შეცბა: „წყალი მაინც სხვა არიო“ და მხარუჯულმა გადააგდო: — გაიქე, ბიჭო!

უცნაური იყო — ერთმანეთთან დალაპარაკება უნდოდათ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. რისი ბრალი იყო, თვითონაც არ იცოდნენ. თუნდაც იმიტომ, რომ ახლახანს გაიცნეს ერთმანეთი, ეგება იმიტომ, რომ ერთნი სოფლელები იყვნენ და მეორენი — ქალაქელნი, შეიძლება იმიტომაც, რომ პოეტებს ყელზე ჰალსტუხი ჰქონდათ მოპერილი, მასპინძლები კი საყელოგადედილი იყვნენ, გარდა თავმჯდომარისა, მაგრამ იმასაც გამოე-ლია სათქმელი და უცებ დოლის ბრაგა-ბრუგი გაისმა და აკორდეონიცა და კლარნეტიც აყვავა. უხერხული დუმილით დამძიმებული ჰაერი ამოძრავდა და თამაშ-თამაშა ნამცეცხად მოედო იქაუ-

რობას, მარტივი, ცქვიტი საცეკვაო გაი-
სმა, ვილაცამ პირველმა შემოკრა ტაში,
მერე სხვებიც აჰყენენ, „აბა, განი, განი“,
შესძახა კლარნეტზე დამკვრელმა და ისევ
საჩქაროდ იტყუა პირში საკრავი, დო-
ლიც გაცხარდა, ხალხი წრედ შეიკრა,
ტაშს მონდომებულნი უკრავდნენ და
მასპინძლები ერთმანეთს მხარს საცეკვა-
ოდ უჯაგურებდნენ, „აბა, ტაში, ტა-
ში“, დასძახა მედოლემ და, თავგადაწე-
ულმა, გამეტებით დასცხო დოლს.

პირველმა მოულოდნელად იცეკვა
ვერცხლისკბილებიანმა ხანშიშესულმა
ქალმა, რომელსაც მამაკაცის პიჯაკი ეც-
ვა. მზით გარუჯული, უხეში თითები ნა-
ზად ასწია და სულ ცამციმ დაიარა
იქაურობა. ორიოდ წრე რომ შემოიარა,
ვილაცა ახალგაზრდა კაცი გადმოუნტა,
ქამარზე თითებჩაბლაუქებული, და ფხე-
ბი მონდომებულად აათამაშა, ქალი ცეკ-
ვა-ცეკვითვე დაუბრუნდა თავის ადგილს
წრეში და შუბლზე ცხვირსახოცი რომ
გადაისვა, ტაში შემოკრა, ახლა მეორე
ახალგაზრდა თითქოს ეჯიბრებოდა პირ-
ველს, წამდაუწუმ ბუქნავდა და ხელებს
შლიდა, უცებ იმათ ღრმად მოხუცებუ-
ლი, წელში მოხრილი ბერიკაცი შეუ-
ერთდათ, ცალი ხელი, მომუშტული,
გულზე მიედო, მეორე კი განზე გაეშა-
ლა და ასე დაუარა წრეს. საიდანღაც
გრძელნაწნავიანი ქალი გამოგოგმანდა,
ხელებს მაჯაში ტურფად სტეხდა, ცეკ-
ვავდა გადაცმული მილიციელიც, ცალი
ხელი მკერდზე მიედო, მეორე კი ზურგს-
უკან, წელზე შემოერკალა, ცეკვავდნენ
ქალები, ნიკაბაწეულნი და ყელდაჭი-
მულნი, ცეკვავდა ვილაც წვერმოშვებუ-
ლი, ერთიანად გაბანჯგულული კაცი და
მთელ სახეზე მხოლოდ თეთრი კბილე-
ბი და სქელ, დაფანჩულ წარბებქვეშ
თვალები კეთილად უელავდა. ცეკვავდა
დიდი, სევდიანი გლეხი, გრძელი მკლა-
ვების უშნო, ლამაზი ფრატუნით, წრის
შუაგულში ცალ მუხლზე დაცემული ბე-
რიკაცი, ხელებაწეული, თავსზემოთ უკ-
რავდა ტაშს და ირგვლივ ისევ ის ვერც-
ხლისკბილებიანი, უზომოდ გაღიმებული

ქალი უტრიალებდა, ცეკვავდა თავმგ-
დომარეც, თავის ბრიგადიერებთან. მერე
კი, სად იყო სად არა, ჰხედდა მუქარაში
გამოვარდა მიტო გურაშვილი, ფეხის
წვერებზე შედგომას ლამობდა, სადღაც
ნახშირი ებოვა და ტუჩზე სქელ უღვა-
შად წაცხვავა, წრის შუაგულში იფუცხუნა,
იფუცხუნა და წრიდან რომ გავარდა, ვი-
ლაცა ქალმა თავზე სიყვარულის ქოქოლა
დააყარა. დამკვრელებიც ეშში შევიდ-
ნენ, ერთი ლოყებდაბერილი აჰყვარებდა
კლარნეტს, მეორე ფართოდ სკინავდა
აკორდეონს, მესამე დოლს დაუნდობლად
უბრაგუნებდა და ამ მარტივ, ხმაუ-
რიან მუსიკაშიც იყო რაღაც ნაზად ვე-
ლური და მშობლიური, და უცებ ამოლ-
ტილმა, ელამმა ქალმა ორიოდ წრე ლა-
მანად რომ შემოიარა, ხნიერ პოეტს გა-
ღიმებული მიუახლოვდა, ერთხანს
ცხვირწინ ცეკვა-ცეკვით უტრიალა და
მერე მოხდენილად, ლამაზად დაუკრა
თავი და ელამი თვალებით შეაკვირდა.
ხნიერი პოეტი ტაშს უკრავდა, დამორც-
ხვებულმა გახედა მეუღლეს, სხვა პოე-
ტებს, ყველანი ტაშს უკრავდნენ და წამ-
ქებებლურად უღიმოდნენ; ქალს კი მოს-
წყინდა ცდა, ისევ შემოუარა წრეს და
მერე ისევ ხნიერ პოეტთან შეჩერდა,
მომლოდინე, აცეკვებული, ელამი თვა-
ლებით მორცხვად უმზერდა და უცებ
ხნიერმა პოეტმა პიჯაკი გაიხადა, ბალახზე
დაახეთქა და გახარებულ, მსუბუქად
ხელებდარხებულ ქალს მკლავებგაშლი-
ლი, გულიანი ცეკვით გამოედევნა. ყვე-
ლა ცეკვავდა, და მანამდე შედარებით
გულგრილად მჯდარი დამკვრელიც თა-
ვისი აკორდეონით გამოვარდა, ხნიერი
პოეტის მეუღლესთან შეჩერდა, ერთი-
ორჯერ ისე ჩაბუქნა, დაკვრა წამითაც არ
შეუწყვეტია და ისიც ააცეკვა, მერე თა-
ვისით გამოვიდა წრეში წარბწვრილა,
წვრილულვაშიანი პოეტი; იმისი ცო-
ლიც, ლამაზი ქალი, დიდ, სევდიან გლეხ-
თან ცეკვავდა, ბუქნავდნენ და ხტოდნენ
სხვა პოეტებიც, ამ ხალხში უცებ, ერთის
შეხედვით შეყვარებულნი, ტაშს გამეტე-
ბით უკრავდა ხნიერი პოეტის დაღლილი,

სახეგაბრწყინებული მეუღლე, თვალზე ცრემლმომდგარი და ლუკამ უცებ იგრძნო, რომ აღარ შეეძლო მეტის ატანა, შენობას გაუყვია, შეუხვია, მიმოიხედა და, რაკი არავინ უყურებდა, სქელ, უხემ კედელს თავი მიადო და აცრემლდა. აცრემლდა იმიტომ, რომ „სინამდვილე“, ისე ძნელად მოსაძებნი, ისეთი იშვიათი, ახლა, ამ აცეკვებული ხალხის შემხედვარეს, ასე ვერცხად და თვალნათლივ გადაეშალა; ლუკა, სიხარულს ერთიანად აყოლილი, უხემ კედელთან აცრემლებული იდგა და შენობის გადღმა, ხალხში, ხნიერმა პოეტმაც მალულად შეიმშრალა დანისლული თვალები.

ჯერ „სტუმრების მობრძანებისა“ შესვეს. თამადა — დაბალი, ჯმუხი კაცი, ფეხზე წამოდგა და დინჯად დალოცა პოეტები, „კარგა ყოფნა“, „ჯანმრთელობა-უსურვა, ზედმეტი კრინტიც არ დასცდენია, ალალი ენით, ალალი გულით ლაპარაკობდა. სუფრა ხორაგით იზინქებოდა, ყველაფერი მრავლად იყო, გორა-გორად ეყარა საქმელი, ღვინო იყო ისეთი, ფსკერამდე იცლებოდა და ყელს ოდნავ, სასიამოვნოდ ფხაქნიდა. მაგრამ კახელები ბოლმდე არ სვამდნენ, „აესე დავლიოთ, აი, — თქვა თამადამ და ხალხს ჭიქა აჩვენა, — თუ ვინმეს რაიმე გტკივთ, სულაც ნუ დაღემთ, დაძალება როგორ შეიძლება, ვისაც გინდათ, ბოლომდე დასცალეთ, მაგრამ მე, რომ იციოდეთ, აესე ვარ დაჩვეული, აი!... ლუკა ჭიქებს ბოლომდე, ხან სულმოუთქმელად, ხან სვენებ-სვენებით, დაგემოვნებით სცილდა. საშიოდ სადღეგრძელს შემდეგ აწითლებულმა მოხუცებმა სუსტი, აკანკალებული ხმით „ზამთარია“ იმღერეს, სიმღერა იყო, გაგინარია... ერთმანეთს რატომღაც მზერას არიდებდნენ, ხანდახან თუ შეავლებდნენ სტუმრებს თვალს, ისე კი, სადღაც შორს, პირდაპირ იხედებოდნენ და ყავისფრად დალაქული, მძიმე, დიდი ხელები სუფრაზე ელაგათ. სტუმრები მოწინებულნი ღიმილით შესცქეროდნენ ბერკაცებს — ეს იმდენად უჩვეულო რამ იყო, რომ სიმღერის დამ-

თავრებისას ტაში ვერ დაუტარეს, კმაყოფილების ტაშით გამოხატეს მხოლოდ „ნამდვილე“ — გაიფიქრნენ და სტუმრების კაცებს არ შეეფერებოდათ, დიდ, ქეშმარიტ მოწონებას ტაში რად უნდოდა... მერე კი, ერთმა ქალმა მშვენიერად რომ დაამღერა ჩონგურზე, იმას — კი დაუტარეს ტაში, ილიმებოდნენ.

და უცებ მიტო გურაშვილი შემოვარდა, ერთიანად გალუმპული, შეშინებული, აცანცახებული, გაბმით ტიროდა და სუფრასთან მჯდარ დედას მიეკრო, ისიც დაასველა. „რა იყო, ბიჭო, — მშვიდად ჰკითხა ქალმა, თავი აუწია და თვალბში ჩახედა, — რა იყო, სად დასველდი“. მაგრამ ის ისევ ლოყით მუცელზე მიეხუტა დედას და მხრებაძიგძიგებული ტიროდა. „რა იყო ბიჭო, თქვი და გაათავი“ — „აუზში ჩავვარდი,“ — ამოისლუქუნა იმან. „მერე, რა მოხდა, შე კაი კაცი, — დაუყვავა თამადამ და გაიღიმა. — წყალში ვილა არ ჩავვარდნილვართ, მაგრამ აი, შავხედე, მშრალები ვართ“ — მაგრამ ბიჭი თავს მაინც არ სწევდა და ლუკა მიხვდა, რომ ახლა საქირო იყო ერთი პატარა, უწყინარი კახური გახუმრება და იმათაც აღარ დაახანეს:

— ამან თუ ესე იტირა, — იკითხა ძალიან დაბალმა, ერთმა ბეწო კახელმა, — ვილა გაატანს ამას ქალსა, ჰა?

— ქალი არა ისა... — ჩაიღუღღუნა მიტო გურაშვილმა.

— ოო, ეგრე თქვი, შვილოსან, ეგრე და დრო რომ მოგივა, მერე ნახამ... — თავის ქნევით ჩაილაპარაკა წვერმოშვებულმა, წარბებგათანხულმა კაცმა, — გოგოების მამები ვართ აქა, ისე კი არ არი...

— იყავით რა, მე რა... — თავი ასწია ბიჭმა.

— რა გატირებს, ბიჭო, თუ გინდა. სულაც ძალით ჩავხტები წყალში... — უთხრა გადაცმულმა მილიციელმა.

— შენ რა გენაღვლეხა რა, — თვალბი აუციმციმდა მიტო გურაშვილს, — ხელათ ჩაბერამ იმ შენ სასტვენშია თუ რა არი და გიშველიან, მარა იქნება...

ხარხარი ატყდა. უცნაური შუქი ჩაუდგათ კახელებს თვალბში, ყველაზე გულიანად მილიციელი იცინოდა — ეს რა მითხრა, კაცო, ა?

— აუშში რა გინდოდა ბიჭო პა! — ახლავა გამოერკვა მითო გურაშვილის მამა და თვალები დააბრიალა.

— დასცხა კაცსა, რა გინდა, შენც ერთი...

— შენა დაცხა თქვი და რო დამრჩევალიყო, ძალიან არ გაგრილდებოდა?! — და ისევ შვილს შეუტია, — რას დაძვრები ყველგან თავივითა, შე... — და დროულად შეიკავა თავი, — მაგიდასთან სტუმრები ისხდნენ, და თანაც — პოეტები. თავი კი შეიკავა, მაგრამ ხომ მოუხვდნენ, რაც უნდა ეთქვა და შერცხვა, თავი ჩაღუნა, მერე ბოლოკი აიღო და ჩაჯბინა.

— პა, რა გინდოდაო, მამა გეკითხება, შე... კარგი დედ-მამის შვილო, — ღიმილით თქვა თამადამ და ისევ სიცილი ატყდა.

— მიდი, ქალო, რო იცინი, გაუწურე ბავშვს შარვალ-პერანგი, ცოდოა, — თქვა ხნიერმა ქალმა და გაღიმებულმა დაამატა, — აღამიანია ეგეცა.

მითო გურაშვილმა აღმაცერად გახედა ქალს და თავზე პერანგი რომ გადააძრეს, შემცივებულ ტანზე შემოიჭდო ხელები.

— ჰოო, გაწურე, გაწურე, ეგრე, ჰოოდა, ჩააცვი ეხლა და მზეზე დადგეს. მზეზე დადექ, ბიჭო, — გასძახა ქალმა, — კეულით იყავ და გაგაშრობს, — და დააკოლა, — შენისთანები გაუშრიაა?!

სტუმრები კი ბედნიერები ისხდნენ, ამ ხალას, გულიან ხალხში მოხვედრილნი, მასპინძლებს ფართოდ უღიმოდნენ, თავიანთი ლექსები თქვეს უბრალოდ, მკაფიოდ, როგორც იმ სუფრას შეეფერებოდა. მასპინძლები წყნარად, თავაზიანად უსმენდნენ, მერე ისევ იმღერეს. იცეკვეს, სტუმრებს კახური ქუდები დაახურეს თავზე, ღვინო ისმეოდა, გრილი ღოჭები შემოჰჭონდათ, სტუმრებმა პალსტუხები მოიხსნეს, გული გაიღელეს, სა-

ხელებიც დაიკაპიწეს, მასპინძლებთან „ვასტანგურად“ სვამდნენ, გემრიელად მოილხინეს სტუმრებმა. ლუკა აწვალეერებდა ყველას, ყველაფერს, საცა კი თვალი მიუწვდებოდა, ადგილს იცვლიდა, უყურებდა მწყემსს, რომელიც გამამულად, ნაღვლიანად მღეროდა: „დედა ქვეყნად შეუცვლედი, საფიცარი-ა-ა...“ და იმას გადაცმული მილიციელიც აპყვა: „ჩემო დედი, ჩე-ემზე დარდში, გენაცვალედი, ქალარა გამარგრევა-ა,“ — ცოტათი არეულად კი მღეროდნენ, მაგრამ აქ სხვა რამ იყო უფრო დიდი, უფრო მთავარი, ვიდრე უშეცდომოდ მღერა — ეს მოსაფერებელი სიტყვები ამ მზედაკრულ, ვაჟკაცურად უხეშსახიან ხალხისაგან — კახელებისაგან, ეს ის მხარე იყო, საიდანაც ყველაზე ხშირად შემოდოდა ათასნაირი ჯურის მტერი და დასვენებულ მკლავს პირველად კახელებზე სცდიდნენ; ისინი კი, თავიანთ მიწაზე მშვიდად, უზომოდ შეყვარებულნი, ხმალს დაავლებდნენ ხელს და, მოგეხსენებათ, ისე ხმარობდნენ, ისე იქნევდნენ... ლუკა შეპყურებდა მასპინძლებს და გრძნობდა, რომ სწორედ სიკვდილთან ახლოს ყოფნამ გახადა ეს ხალხი დინჯი, ყოველნაირი გაჭირვების დაუწუწუნებლად ამტანი და ერთთავად ბრძოლის მოლოდინში ხალხს გადააკვიწყდა ზედმეტ სიტყვათა და ქათინაურების ხმარება, და ასე გამოჰყვათ; ასევე ერთგულად შეინარჩუნეს უბრალოება, ღრმა ბუნება, მიწისადმი სიყვარული, ახლა კი, მორიგი შემოდგომით დაჭილდობულნი, სვამდნენ, მხიარულობდნენ და გულწრფელი პატივისცემით ეპყრობოდნენ სტუმრებს და ლუკამ, აღტაცებულმა, ისიც კი გაიფიქრა, რომ კახელები ქეშმარიტ მუსიკოსებს ჰგვანან, რომლებსაც ყოველდღიური დამაბული შრომის შედეგად საოცრად უმკაცრდებათ და უუხეშდებათ სახე, მაგრამ ბუნებით... რაღაც საერთო მართლა იყო, და მუსიკოსებმა გაახსენეს „ჰენდელის კანონიც,“ სილამაზისადმი თავშეკავება, და ესეც ძალიან ეხამებოდა იმ

ხალხს, რომელსაც ახლა ათვლიერებდა და ისიც ინატრა, პატარა ხელივანს რომ ენახა ეს ხალხი, ამათთან ერთად მჭდა-რიყო, მაღლი იქნებოდა, და კიდევ საში-ოდე ჭიქა ხარბად რომ გამოსცალა, თა-მადა წამოდგა, თავი ჩაღუნა, მერე მაღ-ლა აიხედა და თქვა:

— ესეცა... კახეთს გაუმარჯოს.

ლუკა სმენად გადაიქცა. გაცივებული შეპყურებდა მომცრო ტანის თამბლას, ორიოდე დღის წვერგაუბარსავს, ერთბა-შად შეფიქრიანებულს — იმან ჯერ კარ-გად არ იცოდა, რა ეთქვა, სულ უთქმე-ლობაც არ შეიძლებოდა, ისე შეპყურებ-დნენ სტუმრები და მასპინძლებიც თით-ქოს გაიტრუნნენ. ერთი რამ წინადადება მაინც უნდა ეთქვა და ლუკას საოცრად აინტერესებდა, ნეტავ რას იტყოდა გრე-მის, ვეჯინის, ნეკრესის, უჯარმის, სიღნა-ლის, კვეტერას, წინანდლის, იყალთოს, შუამთის, ალავერდის, დავით-გარეჯის პატრონი. იმან კი თავი ასწია, სტუმრებს გადაბედა, მერე თავისიანებსაც მოავლო თვალი და თქვა:

— ისეც მომხდარა, ვინმე უცხოს კა-ხეთში გზად ჩაუვლია და... აქ დარჩომი-ლა. კახეთს გაუმარჯოს.

და ლუკა ფეხზე წამოდგა და გარეთ გავიდა. ეზო გადაჭრა, იქ არავინ იყო, მითო გურაშვილის გარდა, რომელიც თავგადააწეული იდგა და მზის გულზე შრებოდა. ლუკამ დიდ, მაღალ ალვებს ჩაუარა და გაკვირვებული შედგა.

წინ, მთელს თვალსაწიერზე, ვრცელი, ახლადგადამარტუნებული შავი ველი იყო. გვიანი შემოდგომის დალილილი მიწა, და-სასვენებლად გადახსნული, ამოტრიალე-ბული, კაცივით პირქვე გაშოტილიყო და ზურგი შავ, მძიმე ზვირთებად ამობურ-ცოდა. დიდი ველისაკენ გაუწია გულმა, ბელტის კიდზე ფეხი შედგა, ზვავრიე-ლად ჩაიფშენა მიწა. დაიხარა და ხელის-გული დაადო, არსად ენახა ასეთი შავი, ფხვიერი გორბები, პეშვით. აიღო მიწა და დააცქერდა, დაფშენა, თითებ-შუა მღორედ ჩაელვარა. მერე ორივე

ხელისგული დაადო მიწას, ესეც წესად ჰქონდა — სადმე, უცხო სოფელში, თუ მოხედებოდა, განმარტოვდებოდა და თუ ახლომახლოს არავინ ეგულებოდა, თვალდახუჭული, მიწას ხელისგულებს დააბეჭენდა და რაღაც შორეულს, რაღაც იღუმალს ასე უგდებდა ყურს, მაგრამ ახლა რაღაც სხვა, რაღაც უფრო მეტი მოუნდა და, ასფალტზე გაზრდილმა, მი-წით საეცე პეშვი ლოყახე მიიღო, მერე შუბლზე, მთელ სახეზე მოისვია, თვალ-დახუჭული, თითქოს ამ ბარაქიანი, დალ-ლილი მიწით იბანდა პირს; ვინმეს რომ დაენახა, უგონოდ მთერალი ეგონებოდა, და ნასვამი კი იყო, მაგრამ, ღმერთი, რჯული, ღვინის ბრალი არ იყო ყოვე-ლივე ეს... ბუნდოვნად გრძნობდა, მხარ-ზე რომ დაადეს ხელი, „რა დაგემართა ადემქ, წამოდი, ცუდად ხომ არა ხარ“... ნაცნობი იყო, სტუდენტობისდროინდე-ლი. „არა, — თქვა ლუკამ, — ცოცხალი

თავით იქ აღარ შევალ.“ „რატომ, — შეკრთა ნაცნობი, — გაწყენინეს რამე?!“ „არა, არა, — თავი გაიქნია ლუკამ, — მაგრამ ვეღარ შევალ, წამოდი, წავი-დეთ.“ „სად წავიდეთ...“ „რა ვიცი, სად-მე“... ძველი, ჩვეული წესი იყო — რაი-მე ძალიან თუ მოეწონებოდა, იქაურო-ბას უნდა ვასცლოდა, ეშინოდა, გაუთ-ვალისწინებელ შემთხვევას რომ არ და-ენგრია მთელი შთაბეჭდილება და ახლა ბავშვივით იხვეწებოდა: „წამო, წავი-დეთ, წამო რა, ჩქარა წავიდეთ“... „კარ-გი, კარგი, რახან არ იშლი“, — უთხრა ნაცნობმა, მანქანასთან მივიდა და ფან-ჯარაში ხელი შეპყო. უბადრუკი ხმა გა-ისმა, მაგრამ შოფერმა მაშინვე გაიგონა და ეზოში გამოვიდა. „წავიდეთ რა, — იმასაც შეევედრა ლუკა, — თუ ძმა ხარ თუ ხათრი გაქვს, აქაურობას მომაცილე რა“... „სად გინდა“, — საქმიანად იკით-ხა შოფერმა და გასაღების ამოსაძვრენად ვიწრო ჭიბეში გაპირვებით, თვალდახუ-ჭულმა ჩაიყო ხელი. „სადაც თქვენ იტყ-ვით.“ „სიღნაღში დავბრუნდეთ, — თქვა ნაცნობმა, — დაისვენებ, დაიძინებ“... „რა დამაძინებს, — თავი გაიქნია ლუკამ,

— მართლა მთვრალი კი არა ვარ“. მანქანაში ჩასხდნენ, ლუკა უკან მიხედვასაც ვერა ბედავდა — „რაიმე რომ არ შეცვლილიყო“ — ის კი არა, განზეც არ იყურებოდა, თვალები დახუჭა, სავარძელზე გადაწევა. კარგა ხანს იყო ასე, „ჩაეძინა, — ჩუმად თქვა ნაცნობმა, — ნეტავ ვინმემ ხომ არ აწყენინა...“ „არა, არა, — ხელი სუსტად გაიქნია ლუკამ, — არავის უწყენინებია“. თვალი გაახილა, მაღლა, მთაზე, სიღნაღი ჩანდა, იმ ბინდ-ბუნდში სადად გამოძვრული. იქაც არ უნდოდა, იქაც არ მიესვლებოდა, ხელისგულს დაუწყო თვალიერება, ძლივსაა გაარჩია ირიბი ნაიარევი და უცებ იგრძნო, ღვინო რომ მოეკიდა.

მერე ყველაფერი ძალიან ჩქარა, სხაპასხუპით ხდებოდა. — სასტუმროში ოთახი უმოვეს, ლუკა ფანჯარასთან მივიდა, მიხვდა, რომ სიღნაღშიც აღარ დაედგომებოდა, ქუჩაში გავიდა. დაღმართისაკენ მიმავალი ავტობუსი გააჩერა, და თუმცა შოფერმა უთხრა, რომ უკვე გვიან იყო და წნორიდან თბილისამდე მიმავალ მანქანას ვეღარ იშოვნოდა, მაინც დაჯდა ავტობუსში და წნორამდე გაჰყვა. იქ გადმოვიდა თუ არა, შორს მანქანის სინათლე დაინახა, გზაზე გავიდა და ხელი აუწია. მანქანა მკვეთრად დამუხრბუქდა, „თბილისში წამიყვან?“ — ჰკითხა ლუკამ. „დაჯე.“ პატარა ხანს უმძრახად იარეს, მერე შოფერმა ლუკას კახეთში სტუმრად ყოფნა რომ გაიგო, მანქანა გააჩერა და საიდანღაც ორი უზარმაზარი აკიდო გამოუტანა. ყველაფერი ძალიან უცებ ხდებოდა, სწრაფად იკეცებოდა გზა, და მერე ოდნავ რომ შენედა კილომეტრების მაჩვენებელი ბოძებისა და საგზაო ნიშნების განზე ფრენა, შოფერმა ძველებურ, ბუხრიან, მაღიანად ახრჩოლებულ ღუქანში შეიყვანა და ლუკამ სანთლების შუქზე აბუქტებული ორიოდ თასი ღვინო რომ შესვა, ყველაფერი ისევ აჩქარდა. და მხოლოდ ერთხელ, დრო გადიდდა, გაიზარდა და შედგა — ლუკა მანქანიდან გადმოვიდა, გაჩახჩახებულ ცას ახედა, და

ფეხზე მდგომმა ცის თვალიერება თავის გემოზე რომ ვეღარ შესძლო, გრძელ მიწაზე გულადმა გაიშოტა, ზეწმითი ფეხქვეშ ამოიღო და ისე შეაქქერდა. ასეთი ცა მანამდე არსად ენახა, აქედან, მიწიდან, მუქისოდენა ვარსკვლავებით აბღვიალებული და უჩვეულო, რბილი ციმციმით ერთიანად დამბალი, ძალუმი კიაფით გაელენთილი ცა.. მერე ისევ ყოველივე სწრაფად დატრიალდა, — ღონივრად, წუთით მისრიალებდა მანქანა გზაზე, ლუკა ხანდახან მაღლივრი თვალებით გახედვდა შოფერს, ვინც აკიდოები გამოუტანა, რომელმაც გზისპირა ღუქანში დანახარჯის გადახდა მოასწრო და ვისაც, რა თქმა უნდა, ფულის შეთავაზებას ვერ გაუბედავდა, მაგრამ ყოველივე ეს წვრილმანი გახლდათ, მთავარი ის იყო, ამ უცხო კაცში იშოდენა სითბო და სიკეთე რომ აღმოაჩინა, ის კი, საკისაკენ გადახრილი შოფერი, თავით-ფეხამდე ყურადღებად ქცეული, გზას თვალმოქუტული გასცქეროდა და ხანდახან ლუკას ორიოდ სიტყვით შეეხმიანებოდა. ლუკა ცდილობდა, დაემახსოვრებინა მისი სახე, ოდნავ კეხიანი ცხვირი, შეთხელებული ხუქუქა თმა და დიდი ნაჭდევი საფეთქელთან, ნათურიან ბოძთან მიახლოებისას მკრთალად რომ ჩნდებოდა. ახლა ყველა და ყოველივე უყვარდა, მანქანა მიდიოდა ლუკას ქალაქში, და უნებურად იგონებდა მხოლოდ იმას, რაც სასიამოვნო იყო გასახსენებლად და რატომღაც ზედ სახლთან შეეუხებრებულა მანქანის მიყვანა და სამიოდ ქუჩით ადრე ჩამოვიდა. შოფერს მერე დღისათვის შეხვედრა სთხოვა, მაგრამ ის თურმე უთენია უნდა გაბრუნებულიყო კახეთში და ლუკამ სიგარეტის კოლოფზე მისი სახელი, გვარი, მისამართი ჩაიწერა და მერე ღონივრად, მაგრად ჩამოართვა ხელი და გაუღიმა. ორი უზარმაზარი აკიდოთი ხელში, ლუკა შინისაკენ ნელა, ჩაფიქრებული მიდიოდა. შუალამე იქნებოდა, ქუჩა ჩუმად გადმოქრა მაწანწალა, დაბალმა ძაღლმა, სადაც, ეზოში შეუხვია, ლუკამ თვალი გა-

აყოლა და შორიდან რაღაც ხმაურით რომ მოესმა, არ მიუტყევიდა ყურადღება, და სიმადლეში სასაცილოდ განსხვავებულმა წყვილმა აჩქარებით რომ ჩაუარა, პირდაპირ გაიხედა. შორს, განათებულ გასტრონომთან, ვილაცას ხელები გაეშალა, ადგილზე ბარბაცებდა და ხანდახან ყვიროდა, მერე ურნას წიხლი ჰკრა და წააქცია; აციდოებით ხელში, ლუკა ნელა უახლოვდებოდა და უცებ გაკვირვებულ შედგა — პატარა ხელიგანი იყო.

პერანგი გულსპირთან ჩამოხეული ჰქონდა, მტვერში ამოვანგლული შარვალი ეცვა. ერთი პირობა გასტრონომის შუშის ჩატეხვაც აშკარად დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ფრთხილად ჩამოუშვა ხელი. მერე, ისევ რომ წამოუარა ბრაზმა, ახლადდარგულ, პატარა, სუსტ ხეს მკერდით დაეჯახა და გადაზნიქა. აქეთ-იქით აწყდებოდა, მერე შედგა და მიმოიხედა — ვერავინ შენიშნა, იმ შუაღამით არავინ ჩანდა, მერე კი, შორს, აციდოებით მომავალი ადამიანი რომ დაინახა, ესიამოვნა და ენის წვერით ტუჩები აილოკა. ის ვილაცა აშკარად მისკენ მოდიოდა და, განზე ფეხებგადგმული, სიამოვნებით უცდიდა და რაღაც ღიმილისმაგვარიც ავად დასთამაშებდა სახეზე.

და მერე იმანაც უცებ იცნო ლუკა. ყვრიმადლები დაებერა, უნებურად წინ წადგა ორიოდ ნაბიჯი, ნელა, უხმაუროდ დაიძრა, გამწარებისაგან მუშტად შეკრული თითები გაფარჩხა, ბრაზისაგან დაღმეკილ სახესთან მიიტანა, კატასავით აწურული, ნახტომისათვის გამზადებული უახლოვდებოდა. თავგადაბირის, ცალი ყური აწურულ მხარზე დაებჯინა, მარცხენა ხელი წინ გაეშვირა და, ერთიანად აკრეფილი, ფეხისგულს ბრტყლად ადგამდა. ლუკა დაიხარა და აციდოები ასფალტზე დადო. დახრილმა გახედა, მისი თვალები გაახსენდა, უსიამო, უნდო, ახლა სიმულვილით რომ უკიაფებდა და, სუნთქვაშეკრული, მკველელივით ფეხაკრეფით მომავალი, ვის არ შეაერთობდა, მაგრამ ლუკას თავის დროზე ბევრი ენახა მისდაგვარი ჭეელი და გაი-

მართა, მხრები გაშალა, თითქოსდა უღალად მიაბიჯებდა, მაგრამ შენაგანად ისიც აწურული იყო. უცებ მისი ხელი ქვეს მოჰკრა თვალი და უნებურმა აზრმა რომ გაჰკრა, ვადღიმა — აჰ, არა, არა, იმასთან ჰქვის ალებას როგორ იკადრებდა. არა, ლუკამ ისედაც იცოდა რაღაც რაღაცეები, საოცრად სწრაფად წარმოუდგა, როგორ უნდა გაიქნით ხელი სახისაკენ და უკან რომ გადაიხრებდა, გამოწეულ მუცელში როგორ უნდა ჩააქედო მუშტი, ანდა, უცებ წინ გადაქანებული, თითქოსდა ოდნავ განზე ეცემი — მარცხენა ხელი სახესთანა გაქვს, ყოველი შემთხვევისათვის, წიხლი რომ აიციდნო, მარჯვენა კი, უეცრად ზურგსუკან წრეშემოხაზული, გაკომული, ამ მოჩვენებითი დაცემისას გაკვირვებულ კლიენტს ხელის ზურგით ხვდება სახეში; ანდა, დარტყმის აციდენისას, მსუბუქი ხელისკერის შემდეგ, როცა განსაკუთრებით დაუნდობელი მოჩხუბრის ზურგსუკან აღმოჩნდები, ერთადერთხელ ფეხის აქნევა და მართლა წაიქცევი, სახეში თუ არ მოხვდა, ისეთი ძალით, ისე სწრაფად უნდა გაკეთდეს ყველაფერი, მაგრამ ამ ერთი ბეწო ბიჭთან რად უნდოდა ამგვარი ხრიკები — ამას? ასე პატარას? — პირდაპირ უნდა გაუქანო და ხეთქო, პირდაპირ ამ ბრაზისაგან დაღმეკილ სახეში — ისე, რომ მეორე აღარ მოუნდეს და ლუკამ მოულოდნელად მუხლებში ის მსუბუქი ძიგძიგი იცნო, პატარა ბიჭობაში ჩხუბის წინ რომ სჩვეოდა და მართლაც, რამდენი ხანი, რამდენი წელი იყო, იმ თავისი ფათერაკიანი წლების შემდეგ, არავისთვის დაუკარებია თითი, ახლა კი ამ ვაბოროტებული, ან დაუნდობელი სახის დანახვისას გულით მოუნდა მკლავის ერთხელ ძველებურად მოქნევა, მაგრამ პირველიც ვერ გარტყამდა — ესეც წესად ჰქონდა და პატარა ხელიგანს, უკვე სამიოდ ნაბიჯზე მოახლოებულს, სწრაფად შეუთვალაიერა სახე და შედგა. იმას ლოყებმა და გულისპირზე სისხლი ეცნო, ტუჩი გახეთქოდა, ამობურცოდა; მარჯვენა თვალის

ზედა ქუთუთო გასიებოდა, მალაზიიდან ირიბად დაცემულ სინათლესაც ჩანდა, უკვე რომ ჩალურჯებოდა უბე. ეტყობა, იმანაც იცოდა რალაც-რალაცები, რადგან მთელი მონღოლებით რალაც ცრუმოძრაობა გააკეთა, მაგრამ ლუკა არც შერბეულა, სახეს უთვალთვრებდა და ისე, რომ ჯერ თვალბშიც არ შეუხედავს, ხელისგული აჩვენა და, დასარტყმელად გამზადებული, ადგილზე შეაჩერა. ახლოს მივიდა, დააქკერდა, ისევ უთვალთვრებდა ტუჩებს, ლოყებს, განზე გასიებულ ცხვირს, ის კი, ნაცემი, პატარა, დაბნეული აპყურებდა და გრძნობდა, მისთვის რალაც უცხო, უჩვეულო გამომეტყველებით რომ ათვალთვრებდნენ, ეს — თანაგრძნობა იყო, თვალშისაცემი, კემშარიტი, და მისთვის იმდენად უცხო, რომ დაბნეული იდგა და გაკვირვებისაგან ჩქარ-ჩქარა ახამხამებდა თვალებს, და ლუკას ამ ნაბეგვი სახის დანახვისას გული რომ შეეკუმშა, პირველად ჩახედა თვალბში და უკვე ხელებჩამოყრილს, მოშვებულს, გასაპარავად მოშზადებულს, ნაღვლიანად ჰკითხა:

— გცემეს, პატარა ხულიგანო?

იმან კი დაბლა დაიხედა და თქვა:

— კი.

და ლუკა უცებ, მოულოდნელად მიხვდა, რომ მის წინ ჯერ კიდევ ბავშვი იდგა, თავჩადუნული, დარცხვენილი—სულ რალაც შევიდოდა წლის წინათ, მოკლესარვლიანს, მუსიკაზე ალბათ იძულებით დაატარებდნენ, თმას გვერდზე ვარცხნიდნენ და, სასაცილოდ გაჯგომული და თავმოდრეკილი, სარკეში ქვემოდან აპყურებდა არხეინ დალაქს, ღამღამობით სიბნელეში მარტოდ დარჩენისა ეშინოდა და ყოველი ლოში ძუ ეგონა, ყველა ვეფხვი კი ხვალი, არეულ სიბნობებში ვილაც საზარელ მუქარით მომავალ მაჯლაჯუნას ვერ უსხლტებოდა და მაინც რა მოხდა, რა შეემთხვა, რამ გააბოროტა ასე, რომ დამშვიდებულსაც კი, ქუჩაში თავისთვის მდგარს, თვალეზი მაინც უნდოდ უბეუტავდა და ყოველივეს ამრეზილი შესცქეროდა, ახლა კი, თავჩა-

ქინდრული, მორცხვად იდგა, ლუკამ ისევ დაინახა გულისპირზე მქმნაღვანო-ყავისფრო ლაქა, და თქვენ-დახლო ხელი.

— წამო, წავიდეთ.

— სად? — უმწეოდ იკითხა იმან.

— ონკანია, ამ ეზოში.

ეზოში შევიდნენ თუ არა, რომელიღაც ფანჯარაში მაშინვე ჩაქრა სინათლე. ონკანთან მივიდნენ, პატარა ხულიგანი შეჩერდა, არ იცოდა, რა ექნა, რითი დაეწყო, მერე პეშვები შეუშვირა წყალს და პირზე შეისხა, „მიდი, მიდი“, გაამხნევა ლუკამ. ისიც ცოტათი გაყოჩაღდა და მეორედ რომ მოისვა სახეზე ხელისგულები, პატარაზე წაიფრუტუნა კიდევ.

— აბა, შემომხედე, — უთხრა ლუკამ, — ოო, კარგია, სისხლი აღარსადა გაქვს, ხვალ დილით აფთიაქში მიდი და... რა ქვია, მგონი, „ბაღიაგა“, მოკრივეების წამალია, უბეზე წაისვი და ორ-სამ საათში სულ გადაივლის სილურჯე...

— რა ქვია? — მორცხვად დაინტერესდა პატარა ხულიგანი. ფეხები განზე გაედგა და ორად მოხრილი იბანდა პირს.

— ბაღიაგა, — მკაფიოდ უთხრა ლუკამ, — ცხვირსახოცი არა გაქვს?

— მქონდა, მაგრამ სისხლით დაისვარა და... გადავაგდე...

— ჰა, ჩემი აილე, — უთხრა ლუკამ, — დაიცა, ჯერ დავასველებ. ახლა კი, გაწურული, ცხვირზე მიიდე.

— რატომ?

— დაგიცხრება.

პატარა ხულიგანი ყველაფერს უჯერებდა. დროდადრო ასველებდა განიერ მწვანე ცხვირსახოცს, მონღოლებული წურავდა და ცხვირზე იდებდა.

— კარგი, გეყოფა, — უთხრა ლუკამ და პატარა ხულიგანმა, ცხვირსახოცი გულმოდგინედ რომ გარეცხა და გაუწოდა, ლუკამ თავი გაიქნია, — არ მინდა, გქონდეს.

— მადლობთ, — თქვა პატარა ხულიგანმა და ლუკას ერთი სტროფი გაახსენდა, ოღონდ არეულად და ვერაფრით

აწყო, ჯიუტად ეძებდა მივიწყებულ სიტყვებს, მაინც ვერაფრით დააღაგა და ასე იმეორებდა: „უსიყვარულოდ... მზე არ არის... მთვარე არ ჩადის... უსიყვარულოდ... არ არსებობს უსიყვარულოდ“...

— წავიდე? — ჰკითხა პატარა ხელიგანმა.

— არა. შარვალი გაიწმინდე.

— უსიყვარულოდ... მზე არ ამოდის... მთვარე რა-რა უსიყვარულოდ... არც რა-რა-რა არ არსებობს უსიყვარულოდ“... — აჰ, ვერ იხსენებდა... პატარა ხელიგანი კი ხელისგულებს ისევ-ლებდა და მუხლისთავეებს იწმენდა, მერე მხარუქულმა დაიხედა შარვალზე; სველი ხელი მოისვა, წვალობდა, გასვრილ ადგილს ვერ სწვდებოდა, ლუკა უყურებდა, შარვლის წმენდაში გამოუცდელი პატარა ხელიგანი როგორ წვალობდა, როგორ ცოდვილობდა და უცებ მხრებზე შემოხვია ხელები და მისი პატარა, მრგვალი, სულელური თავი გულზე მიიკრა — გცემეს, პატარა ხელიგანო?

იმან კი უფრო ჩაღუნა თავი და პასუხიც ვერ გასცა, უცნაურად, საეჭვოდ მოიკუნტა და ლუკამ წამით მუცელში შესრიალებული დანის სიცივეც წარმოიდგინა, მაგრამ არა, არა, ამას არ იზამდა, რაღაცა სხვამ მოხარა ორად პატარა ხელიგანი და ლოყებზე შემოაქდო თითები, თავი გადაუწია და გაშრა — პატარა ხელიგანი ტიროდა. მოფერებამ აატირა და ახლა თავგადაწეული, შვებით სლუქუნებდა, ლუკასი სულაც არ ერიდებოდა, რაღაცნაირად ლაღად, გემრიელად ტიროდა და ლუკა რომ გადაიხარა და სველ ლოყებზე თითებშემოჭდობილმა, ღრმად ჩახედა თვალებში, გაეღიმა — ის რაღაც უნდო, უსიამო, აღარსად ჩანდა, ნამტირალევი თვალებით მშვიდად, თვინიერად შესცქეროდა პატარა ხელიგანი და ლუკამ ისევ ჩუმად, თანაგრძნობით ჰკითხა: — გცემეს, პატარა ხელიგანო?

— ჰო, — თქვა იმან, — ორნი იყვნენ.

— წამო, შინ წავიდეთ, — უთხრა ლუკამ და ხელში ჩასკიდა ხელი, — ნუ გეშინია.

— არ მეშინია, — თავი გაიქნია პატარა ხელიგანმა, — ორნი იყვნენ.

ლუკა ხელისგულით მის შემცივნებულ თითებს გრძნობდა, მეორე ხელში კი თითქოს რაღაც აკლდა — ჰო, მართლა, აკილო...

— ერთი აქეთ, წავიდეთ, — უთხრა და შეაბრუნა.

— წავიდეთ, — თავი დაიქნია პატარა ხელიგანმა, თითქმის ყოველ სიტყვას სრული მორჩილების ნიშნად რაიმე მოძრაობასაც აყოლებდა.

ორი დიდი, ქარვისფერი აკილო ასფალტზე იდო, ლუკა დაიხარა, აიღო, ხელი გაიშვირა და უთხრა: — აჰა, ერთი შენ, ერთი მე.

— არ მინდა.

— აილე, აილე, — უთხრა ლუკამ და ძალისძალათი შეაჩეჩა, — აკილოთი რომ მიხვალ, შენიანები აღარ იფიქრებენ, რომ გცემეს... რომ იჩხუბე, წავეიქეთქო, ასე უთხარი.

პატარა ხელიგანს ჭკუაში დიუჯდა ნათქვამი.

— ჯერ ორიოდ მარცვალი გასინჯე. ნახად მოციქნა.

— ხომ გემრიელია?

— კი.

— კახურია, — თქვა ლუკამ.

უკაცრიელ ქუჩაში იდგნენ.

— „ბაღიაგა“ ჰქვია, ხომ არ დაგავიწყდა?

— არა. „ბაღიაგა“.

— წადი ახლა შინ, — უთხრა ლუკამ.

— კარგად იყავი. გამდლობთ.

თვალი გააყოლა.

პატარა ხელიგანი ნაცემი ბრუნდებოდა შინ, მაგრამ ხელთ დიდი აკილო ეჭირა.

მერე ლუკაც შინისაკენ გაუდგა გზას. მაგრამ სახლში არ შეივსებოდა, ჩაბნელებულ ქუჩებში მოუნდა სიარული, საკუთარი ნაბიჯების მოსმენა, და ფიქრი... არადა, აკილოთი ხელში უხერხულ-

ლობას გრძნობდა, აკიდო უშლიდა, ფიქრისას ვერავითარ შეზღუდვას ვერ იტანდა, საათი რომ საათია, მუშაობისას, იმასაც კი არ იჩერებდა მაჭახე. კიბეს ჩუმად, ქურდულად აუყვია, მისიანებს ფეხის ხმაზე რომ არ ეცნოთ, აკიდო კარის სახელურზე ჩამოჰკიდა და ისევ ფრთხილად ჩაიხარა კიბე. ახლა ქუჩაში მიდიოდა, ხელცარიელი, ლალი. თავისი უცნაური სიტყვები გაახსენდა: „ლამაზ-ქალაქი“, „კამორა“, „კანუდოსი“, მხოლოდ მან იცოდა ამ სიტყვების გრძნეული მნიშვნელობა, ამ სიტყვებში გაშენებულ ქალაქები, ფერად-ფერადი სახლებითა და ძნელად მისაგნები სიტყვებით გასაცოცხლებელი ადამიანებით სავსე, ახლა მთელი სიმძიმით დაჟვია თავს ის სირთულე, რაც შეგნებულად ამოიჩნია — შვიდგვერდიან ნაწყვეტში თექვსმეტა ახალი პიროვნების შემოყვანა, ისე რომ ორასი გვერდის შემდეგაც დამახსოვრებოდა და ეცნო... ვის... ვისთვის? — გაიფიქრა ლუკამ. ისინი ბევრნი იყვნენ, კარგი და ცუდი მკითხველები, საშუალო მკითხველი არ არსებობდა, საშუალო მკითხველი უნდა ყოფილიყო მხოლოდ თვითონ, ავტორი, „ვისთვის?“ — ისევ ფიქრობდა, და უცებ სუსტი იგრძნო. ქანსალი ჰაერი ეძგერა სახეში და იმ ბავშვმა, თოვლიან ქალაქში, ისევ გაუწოდა პატარა, სიფრიფანა ციგა. მერე ის ბავშვიც დაინახა, მორჩილი, ფერმკრთალი, გამჟვირვალე თითებითა და მჭიდროდ შემოხვეული თავსაფრით, ნაქსოვით ფიქსას რომ წააგავდა და პატარა ხულიგანიც გაახსენდა, მშვიდი, თვინიერთვალე... მერე ის ვერცხლოსკიბლებიანი ქალი, მამაკაცის პიჯაკი რომ ეცვა და პირველმა რომ იცეკვა, დიდი, სვედიანი გლეხიც... თავისი ამხანაგი გაახსენდა — ჩქარა-ჩქარა... „კანუდოსი“, „კანუდოსი“ — გაიფიქრა ლუკამ. ყველაზე ძნელად დასაწერი მანაც „კანუდოსი“ იყო. ეპ, ვინ რა იცოდა... კანი აებურძგლა, ის ნაწყვეტები ზეპირად ახსოვდა, მაგიდის უჯრაში რომ ჰქონდა შენახული, შვიდნაირი წვიმა, ვის რას ეტყოდა, კიდევ ხუ-

თიოდე წელიწადს მხოლოდ თვითონ უნდა ეტარებინა ლტოლველსა და წინამძღოლის საიდუმლო, ჰანდაქსე შეშინდა... გუბეები ახამხამდებოდნენ შარავნაზე... ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა... „უსიყვარულოდ...“ გაახსენდა ლუკას, „მთვარე არ... ჩადის?... მზე არ... უსიყვარულოდ...“ ვერ გაიხსენა, მაგრამ გრძნობდა, კარგად გრძნობდა... „დიდი ამეთვისტო...“ ცალთვალა გლეხი, დღესასწაული, როგორ მოვიდა შემოდგომა, გამოქვამულში როგორ იმღერეს, ჰეეკოკლი ყმა... და ახალგაზრდა გიგი, მომწვანო თვალეში დონდლო ნაცრისფერი თევზები რომ ეკლავებოდა... უმოწყალოდ თეთრფეხება ქალი, ბნელში ჩირაღდნებს რომ ათამაშებდა და უზარმაზარი ჩრდილები ბტოდნენ... გასაცოცხლებელი აუარება ხალხი, დიდები, ბავშვები, მოხუცები, ბოროტნი, კეთილნი, უმძრახნი და დიდებულად ალაპარაკებულნი, საპყარნი, გლახაკები, მოხითხითენი, გახევებულნი, გასაცოცხლებლად რომ უცდიდნენ და ჯერ თითქოს გაქვავებულ ქალაქში დაიარებოდა, ისე ფრთხილად, ისე ფეხაკრეფით, თითქოს ვეება უსინათლოს ხელი ედო მხარზე, მაგრამ სიტყვა, სიტყვა აპოვინებდა ყოველივეს წამალს, ყოველნაირ მალამოს... ჯერჯერობით კი გაქვავებული ქალაქი მხოლოდ იშმუშნებოდა. ყოველი გვერდი, ოცჯერ მაინც გადასაწერი, ყოველი ფურცელი კი, ვინ იცის, სად იყო, რომელი მალაზის თაროზე, ანდა საწყობში, ანდა, სულაც, ჯერ ხეში იცდიდა — კიდევ ხუთ წელიწადს მაინც მოუწდებოდა იმ თავის საქმეს და, რაც ყოველივეზე ძნელი იყო, პირველად დაწერილი ოკრობოკრო, გადახაზული სტრიქონები წარმოიდგინა, ასეთი ხუთასი გვერდი მაინც წინ ელოდა, მერე ყოველი გვერდის ოცჯერ გადაწერას რა უქირდა, მთავარი ის იყო — პირველად დაწერილი... ვისთვის?... და ისე, ზურგიდან რომ შემოგებდავს ვინმე და იგრძნობ, ისე გრძნობდა ამ ორი ბავშვის, ცალთვალა გლეხის, პატარა ხულიგანის, იმ გოგოს — ვილაცას რომ

პავლად, და ჩქარა-ჩქარას თვალებს და კიდევ იმ უცნობ თვალებს, რომლებიც სტრიქონებს შორის, შორიდანვე ჯიუტად უყურებდნენ — შიგ სულში... ყველაზე მძიმე კი მაინც იმ ვეება უსინათლოს ხელი იყო, მუშაობისას ზურგსუკან რომ დაუდგებოდა და მხარზე დაადებდა ხელს... ჯერ მაინც ის ბავშვი იყო, ცივიანი, მხოლოდ თვალები რომ უჩანდა და ყველა მას ჰგავდა, ტრამვაის ზრიალიც მოესმა, ამ შუა ღამით განათებული ტრამვაი დადიოდა ქალაქში და დაგვიანებულ მგზავრებს ჰკრეფდა... ახლა სულ უცხო კაცის დანახვაც მოუნდა, იყო წუთები, როცა ნებისმიერი ადამიანის გვერდით მოუნდებოდა ყოფნა, ტრამვაის აბტა და ვაგონში ფანჯარასთან მოკალათებულ ერთადერთ მგზავრს გვერდით მიუჭდა. ის აშკარად აფორიაქდა, რადგან ცარიელი ადგილები ბლომად იყო და თითქოს ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ თვალის კუთხით გულდასმით აკვირდებოდა ლუკას. მერე ვილაკებები ამოვიდნენ, ასე გვიან მგზავრები ან შეწუხებულნი გამოიყურებოდნენ, ანდა გახარებულები, არავინ ჩანდა გულგრილი, შუალამის ბრალი თუ იყო, ლუკა კი ისე წავიდა ფიქრებში, რომ თავისთვის მოულოდნელად, გახარებულმა, ხელი აიქნია და არც შეუმჩნევია, შეშინებულმა კაცმაც სახეზე რომ აიფარა ხელები და მოიკუნტა; ლუკა იცდიდა, როდის გადაუვლიდა ეს ალტაკება, თავის მაგიდას ნაძალადევი გულგრილობით, მშვიდად რომ მისჯდომოდა — პროზას არ უყვარდა ალტაკება, მკაცრი სიმშვიდე მთავარ კანონად ჰქონდა, და ლუკა თუმცა მიხვდა, რომ მანამდე მიგნებული ხერხები და კანონები ჯერ ზღვაში წვეთი იყო, მაინც, მაინც იმედი ჰქონდა ხვალინდელი დღის, ზეგინდელი დღისა და

მწვერვალის კალთასთან იმედით მდგარი, ისე, რომ უნებურად კი მგზავრებულ კაცსაც უყურებდა, ილიმებრად და მგზავრთავებლად იმეორებდა: „ლამაზ-ქალაქი“, „კამორა“, „კანუდოსი“, და უცებ სამი თითი, სამი მთავარი თითი — ცერი, საჩვენებელი და შუათითი აქავეა. საოცარი ქაველი იყო, წუილსაც კი წააგავდა — ამ სამი თითით ექირა ლუკას კალმისტარი, ამ სამი თითით იღებდნენ სამარილიდან მარილს და საქმელში ჰყრიდნენ და ამ სამი თითით ლუკას წინაპრები პირჯვარსაც იწერდნენ, და ლუკას უცებ ისე მოუნდა შინ, თავის მაგიდასთან, და ისე ივრძნო რაღაც საოცარი. წარმოუდგენელი, დაუღლებული ძალა, რომ ისევ გაიღიმა და კაცმა, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა მისმა უმიზეზო ღიმილმა, ლუკასაკენ გადაიხარა და შიშნარევი, მკრთალი მუქარით ასე ჰკითხა:

— ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?

ლუკას ჰკითხეს.

— არა, არა, — თავი გაიქნია და იმავე ღიმილით ახლა ტრამვაის ჰერს ახედა. სულ სხვას ფიქრობდა, იმ კაცთან რა საქმე ჰქონდა — ლუკას ახსენდებოდა უცნაური სიტყვა „კამორა“ და კიდევ უფრო უცნაური სიტყვა „კანუდოსი“. რომ გამოერკვა, თვალები მოიფშენიდა და ვაგონის თავში გოგო დაინახა, რომელიც დიდ სარკეში იცქირებოდა. თუმცა, სარკეს ტრამვაიში რა უნდოდა — უბრალოდ, გოგოები ერთი სიმაღლისანი იყვნენ და ერთნაირად ეცვათ, თავისთვის მასლაათობდნენ.

„ჩქარა, ჩქარა, — გაიფიქრა ლუკამ, — ველარ მივედი, როდემდე ვივლით...“
ლუკას საქმე ჰქონდა.

სამი წერილი

რამდენიმე წლის წინათ „მნათობში“ გამოქვეყნდა აბაბი წმ-რამდენიმე უცხოში წერილები. ცოლ-შვილისადმი მიწერილ, ღრმა-ტიზმით აღსავსე ამ წერილების საფუძველზეა დაწერილი ეს ლექსები.

1. შვილს

რად უნდა გერქვას ლოლია, ბიჭო,
 ქართველ კაცს — უცხო, ქალის სახელი?
 იქნება ერთხელ მაინცა სინჯო
 და გახდე ჩემი თანამზრახველი, —
 აქ ჩამოხვიდე, ნახო სხვიტორი,
 ჩვენს ოღროჩიღრო გზებზე იარო,
 გაიცნო ყველა შენი თვისტომი
 და მათი ბედი გაიზიარო?!
 იქნება ერთხელ... იქნება ერთხელ
 ჩემს სათაყვანო თბილისშიც შემხვდე, —
 გაიგო ჩემი უთქმელი სევდა
 და თუკი მართლა ჩემი ღვიძლი ხარ,
 მისვდე, შენსავით, მეცა მყავს დედა,
 რომლის დათმობა არ შემიძლია!

2. ცოლს

შენ ისევ რისხვით ნესტოებს ბერაგ,
 გაკერილს გიგავს ტუნების ჭრილი,
 მეძახი „უშნოს“, მეძახი „ვერაგს“
 და ერთად მიტევთ დედა და შვილი!
 რას შემართლებით? გულმოსაკლავად
 რატომ მიცქერით ხარბი თვალებით, —
 როგორ გგონიათ, თქვენზე კარგად ვარ,
 შემიძლია და არ გეხმარებით?!
 როგორ გგონიათ, რა მიზეზია,



რომ გავისადე სახლად „ვეტსელი“,
 გადავივიწყე სულ პოეზია
 და ვამჯობინე ლექსებს — ვექსელი?!
 ხან ბაქოში ვარ, ხან ქუთაისში, —
 ვერ შევებროვე თქვენთვის ფულები.
 თქვენ კი განცხრომას მაინც არ იშლით
 და თანაც მავსებთ საყვედურებით!
 ერთხელ მესტუმრეთ, ნუ დაიზარებთ,
 ნუ ხართ ყველაფრის უარმყოფელი, —
 ნაპეტერბურღალ — ნაპარიზალებს
 იქნებ გეამოთ ჩემი სოფელი,
 სილაყვარდემი და სიმწვანეში
 წყაროს თვალვით გადამალული?!..
 მხოლოდ იჩქარეთ, სანამ ვალეზში
 არ გაყიდულა ჩვენი მამული

3. მეგობარს

ვერ შევარიგე სატრფო და ცოლი,
 ვერ მოვაწონე უცხოს — თვისტომი,
 ვერ დავამოყვრე უემური თოვლი
 და გაფოთლილი ჩემი სხვიტორი.
 ცოლი მეჯლისში მასურკას ცეკვავს,
 სატრფო ციხიდან გასცქერის სარკმელს,
 ერთი — სიყვარულს მოითხოვს ჩემგან,
 მეორე — ელის საგმირო საქმეს...
 ასეთი ბედი ღმერთმა გაშოროს!
 აბა გასძელი, თუ ხარ ყონალი,
 როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო
 და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი!

მინაწირი: „...ასეთ ვითარებაში სიციცტლე არ ღირს, მაგრამ შე
 არ მიყვარს ვარემოებათა წინაშე ქედის მოხრა და სულით არ ვე-
 ცემი. მივიტან ჩემს ქვარს სამარის კარამდე... ტანჯვის კირვეულობა-
 ში არის ერთგვარი პრომეთესებური მიზანი სიამაყისა და შეც ვე-
 მორჩილები ბედს“.

(ბ. წიბრეთლის ბარათიდან, 1904 წ. 26 მარტი)



უ ა ტ ი

მოსხრობა

არ იქნა და არ დაადგა საშველი ამ წვიმას. მაისში წვიმა არ მოსულიყოს, ვაგონილა? თონესავითაა ცა. გაახშობს ყველაფერს.

მუხლებამდე სწვდება სიმინდი ფატის. ეს ბალახი მაინც როგორ მოედო. ახლა თუ არ გათოხნე, წაიღებს ბალახი ყველაფერს, ჩაახშობს სიმინდს.

შავები აცვია ქალს. ამ გაგანია სიცხეშიც შავი თავსაფარი ახურავს ფატის.

რა გახდა ერთი წვიმა! სერგო მაინც ჩამოსთლიყო. ვერ მოიცალა აღბათ. მალე ბავშვებს დაითხოვენ და ჩამოვა. უუპ, რანაირად მოღებულა ეს ბალახი სულ სხვაა კაცის ხელი..

მეხუთე წელია შავები აცვია ფატის.

ერთი წვიმა! ერთი წვიმა! თვალეზზე ხელისგულს იჩრდილებს და მალლა იხედება. არა, არც ხვალ იქნება წვიმა, თონესავითაა ცა. ამნაირ სიცხეში თონხნას არაფერი სჯობს, ბალახი თუ გინდა მოსპო. სიმინდიც თავისუფლად ამოისუნთქავს. უუპ, ერთი წვიმა!

სულ ბოლო დროს როდის იყო სერგო? ჰო, ორი თვის წინ, მაშინ ტყემლები თეთრად იყო შეფიფქული და ეზო დათესილი არ ჰქონდა ფატის. მარინე, მგონი, გახდა ამ ბოლო ხანებში. შოთიკო ისევ ისეთია, უკუღმართი, შე-

იკლა დედამისი ხელში. როდის დაითხოვენ! ხვალ ვენახს უნდა მივხედო. აქა-იქ ფოთლები შეაქვანა, მერედა, რანაირად ასხია, გული ავიტირდება კაცს. ასე თავის დღეში არ გამოუბამს, გოდორი ჩამოვა ერთ ძირზე; ჰოდა, მაინცდამაინც წლუულს შეიკრა პირი ცამ ამ დალოცვილის ჯიბრზე. მგონი, პირველ შეწამვლაზე შაბიამანი დავაკელი-სულ აღარ ატყვია, შენაწამლი თუა. ხვალ ვის უნდა მივადგე? ვის სცალია ჩემთვის? ბარნაბამ ისე დამამაღლა მაშინ, ახლა ვეღარც კი ვთხოვ, შემიწამლე-მეთქი ვენახი. საქირაოდაც ვერავის იშოვი. მე თვითონ უნდა ავიკიდო აპარატი. თუმცა, ჩემი წელის პატრონი... აბა, რა ვქნა, გაეახშო? ჯერ მაისი არ გასულა და დაიწვა ქვეყანა. ზაფხულში რა იქნება, ამ ორ დღეში თუ არ მოწვიმა...

პირს სუნთქვა ქათმები კაკლის ჩრდილში შეეუყუელან. ვეება ბებერი ძალლი ჭიშკართან თვლემს. დროდადრო უცნაურად წამოიყმუელებს ძილში და გაჩუმდება, წამოიყმუელებს და გაჩუმდება. სულ ასე სძინავს, დღე და ღამე. ისე დაგლახავდა, გუშინ მწითურმა მამალმა. თავშიც კი ჩაკვორტნა და პირიდან პურის ნატეხი აავლიჯა. მაგი არაა სახლში გასაჩერებელი, მაგ-

რამ თედორეს უყვარდა საწყაღს, ბავშვივით ეფერებოდა სულ. ამიტომ არ იშორებს ფატი. ისე, ვგონებ, ყუფაც კი დაავიწყდა ამ უბედურს.

ეგებ დღეს ჩამოირბინოს სერგომ. კვირაა, ვინ იცის, თავისი მანქანა ჰყავს. ეგპ, სულ აღარ ეკარება ამ სოფელს. ბავშვები მაინც შეიცოდოს. არადა, რანაირად უყვარს შოთიკოს აქაურობა! ვერ იცლის ბიჭი. მუშებს გიჭირავენ, ყანას არ გაეკაროო. ამ ორი კვალი სიმინდის გამოთოხნას რა უნდა. არა, ისე ჰქირს, კი, ჰქირს, მარა, ნეტავი წვიმა მოვიდეს და...

უცებ ძაღლმა. წამოიყეფა. რა მოელანდა ამ უბედურს? ისევ წამოიყეფა და გაჩუმდა. მერე აყმუვლდა ერთბაშად. ჰიშკართან მანქანა შეჩერდა.

ყანაშივე დააგდო თოხი ფატიმ. ძაღლი წვრილი, ბებრული ხმით ყმუოდა.

— ბებო, ბებო!
ეზოში ბავშვები ჩამოცვივდნენ და მიეკრნენ ფატის.

— უი, თქვენ შემოგველოთ ბებია, მოდით, ხო? რამხელანი დაზრდილხართ?

ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ეხვეოდნენ ბებიას, ჰკოცნიდნენ.

— კარგით, ბავშვებო, ნუ მოკალით ბებია! — გაუწყრა ბავშვებს დედა, — ჩემთანაც გამოუშვით ახლა!

ქალს მანქანიდან დიდი ჩემოდანი გამოეტანა და მოდებულ ჰიშკარში დამღვარიყო, სახეზე ღიმილი დაჰფენოდა.

— მედიკო, შვილო, შენ შემოგველე, რომ მოდით და არ დამივიწყეთ, ბებერი.

— გამარჯობა, დედა, — ახლა მედიკო გადაეხვია ფატის.

— სერგო არ მოსულა, შვილო?

— ვერ წამოვიდა, დედა. ჩვენ გამოგვიშვა.

— უიმე, ქალო! მანქანა შენ მოგყავდა? — შეიცხადა ფატიმ.

— პირველად ხომ არ დამყავს, — ეღიმებოდა მედიკოს.

ბავშვები ხმაურით მოედნენ ეზოს. ჩრდილში შეყუჟული ქაშები მკრიახდნენ. ბებერმა ძაღლმაც ათირა წელი, დაიძაგრა, მტვერი დაიფერთხა, გადმოაგდო ენა და უკანა ფეხებზე წამოშდარი გამოცდილი სარდლის სინდინჯით ადევნებდა თვალს ბავშვების ყოველ მოძრაობას.

— ფხი, ფხი! — ხელი აუქნია ბიჭმა მამალს.

მამალი აქოთქოთდა, ღობეზე შეხტა და დაიყვილა — რა გინდათ ჩემგან, რა ამბავში ხართო.

— შოთიკო, ბალი, ნახე, მწიფე ბალი! — აყვირდა გოგონა და ძმას შეწითლებული ბალი დაანახა. ბიჭი ხეზე აცოცდა.

— ჩამოდი, ბიჭო, ძირს! ვერ ხედავ, ჭერ მწიფე არაა! — დაუცაცხანა დედამ.

— აცალე, შვილო, მაგენი ქე გაარჩევნ კუხეს და მწიფეს, — დაამშვიდა ფატიმ.

— ჩამოვარდება, ტოტი მოუტყდება, დედა! — არ ცხრებოდა მედიკო.

— რა ჩამოაგდებს, ამხელა ბიჭია! შოთიკო უკვე კენწეროზე მოქცეოდა ხეს და მწიფე ბალს არჩევდა.

— მეც ჩამომიყარე! — ჭვევიდან ევედრებოდა გოგონა, რომელსაც ვერაფრით ვერ მოეხერხებინა ხეზე ასვლა.

ფატი ოდაში შეუძღვა რძალს. რამდენი ხანია, არ ამოსულა აქ, პალატში სძინავს ჭვევით. თითქოს ზემოთ ამოსვლაც კი შეზარდა მარტო რა გააჩერებს ამ ვეება დარბაზში, სადაც ყველაფერს სიმარტოვის, სიცარიელის სუნი უდის. აქ ტელევიზორიც უდგას ფატის. ზაფხულობით შვილიშვილები თუ ჩართავენ, თორემ... საწოლის ზემოთ, კედელზე გადიდებული, შეაჩარჩოიანი სურათი ჰკიდია. სურათიდან ორმოცდაათიოდე წლის მოლიმარი კაცი იყურება. ესაა მისი საწყალი ქმარი თედორე. ხუთი წელია ასე სევდიანი ღიმილით იყურება იგი ამ კედლიდან. ამნაირი სურათი ჭვევითაც ჰკიდია პა-

ლატში. ტირილი და გულის მოხება იქაც შეუძლია ფატის. როცა შვილები ესტუმრებიან, მხოლოდ მაშინ შემოდის ამ დარბაზში — რა დახუთული ჰაერია, ფანჯრები მაინც გაგეღოთ, დედა, — მედიკო მაშინვე იწყებს სახლის მილაგებას. ცოტა მტკვერი დაჰყრია ყველაფერს, თორემ რა მილაგება უნდა. რა ხანია, კაცის ფეხი არ დადგმულა აქ.

— მიანებე, შვილო, თავი. დაღლილი იქნები, დაისვენე, მაგას მერეც მოესწრები, — საყვედურობს ფატი და თანაც გუნებაში უხარია. არა, მართლაც რომ კაი რძალი ჰყავს, ერთი წუთით ვერ ნახავ მის ხელს გაჩერებულს.

— აქეთაც სიცხეები ყოფილა, — სახეზე ოფლს იწმენდს მედიკო და ფატის გვერდით ჯდება.

— ეეჰ, დაიწვა, შვილო, ქვეყანა, წახდა ყველაფერი. რა გახდა ერთი წვიმა! არაფერი არ იქნება წლეულს.

მოსავალზე წუწუნებს ფატი და რძალი კეთილი, ოდნავ სევდიანი ღიმილით უყურებს.

— თქვენ იყავით, დედა, კარგად და რას გაგიჭირვებთ!

იცის ფატიმ ეს, როგორ არ იცის, შვილები არაფერს გაუჭირვებენ, მაგრამ, ეს ოხერი, საკუთარი ოფლით მოწეული მოსავლის გემო მაინც სულ სხვია.

ბავშვებს ერთი აურახური აქვთ ეზოში.

— მოდი, ბიჭო, აქ! მზე დაგკრავს, მარინე, მზე, შემოდით სახლში ახლაც! რა ნახეს, რამ გადარიათ, — ბუზღუნებს მედიკო და ჩემოდნიდან ალაგებს ხმელ ტარანს, კარაქს, თაფლს, ნამცხვარს, კაბებს. ო, ეს ფერადი კაბები! ამის ჩამკმელია ფატი? ეს მედიკომაც იცის, მაგრამ მაინც ყიდულობს. არ იცის, რითი გაახაროს, რითი ასიამოვნოს.

— რად გინდოდათ, რატომ წუხდებოდით, შვილო! ღვთის წყალობით, მე არაფერი მაკლია, თქვენ მყავდეთ ოღონდ კარგად, რალაც ვამხდარი მეჩვენები, შვილო...

— რას ამბობთ, დედა. პირიქით... ნეტავი მარინე სუქდებოდეს, ასე მოკლა ქალი, არაფერს არ ჰკამს, ყველაფერზე იფხობრება. გუშინ კინალამ მომაკვლევინა თავი, პირი არ დააკარა საჭმელს, გინდა თუ არა, პიტნაში აზელილი ჭყინტი ყველი მინდაო. სად მეშოვა, დამეხატა?

— ბებია ენაცვალოს. პიტნას ერთ გოდორს გაგატანთ ახლა, ოღონდ იმან ჰკამოს და!

— აბა, დედა, არ დამაგიწყდეს, უსათუოდ უნდა წავიღო.

— ახლაც დაგიკრფთ, ამ წუთას.

— არა, დედა, თქვენ დაისვენეთ, მე თვითონ, — წამოდგა მედიკო.

— შენ რა იცი, შვილო, სადაა პიტნა. მე მევიტან, შენ იმათ მიხედე, აქამე რამე, ნამგზავრი არიან, მოშიედებოდათ.

ფატიმ სახელდახელოდ დაკრიფა პიტნის მოზრდილი კონა. მერე რას არ მოედო, რა არ გამოხაზა ქალაქში გასატანებლად. ეს ქათმებო, ეს ყველიო, ფქვილი და, ვინ მოსთელის, ათასი რამ. არც ღვინო და არაყი დაივიწყა. ეს სერგოს უყვარს, ეს მედიკოსო, ესეც მარინეს და შოთიკოსო — ტკბილი კვერები და სიტკბოსაგან თეთრ ლიბრო-გადაკრული ჩურჩხელებიც მოიძია საგულდაგულოდ შემონახული.

ასე ფუსფუსებდა მთელი დღე.

ბავშვები თითებზე ითვლიდნენ დღეებს, როდის დაგვითხოვენ და ჩამოვალთო.

— თქვენ რომ ჩამოხვალთ, პატარა ბოროლაც დაგხვდებათ, მოსაგებად მყავს ძროხაო. ბუთხუზა ლეკვებსაც დაჰპირდა შვილოშვილებს, მოგიყვანთო, დაგახვედრებთო. ლეკვებზე სულ გაგიყენენ ბავშვები სიხარულით, არა ეს დავარქვით და არა ესაო. ბოლოს ამაზე ჩხუბიც კი მოუვიდათ და ბებიაშ ძლივს დაამოშმინა ისინი.

ამ ფაცი-ფუცში დღე შეუმჩნევლად გაკრეფილიყო და მედიკო აჩქარდა — ღამით მგზავრობა საშიშიაო. სწრაფად ჩატენეს მანქანაში თავიანთი ხორაგი.

— ხომ ყველაფერი ჩაალაგეთ, რაიმე არ დაგრჩეთო, — ამბობდა თვალზე ცრემლმომდგარი ფატი, — აწი როდის ჩამოხვალთო.

— მთელი სახლი გაგინადგურეთ, დედა, რა უნდა დაგვრჩენოდეთო. ნუ მოიწყენ, მალე ჩამოვალთო, — გადაკოცნეს ფატი, ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

ფატი კი მერეც დიდხანს, დიდხანს იდგა კიშკართან და თვალბდანიისლული გაპყურებდა ბინდ-ბუნდში გახვეულ შარას.

კარგა შედამებულზე მეზობელი ეს-

ტუმრა ფატის. როცა სამზადის კარი შეაღო, ქვითინის ხმა შემოესმა. დაბალ ჯირკოზე წამომჯდარ მოხუცს თავი ხელეებში ჩაერგო და ჩუმი, ბებრული ხმით ტიროდა.

კალთაში პიტნის მოზრდილი კონა ედო.

— თავის თედუას თუ მისტირისო ისევ, — სინანულით გადააქნია თავი მეზობელმა და უხმოდ გამობრუნდა.

კიშკართან ძველებურად თვლემდა ბებერი ძალი და დროდადრო ყმუოდა ძილში.



გურამ კატრიავილი

შემთხვევა ღამით ქალაქში

მიხეილ კვესელავას — „ასერგახის დღის“ ავტორს

...დაიდრტიალეს მუსრუჭებშია,
მანქანები დააკვდნენ ადგილს,
განცვიფრებული გაშეშდა ხალხი...
და თითქოს დიდ ვიტრინებში,
განათებულ მანეკენებსაც

გაუფართოვდათ

თვალები

უცებ

შუა ქუჩაში

უზარმაზარი

ცრემლი

მოგორავს!

მოგორავს ცრემლი...

კაცის სიმაღლე

გამჭვირვალე

კრიალა ბურთად,

მოგორავს ნელა,

მოგორავს მძიმედ,

რეკლამების შუქს

ირეკლავს ფერადს.

უცქერის ხალხი...

ჩამოეარდნილ სიჩუმეში

ფუხსაცმელების ჩქარი კაკუნით

ვიღაც ღამაზმა ქალიშვილმა

გადასჭრა ქუჩა

და, როდესაც ცრემლს გაუსწორდა

შენერდა წამით,

ჩაიხედა მოციმციმე ზედაპირში,
თმა შეისწორა

და თეძოების

რხვევით

წავიდა.

აღბათ არასდროს ენახა ცრემლი...

თითქოს ღამაში ქალიშვილის

ქცევით შემცბარი

ცრემლი გაჩერდა.

და გამოერკვა მაშინ ხალხი

მივიდნენ ახლოს

და ცრემლს

ირგვლივ

შემოესვივნენ...

შეპყურებდნენ პირდაღებულნი,

ზოგმა ფრთხილად ხელიც შეახო,

ხოლო ვიღაცის პატარა ძაღლმა

ენა აუხვა

ემწარა და

მორთო წკმუტუნო.

იდგნენ ქუჩაში ხალხი და ცრემლი

მერე ხალხის წრე

გაარღვია ვიღაცა კაცმა.

თქვა: მაპატიეთ,

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის.

ჩემი ცრემლია.

მე ჩამეძინა

და ქუჩაში

გამომეპარა.

მოგეხსენებათ,



ცრემლს სულ ის უნდა,
 ყველა ხედავდეს,
 სულ ქუჩისკენ უჭირავს თვალი.
 მაპატიეთ... ახლაც წავიყვან...
 მგერამ ხალხში

ჩოჩქოლი ატყდა
 და სამი კაცი
 წინ გამოვიდა ჯიკავ-ჯიკავით.
 ძიძგილაობდნენ, ხელებს იჭრევდნენ,
 არ აცდიდნენ ერთურთს ლაპარაკს.
 „გთხოვ მე მომყიდო შენი ცრემლი, —
 დაიწყო ერთმა —
 მე საყვარელი თუთიყუში
 მომიკვდა გუშინ,
 ცრემლი გამიშრა იმდენს ეტიროდი
 და ისევ მინდა
 ვიტირო მასზე.
 მომყიდე ცრემლი...“
 „მე მომყიდოს, ისა სჯობია —
 გააწვევტინა სიტყვა მეორემ —
 მე თეატრის
 დირექტორი ვარ.

თუკი ჭკუით გამოიზოგეს,
 ჩემს მსახიობებს
 ებ ცრემლი ალბათ
 ხუთ წელს ვყოფათ,
 უფრო ადვილად ითამაშებენ
 ათასგვარ დრამებს...“

„მე მომყიდე, —
 უთხრა
 მესამემ —
 მე თოჯინების ოსტატი ვარ

და მტირალა
 თოჯინებს ვაწყობ
 მეტად ლამაზი იქნება ალბათ,
 თუ იტირებენ თოჯინები
 ნამდვილი ცრემლით...“

კაცმა უსმინა
 იმათ ლაპარაკს.
 არაფერი თქვა,
 მიაწვა ცრემლს ორივე ხელით
 და გააგორა...
 გაშორდნენ ხალხს
 კაცი და ცრემლი,
 შესახვევისკენ წავიდნენ ნელა
 და ის-ის იყო
 სიბნელეს უნდა შერეოდნენ,
 რომ შედგა კაცი,
 თავი ასწია
 და გამოსძახა ყველას ღიმილით:

„რაღაც გეშლებათ, მეგობრებო!
 თქვენ რომ გგონიათ
 აქ მთლად ისე
 არაა საქმე.

დიდი ცრემლი —
 ეს უბრალოდ
 დიდი ცრემლია
 და არა დიდი
 გროვა ცრემლების.
 ვიდრე არსებობს,
 მხოლოდ დიდ ცრემლად
 არსებობს იგი
 და პატარა, მსუბუქ ცრემლებად
 არ ნაწილდება“.



პეპი პეპი

„არა ხარ ჩემი. არ ხარ არვისა“...

და თუმცა ვიცი, აქვს დასასრული
კაცის ვნებიან ნდომას და ლტოლვას,
ეს სიყვარული — მაინც წარსულის
და მომავლისაც მგონია ქროლვა.
ახლა მხოლოდ შენ — დაგვძებს თვალი,
ახლა მხოლოდ შენ — სწყურისხარ ხელებს,
თავრეტდამხვევი გრძნობით დამთვრალი
შენზე ლოდინის წამი მახელებს.
არა ხარ ჩემი, არ ხარ არვისა,
სხეულად ქმნილი ლანდი ლილითის,
შენ — გაქანება შმაგი ქარისა,
ლაგამამწყვეტი ტრფობის ჯირითი,
შენ — შორეული და მიუღწევია...

მაგრამ მე უკან დაგედევნები!
ხედავ, სურვილით მზეც კი ირწყევა
და კანკალებენ ღრუბლის მტევნები,
მაშ, რად გამირბი?
მზად ვარ შემოგხვდე, —
ქარს შეგაგებო ჯიუტი მკერდი,
დე, მოსახდენი უმალვე მოხდეს,
დე, მოხდეს რასაც მიმზადებს ბედი.
ჩემში ადამის მოგონებებს სული,
მოდი და მითხარ:

— ჩემი ხარ, ადამ!

მე — უკვე დავთმე ყველა წარსული,
შენ — შემოგლიჯე მომავალს ფარდა.

გზგონები საქანელაზე

ნეტავ ასე რატომ უყვართ პატარა გოგონებს
მიმორწყევა საქანელაზე?
ვით გამოუცნობ საცდუნებელს, —
ფარული რიდით, —
იქნებ, შიშითაც? —
ჯერ შორიშორად უთვალთვალებენ
ხის ტოტებზე დაკიდებულ უფებო სკამებს,
მერე სირბილით მივარდებიან,
და მაინც მორცხვად,
თან, მხიარულად,
ჩამოჯდებიან,
მოთავსდებიან,
გაყურდებიან



და მერე, უცებ, ტერფებს ისეთი გამეტებით გაჰკრავენ მიწას,
 თითქოსდა მისგან მოშორება სურთ...
 თავი გვერდზე გადაეხრებათ,
 კისერთან კი სიფრიფანა ცისფერ ღარებად
 დაეხრებათ სუსტი ძარღვები,
 სიამისაგან დაბინდულ თვალებს ცას მიაპყრობენ
 და მომღიმარე სველი ტუჩებით
 თავდავიწყებით ასძახებენ ღრუბლის თეთრ ქულებს:

- თქვენთან გვინდა...
- მალე ამოვალთ...
- მალე ამოვალთ...

ჩემს ქალიშვილს

მე ჩემს ქალიშვილს,
 მე ჩემს ერთადერთს,
 ერთადერთ იმედს,
 ერთადერთ ნუგეშს,
 წაბლისფერ თმაზე მოვეფერები
 და ვეტყვი:
 — იცი როგორ მიყვარხარ?!

მე ჩემს ქალიშვილს,
 ყველაზე ლამაზს,
 ყველაზე სათნოს და საიმედოს,
 რიდიტ ჩაეხედავ მაყვლის თვალებში
 და უხმოდ ვკითხავ:
 — შენ თუ გიყვარვარ?
 ის კი მომხედავს გაკვირვებული,
 და მისი მაყვლის თვალების მზერა,
 გადაირწყვა,
 გადაირწყვა,

გადაირწყვა სილაგვარდემი,
 სილაგვარდემი მოწმენდილი ცის,
 მოწმენდილის ცის უსაზღვრობაში
 გადაირწყვა,
 გადაქანდება
 და თავის ფარულ სურვილებში
 გადიკარგება,
 და ჩემი კითხვაც დაავიწყდება...

მაგრამ მე მაინც,
 მაგრამ მე ისევ,
 ჩემს თითა-ქალას,
 ჩემს ერთადერთს,
 მაინც ჩემს იმედს,
 მაინც ჩემს ნუგეშს,
 მაინც გადევსვამ ხელს ნაწნავებზე
 და მერე ნაზად შუბლზეც ვაკოცებ.

პაპას სახლში

ვაქავ, მოკედავი ჩემი სხეული
 ვერ ავსებს შენი ოთახის არეს?
 სადაც გეზმანა დაფნის ხვეული
 და გადირაზე ცხოვრების კარი.
 ქერის სასმელი მაჯას მიხურებს, —
 როგორ დამათრო შენმა სასმისმა?! —
 გაოგნებული კედლებს შევყურებ,

თითქოს შენი ხმაც უნდა მოისმას,
 შენს იატაკზე ვზომავ ნაბიჯებს,
 დაგმანულ ფანჯრებს გადავხსნი ფართოდ,
 გავეყურებ ფერდობს, — აი, აქ იჯექ...
 ო, ნეტავ აგრე ლუდმა დამათრო,
 თუ მოლანდება ბინდში მიღიმის?
 — მითხარ, რა არის დაფნის გვირგვინი?!

ღა ღაგვჯაბეთ საში უკთაგაშლილი ჟორის ბოინით

ეროვნული
გზისმოძრაობა

და ახლა,

როცა

გაპქრა სიჩუმე და მყუდროება,

შენ მოდი ჩემთან,

მომეალერსე,

კვლავ მაგრძნობინე მორჩილი კრთომა

გაკვირვებული შენი თვალების

და, მერე, —

თითქოს აქ აღარა ვარ, —

გადამიყვანე იმ მომხიბვლელი მდინარის პირას,

სადაც ყვავილებს უშენებიათ ჩვენთვის კარავი,

სადაც ნიავი,

ჩვენს გარეშემო,

ფერად ლანდებად გაირონინებს

და იქ, —

ჩვენს მყუდრო თავშესაფარში, —

გადავივიწყოთ ცხოვრების წუთი მოსაპარავი

და დავტკბეთ ცაში ფრთაგაშლილი ჟორის ბოინით.

• • •

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის, დიღხანს, გათენებამდის...

გ. ლეონიძე

მე ჩემს სატანჯველს ვუბნებდი —

ნუ მიმატოვებ,

და პირმშოსავით გაუფრთხილდები ძველისძველ სევდას...

განა ადრეულ სიყმაწვილის წლები მარტოდენ,

მთელი ცხოვრება მიუსაფარ ქროლვას დანებდა.

ამაო დღეთა ძლივს გავურბივარ მაცდურის მახეს

და განსაცდელი როცა გადამლღის რთული ფანდებით,

ვიღაც მამხნევეს და შემომძახებს:

— მიდი და ნახე

წარსულ ტანჯავათა უტყუარი ფოლიანტები.

და მე ვკითხულობ ჩემი ხორციით და ჩემი სისხლით,

როგორ გვეშავდნენ ქართულ მიწას, ცოტნეს და ჯაყელს...

და ქალაქებში, მთებში, სოფლებში დაბურულ ნისლით,

მკვდრის მზე ანათებს, მაგრამ ვაი, თვალს ვუღარ ახელს,

და ქალაქებში, მთებში, სოფლებში დაბურულ ნისლით,

გზას ძლივს მივიკვლევ, ფორთხვით მივათრევ კიდურებს ნაღრძობს,



შემომხვევია ვით ძველ ციხე-კოშკს სურო და ისლი,
 შემომხვევია,
 შემომჰქდობია.

და თითქმის მახრჩობს...

პოი, მიშველე, ცისიერო, ნუთუ არ კმარა?!
 ნუთუ ვერ დაცხრა სატანჯველი ამდენი გზნებით?!
 შემომხვევლე, სანამ მთავარი სული გამჭრალა,
 სანამ ბოლომდე არ ჩაიხერგა დამხსნელი გზები.

თვალს გავახელ და, ძველი გზები უკვე წასულან,
 მხოლოდ სასთუმალს ასდის სურნელი ფოლიანტების,
 აჭრელბულა ქართლის ფერდები, რა სასწაულად,
 გულში კი იწვის იმედების წმინდა სანთლები

შეშორების უკანასკნელი დანახაული

იმ მოწყვნილი შემოდგომის მიწურვილს, ღამით,
 (როცა უმიზნო და მტკივნეულ ჩემს ბრმა სურვილებს
 აეტეხათ ოთახში როკვა),
 უკანასკნელი ყავისფერი დიდი პეპელა,
 შავლაქება და მძივისთვალება,
 შემოფრინდა ღია სარკმლიდან ჩემთან,
 მარტოკა.

ბნელიდან, იქნებ, ნათურის შუქმა,
 ან იქნებ ჩემმა მწვავე სურვილმა, —
 შემოდგომის უსაგნო ვნებამ და მწუხარებამ შემოიტყუა?

ბრმასავით ირგელივ დაფარფატება,
 სახესთანაც გამომწვევად გამეთამაშა
 და, უცებ, კედელს, —
 როგორც სივრცეში უხილაგად აღმართულ ზღუდეს,
 როგორც შავ ღრუბელს, ბორიასიც რომ ვერ გარეკავს,
 რომელსაც მუდამ მოულოდნელად შეეჯახები
 და მთელს სხეულში განწირულების დაგიარს ჟრფოლა, —
 ჩემი ოთახის ზორკლიან კედელს სათუთი ფრთებით
 ნაზად გაეკრა:

მაწყალობებდა თითქოს გულუხვად,
 უკანასკნელად დავმტკბარიყავი მისი მშვენებით,
 უკანასკნელად მომგონებოდა გაზაფხულის მძლავრი ბუნება,
 გაცოცხლებული ძლიერი სუნთქვა,
 ზაფხულის მაღალი მზის მცხუნვარება
 და მერე ჩემი შემოდგომის შეუმჩნეველი შემოცურება.




ის დიდხანს იყო, შემცბარივით, კედელს გაკრული,
 თითქოს შაცლიდა,
 შეუშფოთველად მიეყოლოდი ფიქრთა დინებას...
 მე სულ სხვა ფიქრით, სხვა წუხილით ვიყავ გართული,
 მაგრამ უეცრად, —
 რომელ ცთომილ ვარსკვლავს ენება?! —
 ასე უგულოდ რამ მიკარნახა,
 ავმდგარიყავი და ქინძისთავით მიმეჯაჭვა კედელზე ლანდი.

იმ ბოლო წამსაც, ღამის უტყვი ჩემი სტუმარი —
 თითქოს ელოდა მწვავე ტკივილს —
 არ შერხეულა,
 თითქოს მანამდეც უკვე უგრძნობ ძილით ეძინა, —
 ოღონდ, კრიალა მძივის თვალეზი გაუფართოვდა,
 სიკვდილიდანაც დატინებით შემომანათა,
 დამიცბრო მკლავი

და

დამნაშავედ დამაშვებინა.

და როცა მორჩა ყველაფერი,
 როცა აღსრულდა,
 და სინამდვილემ მომკვეთა თვალი თავისი ბეცი სიაშკარავით,
 როცა ვიხილე მომავალში ეს საზღაურიც, —
 ფრთხილად,
 თან შიშით,
 ხელი შევახე ხორკლიან კედელს:
 ის იყო ცივი...
 ის იყო ცივი, ვით შემოდგომის უფერული უმთვარო ღამე,
 ის იყო ცივი, ვით შემოდგომის უკანასკნელი დანაშაული.



ს ა მ ა ი ა

არხანი

23

ხუთი საათისათვის კულტურის სახლს მიაშურეს. დარბაზი უკვე ხალხით იყო სავსე. ბიჭტორი და ნოდარი პრეზიდენტში მიიწვიეს.

სცენაზეც ბევრი შეკრებილიყო. დიდხანს მოუდნენ დალაგებას. თითქოს ერთმანეთს ეპატიყებოდნენ, ერთმანეთს ადგილს უთმობდნენ, მაგრამ ამასთან ერთად ყველა ცდილობდა პირველ რიგში მოხვედრილიყო. შეამჩნიეს რომ საიუბილეო ზეიმის გადასაღებად ტელევიზიის მუშაეები მოსულიყვნენ და ამან კიდევ უფრო ასწია პრეზიდენტის პირველი რიგის ფასი. კინაღამ ისე მოხდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარისათვის, დღევანდელ იუბილარისათვის პირველ რიგში ადგილი არ აღმოჩნდა. შემდეგ როგორც იქნა, მიიწვი-მოიწვიეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარე შუაში ჩასვეს.

ნოდარი ყველას სკამს უთმობდა, ამიტომ ბოლო რიგში ერგო ადგილი.

ფარდა რომ აიხადა, მარცხენა ლოჯიაში ჩამჯდარმა მომღერალთა გუნდმა მრავალყამიერი დააგუგუნა. შემდეგ

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, ტაშის გრიალში, საღამო გახსნა და სიტყვა პარტიის რაიკომის მეორე მდივანს მისცა, რომელმაც რაიკომისა და რაიკომის მისალმება წაიკითხა იუბილარისადმი.

მოსხენებით კორდმაღლის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი გამოვიდა. ალბათ, ყოველდღიურ საუბარში მასწავლებელი ჩვეულებრივ სიტყვებს ხმარობდა ჩვეულებრივი გამოთქმით. აქ კი, ტრიბუნაზე რომ ავიდა, ხმაც არაბუნებრივი გაუხდა და რამდენ საშუალებასაც დაწერილი მოხსენების კითხვა აძლევდა, ხელების შლასაც უმატა.

ნოდარს თითქოს პატივი სცეს, პრეზიდენტის ბოლო რიგიდან არაფერი ჩანდა, დარბაზს ხომ სულ ვერ ხედავდა და სიტყვებში გამომსვლელთა მხოლოდ ზურგებს უყურებდა. არც გამომსვლელთა ნათქვამი ესმოდა ხეირიანად, ვერც იუბილარი შეათვალეირა. ერჩივნა დარბაზში ყოფილიყო.

მოსხენება თითქმის მთელი საათი გაგრძელდა. შემდეგ მისალმებები დაიწყო. გამოდიოდნენ ორატორები, ხელში სხვადასხვა ფერ ყდაში ჩასმული მისალმება ეკირათ. ჯერ ათიოდე წუთით სიტყვას ეტყოდნენ იუბილარს, შემ-

დევ მისალმების ტექსტს წაიკითხავდნენ თავიდან ბოლომდე. მისალმების ტექსტები, თითქოს ერთმანეთისაგან გადაიწერათ, ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. „ღრმად პატივცემულო პეტრე პაპუს ძევ“, — პეტრე ერქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, — კითხულობდა ერთი; „დიდად პატივცემულო პეტრე პაპუს ძევ“, — ბაშა აძლევდა მეორე; „პატივცემულო პეტრე პაპუს ძევ“, — აცხადებდა მესამე ასე დაიწყო მისალმებები. ყველა მისალმებაში თითქმის ერთნაირად ეწერა, რომ პატივცემული პეტრე პაპუს ძე საქართველოში კოლმეურნეობის მოძრაობის ვეტერანია, რომ იგი აგერ ოცდაათ წელზე მეტია ერთ და იმავე კოლმეურნეობას თავმჯდომარეობს, რომ თავისი ნაცადი ხელმძღვანელობით წარსულში ღარიბი სოფელი ააყვავა, გაფურჩქნა და გაამდიდრა, რომ ახლა კორდმალიის ალკის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა და მალე, ალბათ, რესპუბლიკაშიც სახელს გაითქვამს და ასე და ამგვარად და ასე შემდეგ..

ყველაფერი ეს, ალბათ, ასეც იყო, მაგრამ სიყვარულისა და პატივისცემის ერთნაირად გამოხატვამ მსმენელი მოჰქანცა.

მისალმებებთან ერთად მომლოცველებს საჩუქრებიც მოჰქონდათ. მისასალმებელი წერილის კითხვას რომ მორჩებოდნენ, უკანა რიგებში მსხდომ თავისიანებს ხელს დაუჭნევდნენ, ან თვალით ანიშნებდნენ. მათაც საჩუქრები მომზადებული ჰქონდათ და სიტყვის მთქმელი იუბილარისაგან საკოცნელად რომ გასწევდა, საჩუქრებსაც გამოიტანდნენ. საჩუქრებად რატომღაც უმთავრესად ყანწები მოჰქონდათ. თუ დიდი ყანწი იყო, ერთს მიართმევდნენ, თუ მომცრო იყო, ორს ან სამს. ყოველი ყანწის მიღებისას იუბილარი სსმისს მალლა ასწევდა, თითქოს ღვინით სავსე ყოფილიყო, პირზე მიიყუდებდა და ასე იხდი-

და მადლობას. პირველად ასეთმა მოქმედებამ დარბაზში საერთო განმარტობა გამოიწვია, მოეწონათ თავმჯდომარის ეს საქციელი, მაგრამ ყანწებიც რომ მომრავლდა, მადლობის ასეთი გადახდა მოსაბეზრებელი გახდა, ეს იუბილარმაც იგრძნო.

კიდევ კარგი, ბიჭტორს რედაქციის სახელით კერამიკული ღოჭები წამოეღო, თორემ ყანწი რომ ჰქონოდა, არც გამოაჩენდა. ყველაზე მოკლე სიტყვა ბიჭტორმა თქვა, არც მისალმების ტექსტი წაიკითხა, მანდ ყველაფერი კარგად სწერიაო, უთხრა იუბილარს, მისი წაკითხვით თავს არ შეგაწყენთო.

როგორც იქნა, მილოცვები დამთავრდა. საბოლოო სიტყვით იუბილარი გამოვიდა. მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ჩამოსულ სტუმრებს. საბოლოო სიტყვა დაეწერა, ყველა ჩამოთვალა, ვინც მიესალმა ალბათ, წინასწარ იცოდა გამომსვლელთა ვინაობა. საჩუქრებისათვის მადლობა თქვა. ბოლოს ხელები წინ გაიშვირა და დარბაზში მყოფთ მიმართა:

— ჩემო თანამემამულენო, თუ რამე გავაკეთე, თქვენი ხელშეწყობითა და დახმარებით გავაკეთე. ეს მოლოცვები, რომლებიც დღეს მივიღე, თქვენ გეჟუთვით...

იუბილარმა საბოლოო სიტყვის კითხვა რომ დაამთავრა, ლოჯაში მოკალათებულმა მომღერალთა გუნდმა ისევ დასქეპა მრავალჯამიერი. პრეზიდენტმა და დარბაზში მსხდომნი წამოდგნენ და მქუხარე ტაში დიდხანს არ დამტკრალა.

შემდეგ პრეზიდენტში მსხდომნი დარბაზში ჩაიყვანეს და პირველ ორიგში მოაწყვეს. ზოგი ლოჯებში ავიდა, რადგან იქ მოკალათებული მომღერლები სცენაზე ავიდნენ.

ვერც ახლა მოჰქრა ნოდარმა იასთვალი. ან აქ არ იყო, ან ამდენ ხალხში ვერ დაინახა.

მეორე განყოფილება ჩქარა დაიწყო. მომღერალთა გუნდმა შესანიშნავად შესრულა ძველი ქართული ხალხური ნი-

საცოდავ ჯაბახანას დილაღად მოუწევს აქ ყურყუტი.

— მივაწვეთ, მივაწვეთ! — აერია-მულდნენ ირგვლივ.

და როდესაც ავტომანქანის ამუშავების ყოველგვარი იმედი ამოიწურა, სწორედ მაშინ ჩაერთო მოტორი. ნოდარი სიხარულისაგან შეხტა კიდეც. ილიკომ მანქანა უცხად დაძრა, ღია ფანჯრიდან თავი გამოჰყო და სეირის საცქერლად თავშეყრილებს მიძახა:

— კარგად გვენახეთ, კორდობლებო!

კორდობლებებმა რაღაც ხუმრობა დაადევნეს, მაგრამ იგი მანქანაში მსხდომთ არ გაუგონიათ.

ილიკომ მანქანა მთელი სისწრაფით გააქანა. წინ გაკრილი მანქანების ფარების სინათლე შორს მოჩანდა. ილიკო ჩქარობდა, ცდილობდა წინ წასულებს დასწეოდა.

24

მანქანებმა შუკაში შეუხვიეს და დიდ ეზოსთან ჩამწყვიტდნენ.

დაიწყო თავპატივები. ბევრი მასპინძლობდა. თვითელ მანქანაში მსხდომთ ერთი მასპინძელი მაინც ელოდა კიშკართან.

— ბიქტორ, ჩემსკენ, — მიძახა სვიმონმა, რომელსაც არც კი შეუმჩნევია მათი ჩამორჩენა.

— ვარლამი, — მიმართა ბიქტორს ილიკომ, — ამაღამ აქ ვრჩები?

— აბა, ქეიფი ჭერ არ დაწყებულა და უკვე ათი სრულდება. მერე და რაღა ღამე ვიმგზავროთ. შენ შოფრებთან მიდი, მშვიერი არ დარჩე.

— ჩემი დარდი ნუ გექნება, ვარლამი, ჩემის აზრით, არ დავიკარგები. ამაღამ კარგადაც მოვუღებ და მანქანაშიც გემრიელად წავუძინებ, შეჩვეული ვარ.

ბიქტორი და ნოდარი სვიმონს გაჰყვნენ.

ეზოში, მუხის ტოტზე ელნათურები ეკიდა და მთელს კარმიდამოს ანათებდა.

ორსართულიანი სახლიც გადამდგურია-ლებულიყო. როგორც ჩანდა, სამზადი პირველ სართულზე ჰქონდათ, რადგან იქიდან ამოჰქონდათ ზორაგეული, ჯამპურკელი. მამაკაცები ღვინოს ჩაფებით ეზიდებოდნენ და სურებში ასხამდნენ.

— მობრძანდით, ბიქტორ! — შემოეგება კიბესთან მასპინძელი.

ბიქტორმა მასპინძელს ნოდარი გააცნო:

— ჩვენი გაზეთის ახალი თანამშრომელია.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო, მობრძანდით! — მასპინძელმა ნოდარს ხელი ჩამოართვა და თავის ზორბა თითებში ისე მოიქცია, თითქოს არწივმა ნიბლია ჩიტი ჩაბლუჯაო.

მეორე სართულზე ორი უზარმაზარი ოთახის გამყოფი ხის კედელი მოეხსნათ, ოთახები გავერთიანებინათ და მაგიდები ოთხ რიგად დაეწყეთ.

— მასპინძელო, — იხუმრა ვილაკამ, — ვახშამი ნარდითა გაქვს თუ უნარდოდ?

— უნარდოდ, უნარდოდ, — დაირობროხა მასპინძელმა, — ამიტომ ვთხოვთ სუფრას მიუხსდეთ. მოსასვლელი ვინც იყო, ყველა მოსულია.

— ჩვენ ეგერ იქ დავსხდეთ, მყუდრო ადგილას, — უჩრია ბიქტორმა ნოდარს, — იქიდან თავის დაძვრენაც უფრო იოლი იქნება.

მიპატივება-მოპატივების შემდეგ სტუმრები, როგორც იქნა, დალაგდნენ, დალაგდნენ და ერთმანეთს შეაჩერდნენ. თითქოს განსაკუთრებულ განჯარგულებას ელიანო, არაეინ საქმელს პირს არ აკარებდა. ბიქტორი და ნოდარი კუთხის მაგიდას მიუხსდნენ.

— სანამ ჩვენ მთავარ საქმეს შევეუდგებოდეთ, — დაიწყო მასპინძელმა, — ახლავ ერთ რამეში შევთანხმდეთ. დილაღად აქედან ვერაეინ ფეხს ვერ გადაადგამს. მეზობლებთან ლოგინებია გაშლილი, იქ მოისვენებთ.

— აგეშენოს ღმერთმა! — წამოიძახა ვილაკამ.

— ახლა კი მიიჩნევით, რაც ღმერთს მოუცია. მცირესათვის ნუ დამძრახავთ. და თითქოს მასპინძლის განკარგულებას ელოდნენო, ახმაურდა დანა-ჩანგალი. უხმოდ შეექცეოდნენ დამშუფული სტუმრები გემრიელად შეკაზმულ, მაგიდაზე უხვად მოტანილ კერძებს. რა არ იყო სუფრახე: ცოცხალი, ათნაირი მხალეულობა, ცივად მოხარშული ქათმები და კეცზე შემწვარი ვარიები, შებრაწული ინდაური და გოჭის ხორცი, საცივი და შებოლილი თევზი, ყველი და ბურვავი, შოთი პურები და თხლად გამომცხვარი მქადები...

— ახლა ნახავ, — წასჩურჩულა ბიქტორმა ნოდარს, — მასპინძელი თამადად ან რაიკომის პირველ მდივანს დაასახელებს, ან აღმასკომის თავმჯდომარეს, ალბათ, აღმასკომის თავმჯდომარეს, რადგან საიუბილეო საღამოს ის ხელმძღვანელობდა. ხედავ, სუფრის თავში სხედან.

ცოტა ხნის შემდეგ მასპინძელმა ღვივით სავსე თლილი ქიჩა ასწია, ფეხზე წამოდგა და დაიწყო:

— მეგობრებო, როგორც ყველა საქმეს, ქართულ სუფრასაც, მოგვხსენებთ, ხელმძღვანელი სჭირდება. რასაკვირველია თამადად ჩვენი პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, პატივცემული არჩილი უნდა შემეწუხებინა, მაგრამ მასთან შეთანხმებით ვთხოვ პატივცემულ როსტომს დამღოს პატივი და ამ მესამე განყოფილებასაც უხელმძღვანელოს. რომ მას ამის ძალა შესწევს, — გაიხუმრა მასპინძელმა, — წელან დაამტკიცა, როდესაც ჩემი იუბილეს პირველი განყოფილება ასე ბრწყინვალედ ჩაატარა.

თამადა ფეხზე წამოდგა. მთელი სუფრა გაილურსა.

— როდესაც თამადა ლაპარაკობს, — დაიწყო აღმასკომის თავმჯდომარემ, — სრული სიჩუმე უნდა დამყარდეს, რამეთუ თამადა სუფრის ერთპიროვნული დიქტატორია. კერძების შემოტანაე შეაჩერეთ. პირობას გაძლევეთ, ბევრს არ

ვილაპარაკებ, მთავარია დრო ვატაროთ. ვეცდები, შეძლებისდაგვარად დემოკრატიც ვიყო, როგორც ეს ხელსაღიერებას შეჰფერის. ახლა კი ნება მომეცით ამ ყანწით ვადღეგრძელო ჩვენი მასპინძელი...

თამადა მასპინძლის ქებას შეუდგა. თითქმის ის სიტყვები გაიმეორა, რაც საიუბილეო საღამოზე უთხრა. ცოტას ვილაპარაკებო და ათი წუთი მაინც გააბა. სადღეგრძელო რომ მოათავა, სუფრის ბოლოდან მრავალყამიერი სქექქეს. როგორც ჩანდა, იქ სულ მომღერლები ისხდნენ საგანგებოდ.

— ერთბაშად, ერთბაშად! — დაიძახა ვილაცამი.

მთელი სუფრა ფეხზე წამოდგა და მასპინძელი ისე ადღეგრძელა. თამადამ სურას დანა შემოჰკრა და ხმამალა დაიძახა:

— სმენა იყოს და გავონება. სიტყვას ითხოვს ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, ჩვენი იუბილარის სახელოვანი თანამემამულე, პატივცემული ანთიმოზ მელაშვილი.

— ბატონებო, — დაიწყო წრიბინა ხმით ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა, — ძველი ბერძნები ამბობდნენ...

მაგრამ არც ბიქტორსა და არც ნოდარს ყური არ უგდიათ, თუ რას ამბობდნენ ძველი ბერძნები.

ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა სადღეგრძელო ძალზე გააჰიანურა. სუფრა ერთხანს გულისყურით უსმენდა, შემდეგ მობეზრდათ სუფრის წევრებს და ახმაურდნენ.

მორიგ სადღეგრძელოს დაწყებამდე თამადამ ახმაურებული სუფრა გააჩუმა და დაიწყო:

— ამხანავმა არჩილმა სწორი შენიშვნა მომცა. მოგვხსენებთ, მის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარება. აქამდეც უნდა ჯერჩია ჩემი მოადგილეები, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

— აი, ნახე, — გადაულაპარაკა ბიქ-

ტორმა ნოდარს, — მოადგილეებად სულ თანამდებობის პირებს დანიშნავს.

— მეორე მაგიდაზე, — განაგრძო თამადაძე, — ჩემს მოადგილედ ვნიშნავ ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს ამხანაგ ვანო ჩაჩანიძეს. მესამე მაგიდაზე — რაიკომის განყოფილების გამგეს ტიტო ბეჟანიძეს. მეოთხე მაგიდას გაუძღვება კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარე ლავროსი წითლიძე...

— ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ალბათ, რაიკომის ბიუროს წევრია, — უთხრა ბიქტორმა ნოდარს.

თამადაძე ყველა მაგიდაზე მოადგილეები დანიშნა. სუფრა თავისი რიგითა და წესით მიდიოდა სადღეგრძელოები სადღეგრძელოებს ცვლიდა, სიმღერას — სიმღერა და რამდენსაც მეტს სვამდნენ, სუფრაზე თავს უფრო თავისუფლად გრძობდნენ. სიტყვებმაც იმატა. ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ხომ აუცილებელ მოვალეობად თვლიდა თამადის ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სიტყვა ეთქვა. პირველად რომ ძველი ბერძნებით დაიწყო, შემდეგ რომაელებს გადაწვდა, არც ბაბილონელები დაიწყო და არც ეგვიპტელები.

— როგორც ჩანს, — შენიშნა ბიქტორმა, — ჩვენს ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორს ქრისტეს დაბადების აქვთ არაფერი სწამს.

უცხად ნოდარმა ზურგს უკან ვილციის დაყინებული მხერა იგრძნო და მაშინვე ქალიშვილის ტკბილი ხმა მოესმა:

— ნება მომეცით თეფშები გამოგიცვალოთ.

ნოდარი ფეხზე წამოხტა.

— ია..

— ნოდარ!..

ორივეს ერთად წამოცდა. იდგნენ ერთმანეთის პირისპირ გაოცებულნი, იდგნენ და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს ია მოევო გონს.

— დაბრძანდი, ნოდარ. არ ვიცოდი თუ აქ იყავი.

ნოდარი დაჯდა, სკამი იასაყენ შიბრუნა.

თამადაძე სიტყვას ამტკბუნდა. ია ადგილიდან ვერ დაიძროდა. ვილციამ იას სკამი მიაწოდა. ნოდარი შევიწროვდა და ია გვერდით მოისვა.

— ბატონო. ბიქტორ, — ახლა ნოდარმა უჩურჩულა ბიქტორს, — გაიცანით, ჩემი აქაური ნაცნობია.

ბიქტორმა იას ხელი გაუწოდა, აათვალიერა-ჩაათვალიერა. ჩანდა, პირველ დანახვისთანავე მოეწონა. შემდეგ თამადისკენ გაიხედა, თითქოს მის სიტყვებს დაძაბული ყურადღებით უსმენსო და ახალგაზრდებს თვალი მოარიდა.

— სად იყავი, რომ არ ჩანდი? — შეეკითხა ნოდარი იას.

— თვითულ ჩვენთაგანს ჩვენი მოვალეობა გვაქვს, — მიუგო ჩურჩულით იამ, — მე ჭურჭელი უნდა გამოვცვალო. კულტსახლშიც ვიყავი, მაგრამ იქ ვერ დაგინახე.

— შე კი სულ გეძებდი.

— არ ვიცოდი თუ ჩამოხვიდოდი, თორემ მოგნახავდი. შენკი ვერ მიპოვნე.

— სად იჯექი?

— დარბაზში, სულ ბოლო რიგში. შენა?

— რა საკითხავია, — გაეცინა ნოდარს, — რასაკვირველია, პრეზიდენტში.

— ჰოდა, პრეზიდენტში საპატიო ადგილას მჯდომი სოფლელ უბრალო გოგოს რაღას მიპოვნედი.

— ბევრი გათვალეირე.

— პრეზიდენტში მაინც რატომ ვერ დაგინახე?

— პირველ რიგში ხომ არ გამოვიტყემოდი. სულ ბოლოს ვიჯექი, მოფარებულ ადგილას.

— პირველი ნაწილი რომ დამთავრდა, წავედი, კონცერტისათვის არ დამიცდია, აქაურობა მისახედი იყო.

— ამიტომაც ვერ ვნახე.

— წერილი თუ ვერ მომწერე, ვერ

შემატყობინე მაინც ჩვენსკენ რომ მოდიოდი?

— უცბად მომიხდა წამოსვლა, მოულოდნელად.

ამ დროს ვილაყამ დაიძახა:

— ია, სხვა სტუმრებსაც მიხედუ. ია წამოხტა.

— კიდევ მოდი, — უთხრა ნოდარმა,

— სკამს შევინახავ.

ია რომ წავიდა, ბიქტორმა ნოდარს თვალი ჩაუყრა.

— კარგი გოგოა!

ნოდარს ღვინო ცოტათი მოჰკიდებოდა, რატომღაც მოუხდა ბიქტორთან წაეტრახახებინა იასთან ახლო ნაცნობობით.

— არა უშავს რა, — ორაზროვნად მიუგო.

— მხოლოდ ნაცნობია?

— ჯერჯერობით მხოლოდ ნაცნობი.

— გიგამ რომ თქვა ისაა?

— დიახ.

— მხოლოდ ნაცნობი, — გაიმეორა ბიქტორმა, — რა ვიცი, ერთმანეთი რომ დანიანხეთ, ელეთ-მელეთი კი მოგივიდათ და...

— აბა, საიდან, — თითქოს იუარა ნოდარმა, მაგრამ გულში უხაროდა ბიქტორი რომ სხვაგვარად ფიქრობდა. თავდაც არ იცოდა, რატომ წამოიწყო ეს თამაში.

— ჩემი მეგობარია, — დაიწყო ნოდარმა, — მისაყვედურა, თუ ჩამოდიოდი, რატომ არ შემატყობინეო მოულოდნელად აქ შევხვდით ერთმანეთს. აქაურია, საშუალო სასწავლებელი წელს დაამთავრა, ურნალისტობა უნდა, გაიხად გავა გამოცდებზე.

— ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა...

ღვინომ თავისი გაიტანა. სუფრას უკვე აღარ ჰქონდა ის ერთსულოვანი დისციპლინა, რითაც დაიწყო. ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის გრძელ სიტყვებს ხომ სულ არ უსმენდნენ. სუფრაზე მსხდომნი დაუფარავად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. სუფრაზე ცალ-ცალკე წრეები შე-

იქმნა, თვითუღს თავისი ინტერესი გაუჩნდა.

ერყინული

თავიდანვე კი თქვა ~~ხამამადმსხად~~ ლეგატელოებს მოკლედ ვიტყვიო, მაგრამ ქეიფის ეშხში შესულს გადაავიწყდა თავისი პირობა. თამადის გრძელო სადლეგატელოს შემდეგ ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი აუცილებლად ათწუთიან სიტყვას მაინც იტყოდა, ხათის ვერ უტეხდნენ. სუფრაზე ერთადერთი მეცნიერებათა დოქტორი იჭდა, ეს ათჯერ მაინც აღნიშნა თამადამ. თამადის მოადგილეებიც თავს ვალდებულად თვლიდნენ ხუთი წუთი მაინც ელაპარაკნათ.

— აბა, იანგარიშე, — უთხრა ბიქტორმა ნოდარს, — თვითუღს სადლეგატელოზე წარმოთქმული სიტყვები ერთმანეთს მიუმატე და ნახე რა გამოვა. კიდევ კარგი, სადლეგატელოების თქმის დროს აკრძალული როდია ქამა, თორემ სუფრიდან მშვივრები ავღვებოდით.

სუფრაზე ახალი კერძი ჩამოარიგეს, ხაშლამას ოხშივარი ასდიოდა. შემდეგ ბატენის ჩაჭაფული მოიტანეს. ბოლოს, აქა-იქ ხილით სავსე დიდი თეფშები გაჩნდა. ამ ხნის განმავლობაში ნოდარმა ია სალაპარაკოდ ვერ მოიხელთა. ჯარასავით ტრიალებდა ია, მიჰქონდა და მოჰქონდა ჰურჭელი. მხოლოდ შორიდან გადახედავდა ნოდარს ღიმილით. ხილი რომ ჩამოარიგეს, ერთხანს ნოდართან დაყოვნდა, მაგრამ, ჩანდა, სხვებისა ერიდებოდა, ამიტომ ჩქარა გაეცალა.

სუფრიდან თანდათან დაიწყეს გაპარვა ჯერ ცალ-ცალკე მიდიოდნენ, მათ ვერც თამადა და ვერც მისი მოადგილეები ვერ ამჩნევდნენ. ნოდარმა დრო იხელთა, ბიქტორს წასჩურჩულა— „ცოტახნით გარეთ გავალო“ და წამოდგა. ბიქტორმა მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, მხარზე ალერსით ხელი დაჰყრა. ნოდარმა იას გვერდით რომ გაუარა, ჩუმად უთხრა:

— გარეთ ვიქნები და თუ მოახერხებ, გამოდი.

იას ახლა აღარ დაუმორცხვებია, ნოდარს თამამად გაჰყვა. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ია შუახნის ლამაზი გარეგნობის ქალმა შეაჩერა:

— საით, ია?

— დეიდა, — მიმართა იამ, — ეს ნოდარია, — და ნოდარი ქალს ვააცნო, — აგერ ეზოში გაევიღეთ.

ქალმა ცნობისმოყვარეობით გადახედა ნოდარს და ხელი გაუწოდა. შემდეგ იას მიმართა:

— შორს არ წახვიდეთ, ზომ იცი, სტუმრებია მისახედი.

— არა, დეიდა, — მიუგო იამ, — აგერ ვაშლის ხის ძირას ჩამოვსხდებით, თორემ ოთახში დავიხუთეთ.

ეზოს ბოლოს, ტოტებგაშლილი ვაშლის ხე იდგა. მის ძირას მასპინძელს ჩამოსაჯდომი გაეკეთებინა. იქ დასხდნენ.

მთვარეანი ღამე იყო. შორეულ მთის მწვერვალებს ოდნავ, სულ ოდნავ აელვარებდა ცხრა მთას იქიდან ამომავალი მზის სხივები, მაგრამ გათენებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. მთიდან ზოგჯერ გრილი ნიავი ჩამოიქროლებდა და ფოთლებს აშარიშურებდა. ხარბად ისუნთქავდნენ თამბაქოს ბოლისაგან დახუთულ ოთახის შემდეგ მთის სოფლის ჯანსაღ, მაკოცხლებელ ჰაერს.

აღარ იცოდა ნოდარმა საუბარი რითი დაეწყო. ღვინომ ვაათამამა, რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც სასიამოვნო იყო, ლამაზ, ტანასტლელი ქალიშვილთან ჯდომა. სხვა ველარაფერი მოიფიქრა.

— როგორა ხარ, ია?

— როგორც მკითხულობ, — მიუგო იამ. პასუხში ნაწყენი კილო გაერია.

— ნაწყენი ხარ ჩემზე?

— ესეც ახალი ამბავი, რად უნდა ვიყო ნაწყენი, ჩვენ ხომ ერთმანეთს კარგად არც ვიცნობთ.

ნოდარმა არაფერი უპასუხა. ახლა უფრო ძლიერად დაჰქროლა ნიავმა. იას შეაყრდოლა. ნოდარმა პიჯაკი გაიხადა. ია დიდხანს უარობდა, მაგრამ ნოდარი არ მოეშვა, მაინც მოახურა პიჯაკი.

— კიბეზე რომ ქალი შეგვხვდა, ნამ-

დეილად დეიდაშენია? — შეეკატნა ნოდარი.

— დეიდაა, კარგი დეიდაა, — მიუგო იამ, — ბევრთა ვართ.

— რომ უთხარი, ეს ნოდარიაო, ნუთუ მიცნობს? — შეაპარა ფრთხილად ნოდარმა.

— აბა, საიდან უნდა ვიცნობდეს. 'ის კი არა, მე არ ვიცნობ წესიერად.

— გაიცანი, ეს ნოდარიაო, რად უთხარი? — ჩააცვიდა.

— რად ვუთხარი და... — დაიბნა ია, — ჰო, ერთხელ ვუამბე გორიდან ჩემი უკანასკნელი მგზავრობის ამბავი. ბუნებრივია, შენხედაც ვეტყობი რაღაცას.

— მაინც რა უთხარი? — არ მოეშვა ნოდარი.

— ვუთხარი, რომ ერთ ყურნალისტთან ერთად ვიმგზავრე-მეთქი.

— სულ ეს იყო?

— აბა, კიდევ რა უნდა მეთქვა, — აიყალყა ია, — რა მქონდა სხვა სათქმელი. მიცნობ, ვიცნობ თუ...

— როგორ თუ არ მიცნობ? მე კი შეხვენი მომიხაროდა...

— ამირანი გულში მღეროდაო... — წამოცდა იას და უცხად ტუჩზე იკბინა, სიტყვა არ დაუმთავრებია, შეჩერდა.

— ნამდვილად ასეა, ია.

— მერე, — უსაყვედურა იამ, — აგერ ორ ნაბიჯზე ხარ, ერთ წერილს ვერ მომწერდი.

— განა არ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ვერ გავხედე, — იცრუა ნოდარმა, — გამხედაობა არ მეყო.

— იმის გამხედაობა კი გეყო, რომ ყველა შენს ნაცნობს ჩემზე ელაპარაკო?

— ვინ ნაცნობს?

— რა ვიცი, ამას წინათ შემთხვევით ერთი მაღალი, როხროხა კაცი მოხვდა ჩვენს ოჯახში. უზომოდ დათვრა და შენი ქებით ყურები გამომიჭედა.

— ჰო, გიგა იყო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელი.

— მგონი გიგა ერქვა. სულ შენზე ლაპარაკობდა, ახალი თანამშრომელი მო-

ვიდაო, ისეთი და ასეთი არისო. მაინც ჩემზე რა უთხარი?

— ახალდაბაში ჩასვლისას მან გამიწია მასპინძლობა, ცოტათი დავლიეთ და ნასვამი კაცის ამბავი ხომ იცი...

იამ კვლავ ცერად გადახედა ნოდარს.

— შენ სმას ხომ, არ შეეჩვიე, სულ ღვინო რომ გაკერიო პირზე?

— არა, ია, ის იყო და ის.

— მაინც რა უთხარი? — ჩურჩულით შეეკითხა ია.

— რა ვუთხარი და... — შეჩერდა ნოდარი, — ვუთხარი, რომ გზაში ერთი შესანიშნავი ქალიშვილი გავიცანი...

სათქმელი ვერ დაამთავრა. ეზო უცბად ხალხით გაივსო. სუფრა აშლილიყო. ია წამოდგა, ნოდარს პიჯაკი დაუბრუნა.

ვარეთ გამოსულები ერთმანეთს ეძახდნენ. ნოდარს თავისი სახელიც მოესმა და იქითკენ გასწია, იაც მას გაჰყვა. ნოდარს ბიჭტორი ეძახდა, ბიჭტორის გვერდით მასპინძელი იდგა. ნოდართან ერთად იაც რომ ნახა, ქალიშვილს მიმართა:

— ია, შენს გაზრდას, ახალდაბელი სტუმრები დეიდაშენთან წაიყვანე, ღამეს იქ გაათევენ, — შემდეგ გასძახა, — თეკლე, თეკლე.

— აჰა ვარ, — უპასუხა ქალის ხმამ და მათთან იას ღვიდა განჩნდა.

— ეს ჩემი სტუმრები ამალამ შენთან წაიყვანე. მოასვენე, დილით კი აქ მომიყვანე. შენს ქმარს უთხარი, დილით წვეთი არ დაალევინოს, თორემ ცოცხალი არ გადავირჩება. აბა, ხვალამდე! — დაემშვიდობა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბიჭტორსა და ნოდარს და ახლა სხვა სტუმრებისაკენ გასწია.

თეკლემ ღიმილით გადახედა იასა და ნოდარს, შემდეგ იას მიმართა:

— ია, ბიძაშენს დაუძახე, სტუმრები გელოდებიან-თქო, — შემდეგ ბიჭტორსა და ნოდარს მიუბრუნდა, — ახლავე ბატონო, ჩემი კაციც მოვა და წავიდეთ; ბიჭტორმა ილიკო მონახა, მანქანაში გემრიელად მოკალათებულყო და ეძინა. ბიჭტორმა გამოაღვიძა.

— ილიკო, წამოდი, ერთ ოჯახში მივდივართ დასასვენებლად. შენთვისაც გამოინახება ადგილი.

ილიკომ ძილს თავი ვერ წაართვა. ერთი ჩაიბურტყუნა, „აჰაჰა კარვალ მოვეწყვეო“ და კვლავ ძილს მისცა თავი. ბიჭტორი არ ჩააცვიდა, ნოდართან დაბრუნდა. მალე მათ მამაკაცი მიუახლოვდათ. თეკლემ გააცნო, ჩემი კაციო.

— ვლადიმერი მქვია, ჩემო ბატონო, — ხელი გაუწოდა სტუმრებს თეკლეს ქმარმა. სულ არ ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო, თამამად და მტკიცედ მოაბიჯებდა.

ნელა გაჰყვნენ შუკას. იამ ხელმარცხნივ გადაუხვია.

— საით, — მიმართა იას თეკლემ, — მამაშენს ვუთხარი ია ამალამ ჩემთან დარჩება-მეთქი. სტუმრებს პატივისცემა უნდათ, მე მარტო ვერ აფუვალ, წამომეხმარე.

25

— ნოდარ, ნოდარ! — ძილში ჩაესმა ნოდარს, მაგრამ თავი ვერ ასწია, ვერც თვალი გაახილა.

— პაუ, რა ძილის გუდა ყოფილხარ! — ჩასძახა კვლავ ვიდაცამ და მანამდე არ მოეშვა, ვიდრე არ გამოაღვიძა.

ნოდარმა თვალი გაახილა. ოთახში ფანჯრები გაეღოთ და ქახქახა მზის სხივებს ყველა კუნძული აევსო. ნოდარი ერთხანს სინათლემ დააბრმავა, თვალები მოისრისა და ცერად შეხედა მოსაუბრეს, შეხედა და უცბად წამომართა, მის წინ ია იდგა და უღიმოდა.

— ადე, ნოდარ, ადე, რა ხანია შუადღემ მოგვაკითხა, შენი თანამგზავრი ბიძასთან ერთად ჭურსა ბდის, შენთან გამომგზავნეს, გააღვიძე ის ძილის-გუდაო.

მზის სხივები იას სახეზე დასდგომოდა, ისეთი კარგი იყო ქალიშვილი, გულლია, მომლიმარი.

იამ სკამი მიუჩოჩა, სადაც ნოდარის ტანსაცმელი ეკიდა. ნოდარმა მოასწრო

და იას ხელს დაწვდა. იას ალმური მოეკიდა, გაიბრძოლა.

— ია, ია, — მოესმათ იას დედის ხმა, — სად დამეკარგე.

იამ ხელი გაითავისუფლა, გარეთ გაეარდა და იქიდან გამოსძახა:

— მე კიდან წყალს ამოვიღებ, პირს დაგაბანინებ.

ნოდარი წამოდგა, ჩაიცვა, ცოტათი წაივარჯიშა და აივანზე გავიდა.

კონინდრით მოფენილ ეზოს ხასხასი გაქონდა. იას სათლით კიდან წყალს ამოედო და ნოდარს უცდიდა. ნოდარმა ქვის კიბე ჩაირბინა და იასთან გაჩნდა. თეთრი, ქათქათა პირსახოცი ჰის გვერდით ეკიდა, თუთის ხეზე. ნოდარმა გული გაიღელა, მკლავები დაიკარწახა და სათლს შეუშვირა. ცივმა წყალმა სულ გამოაფხიზლა. იას ხალვათად ეცვა, დახრილი რომ წყალს უსხამდა, მკვრივი, თეთრი მკერდი ამოებურცა. ნოდარი დაიბნა, ვახევდა. იას არაფერი შეუმჩნევია, სიცილით უსხამდა წყალს ნოდარს.

— ფეხებს იბან თუ ხელ-პირს? — შეეკითხა ია, როდესაც დაინახა, რომ ნოდარმა რატომღაც ხელ-პირის ბანა მიატოვა, — აჰა, შენ... — და სათლში დარჩენილი წყალი თავზე გადაასხა.

ნოდარი გონს მოეგო, არაფერი უთქვამს, პირსახოცით ხელ-პირი შეიმშრალა.

— ახლა ჭურის თავზე გელოდებიან, — უთხრა იამ, — ბიძაჩემმა ერთი ამბავი დამაწია, შენი სტუმარი აქამდე სად არისო.

— განა შენი სტუმარი ვარ? — თვალი ჩაუკრა ნოდარმა იას.

— აჰა, რა ვიცი, ასე კი მითხრა და... ეგერ სასიმილდეს ხომ ხედავ, ცოტას გაივლი და თბილნარს შეხედები, ჭურებიც იქაა ჩაყრილი. გამოგყვებოდი, მაგრამ დეიდას უნდა მივეშველო.

— რა შორს ეგ არის, შენი ვაძლოლა რად მინდა.

ამ დროს კიშკარი გაიღო და ეზოში სამნი შემოვიდნენ. შუახნის მამაკაცი, ქალი და თორმეტიოდე წლის ბიჭუნა.

— უიმე, — ჩემად შეიცხადა იამ, — ამათ აქ რა უნდათ!..

სამზადიდან იას დედას გამოეხებდა და ახლადშემოსულებს შეეგება.

ნოდარი იას შეეკითხა:

— ვინ არიან?

— დედა, მამა და ჩემი ძამიკო. ახლადშემოსულები მათ მიუახლოვდნენ.

— წუხელ სად იყავი, ია? — შეეკითხა ბიჭუნა თავის დას, — ჯერ უშენოდ არ დავიძინე, მერე ისე ჩამძინებოდა, მამის მოსვლა არც გამიგია. ამ დილითაც არ გამოჩნდი...

— რა ბევრს ლაპარაკობ, — დაუტანა ბიჭუნას დედა, — უცხო ვაჟისა მინც არ გერიდება!

ბიჭუნა უცხად გაჩუმდა და ცნობისმოყვარე თვალებით ნოდარს შეაკვირდა. არანაკლები ცნობისმოყვარეობით უპირეტდა იას დედ-მამა ნოდარს.

— ია, გააცანი შენს მშობლებს ეს შენი სტუმარი, — უთხრა იას დეიდა.

— ნოდარ, — ძლივს ამოიღო ხმა იამ, — გაიცანი, ჩემი დედა და მამა.

ნოდარმა იას დედ-მამას ხელი ისე ჩამოართვა, რომ თვალი ვერ გაუსწორა.

ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოვარდა. სიჩუმე იას დეიდას დაარღვია:

— სანამ ბიჭი არ გამოგვიგზავნე, მანამდე არ უნდა მოსულიყავით, ხომ იცოდით, სტუმრები რომ მყავდა.

მამაკაცებმა თბილნარისაკენ გასწიეს. იამ დეიდა შეაჩერა და წასწორა წულა:

— რანაირი ხარ, დეიდა, ჩემებს რად დაუძახე?

— შენ ვინ რას გკითხავს. ჩემს სახლში ვისაც მინდა, იმას დავუძახებ. ნუ გეშინია, არაფერი მითქვამს.

— რა უნდა გეთქვა? — შეცბუნდა ია.

— იცოცხლე, მინდოდა მეთქვა, სასიძო უნდა გავაცნოთ-მეთქი, მაგრამ ვერ გავებდე. ისე კი კარგი ბიჭი ჩანს.

— დეიდა! — ხელი მოუჭირა მკლავზე იამ.

— ჰო, კარგი, კარგი, ღმერთმა ყველა-

ფერი კარგად აგინდინოს, ზომ იცი, როგორ მიყვარხარ...

ქალები სამზადში შევიდნენ. ნოდარი, იას მამა და ძმა ნელი ნაბიჯით გაჰყვინენ კოინდარში გაკვალულ ბილიცს.

— დიდი ხანია ჩვენს მხარეს მუშაობ? — შეეკითხა ნოდარს იას მამა.

— ივლისის თვიდან აქა ვარ, ახალდაბაში.

— რა ზელობას მისდევ? — არ ეშვებოდა იას მამა.

— ჟურნალისტი ვარ, გაზეთში ვმუშაობ.

— კარგი დაგემართოს, კარგი საქმის კაცია ყოფილხარ.

საუბარ-საუბარში თხილნარსაც მიღწეის. ჭურისათვის ვლადიმერს თავი უკვე მოეხადა. აყალო მიწა გვერდით ეყარა. კუნძზე სამი ჭიქა იდო, იქვე თევზზე ჩურჩხელები და ხილი ელაგა. მასპინძელს ორშიმო ღვინით ავესო და ჭიქებში ასხამდა. ჩანდა ეს პირველი ჭიქა არ იყო.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — დაიძახა ვლადიმერმა, — აბა, ყმაწვილო, — მიმართა ნოდარს, — ჭიქა აიღე და ცინცხლად ამოღებული ღვინო დამიქაშნიკე.

ნოდარმა ჭიქას ხელი წაატანა და მალე ასწია.

— შენ რა უცხოთვით დგახარ, — გადახედა ვლადიმერმა იას მამას, — ჭიქა შენც აიღე და დაილოცე.

— სტუმარმა მიირთვას, — ანიშნა იას მამამ ბიქტორისაკენ.

— სტუმარმა და მე საკმაოდ მივირთვით, ახლა თქვენი ჭერია, ჭერ წამოგვეწიეთ და მერე მოიკითხეთ სტუმარ-მასპინძლობა.

იას მამამაც ასწია ღვინით სავსე ჭიქა, მაგრამ არაფერი თქვა, ნოდარს დაელოდა.

— თამამად, ნოდარი! — შეაგულიანა ბიქტორმა.

— მშვილობა ნუ მოაკლდეს ამ ღვინის პატრონს! — თქვა ნოდარმა და გადაჰქრა.

ქვალბილში გაუჭდა ღვინო, აღაგზნო. საკმაოდ შეჭიკიკებულნი იყვნენ, როდესაც დაუძახეს, გეყოფათ, შინ შემოდით, სუფრა გაშლილიაო.

— ბოდიში, — შეიცხადა ვლადიმერმა, — ამ ერთ ღამეში ისე შეგეჩვიეთ, შინაურები მგონიხართ, — შემდეგ ბიქტორს მიუბრუნდა, — ეს ჭარმაგი, იას მამისკენ გაიშვირა ხელი, — ნოდარის მეგობარი ქალიშვილის მამაა, ხარიტონი ჰქვია, ჩემი ქვისლი გახლავთ, ჩემო ბატონო.

— მეც არ ვიფიქრე, ვლადიმერა ისე გამოთვრა, სტუმარსა და მასპინძელს ველარ ცნობს-მეთქი, — ჩაეცინა ხარიტონს და ბიქტორს ხელი გაუწოდა, — ამ ყმაწვილის უფროსი ბრძანდებით?

— ასე ვთქვათ, — გაეცინა ბიქტორს და ხელი ჩამოართვა, — ეს ისეთი მერანია, ჩემგან მათრახს არ დაირტყამს.

— კარგი დაგემართოს, — უღვაშებში ჩაელიმა ხარიტონს.

— ისეთი გამოძვლები თვალთ უყურებ მაგ ყმაწვილს, სასიძოდ ზომ არ მოგეწონა, ჩემო ქვისლო? — გაეხუმრა ვლადიმერი.

იას ძმა შეტბა, ნოდარს წინიდან მოუარა და პირდაპირ თვალეში შეაკერდა. ნოდარმა დაიმორცხვა, თავი დახარა.

— შენ ახლა ვინდა ქალაქელს ჩვენი სოფლის ტალახში გაზრდილი გოგო მოაწონო? — აჰყვა ხუმრობას ხარიტონიც, შემდეგ თავის ვაჟიშვილს დაუტბანა, — რავე უსირცხვილოდ უყურებ, მართალი ზომ არ გგონია ვლადიმერა ბიძიას ნაბუტბურები?

— შენ რაო, იწუნებ თუ? — არ მოეშვა ვლადიმერი.

— დასაწუნი რა აქვს, მაგრამ როდისაა ახლა გოგოები მშობლებს რამეს ეკითხებოდნენ.

ხუმრობა-ხუმრობით სახლისკენ გასწიეს, კიბეს აჰყვინენ და ოთახში შევიდნენ. ოთახის შუაში მდგარი მაგიდა კერძებით დაეხვევებიათ. ღვინო ვლადიმერმა კოკით წამოიღო. აივნის კუთხეში ღოქები ეწყო. ერთ-ერთს ძაბრი დაად-

გა. ვლადიმერმა კოყიდან ღვინო დო-
ქებში ჩაასხა, თითო ხელში ორ-ორი
აიტაცა და მაგიდაზე დადგა.

— მობრძანდით, მობრძანდით, — კა-
რებთან დიასახლისი შემოეგებათ, —
მცირეზე წუ დაგვძრახავთ.

ბიქტორს გაეცინა.

— მცირეო, რას ბრძანებთ; ასეთი სა-
უხმე პოლანდიის დედოფალსაც არ ექ-
ნება, — შემდეგ ვლადიმერთან მივიდა
და უთხრა, — წუხანდელი მასპინძლის
შუკაში ჩვენი მანქანა დგას, შოფერი
შიგ დავტოვებთ, გზა მიგვასწავლე და
აგერ ჩვენი ნოდარი დაუძახებს.

— თქვენ რაღას წუხდებით, — მიუ-
გო ვლადიმერმა, და ბიქუნას დაუძახა,
— ზაზა, შენს გაზრდას, ჩვენი კოლმე-
ურნეობის თავმჯდომარის სახლის წინ
რომ შეჰყა, იქ წაუტყულებდი, — კვლავ
ბიქტორს მიუბრუნდა, — თქვენი რა
მანქანაა?

— ძველი მოსკვიჩია, ყველაზე დანჯლ-
რეული და გაქუცული.

— ზაზა, ხომ გაიგონე, იქ ძველი მოს-
კვიჩი მონახე, ხომ არჩევ მანქანებს?

— როგორ არ ვარჩევ, — მკვირცხ-
ლად მიუგო ზაზამ.

— პოდა, მონახე ის მოსკვიჩი და შო-
ფერი მანქანიანად აქ მომიყვანე.

— შოფერს რა ჰქვია? — შეეკითხა
ზაზა.

— ილია ჰქვია, — უპასუხა ბიქტორმა,
— უთხარი, ბიქტორი და ნოდარი ჩვენ-
სას არიან და დაგიბარეს შენც წამოდიო.

— მაგრამ თქვენ რომ ჩვენსას არა
ხართ? — გაიოცა ბიქტონამ.

— აბა, ვისთან არიან, შე მამაძაღლო,
— თითი დაუქნია ვლადიმერმა, — თქვე-
ნი და ჩვენი ვინ გაყო. თუ ძალიან გუ-
ლით ვინდა, აქ რომ მოვრჩებით, შენსას
გადმოვალთ და, თუ ბიჭი ხარ, დაგვხვდი!

— რატომ არ დაგხვდები, — არ შეე-
პუა ზაზა, — ქურები ჩვენცა გვაქვს
და გოპები ჩვენც გვიყვირის.

— ასე ენაგატლეკილები რავე ხართ
ჩხიკვაძეების მთელი მოდგმა, — გაე-

ცინა ვლადიმერს, — შენ რასაც გუბ-
ნებიან, ის გააკეთე.

— კი მარა, აცლი რომ გვაკეთოს! —
ჩაერია ხარიტონი.

— ახლავე, ბიძია ვლადიმერა, ამ წუ-
თას მანქანიანად აქ გავჩნდები, — თქვა
ზაზამ და კისრიტეხით კიბეზე დაეშვა.

— ნელა, ნელა, შე გადარეულო, —
გაადევნა დედამ, — ასე გიცივით რომ
გარბიხარ, კი არავინ მოგდევს.

— მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრ-
ძანდით! — კვლავ შეიპატიუა დიასახ-
ლისმა სტუმრები.

ვიდრე მაგიდას მიუსხდებოდნენ,
ვლადიმერმა ოთახში ია რომ ვერ დაინა-
ხა, იყვირა:

— ია სად არის?

— სამზადშია, მეხმარება, ენაცვალოს
დეიდა.

— სამზადში რა უნდა, ოჯახი კი არ
დამიქციო, ქალო. ახლავე აქ გამიჩინე
და თან შენი დაც წამოჰყვეს, თორემ ამ
გამზადებულ სუფრას ნაყარტუტად
ვაქცევ.

— ახ, მაგი არ ქნა, შე კაცო, — გან-
ზრახ შუბლი შეიკმულნა დიასახლისმა
და შემდეგ სამზადისკენ გასძახა, — ია,
ახლავე აქ მოდი და დედაშენიც წამოი-
ყვანე, ხაჰაურებიც წამოიღეთ, თორემ
უთქვენოდ ჩემი კაცი სუფრაზე არ ჯდე-
ბა და დამიშვია ეს პატიოსანი სტუმრე-
ბი.

კოტა ხნის შემდეგ ოთახში ია და
დედამისი გამოჩნდნენ. იას დედა თავა-
ზიანად მიესალმა ბიქტორს და ნოდარს
მალულად გადახედა. იას ლოყები ერ-
თიანად უღუოდა, შუა ცეცხლის ბრა-
ლი თუ იყო.

მამაკაცები მასპინძლის მიერ მითი-
თებულ ადგილებზე დასხდნენ.

— შენ კი, ჩემო ია, აირჩიე, გინდა
მამაშენს მიუჯექი გვერდით და გინდა
ამ ყმაწვილს:

ია დაიბნა, შეყოყმანდა. ნოდარის
გარდა ყველა ღიმილით შეცქეროდა ქა-
ლიშვილს. უბერხულ მღგომარეობიდან

დეიდამისმა იხსნა, მივიდა, ხელი მოხვია და ნოდარისკენ წაიყვანა.

— ბიძაშენს ყურს ნუ უგდებ, — უთხრა დაყვავებით, — მაგის ამბავი არ იცი? ნაცნობი ჩამოგივიდა, გვერდით მიუჯექი, გაართე, იმღერე და ამღერე, მასპინძელი ხარ, მოალბინე, პატივი ეცი.

— ღმერთმა ავაშენოს! — გადაიხარხარა ვლადიმერმა, — მართლაც ამ ხუმრობა ხუმრობაში ჩვენი სტუმრები მოვაშვი და ისაა.

ია ნოდარის გვერდით დაჯდა. მასპინძელმა ბროლის ჭიქები ღვინით აავსო და პირველი სადღეგრძელო დიასახლისისა დალია. ბევრი არ ულაპარაკია, ცოტათი გაიხუმრა, მაგრამ ბოლოს სერიოზულად თქვა:

— ასე მივათრევთ ამ ცხოვრებას, ჩემო ბატონო, ღმერთს მხოლოდ ერთს ავთხოვ, უიმისოდ ერთი დღეც ნუ მაცხოვრებ ამ ქვეყანაზე!

ვისაც როგორ უნდოდა, ისე სვამდა. არც თამადა აძალებდა. სამიოდე სასმისიც არ ჰქონდათ დაღუული, რომ ოთახში აქლოშინებული ზაზა შემოვარდა. მას ფეხდაფეხ ილიკო შოფერი შემოჰყვა.

— ბიძია ვლადიმერა, — სხაპასუხებით მიმართა ზაზამ მასპინძელს, — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შემოგიტოვალა, ვლადიმერა ბუთხუზს თუ თავი არ მოსძულებია, ახლავე ჩემი სტუმრებიანად აქ გამომეცხადოს, თორემ ისეთ დღეს დავაყრი, სოფელში არ ეცხოვრებოდესო.

— მამა უცხოუნდება, — ჩაიქირქილა ვლადიმერმა, წამოდგა და ილიკოს შეეგება, — კეთილი იყოს, ჩემო ბატონო, შენი ჩემს ოჯახში შემობრძანება! — ადგილი იას მამის გვერდით მიუჩინა. ზაზა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ახლა მას მიმართა, — თავმჯდომარის დარდი ნუ გაქვს, მაგას მე ვავუსწორებდი. შენც ჩამოჯექი, ღვინო არ დამილიო, და ისე რაც გინდა, მიირთვი.

ხუთიოდე სადღეგრძელოს შემდეგ ვლადიმერმა ბიქტორს მიმართა:

— ბატონო ბიქტორ, ამ ჩხიკვაძეებს ასე ნუ უყურებ, ერთიმეორეზე უკეთ მღერიან. აი, ზაზა როა, პატარაა, მაგრამ ისეთ პირველს არაჯრავებს, შენი მოწონებული!

— რაღას უცდიან, — შენიშნა ბიქტორმა.

— ხარიტონს ღვინო თავში თუ კარგად არ გაუჯდა, ისე არც ხმა ეწმინდება და ვერც სიმღერის ეშში შედის. კიდევ სამიოდე ჭიქა რომ გადაჰკრას, ძალათი რომ გააჩერო, სიმღერას მაინც ვერ მოაშლევინებ.

— ვლადიმერა ბუთხუზმა ჩემი ქმარი ლოთი არ გამოიყვანა ამ პატიოსან, უცხო სტუმრებთან, — ჩაერია იას ღედა.

— უცხოში თუ ბატონ ბიქტორს გულისხმობ, არ შემეცდარხარ, მაგრამ თუ ამ ყმაწვილსაც მიითვლი, — და ვლადიმერმა ხელი ნოდარისაკენ გაიშვირა, — ხომ ხედავ, ისე გვრიტივით ელულუნება შენს ქალიშვილს, უცხო ახლობლად არ გადაგეცეს.

— კიდევ! — თვალები დააკვესა დიასახლისმა, — გეყოფა, შე კაცო.

ია წამოხტა, მაგრამ დეიდამისმა ძალათი დასვა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ია ჯერ უარობდა, შემდეგ თავი ასწია და წკრიალა ხმით წამოიფყო:

— მე ბან და ბან დაგეძებდი, შენ კი თურმე სად გეძინა, შენი ლამაზი მკლავები მწვანე მოღზე დაგეფინა...

ხარიტონმა ბანი მისცა, დიასახლისია ახლა იას ღედას მიუბრუნდა, მანამდე არ მოეშვა, ვიდრე ღედამ მერე ხმა არ წააშველა თავის ქალიშვილს. ხმაშეწყობილად მღეროდნენ მამა, ღედა და ქალიშვილი. ზაზა ცალკე ცქმუტავდა, ჩანდა. სიმღერა უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. სიმღერა რომ მოათავეს, ვლადიმერმა ტაში შემოჰკრა. მას სხეებიც აჰყვნენ.

— აი, ეს მესმის, — წამოიძახა ბიქტორმა, — არაფერი ამ ქვეყნად ისე არ მიყვარს, როგორც ჩვენებური სიმღერა

და მერე ასე ხმაშეწყობილად რომ ასრულებენ.

— წავიდა მოლხენა! — დაიძახა ვლადიმერმა, — მასპინძელსა მხიარულსა სტუმრები ჰყავს მხიარული.

და მართლაც გამხიარულდა სუფრა. სადღეგრძელოს სიმღერა სცვლიდა, სიმღერას ახალი სადღეგრძელო, მასპინძელი ღვინოს არ აძალებდა, წუხანდელ ნაქიფტრებს ბევრი არც უნდოდათ. ქართველ კაცს სადღეგრძელოებს რა გამოუღევს. მასპინძელმა სუფრაზე მსხლომნი რომ აღდგარძელა, ამ ბარისა თქვა, იმ ბარისა. მზე შუბის ტარზე ამოიწვერა, მოლხენას კი ბოლო არ უჩანდა. მართალია, ია ნოდარის გვერდით იჯდა, მაგრამ ნოდარმა ორი სიტყვაც ვერ გადაულაპარაკა ქალიშვილს. ისედაც ქალ-ვაგი განსაყუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ. ვლადიმერი დროს რომ მოიხელთებდა, ოხუნჯობითა და ფრთიანი სიტყვებით უხერხულ მღვთმარეობაში მყოფ ახალგაზრდებს სულ აბნევდა. შოფერი ილიკო რახანია სუფრიდან ამდგარიყო და ზაზას ეზოში ავტომანქანის ტარებას ასწავლიდა თვალეზანთებული ბიჭუნა საყვირით იჭურობას იკლებდა და აფხორილ ინდაურებს ავთებდა. ბიჭტორმა თამაღისაგან სიტყვა ითხოვა, თამაღა არ გაპირვეულებულა ჩანდა, ხარიტონის გარდა არავის სმის თავი არ ჰქონდა, საერთოდ ბევრი არც დაუღვევიათ. ბიჭტორმა თამაღა აღდგარძელა, მათი მასპინძელი, შეუქო გამრჯე მარჯვენა, დაულოცა კარმიდამო, ჯარში გაწვეული ვაჟიშვილი და მეზობლად გათხოვილი ქალიშვილი. უდღეგრძელა ნათესაეები და ახლობლები, დალოცა ქართველი გლეხის კერა. მისი ზრდილობა და გულუხვობა, მადლობა მოახსენა მასპინძლობისათვის და იმკაცურად გადააკონა. სუფრა აიშალა.

ბიჭტორმა და ნოდარმა სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვეს. დიასახლისმა მოახერხა და ცოტახნით ია და ნოდარი ჩამოიტოვა.

— ხომ არ მოიწყინე ჩვენსას, ნოდარ?

— შეეკითხა ია.

— პირიქით, ია, რა ვარგი-ხალხი გახვევია...

იგრძნო ნოდარმა, ია მისგან რაღაც მნიშვნელოვანსა და სერიოზულს ელოდა. მაგრამ რა უნდა ეთქვა, როდესაც თავადაც ვერ გარკვეულიყო. იქ, თბილისში ღია რომ არ ეგულეზოდეს, იაზე უკეთესს ვის ინატრებდა, არა და, ისე სერიოზული ხასიათი მიიღო იასთან დამოკიდებულებამ, რომ არ შეუძლია იოლად მოეპყრას, მოატყუოს... ამიტომ ისე მივიდნენ ჭიშკრამდე, ნოდარს იასათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, იაც დუმდა და თავჩაქინდრული მიპყვებოდა გვერდით.

ბიჭტორი მანქანასთან იდგა და ნოდარს ელოდა. ილიკოს მანქანა დაექოქა. მოსკვიჩი თუხთუხებდა, კვენსოდა და ღრჭილალებდა. მასპინძლებმა კეთილ მგზავრობა უსურვეს სტუმრებს. ნოდარმა იას შეხედა მალულად, შეხედა და თან წაჰყვა ქალიშვილის სევდიანი, მწუხარე გამოხედვა.

26

სალამოს ბინდი ეფინებოდა მიდამოსრედაქციაში ნოდარისა და მბეჭდავი ქალის მეტი არავინ იყო. ნოდარი წერილს წერდა, ამიტომ ყურადღება არ მიუქცევია მოსულისათვის, რომელმაც ოთახის კარი ფრთხილად გამოაღო და კართან შედგა.

— შეიძლება, — ჩუმი ხმით თქვა მოსულმა.

ნოდარს თავი არ აუწყევია. წერილი სასწრაფოდ უნდა დაემთავრებინა, ხვალინდელ ნომერში მიდიოდა და აგვიანებდა.

— შეიძლება, — გაიმეორა მოსულმა.

ნოდარმა თავი ასწია. კართან საშუალო ხნის მამაკაცი იდგა, საშუალო ტანისა, სიმსუქნე უკვე დასტყობოდა, მაგრამ ოდნავ წამოზრდილი ღიბი ჯერ კიდევ არ აუშნოვებდა.

ნოდარმა თავი დაუქნია.

— მობრძანდით, დაბრძანდით, ერთი წუთით... — უთხრა და კვლავ წერა განაგრძო.

მოსული მაგიდის შორიანლო ჩამოგდა.

წერილი სასწრაფო იყო, ნოდარს კი არაფერი გამოსდიოდა. გუშინწინ ლიმონათის ქარხანაში გააგზავნეს, მოწინავე მუშაზე ნარკვევი დასწერეთ. ახალდაბის ლიმონათის ქარხანა პატარა იყო, სულ ორი სამაქროსაგან შედგებოდა. იარა, იარა ნოდარმა ამ ორ სამაქროში, მაგრამ დიდი ენთუზიაზმი და მონდომება ვერსად შეამჩნია. პირიქით, უხალისოდ მუშაობდნენ. სამუშაოც ძნელი არ იყო. ხილის წვეს დიდ ქვაბში ხარშავდნენ, იქიდან ავტომატები ასხამდნენ ბოთლებში. ნახშირმჭავა გასაც ავტომატი ამზადებდა. ავტომატი რეცხდა ბოთლებს, წვენიში წყალს ურევდა და საცობებსაც აცობდა.

არც დირექტორი იყო ქარხანაში, არც ტექნოლოგი. ზან ერთ მუშას მიადგა ნოდარი, ზან მეორეს. ბოლოს ვისაც ეძებდა, თითქოს მიაგნო. ახალგაზრდა ქალი თავაუღებლად მუშაობდა. რომ იკითხა ვინ არისო, უთხრეს, ნამდვილად მოწინავე მუშაო. საერთოდ ლიმონათის ქარხანა მოწინავეთა რიგებში არასოდეს ყოფილა, არც პრესის ყურადღებით იყვნენ განებივრებულნი, უკვირდით რაიონული გაზეთის კორესპონდენტის მოსვლა. იფიქრეს, ალბათ ჩვენზე ცუდი რამ უნდა დასწეროს, თავს კი ისე გვიჩვენებს, თითქოს კარგის დასაწერად მოვიდო. ამიტომ გაურბოდნენ, თავს არიდებდნენ. ყველაფერი კი სულ იოლად ასახსნელი იყო. ახლახან ლიმონათის ქარხანაში კარბუზის მეგობრის შვილი დაენიშნათ დირექტორად და რედაქტორს უნდოდა სიყრმის მეგობარი გაეხარებინა, ამიტომ ვაგზავნა ნოდარი სპეციალური დავალებით ქარხანაში.

არ მოეშვა ნოდარი, ვიდრე თავაუღებლად მომუშავე ქალისაგან ყველაფერი არ ვაიგო, შეკითხვებით სული ამოართვა. ერთხანს ქალი ხმას არ იღებ-

და, საინტერესო პიროვნება კი აღმოჩნდა: აღრე დაობლებულიყო, შემდეგ ძალათი გაეთხოვებინათ, ქმარსაც მალე მიეტოვებინა, დარჩენილიყო ორ პატარა შვილთან ერთად. ბავშვები ბავში ჰყავდა. დღეში ორ ნორმას ასრულებდა, საქმესაც არგებდა და თავის თავსაც. ასეთებს ნამდვილად მხარის დაჭერა სჭირდებოდათ. აი, მხოლოდ დირექტორს ვერაფერი მოუხერხა, ვერ ჩასვა ნარკვევში...

შემოსულმა ჩაახველა. ნოდარს სულ გადაავიწყდა მისი არსებობა. როგორც იქნა მონახა წერილის მთავარი გასაღები, ნარკვევი არა უშავს რა გამოუვიდა. ახლა მხოლოდ დასკვნითი წინადადება ჰქონდა მისაწერი. შემდეგ ერთხელ კიდევ გადაიკითხა წერილი, წამოდგა, უცნობს ბოდიში მოუხადა, ამ წერილს მემანქანეს გადასაბეჭდად მივცემ და ახლავე დაგბრუნდებო.

ნოდარი მემანქანესთან დიდხანს არ შეყოვნებულა. უცნობი ისევე ისე იჭდა, როგორც დასტოვა. მისი სახე არაფერს გამოხატავდა, ცივი იყო, გაქვავებული.

ნოდარი მაგიდას მიუჯდა და უცნობს მიმართა:

— გისმენთ.

უცნობმა ნოდარს გამომწვევი მზერა ესროლა და შეეკითხა:

— თქვენ ნოდარ ბერიძე არა ხართ?

— დიახ, — მიუჯო ნოდარმა, — მიცნობთ?

— პირადად არა. ამას წინათ თქვენი წერილი მომეწონა, საბავშვო ბიბლიოთეკაზე რომ იყო დაწერილი.

ზმა ცივი ჰქონდა უცნობს, ჩახლენილი. ქება ესიამოვნა ნოდარს, მაშასადამე, მისი წერილი წაუკითხავთ.

— ბოდიშს ვიხდი, — დაიწყო უცნობმა, — თქვენ აქ რა თანამდებობაზე მუშაობთ?

— განყოფილების გამგე ვარ.

— ასეთი ახალგაზრდა... — არ დაამთავრა უცნობმა, შეჩერდა, შემდეგ ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაღი ამო-

ილო, გაშალა და ერთხანს ხელში ატრია-
ლა.

ნოდარმა არაფერი უპასუხა, დაელო-
და, ვიდრე უცნობი რამეს იტყოდა.

— დიდი ხანია თვალყურს გადავე-
ნებთ. გიგა ლეშაშელს ვიცნობ, მასთან
ამ საკითხზე არ მინდრდა მესაუბრა.
იმედია, ეს ჩვენს შორის დარჩება. რამ-
დენჯერმე შემოვიარე რედაქციაში, მარ-
ტო ვერ დაგიხელთეთ. ახლა დრო თუ
გაქვთ, მომისმინეთ.

ნოდარი დაინტერესდა, რა უნდა ჰქო-
ნოდა ნეტავი სათქმელი უცნობს. გიგას
ამბავიც სცოდნია. როგორც ჩანს, მართ-
ლაც საქმე იმდენად სერიოზულია, რომ
ვიდრე ნოდარი მარტო არ დაიხელთა,
არა თქვა. მაინც რა უნდა იყოს ასეთი?

— საქმე მეტად სერიოზულია, — გა-
ნაგრძო ჩახლუჩილი ხმით უცნობმა და
აქეთ-იქით მოავლო ფრთხილი მზერა, —
ერთი მასალა მაქვს, რედაქციისათვის
საინტერესო უნდა იყოს. პიროვნება,
რომელზედაც მასალა მოგიტანეთ, გავ-
ლენიანი პიროვნებაა, დაუნდობელი. ახ-
ლა ნუ შემეკითხებით, რამ მაიძულა მი-
სი ბნელი საქმოსნობა გამოემზებუ-
ნა. აქ საერთო, საზოგადო ამბავიცაა და
პირადიც, ორივე ერთად შეერთდა. ჰეც
მასთან ვმუშაობ, მაგრამ მასთან არა
ვარ. თითქოს პარადოქსია, თუმცა ასეა.
ამჟამად ფრჩხილებს არ გავხსნი, თავის
დროზე გეტყვით. ამ ქალაქზე ყველა-
ფერი სწერია, მაგრამ ვიდრე წააკითხავ-
დეთ, მას კომენტარი სჭირდება.

უცნობმა აკანკალებული ხელით ჯიბი-
დან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ჯერ
ნოდარს მიაწოდა, ნოდარმა სიგარეტი
არ აიღო, ჩემი მაქვსო. მოსაუბრემ
ნერწყვით თითი დაისველა და სიგა-
რეტს ისე დასწვდა. მეორე ჯიბიდან ასა-
თი ამოაძვრინა, ანთო და სიგარეტის
ბოლი ღრმად ჩაისუნთქა.

— ჩვენს რაიონში, — დაიწყო უც-
ნობმა, როგორც ეი თამბაქომ ცოტათი
დაამწვინა, — ერთი პატარა ჯგუფი
მოქმედებს, რომელსაც სათავეში რაი-
ვჭრობის თავმჯდომარე ვალერიან გო-

გუაძე უდგას. ისე მოხერხებულად მოქ-
მედებენ და ინიღბებიან, ქალზე გამოც-
დილი და საქმეში ჩახედულნი უნდა იყო,
რომ დანაშაულზე წაასწრო.

— მაგრამ ეს ხომ საგამომძიებლო
ორგანოების საქმეა, რატომ მათ არ მი-
მართავთ?

— თქვენ რა გვონიათ, მათ იქაც
აქვთ ფესვები გადგმული. თავად ნა-
ხავთ, თუ ამ საქმის გამორკვევას შეუდ-
გებით, კვალი სადაც მიგიყვანთ. ეპ,
ყმაწვილო კაცო, აქ ისეა ყველაფერი
ერთმანეთში ჩახლართული, რომ თუ
ერთი ნასკვი გახსენი, დანარჩენი თავის-
თავად გაწყდება. მაგრამ ესეც უნდა
იციოდეთ, ნასკვები ისეა შეკრული, მათ
გახსნას დიდი მოწოდება და სულს სო-
მტიციე სჭირდება. წინასწარ გაფრთხი-
ლებთ, ათასნაირ ზემოქმედებას მიმარ-
თავენ, არაფრის წინაშე არ დაიხევენ,
მათ ფული ბლომად აქვთ და სათანადო
გავლენითაც სარგებლობენ. თუ დას-
ჭირდათ, ცილსაც დაგწამებენ, ათასნაირ
პროვოკაციას მოგიწყობენ, მათ უცბად
შეუძლიათ დანაშაულის კვალის წაშლა.
აი, ასეა საქმე. თუ თავს არ აარიდებთ,
დაგვხმარებით, რათა მათი მეთაური
სააშკარაოზე გამოვათრიოთ.

ნოდარმა სმენა დაძაბა, მიხვდა, რომ
კარგი საკბილო ჩაუვარდა ხელში. უც-
ნობი ერთხანს შეჩერდა, თითი ნერწყ-
ვით დაისველა, სიგარეტი კვლავ ამოი-
ღო, ნერვიულად მოსწია და განაგრძო:

— გზებსაც გასწავლით, თუკი, რა
საკვირველია, თანახმა ხართ ამ საქმეს
ხელი მოჰკიდოთ.

— გააჩნია საქმის ვითარებას, — მიუ-
გო ნოდარმა, — როდესაც არაფერი ვი-
ცი, რა გითხრათ.

— მაშინ, — დაიწყო უცნობმა და
ნოდარს პირდაპირ შეხედა, — ერთი პა-
ტარა ამით დაეიწყეთ. ზეგ, ადრე დი-
ლით, ერთ ფარდულში მამაკაცის იმ-
პორტულ ჯემპრებს გამოიტანენ გასაყი-
დად. ფარდული ბაზრის შესასვლელშია,
გამყიდველად ვინმე გიგილო მუშაობს,
მოხერხებულზე მოხერხებული გამყიდ-

ველია, გაქნილი, მავრამ, ამასთან ერთად ძალიან მშიშარაა. ამ მშიშარობით გამოვიქვართ. დიდი რიგი და წიწწა-გლეჯა იქნება. ფაქტურაში ოცდაათამდე ჯემპარი თუ იქნება, ფაქტურად კი სამასს მაინც გაჰყიდის. ნუ გაგიკვირდებათ, ორასსამოცდაათი ჯემპარი აქ ნაკეთებია, იარლიყი ექნება მხოლოდ იმპორტული. ეგებ ის ოცდაათიც არ გამოაჩინოს, გადაყიდველს მისცემს და ოთხმაჯად გააყიდონებს. რიგში თუ დადგებით და ერთს იყიდით, შემდეგ ფაქტურა მოთხოვეთ. მე შორიახლო ვიტრიალებ და ვეცდები მყიდველთა ვინაობა და მისამართები დავიდგინოთ. პატარა ქალაქია ჩვენი ქალაქი, ბევრს ვიცნობ. უცბად უნდა იმოქმედოთ, მოფიქრებისა და გამრომ-გამომძრომის საშუალება არ უნდა მისცეთ. მყიდველთა სიას წარუდგენთ, მე მაგ სიას მალულად გადმოგცემთ. სიას რომ დაინახავს, წახდება, შეეშინდება. და უცბად ეგებ ყველაფერა დაროშოს. შემდეგ უფრო იოლი იქნება დაბურღული ნასკვის თანდათანობით გახსნა. გიგილო არაფერზე დაიხვეს, ფულსაც შემოგთავაზებს, ეს უკვე თქვენი საქმე იქნება...

ნოდარს სახე აუტარხალდა, წამოხტა.

— როგორ გეკარებდათ! — საყვედურითა და გაბრაზებით შეაწყვეტიდა.

— ეხ, ჩემო კარგო, ჯერ ახალგაზრდა ხართ. მაპატიეთ, რომ ასე მოგმართავთ. ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა, ისეთიც, რაც, ალბათ, თქვენ არც კი იცით. სხვათა შორის, ფულის გარდა სხვა ცდუნებებიც იქნება...

ნოდარი უცნობის წინ შეჩერდა.

— მაპატიეთ, — უთხრა მკაცრად, — თუ ჩემთან მოხვედით, ასეთი დარიგებები რა საჭიროა...

— სწორედ თქვენთან მოვედი, — ხელები მოიფშენიჭა უცნობმა, — პირადად თქვენთან, იმედი მქონდა, რომ ჩემს ასეთ დარიგებას ასეთი პასუხი მოჰყვებოდა. დაიფიწყეთ ჩემი სიტყვები და მომისმინეთ.

— მავრამ ამის შესახებ, — ცოტათი

მოლბა ნოდარი, — რედაქციის ხელმძღვანელებს უნდა მოვახსენო, მათი ნაწიციის გარეშე უფლება არა მაქვს რაიმე მოვიმოქმედო.

— ამ საქმეს ბიქტორ დიდიძე არ ეყოფა? — შეეკითხა უცნობი.

— ეყოფა, რატომ არ ეყოფა.

უცნობი ერთხანს დაფიქრდა, როგორც ჩანდა საბოლოოდ სწონიდა ბიქტორის კაცობის ავ-კარგს, შემდეგ ნოდარს მიმართა:

— ბიქტორი პირდაპირი და პატიოსანი კაცია, გაბედული და თამამი. კეთილი, ბიქტორს უთხარით. ახლა კი წავალ, დღევანდელი სათქმელი მოვათავე. ნახვამდის!

უცნობი წამოდგა.

— მავრამ თქვენ... — ნოდარი უცნობს შეაჩერდა.

— თავის დროზე ჩემს ვინაობასაც გეტყვით, ამჯამად საჭირო არ არის. თქვენ ხილი იხილეთ, მებალეს რას კითხულობთ. კარგად მენახეთ!

ნოდარმა კარამდე მიაცილა უცნობი. როგორც კი წავიდა, ნოდარს გაორებული გრძნობა დაეუფლა, საქმემ დააინტერესა, სადღაც სიამაყეც იგრძნო, რომ იგი ამოირჩიეს ამ საქმის გამოსარკვევად. მავრამ უცნობისადმი სიბრალულთან ერთად, რაღაც უსიამოვნო ფიქრი აღძრა. ხელიც საოცრად ცივი ჰქონდა უცნობს და ამასთან ერთად ოფლიანი.

ნოდარი ერთხანს კართან იდგა. უცნობი რომ თვალს მიეფარა, შებრუნდა და მბეჭდვად-მემანქანის ოთახში შევიდა. მემანქანეს მისი წერილის გადაბეჭდვა მოეთავებინა და ახლა სხვას ბეჭდვად- ორივე მასალა ნოდარს სასწრაფოდ უნდა მიეტანა სტამბაში, რომელიც იქვე, დერეფნის ბოლოს იყო მოთავსებული.

თავისი წერილი გულდასმით გადაიკითხა, გადაბეჭდვის დროს მემანქანის მიერ დაშვებული კორექტურული შეცდომები გაასწორა. შემდეგ გაიარ-გამოარა.

— ახლავე, ახლავე ესეც მზად იქნება, — უთხრა მემანქანემ.

მეორე წერილი რომ გადაიბეჭდა, ნოდარმა ორივეს ხელი დაავლო და სტამბისაკენ გააქანა.

27

რედაქციაში ნოდარი ყველაზე მეტად ბიქტორს შეეჩვია. განსაკუთრებით კორდმაღალში ერთად მგზავრობის შემდეგ დაუმეგობრდა, მაგრამ არასოდეს იფიქრებდა, რომ ბიქტორი მასზე უფროსი იყო წლოვანებითაც და სამსახურეობრივადაც.

რედაქტორს ნოდარი იშვიათად ხედავდა. თუ არ გამოუძახებდა, თავად არ შედიოდა მის კაბინეტში, არც გიგასავით ტრიალებდა მის თვალწინ.

ვერ იქნა და გიგას დიდად ვერ შეეწყო, გული მთლიანად ვერ გაუხსნა. რამდენჯერმე მოინდომა გიგამ ნოდარის აყოლიება. ყნოსვით იგრძნობდა თუ სად იყო პურმარილი გაშლილი და შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა ხოლმე ასეთ პურმარილზე ნოდარსაც ეპატიყებოდა, მაგრამ ნოდარი მუდამ რალაც საბაბს გამოიხატავდა და ზრდილობით უარს ეტყობდა. ნოდარი რომ ვერ აიყოლია, მოეშვა. ერთმანეთს კარგი დიმილით ხვდებოდნენ, ეს იყო და ეს. გიგა როდი იფხორებოდა, მუდამ შოულობდა თავის ამფოსონს.

არც ბიქტორი აკლებდა ნოდარს ყურადღებას. უხსნიდა, ასწავლიდა, რჩევადარიგებებს აძლევდა, მაგრამ ამას ისეთი ტაქტით აკეთებდა, არასოდეს ამჩნევინებდა, შენზე უფროსი ვარ, გამოკდილი და ყური მიგდგო. რასაკვირველია, უნივერსიტეტში ნასწავლი ქურნალისტობა სხვა იყო და ცხოვრებაში კიდევ სხვა. აქ სხვა საკითხები იყრიდნენ თავს, თვითუფილი საკითხი ათასჯერ იყო გასაზომი, ასაწონ-დასაწონი. ქურნალისტის ხელთ ადამიანის ბედია და ყოველი უმნიშვნელო შეცდომა შეიძლება საბედისწერო გამომდგარიყო, ან პირუკუ, ყოველი ზედმეტი ლიბერალობა სა-

ქმისათვის დამღუპველი ყოფილიყო.

როდესაც ნოდარმა რარქტრობის თაემგდომარეზე უცნობის მიუღწიოტანალი მასალა ბიქტორს გააცნო, ბიქტორმა გამომწვევად შეხედა ნოდარს და უთხრა:

— კარგი მასალა ჩავიგდია ხელთ, მაგრამ შეძლებ კი მის ბოლომდე გატანას?

— თქვენი დახმარებით, — მიუგო ნოდარმა.

— არა, — ხელი აიქნია ბიქტორმა, — ჩემი დახმარების იმედი ნუ გექნება: ერთ რამეში კი დაგეხმარები, თუკი მასალას ყოველმხრივ შემოწმებულს და კარვად დაწერილს მოიტან, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ დაიბეჭდოს. იცოდე, აქაც ბევრი დამცველი გამოუჩნდება გოგუაძეს.

— რედაქტორს ეტყვით ამის შესახებ?

— ჯერჯერობით ამის საჭიროება არ არის. თავის დროზე საქმის კურსში ჩავაყენოთ. არც შენ უთხრა არავის: ვერაფერში მოგეხმარებთან, ხელს კი შეგიშლიან. განსაკუთრებით გიგას ერიდე.

— დიახ, ასე მოვიქცევი. თუმცა შევძლებ კი...

— მე დიდი ხანია თვალყურს ვადევნებ. შენი იმედი მაქვს. ამ საქმეშიც გლოცავ, თუკი ჩემი დალოცვა რამეში წაგეხმარება პირველ ყოვლისა გეგმა შემუშავე, სამოქმედო გეგმა, ყოველი ნაბიჯი წინასწარ განსაზღვრე. ეცადე, მოულოდნელად და გაბედულად იმოქმედო. რედაქციის თანამშრომლობა უფლებას გაძლევს ყველგან შეხვიდე, ყველა საბუთი მოითხოვო, შენთვის ყველგან კარი ღიაა, ვერაფერს დაგაკავებენ. მაგრამ ამასთან ერთად ფრთხილად უნდა იყო, რამეში არ გამოგიკირონ, მიკერძობება არ დაგწამონ, არ დაგიმტკიცონ, თორემ შემდეგ ძნელი იქნება თავის დაღწევა. ჩვენგან სინიღისს, ნამუსსა და პატიოსნებას ათმაგად მოითხოვენ. აი, რა საქმეები ველის წინ. — ერთხანს დაფიქრდა ბიქტორი, შემდეგ ცერად ვადახედა ნოდარს, — ბევრი სიძნელე ველის. ხომ არ გირჩევნია, აუტ-

კივარი თავი არ აიტყვიო. რაიკომის ავითაცია-პროპაგანდის განყოფილებაში შენზე კბილები აქვთ დაღესილი. ეგებ ჯობდეს მოეშვა ამ საქმეს. ა, რას იტყვი?

ნოდარმა ბიქტორს ჯიქურ გაუსწორა თვალი. არა, მაინც რა არის ამ საქმეში ისეთი, რომ ასე აშინებენ იქ, ის უცნობი საიდუმლოდ მოვიდა. თუკი სიმართლე ჩემს მხარეზე იქნება, თუკი ხელთ კარგი მასალა ჩამივარდება, რისი უნდა მეშინოდეს!..

— თვალეში გატყობ, უკანდახევას არ აპირებ, — განავარძო ბიქტორმა, — არ აპირებ და ნუ აპირებ. აბა, შენ იცი...

სამუშაო დღის ბოლო იყო. გიგას დრო ეხელთა და ადრე გაპარულიყო. ნოდარი შეიპატოცა, კარგ ადგილას მიედევარ საქეიფოდ და შენთვის ერთი საშვი მაქვსო, მაგრამ ნოდარმა საქმეებში მოიმიზეზა და არ ვაპყვა. ნოდარი სადღილად დომენტი ოფიციალტთან დადიოდა რესტორანში, იმ ოფიციალტთან, ვისაც ჩამოსვლის მეორე დღეს გიგასი და თავისი დანახარჯი მიუტანა. დომენტი ნოდარს დაუმეგობრდა, შეეჩვია. თუ თავად გამოსასვლელი დღე ჰქონდა, მის შემცვლელს აბარებდა ნოდარს. უყვარდა დომენტის ნოდართან საუბარი და თუ დროს მოიხელთებდა ხოლმე, გვერდით მიუჯდებოდა.

დომენტის ოთხი შვილი ჰყავდა. ერთი უკვე ინჟინერი იყო და რუსთაშვი მუშაობდა, მეორე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, მესამე წელს ამთავრებდა საშუალო სკოლას და ყველაზე უმცროსი მეხუთე კლასში გადასულიყო. დომენტის შვილიშვილიც ჰყავდა, რომელიც მათთან იზრდებოდა.

— ჩემი ქალი, — იტყოდა ხოლმე დომენტი, — ყოჩალი დედაკაცია, შვილიშვილს თუნდაც ათს გაზრდის, მაგრამ ახლანდელი ახალგაზრდები ერთ-ორს-ღა თუ ჯერდებიან.

დღესაც ნოდარი დომენტის ესტუმრა სადილად. დომენტი დაუღალავი კაცია, მთელი დღე ფეხზე ტრიალებს. ზოგჯერ

ნოდარს თუ მიუჯდება ხოლმე, მაგრამ კლიენტები დანა-ჩანგლის ჩხარუნით მაშინვე წამოაყენებენ. გულახდილია ნოდართან დომენტი, ზედმეტად გულახდილი, მიუხედავად იმისა რომ იცის, ნოდარი გაზეთის მუშაკია. დომენტი როდი უმაღავს ნოდარს, რომ ანგარიშის დროს დანახარჯის წამატება იცის ხოლმე. მაგრამ აქაც თავისი წესი აქვს: არასოდეს მარტოხელა მოსადილეს, სტუდენტს, ან სოფლიდან ჩამოსულ მშრომელ კოლმეურნეებს, თუ კი ისინი კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ან ბუხვალტრები არ არიან, დანახარჯში არაფერს წაუმატებს. სამაგიეროდ, იცოცხლე, ფულიან ხალხს ტყავს აძრობს. ახია მათზე, უპატიოსნოდ ნაშოვნის ფული უპატიოსნოდვე უნდა წაართვა. დომენტის თავისებური ფილოსოფია აქვს: თუკი ფულიანებს ანგარიშში მოატყუებს, ამას დიდ ცოდვად როდი თვლის. საქმე ისაა, პატიოსანსა და ახალგაზრდა სტუდენტს ზედმეტი არ უანგარიშო. ხშირად შვილიშვილს იფიცავს ნოდართან დომენტი, პატიოსნება რომ დაიფიცოს, ეგებ, ნოდარმა არ დაუჯეროს. ზოგჯერ ჩამოსულ სტუდენტისათვის დანახარჯიც მთლიანად არ გადაუხდევინებია. სამაგიეროდ ასეთს, — დომენტიმ რესტორნის კაბინიდან გამოსული სახეაქარხლებული მამაკაცი დაანახა ნოდარს, — არ დავინდობ, სამშაგად ვაზღვევინებ დანახარჯს.

— ვინ არის ეს კაცი? — შეეკითხა ნოდარი.

— რაივაკრობის გამგეა, ვალერიან გოგუაძე და თავის მალახიის გამგეებს ისე ფტქენის, როგორც მწიფე მანდარინს.

ნოდარმა შეფარვით შეხედა ვალერიან გოგუაძეს. მაღალი იყო. წარმოსადეგი, მხრებზეანიერი. მაშ, ესაა ვალერიან გოგუაძე, რომელთანაც ბრძოლა მოელის: სასტიკი, დაუნდობელი, უკომპრომისო. ვალერიანი დარბაზში ვიღაცამ შეაჩერა, სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდა, აქებდა და აღიდებდა, ცამ-

დე აპყავდა. ვალერიანი გაღიმებული სახით უსმენდა, ქებას იფერებდა.

— კი მაგრამ, ძია დომენტი, — მიმართა ნოდარმა დომენტის, — თქვენ თუ იცით გოგუაძის ამბავი, მას სხვებსაც ეცოდინებათ და რატომ აქამდე ვერ გამოაშკარავეს?

— ხომ იცი, ჩემო ნოდარ, — მიუგო დომენტიმ, — თუ თაღლითს თაღლითობაში ვერ გამოიჭერ, ის თაღლითი არ არის. გოგუაძე ისე გაიძვერულად და მოხერხებულად მოქმედებს, რომ ძნელია ეყენის შეხმა.

ამ დროს ვალერიან გოგუაძემ დომენტი იხმო.

— დომენტი, ანგარიში! — მოესმა ნოდარს ბოხი, ძლიერი ხმა.

— აქვე გიანგარიშო?

— ახლა ამისათვის შემაწუხებ. წადი და შენთვის იანგარიშე.

ვალერიან გოგუაძე კვლავ კაბინეტში შევიდა, საიდანაც ხმამაღალი შეძახილები და სიცილ-ხორხოცი მოისმოდა. დომენტი ნოდარის მაგიდას მიუჯდა.

— ვილაც სტუმარი ჰყავს, — თქვა დომენტიმ, — ალბათ, მასავით გაიძვერა იქნება.

დომენტიმ პატარა საანგარიშო ააჩხაკუნა და ანგარიში დაიწყო:

— ღვინო თხუთმეტი ლიტრა იყო ჩვენ ოცდობრი ვუანგარიშით. ლიტრა ორ მანეთ ნახევარი ღირს, ჩვენ სამნახევრად ჩაუფთვალეთ, — თვალი ჩაუკრა ნოდარს, — სალათა-მალათა სამმაგი იყოს, ლიმონათ-ბორჯომი შეიღმაგი...

ასე ანგარიშობდა დომენტი და როდესაც საბოლოო ჯამში დიდძალი თანხა გამოუვიდა, ჩაიბურტყუნა:

— ეგ მათთვისაც ბევრი იქნება!

შემდეგ თავიდან დაიანგარიშა დანახარჯი და თანხას ცოტა მოაკლო.

— ესეც ხომ არაწესიერი საქმეა, ძია დომენტი, — შეაპარა სიტყვა ნოდარმა, — „უპატიოსნოაო“ ვერ გაუბედა.

— მაგ არა თქვა, — ხელები გაასავსავა დომენტიმ, — ხომ გაგიგონია, ქურდის ქურდი ცხოვრობდა. მე იმ ზღვას

წვეთს ვართმევ, რაც მაგას მრდის და გადმოსდის. ახია მაგაზე, კბენს საფუძელური მაშინ მითხარი, შენსთანგნებს კაპეიკი ზედმეტი თუ გამოვართვა...

28

ჭერ დილის ცხრა საათიც არ იქნებოდა, ბაზრის შესასვლელთან, სამრეწველო ფარდულის წინ რიგი რომ დადგა. გიგილო გამყიდველს, რომელიც ამ ფარდულის გამგეც იყო, გამყიდველიცა და დამლაგებელი, უკანა კარი გაეღო და ურიკიდან ახალ საქონელს ღებულობდა. ფარდულის დარაბა ჭერ კიდე დაკეტული ჰქონდა.

ურიკიდან მუყაოს ყუთები გადმოჰქონდათ და ფარდულში აწყობდნენ. გიგილო ყუთებს ითვლიდა. რიგში მდგომნი ცდილობდნენ ფარდულში შეეჭვრიტათ, მაგრამ ვერაფერს ხედავდნენ, რადგან დარაბა გიგილოს მაგრად დაეგმინა, ჭუჭრუტანაც არ დაეტოვებინა...

როგორც კი გიგილო ფარდულიდან ახალი ყუთების გადმოსაღებად გამოვიდოდა, რიგში მდგომნი არ ასვენებდნენ:

— გიგილო, როდის მორჩები მაგ ყუთების გადმოტვირთვას?

— ეს მაინც გვითხარი, კარგი ჯემბრები?

— გამოვიტან და ნახავთ, — მშვიდად პასუხობდა გიგილო, — ექსპორტია. თქვენთვის მინდა ყველაფერი, რაც გამაჩნია, და რაც არ გამაჩნია.

— თქვენ აქ რიგი არ დამიკარგოთ, — თქვა რიგში მდგომმა ქერა მამაკაცმა, — ფარდულს უკანიდან მოვეუვლო და ვნახავ, გიგილომ რა მოიტანა. მაჩვენებს უარს ვერ შეტყვის.

ქერა მამაკაცი რიგიდან გამოვიდა. ერთხელ კიდე შეახსენა მის უკან მდგარ ქალს, რიგი არ დამიკარგო და ფარდულს უკანიდან მოუარა.

გიგილოს ყუთების გადმოზიდვა მოეთავებინა, ახლა ყუთებს ხსნიდა და საქონელს დახლზე ალაგებდა. ქერა მამაკაცმა ფარდულში თავი შერგო.

— გიგილო, ბოლოს და ბოლოს გაგ-

ვაგებინე, რა ჭემპრები მოიტანე?

გიგილო გაბრაზებული მოუბრუნდა შემკითხველს, მაგრამ ქერა მამაკაცი რომ დაინახა, უცხად სახეზე თავაზიან-მა ლომილმა გადაურბინა, მამაკაცს თვალი ჩაუკრა, ერთი ჭემპრი მიაწოდა და სხაპასხუპით უთხრა:

— იტალური ჭემპრია, სამოცი მანეთი და ორი აბაზი ღირს, თუ ფული გაქვს, იყიდე, შენი სარგოა.

ქერა მამაკაცმა ჭიბეზე ხელი გაიკრა, ფული ამოიღო, გადათვალა და მიაწოდა:

— აქ სამოცდახუთი მანეთია, ხურდა არ მინდა. ეს მითხარი მხოლოდ, ნამდვილად კარგია?

— შენ მარკა ნახე, — აჩვენა მარკა გიგილომ, — იტალიურია, კითხვა თუ იცი, წაიკითხე. იმპორტებში ყველაზე საუკეთესოა.

ქერა მამაკაცმა ჭემპრი წამოიღო, რიგში მდგომთა თვალწინ გაშალა.

— რა კარგია!

— რა მშვენიერია! — გაისმა აქეთიქიდან.

— იტალიანსკია, — დაადასტურა ავტორიტეტულად ქერა მამაკაცმა, — ასეთი არაფერი მინახავს, — შემდეგ ჭიბიდან ფული ამოიღო, სამჯერ მაინც გადათვალა და დანანებით თქვა, — ეს ოხერი ფული აღარ მყოფნის, თორემ ორს ვიყიდდი, ამის ხელიდან გაშვება ცოდვაა.

ამ დროს გიგილომ ფარდულის წინა დარაბა გამოალო, ქერა მამაკაცის უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა და გასძახა:

— ფული კიდევ რომ გქონდეს, ერთს მეტს მაინც ვერ მოგცემდი. ხომ ხედავ, რამხელა რიგი დგას. ხალხი რას იტყვის, ყველას უნდა შეხვდეს თუ არა.

ნოდარი რიგში მეცხრე იყო. რედაქციის გუშინდელი სტუმარი, უცხო მამაკაცი შორიახლო იდგა. ნოდარს გვერდით ჩაუარა და თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ ისე რომ ნოდარს გაეგო:

— სპექტაკლია!

რიგს კი ემატებოდა და ემატებოდა. ვილაკები წესრიგის დაცვას შეუდგნენ. ურიგოდ არავის უშვებდნენ.

ნოდარმა ჩქარა აიღო ჭემპრი, გიგილომ უცხად აურჩია თავისი ზომისა.

— მშვილობაში! — მიაძახა და მიაწოდა. ნოდარმა სამოცი მანეთი და ორი აბაზი გადაუთვალა.

ერთ საათში ჭემპრები სულ გაიყიდა. მყიდველები იარლიყს რომ წაიკითხავდნენ, სიამოვნებისგან თავებს აქნევდნენ. ზოგს ჭემპრი არც კი მოეწონა, მაგრამ სხვების წახედულებით შეიძინა.

ნოდარმა ერთხანს იყილა გიგილოს ფარდულის შორიახლოს. როდესაც გასაყიდი გაიყიდა და რიგიც დიშალა, რედაქციისაკენ გასწია. გზაზე, მყუდრო მოსახვევთან უცნობი დახედა, ნოდარს ქალაღში გახვეული შეკვრა მიაწოდა და უთხრა:

— ეს ნამდვილად იმპორტული ჭემპრია. შიგვე დევს ქალაღი, სადაც თხუთმეტი მყიდველის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართია დაწერილი. წარმატებას გისურვებ!

ნოდარი პირდაპირ ბიქტორის კაბინეტში შევიდა.

— რა ჰქენი? — შესვლისთანავე შეაგება შეკითხვა ბიქტორმა.

ნოდარმა ორივე ჭემპრი გაშალა. ერთმანეთს შეადარეს და სხვაობა მაშინვე შეამჩნიეს.

— ახლა წადი და იმოქმედე! — ურჩია ბიქტორმა.

ნოდარმა ორივე ჭემპრი კვლავ მაგრად გაახვია. რედაქციის შენობიდან რომ გადიოდა, გიგა შეეფთა.

— ასე ჩუმად სად დადიხარ, ძმობილო? — გიგა ნოდარს წინ გადაუდგა. ამ დროს ბედად მათკენ ბიქტორმა გამოიარა.

— გიგა ლეშეაშელო! — შეუტია ბიქტორმა გიგას, — მაგ ყმაწვილს მოეშვი და შენს საქმეს მიხედე. მესამე გვერდის მაკეტი ვერ შემიდგენია, შენს წერილს ვუცდი, ჩქარა, ნუ მაგვიანებ.

— მესამე, მესამე! — უკმაყოფილოდ

ჩაიბურტყუნა გიგამ, — რა გაეწყობა, მივდივარ, — და ნოდარს მოეშვა.

ნოდარი გიგილოს ფარდულისაკენ გაეშურა. გიგილოს, როგორც ჩანდა, ნავაჭრის დათვლა მოეთავებინა და დახლთან არხენად იჯდა. მიდიოდნენ მასთან მყიდველები და შეკითხვებით სულს ართმევდნენ:

— გიგილო, ჭემპრი არ დაგრჩა?

— გიგილო, გადანახული რომ გაქვს ის გამოაჩინე...

— მორჩა, გათავდა, ფაფუ! — პასუხობდა გიგილო და გულგრილად გასცქეროდა ბაზრის შესასვლელთან მოფუსფუსე ხალხს.

ნოდარი ღელავდა. ერთხანს გიგილოს ფარდულის შორიხალო იტრიალა, ცოტათი დამშვიდდა. შემდეგ, როდესაც გიგილო მარტოდ დაიხელთა, მასთან მივიდა.

გიგრომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ნოდარს, ალბათ, ჩვეულებრივად თავმოსაბეზრებელი მყიდველი ეგონა.

— მე რაიონული გაზეთის რედაქციიდან ვარ, — დინჯად დაიწყო ნოდარმა და პირადობის მოწმობა ამოიღო. ღელავდა, ძალიან ღელავდა.

ცოლშვილს გეფიცებით, — დაფაცურდა გიგილო, — ჭემპრები სულ გავყიდე, ვინ დაგიტოვებს. თქვენისთანა პატიოსანი ხალხისათვის ორიოდე მქონდა გადანახული, მაგრამ მიპოვნეს და ისეთი დღე მაყარეს, იძულებულ ვიყავი, ისინიც გამეყიდა.

— საქმე მაქვს თქვენთან, ჭემპრი სულ არ მინტერესებს. აი, ჩემი მოწმობა.

— ღმერთო კი მომკალი! — შეიცხადა გიგილომ, მაგრამ ცალი თვალით მაინც გადახედა მოწმობას, მოწმობა რად მინდა, რაფა, ამ პატიოსან კაცს არ გენდობი თუ... რითი შემიძლია გემსახუროთ?

— ჭემპრების ფაქტურა მაჩვენე, — უთხრა ნოდარმა.

გიგილო დაფაცურდა, ქალღლებმა

დიღხანს ურია ხელი, ათჯერ მაინც გადაიღო და გადმოიღო. გადასვლაგებელი ქალღლი ბევრი არ ჰქონდა. ერთხელ კიდევ გადახედა ნოდარს. თვალები ვერ გაუსწორა, სადღაც გვერდით გაურბოდა. შემდეგ ჩუმად შეაპარა:

— ეს ჩემი ბიჭისათვის მინდოდა, — და დახლს ქვემოდან ჭემპრი ამოიღო, — შეგიძლიათ წაიღოთ.

— მე ჭემპრის საყიდლად არ მოესულვარ, — შტკიცედ უთხრა ნოდარმა. თანდათან აღელვება დასძლია, დამშვიდდა და შეკითხვა გაუშეორა, — თქვენ ამ ჭემპრების ფაქტურა მიჩვენეთ.

— ფაქტურა?.. ახლავე, ახლავე... — კვლავ გადაალაგ-გადმოალაგა გიგილომ ქალღლები. როგორც იქნა იპოვნა, თუმცა ფაქტურა იქვე იღო, — ინებეთ!

ნოდარმა ფაქტურა აიღო. პირველად ეკირა ასეთი ქალღლი. ჭერ ვერც თავი გაუვო და ვერც ბოლო. თანდათან გაერკვა. „საქონლის“ გასწვრივ ეწერა — „მაშაკაცის ჭემპრი“, ქვემოთ — „იმპორტული, იტალია“, კიდევ ქვემოთ „ოცდახუთი ცალი“. ესეც ასე, მაშასადამე. მხოლოდ ოცდახუთი ცალი ჭემპრი ჰქონია, გიგილომ კი დღეს ორასამდე მაინც გაჰყიდა. ის ოცდახუთი, ალბათ, არცკი გამოიტანა. ნოდარმა ბლოკნოტი ამოიღო და ფაქტურის გადაწერას შეუდგა.

— რას აკეთებთ? — ფრთხილად შეეკითხა გიგილო.

— ფაქტურის ასლს ვიწერ და მისი სიმართლე უნდა დამიდასტუროთ.

— მე რომელი ნოტარიუსი ვარ, — ხელები გაასავსავა გიგილომ, — ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია.

— მაშინ ნოტარიუსთან წავიდეთ და იქ შევამოწმოთ, — უცბად იპოვნა გამოსავალი ნოდარმა, — განა შეუძლებელს რასა გთხოვთ. დამიდასტურეთ ამ ფაქტურის არსებობა, ესაა და ეს.

გიგილო აირია. ათასნაირ გასაჭირიდან შექმლო თავის დახსნა, მაგრამ ეს ყმაწვილი ისე მოულოდნელად შემოეპარა, დააბნია. რევიზიისათვისაც მოუვ-

ლია მრავალჯერ. რედაქციიდანაც იყვნენ მასთან, ის იყო, მაღალი და როხროხა, გიგა უნდა ერქვას. ყველასთან მონახა საერთო ენა. მორიგებისას კამათი მხოლოდ შეძლებული თანხის რაოდენობას ეხებოდა. არც ამაში იხევდა გიგროლო, რადგან იცოდა, დანაკარგს სხვაგან აინაზღაურებდა ათმაგად. ეს ყმაწვილი კი, ღმერთმა ჭეყის, ვინ არის? შეაძლოს ფული და ვაი თუ საქმე სულ გააფუჭოს! ეხ, რაც იქნება იქნეს, ვცდი მაინც... — გაიფიქრა გიგილომ და ოთხი ოცდახუთმანეთიანი მოხერხებულად ქალაქებში ჩასდო. შემდეგ გადაიფიქრა, ერთი ოცდახუთმანეთიანი დააკლო, სამი დასტოვა და ვითომ ახალ საბუთებს აწოდებდნო, ნოდარს წინ დაუდო. ნოდარმა მოწოდებულ ქალაქებს გადახედა, გადაფურცლა, ფულს მოჰკრა თვალი, სახეზე აღმური წაეკიდა, მაგრამ მაშინვე შესძლო თავის შეკავება. გაახსენდა უცნობის ნათქვამი „ისინი ყველაფერს იკადრებენ, ფულსაც შემოგთავაზებენ...“ ერთ წუთს გაუელვა თავში, გიგილოს კი სხვათაშორის უთხრა:

— ქალაქებში ფული დაგრჩენიათ! გიგილოს ეგონა, ეცოტავებოთ, მაგრამ მიხვდა, ახალგაზრდას ფული არც კი დაუთვლია, მაშ, ამ ანკესს არ წამოეგო.

— ფული, რა ფული? — გაიოცა გიგილომ და ფულს აღმაეცრად გადახედა, ჰაუ! — იტყვიც თავში ხელი, — რამდენი ხანია ვეძებ ამ ოხერს და აგერ არ ყოფილა!..

აკანკალებული ხელებით ფულს დასწვდა და დახლის ქვემოთ ყუთში დაუთვლელად ჩაყარა.

ნოდარმა ფაქტურა გადმოიწერა, ფაქტურა გიგილოს დაუბრუნა, ასლი წინ დაუდო და უთხრა:

— მომიწერეთ ხელი.

გიგილომ ფაქტურის ასლი დიდხანს იკითხა, ამ ახალგაზრდას სიტყვა-სიტყვით გადაეწერა. შემდეგ შეფარვით გადახედა ნოდარს, მაგრამ მის თვალებს წააწყდა, თვალეები სხვაგან გაექცა.

— რაში გკირდება ჩემი ფაქტურის ასლი? — ჰკითხა.

— დამიდასტურე, რომ ფაქტურისასლი დედანთან სწორია.

— ვთქვით დაგიდასტურე, მერე?... — გააგრძელა გიგილომ.

— მომიწერე!

— განა რა არის ისეთი, რომ არ მოგიწერო. ახლავე, ახლავე... — აღუღლულდა გიგილო, — ფულისა არ იყოს, ეს ოხერი ფანჭარიც სადღაც დამკარგვია... —

— ჩემი კალამი ინებე, — ნოდარმა თავისი ავტოკალამი მიაწოდა.

— მაინც არ შეგიძლია მითხრა, რაში გკირდება ეს ასლი? — ყოყმანობდა გიგილო.

მიხვდა ნოდარი, გიგილო ხელს არ მოაწერდა ფაქტურის ასლს, ამიტომ გადაწყვიტა, ყველაფერი პირდაპირ ეთქვა. ბოლოს და ბოლოს, ხელს თუ არ მოაწერს, აგერ, ორი ჭემპრი არა აქვს გიგილოს გამოსააშკარავებლად.

— გეტყვი, რატომ არ გეტყვი, — დაიწყო ნოდარმა, — ფაქტურაში გიწერია, რომ ოცდახუთი იმპორტული ჭემპრი მიიღე, მე კი, თავად ვარ იმისი მოწმე და სათანადო საბუთიცა მაქვს, რომ ნაცვლად ოცდახუთისა, ორასამდე ჭემპრი გაყიდე. ეს მინდა გავიგო, თუ საიდან გაჩნდა ის ასსამოცდათხუთმეტი ჭემპრი და ამისათვის გთხოვ ასლის შემოწმებას. არ მოაწერთ და ფაქტურას ბაზაში ენახავ, ამით მხოლოდ, ზედმეტ დროს დავხარჯავ.

— ჰაუ! — მეორედ იტყვიც თავში ხელი გიგილომ, დაიბნა, გაფითრდა, ერთიანად აკანკალდა, — ჰაუ! — გაიმეორა, როცა ოდნავ გონს მოეგო, მაგრამ სათქმელს მაინც ვერ მოუყარა თავი, — რის ორასი, რა ორასი... საიდან გავაჩენდი?..

— ეს კი არ ვიცი, — მშვიდად მიუგო ნოდარმა.

— პატიოსნებას. გეფიცები... — სულ წახდა გიგილო, — აქ რაღაც გაუგებრობაა... ვინა თქვა, ვინ ოხერმა მოჩმახა..

ათასი მტერი მყავს... რას არ იტყვიან...

— ხელი მომიწერე.

— იცი რა, ყმაწვილო, — უკანასკნელად გაიბრძოლა გიგილომ, — ასეთ ქალღმერთს არასოდეს ხელი არ მომიწერია და ვერც ახლა მოვაწერა...

— რა გაეწყობა, — უთხრა ნოდარმა, ასლი დაკეცა, ჯიბეში ჩაიღო, შეშდევ გიგილოს ავტოკალამი გამოართვა, რომელსაც გიგილო უაზროდ ხელში ატრიალებდა, — რა გაეწყობა, — გაიმეორა, — მე აგერ ხელთ ორი ჯემპირი მიჭირავს, ერთი იმპორტულია, მეორეს კი მხოლოდ იმპორტული იარაღი აქვს მიკერებული, — უთხრა და მიბრუნდა, წასასვლელად მოეშვადა.

— ერთი წუთით!.. — სასოწარკვეთილი ხმით მოუხმო გიგილომ და გადაწყვიტა, უკანასკნელი ღონე ეხმარა, — ფული თუ გეცოტავა...

ნოდარი უხმოდ მოტრიალდა და გიგილოს ფარდულს გაშორდა. ზურგს უკან გიგილოს განწირული ხმა მოესმა:

— როგორც შეიღს გეხვეწები.. მშობლები არა გყავს, მაგათ თავს გაფიცებ... ადამიანი არა ხარ, ვაჟკაცი არა ხარ, ნუ დამღუპავ...

ნოდარს ბიქტორი კაბინეტში დახვდა.

— ახალი რა არის? — შესვლისთანავე ჰკითხა ბიქტორმა.

ნოდარმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ფაქტურის ასლიც უჩვენა, მყიდველთა სიაც, რომელიც უცნობმა გადასცა.

— ოჰო, ჰო, — ხელები მოიფშვნიტა ბიქტორმა, — რა მასალა ჩაგიგდია ხელში! კანფერტივით მასალა... ისეთ საქმეებს დავატრიალებთ...

— მაგრამ ფაქტურის ასლზე ხელი რომ არ მომიწერა.

— ეგ არაფერი. ახლავ რაივაქრობის თავმჯდომარესთან, ვალერიან გოგუაძესთან წადი და ყველაფერი უამბე. ვნახოთ, რას იტყვის ის ღლავი. ახლა კი, ვფიქრობ, ხელიდან ვეღარ დაგვისხლტება. ჰკუთ უნდა იმოქმედო, არც ისე

იოლი იქნება მისი ბაღეში გახვევა და იცა, დავურეკავ და მერე წაიღებ...

ბიქტორმა ტელეფონის ნომერი აკრიფა.

— დაკავებულია! თქმა არ უნდა, გიგილო მოასწრებდა ყველაფრის შეტყობინებას. ვალერიან გოგუაძეც, ალბათ, ზომებს ღებულობს. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს? — კვლავ აკრიფა ტელეფონის ნომერი, — ისევ დაკავებულია. შენ წადი, ვეცდები, შენს მისვლამდე დავუკავშირდე. თუ ვერ დაველოცავ, თამამად შედი, საბუთები წინ და ულაგე, ვნახოთ, რა პასუხს გაცემს. იქიდან პირდაპირ ჩემთან მოდი, დაგელოდები, შენს მისვლამდე ფეხს არ მოვიკეცი.

ნოდარი რაივაქრობისაკენ გაემართა. ხელი ნაბიჯით მიდიოდა. თვალწინ ედგა მაღალი, ბრგე ვაჟკაცი, იმ დღეს რესტორანში რომ ნახა. საინტერესოა რას ეტყვის?

ფიქრებში ჩაფლულს არც შეუძინებია, ისე მისულიყო რაივაქრობის შენობასთან. რაივაქრობა ახალ, ორსართულიან კოხტა შენობაში იყო მოთავსებული. ნოდარს მოეჩვენა, თითქოს ვიღაც კიბეზე იდგა და მის დანახვისთანავე გაუჩინარდა. იცოდა ნოდარმა, დაწესებულების ხელმძღვანელის კაბინეტი, როგორც წესი, მეორე სართულზე იქნებოდა. თავმჯდომარის მისაღებ ოთახში შევიდა. იქ ახალგაზრდა ქალი საბეჭდო მანქანაზე რაღაცას ბეჭდავდა. ნოდარი მას მიუახლოვდა.

— ბოდიში, თქვენი თავმჯდომარე თუ არის?

ქალმა ბეჭდა შეწყვიტა და ცნობის-მოყვარეობით შეაკერდა ნოდარს. ეგებ მოეჩვენა. როდესაც ნერვები დაკომული აქვს ადამიანს, მართლაც, ბევრი რამ ეჩვენება.

ქალმა შეკითხვითვე მიუგო:

— ვინ ბრძანდებით?

— რაიონული გაზეთის რედაქციიდან ვარ.

— ახლავ, — მიუგო ქალმა, — ერთ წუთს დაიცადეთ, მოვახსენებ, — და იმ

ქარში შევიდა, რომელზეც ოქროსფერი ასოებით ეწერა: „რაივაცრობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. გოგუაძე“.

მდივანი კაბინეტიდან ჩქარა გამოვიდა და ნოდარი შეიპატივა:

— შებრძანდით.

ნოდარი კაბინეტში შევიდა. რაივაცრობის თავმჯდომარის ოთახი დიდი იყო, ფართო და მზიანი. კედლებთან სავარძლები იდგა, ლამაზი და ორიგინალური.

ნოდარის შესვლისთანავე ვალერიან გოგუაძე წამოდგა, კართან თავაზიანად მიეგება შემოსულს. კაბინეტში მის გარდა არავინ იყო. ნოდარს მოეჩვენა, თითქოს ერთ წუთს ვალერიანის თვალბმა სიბრაზით დაკვესეს, მაგრამ სახიდან უცბად გადაიყარა ღრუბლები და ღიმილი აიფარა. ეგებ, თვალების დაკვესებაც მოეჩვენა ნოდარს.

— დაბრძანდით, — მიიპატივა ვალერიანმა ნოდარი და თავადაც მიუჯდა მაგიდას. ნოდარიც დაჯდა.

ვალერიანმა სიგარეტი ამოიღო. ამერიკული „კენტი“ იყო და ნოდარსაც მიაწოდა. ნოდარმა თავისი სიგარეტი აიღო.

— ჩემი ინებეთ! — უთხრა ვალერიანმა.

— გმადლობთ, — მიუგო ნოდარმა, — ამას შევეჩვიე.

ვალერიანმა ასანთი აანთო და ცეცხლი მიაწოდა. ერთხანს სიგარეტებს აბოლებდნენ. ვალერიანი ცნობისმოყვარეობით ათვალერებდა ნოდარს. ერთხელ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. ვერ გაუძლო ვალერიანის თვალებს ნოდარმა, უტეხი თვალები ჰქონდა, იყო რაღაც არწივისებური მის გამოხედვაში, ქედმაღლური, თვითდარწმუნებული. ნოდარი ჩუმიად იჯდა. ბოლოს ღუმილი ვალერიანმა დაარღვია:

— გისმენთ, რისთვის გარჯილხართ?

— მე რაიონული გაზეთის თანამშრომელი ვარ, ჩვენი გაზეთის მდივანს ბატონ ბიქტორს უნდა დაერეკა თქვენთვის... — მშვიდად დაიწყო ნოდარმა.

— ეს-ესაა დამირეკა. მითხრა, ჩვენი გაზეთის თანამშრომელი მოვა და მოუს-

მინეო. მეც გისმენ, ყმაწვილო!

ნოდარმა უცნობის მიერ გადმოცემული მყიდველთა სია და შემპირების ფაქტურის ასლი ამოიღო ჟიბიდან.

— იცით, — დაიწყო ჩუმი ხმით, ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, — თქვენს ფარდულში, აი, ბაზრის შესასვლელთან რომ არის, ვაქრობის წესების უხეშ დარღვევას წავაწყდი.

— ახ, გიგილოს ფარდულში არა?

— დიახ, გიგილოს ფარდულში. წარმოიდგინეთ...

ვალერიანმა სიტყვა გააწყვეტინა:

— უყურე შენ მაგ არამზადას! — გაბრაზდა ვალერიანი, — რაები დაუწყია, მაგრამ გაება კიდევ ჩიტი მახეში!

ნოდარმა გოცებით ახედა ვალერიანს.

— წარმოიდგინე, ყმაწვილო, — განაგრძო ვალერიანმა, — გუშინ გიგილოზე ჩვენთანაც შემოვიდა საჩივარი. ახლახან შევამოწმეთ, რევიზია დავასხი თავზე და თქვენი გიგილო იყო და არა იყო რა.

— როგორ?.. — დაიბნა ნოდარი.

— სადაც ჯერ არს მიაბრძანეს ის არამზადა. უფაქტურო საქონელი აღმოაჩნდა და ახლა მილიციაში იმყოფება. ფარდული კი დალუქეს. საქონელი სხვა რაიონიდან შემოუზიდავთ. ან როგორ მოახერხეს ამდენი იტალიური იარაღის მოგროვება.

ვალერიანი ქედმაღლურად შეჰყურებდა ნოდარს, თვალები უციმციმებდა, ტუჩებზე ღიმილი აეკრა, ჩანდა თავს იკავებდა, რომ გულიანად არ გადაეხარხარებინა.

ყველაფერს მოელოდა ნოდარი და ასეთ სულს კი არა. მოელოდა მუქარას, დაყვავებას, შეპირებას, მორიგებას, მაგრამ ეს კაცი თუ საქმეს ასე შეატრიალებდა, არ ეგონა. სულ დაიბნა, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. საინტერესო იყო, მართლა პარალელურად შემოწმდა რაივაცრობის თავმჯდომარე, გიგილო, თუ გაიგო ნოდარის მისვლა და დაასწრო. ვინ იცის, ვინ გაიგებს!..

ფიქრებიდან ვალერიანის შეკითხვამ გამოიყვანა:

— თუ შეიძლება თქვენი საბუთები მიჩვენეთ.

ნოდარმა ქალაღდები გაუწოდა. ვალერიანმა გადაათვალიერა, შემდეგ დაუბრუნა და უთხრა:

— ეს მასაღები, თუ გნებავთ, მილიციის გამომძიებელს გადაეცით, გამოადგებათ. თუმცა, მათ ჩვენი ისეთი აქტი აქვთ ხელთ, რომ ის არამზადა ციხეს ვერ აცდება. იყოს, ეს მასაღებიც დაემატოს ერთხანს კაბინეტში დღმილი ჩამოწვა.

— კარგად მოქცეულხარ, ყმაწვილო, — კვლავ ვალერიანმა ამოიღო ხმა, — ჩანს, გამომძიებლის კარგი ყნოსვა გქონია. მხოლოდ ესაა, ცოტა დაგაგვიანდა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, არამზადან თქვენ აღმოაჩენთ თუ ჩვენ, სულ ერთია, ის პასუხს აგებს.

„დამასწრო, — გაუღევა ნოდარს, — ნამდვილად დამასწრო. მაგრამ ასე ჩქარა... ასე უცებ...“

— გაზეთში რა თანამდებობა გიჭირავს? — მოესმა შეკითხვა ნოდარს. თავი ასწია, პირდაპირ შეხედა ვალერიანს, მის არწივისებურ გამოხედვას გაუძლო და მშვიდად მიუგო:

— განყოფილების გამგე ვარ.

— გულწრფელად გეტყვი, — მფარველური კილოთი განაგრძო ვალერიანმა, — მართალია, პირველად შეგხვდით, მაგრამ გამორკვევითა და მასაღების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კვიციანი ყმაწვილი ჩანხარ. თქმა არ უნდა, ვიღაცა გეხმარებოდა. მერე რა, ესეც ნიჭია, საქმეში ჩახედული მოკავშირე რომ იპოვნო.

„ახლა არ შემეკითხოს ვინ არისო, — გაიფიქრა ნოდარმა, — თორემ არ ვიცი რას ვიზამ“.

ვალერიანს იმდენი ჰქუა აღმოაჩნდა, ეს არ ეკითხა, სხვაგვარად მოუარა.

— ხელფასი რა გაქვს?

ნოდარმა უკმეხად მიუგო:

— ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— თუ მომავალში პროფესიის შეცვლას გადაწყვეტთ, ჩვენთან მოდით. თქვენისთანა ხალხი ძალიან მჭირდება-

ეს კი მეტისმეტი იყო. წამოდგა. ვალერიანიც წამოდგა.

— მომავალშიც თუ ასეთ საქმეში დაგვეხმარებით, მადლობის მეტი რა შეთქმის. ყველგან და ყოველთვის თქვენს მოკავშირედ მივუღებ.

ნოდარს ბრაზი აღრჩობდა, ყელში აწევებოდა, საოცრად მოსწყურდა. კედელთან მდგარ დიდ მაგიდაზე წყლის სურა იდგა, მაგრამ ნოდარს ძალია არ ეყო სურიდან წყალი ჭიქაში ჩაესხა.

— ნახვამდის! — წაიდუღუნა და კარისაკენ გასწია.

— მოგვინახულე ხოლმე, მუდამ სანატრელი სტუმარი იქნები, — დაადევნა ვალერიანმა, — მომავალში კარგ საქმეზე გვენახოს ერთმანეთი.

ნოდარს რომ თავი მოებრუნებინა, დაინახავდა, თუ როგორ უციმციმებდა ვალერიან გოგუაძეს არწივისებური თვალები.

ქუჩაში გამაგრებულ წყალს ჰყიდიდნენ. ნოდარმა სამი ჭიქა ზედიზედ დალია, რითაც წყლის გამყიდველი გააოცა.

— ნაბახუსევი იქნები, ყმაწვილო, — უთხრა ღიმილით წყლის გამყიდველმა.

უფ, ძლივს არ ამოისუნთქა ნოდარმა თავისუფლად. ნაბახუსევი კი არა და... როგორც იქნა ბოლომით გამომშრალი ყელი ჩაეწმინდა.

29

ორნი ისხდნენ ბიქტორის კაბინეტში. თავად ბიქტორი და ნოდარი. გუშინ, ვალერიან გოგუაძისაგან რომ დაბრუნდა, ბიქტორი არ დახედა ნოდარს. სოფელში გაეგზავნა რედაქტორს. მხოლოდ ამ ღამით დაბრუნდა. ეს-ეს იყო ნოდარმა ბიქტორს ვალერიან გოგუაძესთან შეხვედრის ამბავი უამბო. ბიქტორი სიცილისაგან გადაფიჩინდა. გულიანი სიცილი იყოდა. მაინც ეს რა კონტრასტული გაუკეთებია. ასეთ სვლას მოჰადრაკეები ძახილის ნიშნით აღნიშნავენ. რა შესანიშნავი გამოსავალი მოუნახავს. გასწირეს გიგილო, ყველაფერს მას გადააბრალებენ. ასე იციან, მთავარ-მთავრებმა

რომ თავი დაიძვრინონ, პატარ-პატარებს გასწირავენ. სულ ერთია, პატარებმა იციან, მსხვილ-მსხვილები რომ ჩავარდნენ, პატარებსაც თან მიაყოლებენ, ამიტომ მზად არიან თავი გასწირონ. უფროსებმა განწირულთა ოჯახების მიხედვაც იციან, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სასამართლოს სასამართლოს შემდეგაც არ აკლებენ ყურადღებას, რადგან გადასახლებაშიც შეიძლება ადამიანმა ახალი ჩვენებანი მოსცეს და საქმეში სხვებიც ჩაითრიოს.

ნოდარი ჩუმად იჯდა. არ იცოდა, გიგილოს ამბავი მისი გამარჯვება იყო, თუ დამარცხება. ალბათ, დამარცხება, მაგრამ ერთი ქურდბაცაცა მაინც ხომ მოაშორა დღის სინათლეს, ესეც საქმეა თუ არა! დრო მოვა და თუ ვალერიან გოგუაძეც ურევია ასეთ საქმეებში, მასაც მისწვდება. დიდს დიდი მასშტაბებით უნდა ებრძოლოს. როგორც ჩანს, გიგილოსთანა ლიფსიტების ამოკერა გოგუაძეს ძვრას ვერ უხამს. უტყუარი, მამხილებელი საბუთებია საკირო, რათა ადგილზევე მიაღწერს, მაგრამ არის კი ასეთი მასალები? და საერთოდ, არის კი ვალერიან გოგუაძე უპატიოსნო კაცი?

ბიქტორთან ვიგა შემოვიდა და ნოდარს მიმართა:

— ჰა, როგორ ამოგაცალე ბადიდან გიგილო ქურდბაცაცა?

— შენ საიდან იცი? — მკაცრად მიმართა ვიგას ბიქტორმა.

— მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ბიქტორ ვარლამიჩ! ამ ყმაწვილს გიგილო უფაქტურო საქონლით ვაჭრობის დროს გამოუქვრია, მარამ სანამ ფელეტონს გამოაცხობდა, გოგუაძეს მოუსწრია და თავად დაუპატიმრებია საცოდავი გიგილო. მაინც რა კაცია ეს ვალერიან გოგუაძე, ყნოსვითა ვრძნობს ყველაფერს.

— ეს ამბავი ჩერ გახმაურებულიც არ იქნება, — შეაწყვეტინა ბიქტორმა, — გულწრფელად გვითხარი, თვითონ გოგუაძემ ვიამბო, არა?

— რა არის ამაში ცუდი, თუნდაც მას ეამბნა, — იხტიბარი არ გაიტეხა ვიგამ, — მეგობარი კაცია. არ შეიძლება მე-

გობრად რაივარობის მუშაი გვადეს?

— რატომაც არა, მაგრამ ვერც კორსკამზე ჯდომა ვარგა.

— ვერ გავიგე...

— კარგადაც გაიგე, მაგრამ ყურს იყრუებ. საერთოდ, ვიგა, ეცადე, უფრო წინდახედულად მოიქეცე.

— ამ დამით რა ქარავებით მელაპარაკებით?

— ჩერ მხოლოდ ქარავებია, რადგან ბევრი რამ არ მჭერა, მაგრამ თუ რაიმეში დავრწმუნდი, ჩვენს შორის საბოლოოდ ჩატყდება ხიდი.

— რას მერჩით.

— მაშინ ისიც თქვი, კიდევ რა გითხრა ვალერიან გოგუაძემ?

— რა უნდა ეთქვა. გიგილოს ამბავი მიამბო, განსაკუთრებით ნოდარი აქო, გამკრიახი ყმაწვილი ჩანსო. წამოსვლისას დამიბარა, აბა, თქვენ იცით, რა ფხიზლად იდგებით კანონიერების სადარაჯოზე და დამეხმარებით ქურდბაცაცების გამომზეურებაშიო.

— გაუმასხრებიხარ და ისაა.

— რატომ გავეუმასხრებივარ?

— მაგას ისე უნდა ქურდბაცაცების გამომზეურება, როგორც მე ახლა მის ადგილას ჯდომა.

— გაწყენდათ თუ? კარგი ხელფასი, კარგი სახლი, ახალი მანქანა, შესანიშნავი კაბინეტი და იმდენი საწველი ობიექტი...

— ბიჭო, დრო რომ იყო, მაგ ობიექტებს ვავექმეცო. გაზეთი რომ დაგვიხურეს, ათას ადგილს მთავაზობდნენ, მე მაინც სკოლაში მასწავლებლობა ვარჩიე. მე ერთი კარგი მამხილებელი მასალა ამ გოგუაძის მთელი წლის შემოსავალს მირჩევნია.

— გამოუსწორებელი კაცი ხართ, ბიქტორ ვარლამიჩ, — ვიგა ცოტა ხნით დაფიქრდა, — მეც რომ თქვენსავით პრინციპული ვიყო...

— თუ არა ხარ, უფლება არა გაქვს პრესაში მუშაობისა! — მკაცრად შეაწყვეტინა ბიქტორმა.

— ასე კი ნუ გამწირავთ, ბიქტორ ვარლამიჩ, — სერიოზულად მიუგო ვი-

გამ, — ღმერთმანი, იოლად გასაწირო არა ვარ.

— ვიცი და ამიტომაც ვითმენ ამდენ-ხანს.

— ეს ვერაფერი ნუგეშია.

ნოდარი მათ კამათს უურს არ უგდებდა. ფიქრით იქ იყო, ვალერიან გოგუაძესთან.

— ჰო, მართლა, ნოდარ, — მიუბრუნდა გიგა ნოდარს, — გოგუაძემ შემოვითვალა, გავიგე, ჭეშპირი, როგორც მამხილებელი მასალა გიყიდიანო. ჭეშპირი დააბრუნე და ფულს უკან მოგართმევთო.

ნოდარმა გაოცებისაგან ხმა ვერ ამოიღო. ბიჭორი სიცილისაგან შეხტა.

— ხა, ხა, ხა, ღმერთმანი მომწონს ის კაცი, ნახე რა თავზედია! ხა, ხა, ხა, ფულს დაგიბრუნებთო...

— არა, რატომ უნდა დაჰკარგოს, — თქვა გიგამ, — ნამდვილად იმპორტული რომ იყოს, კიდევ ჰო... ჩვენს არტელში დამზადებული ნაგავი რად უნდა!

30

ოთახში ზარის ხმა გაისმა. ნოდარმა მჯინის საათს დახედა. თერთმეტი სრულდებოდა. ამ ღამით არავის ელოდა, ისიც იყო ლოგინი გაშალა და უნდა დაწოლილიყო. ნეტავი ამ შუალამით ვინ უნდა იყოს? ნოდარი წამოდგა და კარი გააღო.

კართან ის უცნობი იდგა, რომელმაც გიგილოზე საბუთები მოუტანა. უცნობი ფრთხილად შემოვიდა და უცბად დაკეტა კარი. ძლივს სუნთქავდა, გული ყელში ებჯინებოდა. ჩანდა კიბე სულის ერთი მოთქმით ამოერბინა.

— გამარჯობა, ნოდარ! — მიესალმა.

— მობრძანდით, — დაიბნა ნოდარი. მის სტუმრობას ამ შუალამით არ ელოდა.

უცნობი სკამზე ჩამოჯდა. მარცხენა იდაყვით მაგიდას დაეხვინა, სული მოითქვა.

— ხომ არ გიკვირს ამ შუალამით ჩემი მოსვლა? — შეეკითხა უცნობი.

— როგორ ვითხრათ...

— მაშინ პირდაპირ დავიწყეთ, — თქვა უცნობმა, — გოგუაძემ მამემთხვევაში პირწმინდად გაგვტყუა. არა მგონა იმ ქურდბაცაცას თუ გასწირავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. საქმე აშკარა იყო და თავს ვერ დაიძვრენდა. აწი ფრთხილად მოიქცევა, მაგრამ, პირობას გაძლევ, მაინც არაფერი უშველის, — ხელების ფშენეტიჩი ჩაიხითხითა უცნობმა, შემდეგ ნოდარს გამომცდელი თვალთ შეხედა, — ბრძოლა ხომ არ გადაგიფიქრებია?

— არა, — მტკიცედ მიუგო ნოდარმა, — არა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

ნოდარმა უცნობს პირდაპირ შეხედა.

— ბოდიში, თქვენ ვინ ბრძანდებით? უცნობმა სიგარეტი ამოიღო, ნოდარსაც მიაწოდა. ნოდარმა გამოართვა. უცნობმა სიგარეტს მოუკიდა, თამბაქოს ბოლი ღრმად ჩაისუნთქა და შემდეგ ნება-ნება გამოუშვა.

ნოდარმა სამზარეულოდან ლამბაქი გამოიტანა.

— ბოდიშს ვიზღი, საფერფლე არა მაქვს, ლამბაქს ვხმარობ, — უთხრა და ლამბაქი მიაწოდა.

უცნობმა სიგარეტი ნახევრამდე მოსწია, შემდეგ ლამბაქზე დაასრისა და ოთახს მიმოავლო მზერა.

— საფერფლის გარდა ბევრი რამ გაკლია, — უთხრა ღიმილით, — მაგრამ არაფერია, ყველაფერს მოასწრებ. ბინაც გქნება უფრო დიდი, ავეჯიც, ერთის ნაცვლად ხუთი საფერფლე, მაგრამ ასეთ ცხოვრებას მაინც მუდამ სიყვარულით მოივონებ... ვაი, რომ ცოტა ხნით მქონდა ასეთი ცხოვრება, სულ ცოტა ხნით... გემოც ვერ გავუგებ.

უცნობმა მეორე სიგარეტი ამოიღო, გააბოლა.

— დროა ჩემი ვინაობაც გაგიმეღავნო. შენ ხომ ჩემი სახელიც არ იცი! — ნოდარმა არაფერი უბასუხა.

— მიხეილი მქვია და გვარად ალავეძე ვარ. თუმცა მათთან კი ვმუშაობ, მაგრამ მათ წრეს არ ვეკუთვნი.

— მაშინ, — ფრთხილად შეეკითხა ნოდარი, — თქვენ თვითონ აშკარად რად არ მოქმედებთ, პირდაპირ?

— ამას ბევრი მიზეზი აქვს, ვეცდები, შეძლებისდაგვარად ავიხსნა...

ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. კედელს იქით ტელევიზორის ყრუ ხმა ისმოდა, მუსიკის ჰანგები ყურთასმენას ოდნავ ელამუნებოდა.

სიჩუმე კვლავ მიხეილმა დაარღვია:

— ჩემი ამბავი რომ მოგიყუვე, საარაკოდ მოგჩვენებდა. შენის აზრით, რა ხნისა ვიქნები?

ნოდარმა მიხეილს შეხედა. აბა, რა უპასუხოს, ოცდაათსაეც მისცემს და ორმოცდაათსაეც...

— ხნიერი ვჩანვარ, არა?

— არ ვიცი, არც ისე...

— ცხოვრებამ დამაბერა, ჩემო ნოდარ, მეც ვატყობ... წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა არაფერი დამკლებია... ოპ, გოგუაძე ისეთი კაცია, ობობასავით სისხლს ამოგწუწუნის, გამოგაშრობს, ჩერად გაგზნის და შემდეგ თავის ნებაზე გატარებს. შენი ნების გარეშე ისეთ რამეს ჩაგადენინებს, რომ უკან დასახეც ვზას მოგისპობს. ყველაფერს ამას, ალბათ, იმიტომ აღწევს, რომ ფულიანია. გაიგე, ჩემო ნოდარ, ფულიანია და იცი მერე რამდენი აქვს? დუღს და გადმოდუღს. რა გგონია. იმისათვის, რომ მისი ობიექტის რომელიმე ხელმძღვანელმა ფული აძლიოს, მან ეს, ეგრედწოდებული პატივი უნდა დაიმსახუროს. ყველას კი არ აბედნიერებს ამ პატივით. ამასთან ერთად ფრთხილია. ფული, ფული, აი, რა არის მისი ცხოვრების მიზანი. საერთოდ ასეთი ხალხი ძუნწია, ხელმოჭერილი, წუწურაქი, მშობარა და მფრთხალი. ვალერიანი კი, პირიქით, ხელგაშლილია, მოჭედი და უზომოდ მხარჯავი. დახმარებაეც იცის, ხელის გამართვაეც, თანაც გაბედულია. მოწინააღმდეგის მიმართ დაუნდობელია, სასტიკი და უღმობელი. თუ გემო, გაგიტანს, თუ გემტრო, არ დაგინდობს.

მიხეილს სიგარეტი ჩაუჭრა. ჩამჭრალი

ლამბაქზე დადო. ახალი ამოიღო, გააბოლა.

— მე სულ ახლადგამოცხვარი ეკონომისტი მოგხვდი მის კლანკებში, — განავრძო მიხეილმა, — დიდი ობიექტი ჩამაბარა. მე რა ვიცოდი, იქ თურმე დიდძალი ფული კეთდებოდა. მე ახალგაზრდული ენერგიით შეევასკი საქმეს. ერთხანს მიყურა, მამოწმა, შემდეგ ქარავმით შემატყობინა, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ დროა ერთმანეთს მიგხედოთ. პირველ ხანებში ვერ გავუგე, გამოუცდელმა რა ვიცოდი ასეთი საქმისა. რა ვიცოდი, რომ სადღაც მეორე სამყაროც არსებობდა, უპატიოსნობის, მაქინაციების სამყარო... ეპ, ნეტავი სადმე დიდ ქარხანაში დამეწყო საქმიანობა, რაღა იმ ვეშაპის ხელში მოგხვდი. როდესაც ყველაფერს მიგუხვდი, ისე აღეშფოთდი, გადაწყვიტე პირდაპირ რაიკომში მივსულიყავი. მაგრამ მიმიხვდა და ერთი ისეთი საქმე ჩამიწყო, თუ თვითონ წახდებოდა, მეც წამახდენდა. უნდა გამებედა, მეც ჩემი კუთვნილი მიმელო და მისთვისაც მეზღვევიინებინა, მაგრამ ძალა არ მეყო. თან იმ ხანებში ოჯახს მოვეკიდე, დამრჩებოდა ცოლ-შვილი გაუბედურებული. ვერ გავბედე. ვერ შევძელი მისთვის პირდაპირ ბრძოლა გამომეცხადებინა. ვიცოდი, არც მე დამინდობდა. მისი ბნელი საქმის თანაზიარი არ გავხდი, მაგრამ ჩემს საქმიანობაზედაც ხელი ამადებინა. თუმცა თავის სისტემიდან არ გამიშვა, მიხვდა მელაკუდა, საკმაოზე მეტი რომ ვიცოდი და ჩემი მოშორება ხელს არ მისცემდა. დიდხანს ვატარე ბოლმა... ახლა კი ისეთი რამ დამატეხა... ეპ, აღარა ღირს... ოჯახი ამირია... რასაკვირველია, მე რომ ვაბედულება მომცა, პირდაპირ შეეკუტიდებოდი, მაგრამ ისე დამაბეჩავა, ჩერად მაქცია...

მიხეილი შეჩერდა. ნოდარი გულდასმით უსმენდა. მართლაც და, ცხოვრებას როგორ დაუჩიავებია ადამიანი, იმ ვეშაპს მიხეილის ოჯახშიც შეუღწევი. თუმცა, რაც აქამდე თქვა მიხეილმა, ეს მხოლოდ ზოგადი ამბავია. ნუთუ ამ

შუალამით მხოლოდ ამის სათქმელად მოვიდა?

თითქოს ნოდარის ფიქრებს მიუხედავად, მიხეილმა ნოდარს პირდაპირ შეხედა.

— რასაკვირველია, ამ შუალამით სააღსარებო დრო არ არის, და მერე რომელი მოძღვარი შენა ხარ. მე აქ საქმემ მომიყვანა, თავდაპირველი ვეშაპის საქმემ. მაგრამ ეს გაცილებით ძნელია პირველზე, მეტი ჯაფა და გადაგება, დიდხანს კირკიტი მოგწივებს. ერთხელ თავი დააღწია, ახლა, ალბათ, ვერსად გაგვეტყევა.

ნოდარს ხმა არ ამოუღია.

ჩვენი პირველი ნასროლი ბადე ვერ გამოდგა ისეთი მაგარი, როგორსაც ვფიქრობდი. გოგუაძემ იგი იოლად გაგლიჯა და მშრალზე დაგვეტოვა. ახლა უფრო მაგარ ბადეში უნდა გავაბათ. რაივაქრობის მთავარ საწყობში შეიარე, საწყობის გამგეს სთხოვე ცემენტის, რკინისა და ხეტყის ფაქტურები ვიჩვენოს და ისიც თუ ვისზე რამდენი ვასცა. სამივე დეფიციტური საქონელია, თავმჯდომარის განკარგულების გარეშე ერთ გრამსა და ერთ სანტიმეტრსაც ვერ ვასცემენ. ვნახოთ, როგორა აქვთ საქმე. როდესაც გაიფიქრებთ ვისზე რამდენი ვასცეს, მერე მივდიოთ, ვნახოთ, ვინ რამდენი დახარჯა და ფაქტიურად ვინ რამდენი მიიღო, საწყობს რამდენი დაუტოვეს.

— კი მაგრამ, — შეყოყმანდა ნოდარი, — ასე პირდაპირ როგორ ვესტუმრო საწყობს, გოგუაძე არ მეტყვის, რას ჩამაცივდიო...

— ესეც მოვიფიქრე, — დაეთანხმა მიხეილი და ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, — აქ ყველაფერი სწორია, გაატარებინე რედაქციაში და შენს სახელზე დაიწერე გამოსარკვევად.

— წერილის გამორკვევა რედაქტორმა ან მდივანმა უნდა დამაწეროს.

— ბიქტორს უჩვენე, თორემ რედაქტორმა რომ ის წერილი მიიღოს, გოგუაძეს გადაუგზავნის გამოსარკვევად, და თუ შემთხვევით გიგას ჩაუვარდა ხელში, პირდაპირ გოგუაძეს მიუბრუნებინებს.

— კეთილი, ბიქტორს ვუჩვენებ.

— მაშინ მე წავალ, მეტყველებ. შეგაწუხებ. კარგად შენახე, *გოგუაძე* ნოდარი დაფაცურდა.

— ასე უპატივცემულოდ როგორ გაგიშვათ, კონიაკი მაქვს...

— ეჰე, ჰე, — ჩაიხიბხიბა მიხეილმა, — შენისთანა მარტოხელასათვის მე უნდა მომეტანა რამე, ვერ მოვიფიქრე, — ნამდვილად შეწუხდა მიხეილი, — მაინც რატომ ვერ მოვიფიქრე...

— როგორ გეკადრებათ... — დაიმორცხვა ნოდარმა.

— კარგად შენახე, — კვლავ დაემშვიდობა მიხეილი, — ნახვამდის!..

31

მეორე დღეს ნოდარმა მარიკას მიხეილის მიერ გადმოცემული წერილი გაატარებინა დავთარში და როდესაც ბიქტორი კაბინეტში მარტო დაიგულა, მასთან შევიდა.

— როგორ არის შენი გიგილოს საქმე? — ღიმილით შეეგება ბიქტორი.

ნოდარმა ღუმილი ამჯობინა. წერილი დაუღო მაგიდაზე. ბიქტორმა გულისყურით გადაიკითხა, მერე თავი ასწია და ნოდარს გადახედა.

— საინტერესოა, საინტერესო... შენ ეს წერილი საიდან ჩაგივარდა ხელში?

— რედაქციაში მოსულიყო, — შეყოყმანდა ნოდარი, შემდეგ თამამად განაგრძო, — შემთხვევით ვნახე, და რადგან ვალერიან გოგუაძის გვარს წავაწყდი, წავეიკითხე და თქვენ მოგიტანეთ.

— კარგებს არ უნახავს?

— არა, ჯერ არავის უნახავს.

— შენ დაგაწერო?

— დამაწერეთ, — მტკიცედ მიუგო ნოდარმა.

— მაშ, ბოლომდე ბრძოლას აპირებ, პირველმა მარცხმა გული არ გაგიტეხა. ნოდარი ღუმდა.

— თუმცა მაგათ ამბავს რას გაიგებს კაცი. ეგებ ამ წერილმა ის დახლართული ნასკვი გავახსენეინოს, რაც გიგილოსთან ვერ შესძელი. ეგებ, სულ შეც-

დომში შევიყვანოს. ფრთხილად უნდა იმოქმედო.

ბიქტორმა წერილს მალლიდან წითელი ფანქრით რეზოლუცია წააწერა: „აბ. ნ. ბერიძეს. გაეცანით, შეამოწმეთ და შედეგები რედაქციას მოახსენეთ“. რეზოლუციას ხელი მოაწერა და რიცხვი დაუსვა.

— რედაქტორს არ ეტყვი? — ფრთხილად შეაპარა ნოდარმა.

— ჯერ არ ვეტყვი, — მიუგო ბიქტორმა, — შეამოწმე, ენახოთ, რა გამოვა. თუ ყველაფერი დადასტურდა, მაგარი ფელეტონის გამოცხობა მოგიწევს. აი, მაშინ კი რედაქტორიც ჩაეაყენოთ საქმის კურსში. მანამდე რა საჭიროა...

— თქვენ იცით, — უცბად დაეთანხმა ნოდარი. მასაც ეს უნდოდა. წერილი ბიქტორს გამოართვა და ჯიბეში ჩაიღო.

— ნულარ აყოვნებ, — ურჩია ბიქტორმა, — ახლავე შეუდექი გამორკვევას. მოულოდნელად იმოქმედე, მაშინ უფრო მაღლწვე სასურველ შედეგს. აბა, შენ იცი... სჯობია დღესვე მოათავო საწყობში საქმე. თორემ თუ გააქიანურე, დაიწყება ტელეფონებით რეკვა და მისვლამოსვლა.

ნოდარმა რაივჯარობის მთავარ საწყობისაკენ გასწია. საწყობის გამგე ხმელხმელი, აწოწილი კაცი გამოდგა. წაგრძელებული თავი კისერზე ძაბრივით წამოსკუბებოდა. თავს ისე აკანტურებდა, თითქოს წერილ კისერს თავის ტარება უჭირსო. ჭროლა თვალებს წამდაუწუმ ახამხამებდა.

ნოდარმა საწყობის გამგეს თავისი პირადობის მოწმობა უჩვენა.

— რედაქციიდან ხართ? — წვრილი ხმით მიმართა საწყობის გამგემ და თვალების ხამხამს უმატა. — კეთილი და პატიოსანი! რითი შემიძლია გემსახუროთ?

— თუ შეიძლება, — ნოდარი ცდილობდა დინჯად ელაპარაკა — ცემენტის, რკინისა და ხე-ტყის წლევეანდელი ფაქტურები მიჩვენეთ.

— ფაქტურები? — გაიმეორა გამგემ, — კეთილი და პატიოსანი! მხოლოდ

უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თერთულთქვენს მიერ დასახელებულ საქონელს თავისი ფაქტურა აქვს. პირველად რამელს ინებებთ?

— ხე-ტყისა იყოს, — უთხრა ნოდარმა.

— ხე-ტყისა? — კვლავ გაიმეორა გამგემ. სიტყვას მუდამ შეკითხვით იწყებდა. ჯიბიდან გასაღებების შეკვრა ამოიღო, ცეცხლგამძლე სეიფი გახსნა. ერთხანს რალაც საქაღალდეები სინჯა, შემდეგ წითელუდიანი საქაღალდე ნოდარს გაუწოდა, — ინებეთ.

ნოდარმა რედაქციის ბლოკნოტი ამოიღო, ორი გვერდი ციფრებით აავსო; წერა რომ მოათავა, გამგეს მიუბრუნდა:

— თუ არ შეწუხდებით, ახლა ცემენტისა მიჩვენეთ.

— ცემენტისა? — მიუგო გამგემ, სეიფიდან ახალი საქაღალდე ამოიღო და მიაწოდა, თან ფრთხილად შეაპარა, — საინტერესოა, რისთვის დასჭირდა რედაქციას რაივჯარობის ხე-ტყე, ცემენტი და რკინა?

ნოდარმა წაუყრუა. კვლავ ციფრებით ააჭრელა ბლოკნოტის გვერდები, ახლა უკვე ტონებსა წერდა. წერას დიდხანს მოუწია.

— თუ შეიძლება რკინისაც მიჩვენეთ.

— რკინისა? — თავისებურად მიუგო გამგემ, — არც ეგ არის ძნელი საქმე. მე უკვე წინასწარ მოგიმზადეთ. აი, ასე ვმუშაობთ ჩვენ!.

ჩანდა, საწყობის გამგე სიტყვაძუნწი როდი იყო. როგორ არ მიუდგა ნოდარს, რანაირი სიტყვები არ ჩაუკრა, მაინც ვერ ჩაითრია საუბარში. ნოდარი ციფრების წერით იყო გართული და გამგესთან საუბარი არ უნდოდა.

ნოდარი წერას რომ მორჩა, გამგეს ახედა. როგორ სასაცილოდ აკანტურებდა თავს, ნუთუ თვალებს წუთითაც არ ასვენებს?..

უზარმაზარ საწყობში გამგეს თავისთვის კუთხე ჰქონდა გადატიხრული და იქ კაბინეტის მაგვარი მოეწყო. ერთი მოყანყალბებული მაგიდა დაედგა, სამი ფეხმორყეული ჭრიჭინა სკამი. მხოლოდ

ცეხლგამძლე სეიფი ჰქონდა ახალი.

— ახლა მაინც გავცნობთ ერთმანეთს, — დრო იხელთა გამგემ, — ვანო ხელაძე გახლავართ! — და ხელი გაუწოდა.

ნოდარი წამოდგა, ხელი ჩამოართვა. გამგეს თითები ჩხირებივით ჰქონდა, მხოლოდ ცარიელი ძვალი და ტყავი შემორჩენოდა.

— ესენი აღარ გქირდებათ? — საქალაქლებზე მიუთითა ვანომ.

— არა, გმადლობთ, — მიუგო ნოდარმა და კვლავ მაგიდას მიუჯდა, — ახლა გაცემული ფაქტურები მიჩვენეთ.

— გაცემული ფაქტურები? — გაიმეორა ვანომ, — კეთილი და პატიოსანი! რომლიდან დავიწყეთ?

— ხე-ტყიდან.

ვანომ ნოდარის მიერ გადათვალეირებული საქალაქლები სეიფის მძლავრ უჯრაში შეაღება, დაბლიდან ყვითელი საქალაქლები ამოიღო, და ნოდარს გაუწოდა, — აქა მაქვს ჩაკეცილებული. ასე ვმუშაობთ, ყმაწვილო, წყალი არ გაუვა!..

— გამარჯვების კოლმეურნეობას ათასოროსი კუმბეტრი, — წაიკითხა ნოდარმა ხმამაღლა და ბლოკნოტის ახალი გვერდი გადაშალა.

— „გამარჯვების“ კოლმეურნეობას? — გაიმეორა ვანომ, — თუ ასე წერია, ასე იქნება.

— ხომ ათასოროსი წერია? — გადააწოდა ნოდარმა საქალაქს.

ვანომ ჩაიკითხა.

— ათასოროსი, ასე წერია.

ასევე გასინჯა ნოდარმა ცემენტისა და რკინის გაცემული თვითიული ფაქტურა. დილაღა, ოთხ საათზე მეტია ციფრებს ჩაჰკირკიტებდა. ვანოც დაძაბულობისაგან სულ მოიშალა, თავს კისერზე ვერ იმაგრებდა და საათის ქანქარასავით აქეთ-იქით აკანტურებდა. თვალს ხომ ისე ახამხამებდა, წამსაც არ ასვენებდა.

— დღეისათვის კმარა, — წამოდგა ნოდარი, — ალბათ კიდევ მომიხდება თქვენი შეწუხება.

— ჩემი შეწუხება? — გაიმეორა ვა-

ნომ, — ჩემი შეწუხება რა სახსენებელია. კეთილი და პატიოსანი! მტკუნა ხმელი და ჩემი კისერი, მზად ვარ გემსახურო!

ნოდარის იქ ყოფნის დროს ვანოსთან ათამდე კაცი მაინც მოვიდა. ვანო მათ თავის მოადგილესთან უშვებდა. ნოდარმა რომ წასვლა დააპირა, ვანომ მოადგილეს გასძახა, რომელიც საწყობის მეორე მხარეს იჯდა და მათთან მისვლა ვერ გაუბედა.

— ლაღო, დახურე შენი დუქანი და აქ მოდი!

მოადგილე ტიხრულში მოკრძალებით შემოვიდა და მოწიწებით შორიანლო კედელს მიეყუდა.

— ეს ჩემი მოადგილეა, — გააცნო ახლად შემოსული ნოდარს ვანომ, — მოდი კაცო, — მიმართა თავის მოადგილეს, — რა განზე დგახარ. კორესპონდენტი კია, მაგრამ კაცის მკამელი კი არ არის, ხე, ხე, ხე...

მოადგილე ისე ფეხაკრეფით მიუახლოვდა ნოდარს, თითქოს ოთახში მძინარე ავადმყოფი ეგულებო, ხელი თავაზიანად გაუწოდა. ნოდარმა ხელი ჩამოართვა.

— ჩვენთან მასპინძლობა ასე როდი იცინა, — ხელები მოიფშენიდა ვანომ, — დღის ბოლოა. გულდაგულ ვიმუშავეთ, ახლა კარგი სადილიც გვერგება და კიდევ შეგვერგება, ა, რას იტყვი, ლაღო? — მიუბრუნდა თავის მოადგილეს.

— კარგი აზრია! — დაუდასტურა ლაღომ.

— ყმაწვილო, აქამდე შენს ხელში ვიყავი, ახლა კი ჩვენს ხელში ხარ, ხე, ხე, ხე, — უცბად შენობით მიმართვაზე გადავიდა ვანო, — იმედია მასპინძლობას არ დაგვიწყნებ.

— როგორ გეკადრებთ! — იუარა ნოდარმა, — რედაქციაში მაგვიანდება, დღეს გაზეთის მორიგე მე ვარ, — იცურა.

— მორიგე ხარ? — გაიმეორა ვანომ, — შენი გაზეთი არსად გაგეჭყევა. აგერ ტელეფონი, დაურეკე, უთხარი საქმე გამიგრძელდა და შემავიანდებათქო.

— არა, გმადლობთ, — მტკიცედ უთხრა ნოდარმა, — რა საჭიროა. ხომ გითხარით, მორიგე ვარ და სხვა ვერავინ შემცვლის. ჩემი იმედით არიან. ასეა დაკვამილი.

— როგორ, უშენოდ გაზეთი ვერ გაზეთა?

— ეგებ ვერც გამოვიდეს.

— არც მაგით დაშავდება, ხე, ხე, ხე, — გაიხუმრა ვანომ და ცალი თვალით ნოდარს გადახედა. ნოდარის სახეზე წყენა რომ ვერ ამოიკითხა, უფრო გაუთამამლა, — ერთი ნომრით ნაკლები გამოვა ამ ჩვენს ტურფა საქართველოში, იმ ნომერში გაკრიტიკებული გაკრიკებული გადარჩება და გაიხარებს.

— თქვენ ასე რად გეშინიათ გაზეთისა? — ფრთხილად შეაპარა ნოდარმა.

— რად შეშინია? — ჩვეულებისამებრ შეკითხვით მიუგო ვანომ, — აბა, რა ვიცი. გაზეთები ჩვენისთანების მიმართაა დაგეშინილი და ჩვენზე ტყუილიც რომ დასწეროთ, ამისათვის პასუხს არავინ მოგთხოვთ. ხომ ასეა? — მიუბრუნდა თავის მოადგილეს, — ტყუილს ვამბობ. თუ? ხე, ხე, ხე...

— ცამდე მართალი ბრძანდებით, ვანო გიორგვეიჩი! — დაუდასტურა მოადგილემ.

— მანჭანა მაქვს, — კვლავ ნოდარს მიმართა ვანომ, — ერთი ისეთი ადგილი ვიცი, ბატკანს დაგვიკლავენ, ცოცხალს მოგვიტანენ...

— ბოდიში, ნამდვილად მაგვიანდება, ვერ წამოვალ.

— რას ჩავაცოდით, შე კაცო, — რატომღაც თავის მოადგილეს შეუბღვირა ვანომ, — შევაწუხებთ ეს ყმაწვილი. ალბათ, მართლაც აგვიანდება, თორემ ამ პატროსან ხალხს უარს როგორ გვეტყოდა. მანჭანას მაინც მოგცემ, სამსახურამდე წაგიყვანს.

— ნუ სწუხდებით. აგერ ვარ, ორ ნაბიჯზე, რა წაყვანა მინდა. კარგად ბრძანდებოდეთ. ბოდიში, რომ ამდენი ხანი მოგაცდინეთ.

— რას იზამ, ხე, ხე, ხე, — ჩაიქირქირა ვანომ, — ჩვენ სხვებს ვაწუხებთ,

თქვენ ჩვენ გვაწუხებთ. ასეა ეს წუთისოფელი მოწყობილი...

საქართველო
გეგმვის

ბიქტორთან ვილაც კაცი იჭდა, რალაცას უმტკიცებდა. ბიქტორი აულელვებლად უხსნიდა. ის მაინც თავისაზე იღვა. ნოდარმა გადაწყვიტა გაბრუნებულიყო, მაგრამ ბიქტორმა არ გაუშვა:

— დაიცადე, ჩქარა მოვრჩები.

კაბინეტში მარიკამ შემოიხედა და ნოდარი რომ დაინახა, უთხრა:

— ნოდარ, რედაქტორი ვთხოვს, ახლავე შემოვიდესო.

— წადი! — უთხრა ბიქტორმა ნოდარს, — დღევანდელი ამბავი ორშაბათს მიამბე.

„ნეტავი რედაქტორმა მიხეილის წერილის ამბავი ხომ არ გაიგო?“ გაიფიქრა ნოდარმა და რედაქტორის კაბინეტისაკენ გასწია. კაბინეტის კარი რომ გამოალო, კარპეზმა ხელი დაუქნია:

— აგერ, ნოდარიც. შემოდი, შემოდი! მაგიდას ზურგით ვილაც ქალაქურად ჩაქმული ქალი უჭდა. ნოდარის შემოსვლისას თავი მოაბრუნა. ნოდარმა სიხარულისაგან შეკყვირა:

— ლია!..

ლია წამოდგა. აღელვებისაგან სახე გაფითრებოდა. ნოდარი დაბნეული იდგა, ვერც ფეხი წადგა, ვერც ხმა ამოიღო. მასზე აღრე ლია მოეგო გონს. ნოდართან მივიდა და ისე გადაეხვია, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს ეხვევიან.

კარპეზმა ლიას მიმართა:

— დაბრძანდით! თქვენნი ნოდარ ბერიძე არსად გაგეკცევათ, სულ თქვენს განკარგულებაში იქნება.

ლიამ ნოდარს თვალით ანიშნა, დამშვიდდითო და თვითონაც სავარძელში ჩაჯდა. ნოდარმაც მის გვერდით მიიღგა სკამი.

კარპეზი ახლა ნოდარს მიუბრუნდა:

— აი, შენი მეგობარი გვესტუმრა ეუბრანლიდან დავალებით, — შემდეგ ზარის ღილს ხელი დააჭირა და როდესაც კაბინეტში მარიკა შემოვიდა, უთხრა, —

ილიკოს გამოუძახე, — შემდეგ კვლავ ახალგაზრდებს მიმართა, — მანქანა თქვენს განკარგულებაში იქნება. ნოდარ, შენ გაყვები და რაშიც დახმარება დასკირდება, დაეხმარები.

— მაგას რა სჯობია, — ლია სულ დამშვიდებულიყო.

კაბინეტში შოფერი შემოვიდა.

— ილიკო, — მიმართა კარპეზმა, — მანქანა ხომ გყავს წესრიგში?

— ჭერ კიდევ უდგას სული, — მიუგო ილიკომ.

— ამ უცხო ქალიშვილთან ხომ არ შემარცხვენ?

ილიკომ ლიას გადახედა.

— ბარემ არაა მისი შესაფერისი, მაგრამ რას იზამ, სულ უხარობას ცალუღელა ხარი სჯობიაო.

— მაშინ მოემზადე, ნოდარი და ეს ქალიშვილი წაიყვანე, — შემდეგ ლიას მიუბრუნდა, — ახალსოფელი აქვება, ასე, თორმეტი კილომეტრი იქნება.

— მე ქვემოთ დაგელოდებით, — თქვა ილიკომ და გავიდა.

ლია წამოდგა, კარპეზს ხელი გაუწოდა.

— დიდი მადლობელი ვარ, უზომოდ მადლობელი!

— არ გემშვიდობებით, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, — უთხრა კარპეზმა.

— ხვალ შაბათია და, ალბათ, წავალ.

— რა გეჩქარებათ, დარჩით, — შემდეგ კარპეზმა ნოდარს გადახედა, — ნოდარ, აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინო ახალდაბელები.

რედაქტორის კაბინეტიდან რომ გამოვიდნენ, ლიამ ნოდარს ტკბილად უთხრა:

— ნოდარ, გთხოვ, არც ერთი სიტყვა წარსულზე. მე რომ აქა ვარ, შენთან, ამით ბევრი რამ ნათქვამია, სხვას ნულარაფერს მკითხავ. დრო მოვა, მე თვითონ გეტყვი... ასე სჯობს შენთვისაც და ჩემთვისაც...

— ნება შენია, — ძლივს ამოიღო ხმა ნოდარმა.

— სხვა როგორა ხარ, ნოდარ?

— რა მიჭირს... მაგრამ თუ მოლოდი, მოგეწერა მაინც. *ლიამ: სიტყვა ბანზე აუგდო.*

— დეაქეკაცებულხარ.

— ვითომ?

— ნამდვილად.

— შენ, შენ როგორა ხარ, ლია? — თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ნოდარმა ლია, — შენ კი მართლაც გამშვენიერებულხარ, გალამაზებულხარ...

— გეჩვენება, ნოდარ.

„მოსკვიჩი“ რედაქციის წინ იცლიდა.

— ესაა თქვენი მანქანა? — გაეღიმა ლიას.

— კი წავიყვანს და... — მოიბოდიშა ნოდარმა, — მეორედ რომ ჩამოხვალ, ახალ მანქანას დაგახვედრებთ.

— შენც ერთი, მოგცლია...

ლია და ნოდარი უკანა სავარძელში ჩასხდნენ. ლიამ ხელი ხელში ჩაუღო ნოდარმა ოდნავ მოუჭირა, ლიამაც უპასუხა. იმდენი სიხარული მოედო ნოდარის გულს, სხვა რომ ვეღარაფერი მოახერხა, ილიკოს ხმამაღლა შესძახა:

— ილიკო, გაუტიე!

— საით?

— ახალსოფლისაკენ.

ილიკოს მობრძოლი ჩართული ჰქონდა, ამიტომ უცხადვე დასძრა ავტომანქანა, დაძრა და გაბმული საყვირი მისცა.

— ამ საყვირით, — აუხსნა ლიას, — ჩვენი ილიკო ცოლს ნიშანს აძლევს, მივდივარ და სადილად ნუ მელოდებიო.

— ეს რა მოსიყვარულე ქმრები ყოფილხართ ახალდაბელები! გაეღიმა ლიას.

— რა ვქნა, ჩემო ბატონო, — მიუგო ილიკომ ლიას და მანქანა ააჩქარა, — მოგვხსენებათ შოფრის ბედი, სიცოცხლესა და სიკვდილს შუა ვკიდევართ. მოსვლისასაც ვახარებ საყ-

ვირით, ნუ გეშინია, შენი ქმარი ცოცხალი დაგიბრუნდა-მეთქი.

— შენც ასეთი იქნები? — ხელი მოუჭირა ნოდარის ხელს ლიამ.

— რა ვიცი, გამომცადე. — უჩურჩულა ნოდარმა, ისე რომ ილიკოს არ გაეგო.

— ხომ ვითხარი... — უთხრა ლიამ და ხელი მოაშორა.

ერთხანს ჩუმად მოდიოდნენ.

— ჩვენებს თუ ხვდები? — დაარღვია ღუმილი ნოდარმა.

— თბილისში მხოლოდ ზურაბია, — მიუგო ლიამ, — სხვები რაიონში მიმოიფანტეთ. ამას წინათ ჩოხატაურში ვიყავი, გელა კუჭულავა ვნახე, მთელი რაიონი დამატარა.

— ჩვენი პროფესორი როგორაა?

— შენ გგონია ვხვდები. იშვიათად შორიდან თუ მოგვკრავ თვალს, ერთმანეთს კარგ საღამუს მივცემთ. ესაა და ეს. ან იმას ეჩქარება საღმე, ან მე.

— შენს წერილებს ხშირად ვკითხულობ ჟურნალში, ჩემთვის კი ერთი წერილიც არ გაიმეტე.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით. — შეაწყვეტინა ლიამ.

— კარგ წერილებსა წერ, როგორც ჟურნალისტი, გაიზარდე, შეამაყება!

— შენც ერთი, მოგცლია! ამ ბოლო დროს მრავალშვილიანი დედების საკითხში დავსაპეციალისტდი, რედაქცია სულ მათზე მაწერინებს. ახლაც ახალსოფელში მრავალშვილიან ოჯახში მივდივარ.

— სიდამონიძეებთან ხომ არა, ჩემო ბატონო? — შეეკითხა ილიკო.

— სწორედ სიდამონიძეებთან. თქვენ საიდან იცით? — გაუკვირდა ლიას.

— სიდამონიძეებს ვინ არ იცნობს. დღე ერთია და მასთან ათი მიმსვლე-ლია...

— მაშინ კითხვა-კითხვით მისვლა აღარ დაგვკვირდება.

— პირდაპირ მიგიყვანთ, ჩემო ბატონო.

ლაპარაკ-ლაპარაკში გზა შეუმჩნე-

ლად გალიეს. ილიკომ მანქანა ორღობეში შეაგდო და რკინისქიშკრის ეზოს წინ შეაჩერა. ჩანდა, სიდამონიძე კარგი მოსახლე გლეხი იყო, ორსართულიანი ოდა-სახლი ედგა, ეზოც დიდი ჰქონდა, მოვლილყავებულნი. ეზოში რომ შევიდნენ, დიასახლისი გამოეგებათ; ლიამ დიასახლისს თავი გააცნო, ნოდარიც წარუდგინა. სიტყვა არა ჰქონდა დამთავრებული, რომ დიასახლისმა ოდისკენ გასძახა:

— ნათელა, ცაცა კოტე, თებრო, ბავშვებს თავი მოუყარეთ, ეზოში მოგროვდით, კორესპონდენტია ჩამოსული, სურათი უნდა გადაგვიღოს.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ეზოში თორმეტი გოგო-ბიჭი გამოეფინა. ორ-ორი წელი თუ იქნებოდა მათ შორის განსხვავება. დედაც შუახნისა ჰყავდათ. სიმალის მიხედვით ჩამწკრივდნენ, წრე შეკრეს და სურათის გადაღების მოლოდინში გაინაზნენ.

— ჩემი კაცი რომ შინ არ არის, — დანანებით გადახედა დიასახლისმა ლიას, — გავგზავნო ვინმე მოსაყვანად, თუ შემდეგ თქვენ ჩაამატებთ საღმე. მისი სურათი კი მომეძებნება.

ლიას გაელიმა, ბავშვებთან მივიდა, ხელჩანთიდან კანფეტები ამოიღო და დაჭრივა.

მიუხედავად იმისა, რომ თორმეტნი იყვნენ და მათში სულ პატარებიც ერივნენ, ისე იყვნენ ბავშვები მოვლილნი, დაბანილ-დავარცხნილნი, რომ მათ ყურებას არაფერი სჯობდა.

— ახლა კი გაინავარდეთ, — უთხრა ლიამ ბავშვებს, — მე სურათს არ გადაგიღებთ. გეყოფათ, რაც გადაგიღეს. აგერ, დედათქვენთან მაქვს საქმე.

ბავშვები ადგილიდან არ დაძრულან, გაოცებულნი შესცქეროდნენ დედას. ჭერ არ ყოფილა ასეთი რამ, მათთან „კორესპონდენტები“ მოსულიყვნენ (ეს სიტყვა თითქმის ყველამ კარგად იცოდა, ვისაც ლაპარაკისა და რამეს გაგების უნარი გააჩნდა) და სურათი არ გადაეღოთ. დიასახლისიც გაოცდა,

მაგრამ არაფერი თქვა, ერთი კი გადახედა ბავშვებს, ხელი აუქნია, წადითო. ორი უფროსი გოგონა ცალკე გაიხშო და რაღაც წასჩურჩულა. გოგონებმა თანხმობით თავი დაუქნიეს და სამზადს მიაშურეს.

ლიამ ხელჩანთიდან ბლოკნოტი და ავტომატური საწერკალამი ამოიღო.

— ოდაში შემობრძანდით, — შეიპატოეთა დიასახლისმა, — ეზოში ცოტათი გრილა.

ლიას თავპატოეი არ დაუღვია, ოდაში ავიდნენ. პირველად, რაც სტუმრებს თვალში ეცათ ოთახში შესვლისას, სისუფთავე და წესრიგი იყო. მაგიდას მიუსხდნენ. ლიამ ბლოკნოტი გამალა.

— სოციალისტური წესწყობილების მეოხებით, — დაიწყო დიასახლისმა, — მრავალშვილიან ოჯახებს შესაძლებლობა მოგვეცა...

ლიამ ღიმილით შეაჩერა დიასახლისი.

— თქვენ ეს მითხარით, ქალბატონო, როგორ ახერხებთ, ამდენი შვილი გავვევით და ასე სუფთად ხართ და ირგვლივ ასეთი წესრიგია?

დიასახლისი ერთ წუთს დაიბნა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და კვლავ განაგრძნო:

— საკოლმეურნეო წყობილებამ წინათ დაბეჩავებულ, ღარიბ გლეხობას...

ლიამ აცალა დიასახლისს, სანამ წინასწარ დაზებირებულ სიტყვებს იტყოდა. არაფერი ჩაუწერია. მიხვდა დიასახლისი, რომ მის სიტყვებს ყურს არ უკვებდნენ და თანდათან რიხი დაუცხრა. ბოლოს სულ გაჩუმდა.

— აი, ახლა უბრალოდ ვილაპარაკოთ, — დაიწყო ლიამ, — რომ ჩვენმა წესწყობილებამ საშუალება მოგცათ ასეთი ოდა-სახლი, კარმიდამო და დოვლათი იქონიოთ, ეს დღესავით ნათელია. თქვენ ეს მითხარით, როგორ აღიხარებთ ამდენი ბავშვის გაზრდას?

— როგორ და, — ხმას დაუდებლა დიასახლისმა და საუბარმაც ბუნებრივი სახე მიიღო, — ჩვეულებრივად,

უფროსი უმცროსს უვლის, უმცროსი მასზე უმცროსს, ყველანაირად უკურებენ და ვცხოვრობთ ასე...

— თქვენც მუშაობთ?

— ვმუშაობ, ამდენ სულს რჩენა არ უნდა! ჩემი კაცი მარჯვე ყაზახია, მაგრამ ოჯახს მარტო ვერ აუვდიოდა.

— მერე პატარებს ვინ უვლის? — გაკვირვებით გადახედა ლიამ.

— ზომ გითხარით, ვისაც თავის მოვლა შეუძლია, თვითონ უვლის თავის თავს, ვისაც არა, მასზე უფროსები უვლიან.

— როდესაც ავად ხდებიან?

— რა ვიცი, ასე დამიდიან და ავად არ ხდებიან, თუ რამე სახადი არ დაერიათ. მაშინ ყველა ერთად იხდის და ყველას ერთად ვუვლი.

— ჰაი ყოჩაღ! — წამოცდა ლიას აღტაცებით, — ხალხიც თქვენა ყოფილხართ და ქუდიც თქვენა გხურებიან.

— ქუდს არც ერთს არ ვახურავ დამიდიან ასე ზამთარ-ზაფხულ, თავშიშველები.

საუბარმა შინაური ხასიათი მიიღო. მიხვდა დიასახლისი, რომ ეს თმაშეკრეპილი, მაღალმკერდიანი ლამაზი ქალი სულ არ ჰგავდა იმ კორესპონდენტებს, რომლებიც წამდაუწყუმ მოდიოდნენ და შეკითხვებით სულს ართმევდნენ: რამდენი შრომა დღე გაქვთ, მთავრობა რამდენს გეხმარებათ, კოლმეურნეობა როგორ გიწყობთ ხელს?... შუა საუბარში რომ იყვნენ, დიასახლისი ლიას შეეკითხა:

— თქვენ რამდენი შვილი გყავთ?

ლია შეკრთა, ასეთ შეკითხვას არ მოელოდა, დაიმორცხვა, ნოდარს გადახედა მუდარით. ნოდარი წაეხმარა:

— ეგ ჯერ არაა გათხოვილი, ქალბატონო, და შვილები საიდან ეყოლება.

მეორე ოთახიდან ბავშვების ჩამიჩუმიც არ ისმოდა. მხოლოდ ზოგჯერ თუ წამოიყვირებდა რომელიმე ონავარი, მაგრამ მასაც იმ წუთსავე აჩუმიებდნენ.

— ესენი ჩვენს გამოა ასე რომ გა-

სუსულან, თუ მუდამ ასე წყნარად არიან? — თვალთ ანიშნა მეორე ოთახისაკენ ლიამ.

— ღმერთმა ნუ ქნას, უსიციო-ხლოები და დონდლოები მყავდნენ, — გაეცინა დიასახლისს, — სტუმრების ხათრი იციან.

— გაგეზარდოთ! — გაუღიმა ლიამ, ადგა, დიასახლისთან მივიდა და სიყვარულით გადაკოცნა. შემდეგ ისევ მაგიდას მიუჭდა. გაუშინაურდა ლია დიასახლისს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. საუბრის დასასრულს ლიამ დიასახლისს სთხოვა:

— შემოიყვანეთ თქვენი ბავშვები, მინდა ერთხელ კიდევ გულში ჩავიკრა.

— შეილებო, შემოდით! — გასძახა დიასახლისმა.

ბავშვები დედის ნებართვასა ელოდნენ, ოთახში შემოვიდნენ და შორიხლო დადგნენ.

ლიამ არც ერთ ბავშვს გული არ დასწყვიტა, ყველას მოუაღერსა, ხელჩანთაში თუ რამე კანფეტი ჰქონდა, ისიც დაურიგა. ერთხანს ფულის მიცემაც უნდოდა, მაგრამ მოერიდა, მიხვდა, დიასახლისი ამისათვის გაიცხავდა და, ალბათ, არც ბავშვები აიღებდნენ. თამაშით რომ გული იჭერეს, ლიამ ნოდარს გადახედა, წასვლის დროათ. ეს გამოხედვა დიასახლისს არ გამოჰპარვია, დაფაცურდა, მაგიდის გაშლას მიჰყო ხელი.

— ნუ სწუხდებით, ჩვენ არაფერი გვინდა, უნდა წავიდეთ! — მტკიცედ თქვა ლიამ.

— ღმერთო კი მომკალი, — შეიცხადა დიასახლისმა, — ასეთი საპატივეკმულო სტუმრები ასე როგორ გაგიშვათ.

— ჩვენი წასვლის დროა, — მაინც თავისაზე იდგა ლია.

— ჩემი უფროსი გოგოები სამზადში ტრიალებენ, ნახელავს წყალში ნუ ჩაუყრით, ეწყინებათ.

ლია შეყოყმანდა. დიასახლისმა დრო იხელთა და გარეთ გასძახა:

— ნათელა, ცაცა, თუ რამე მზადა

გაქვთ, მოიტანეთ, სტუმრებს ექარებათ.

— არა, — თქვა ლიამ, — თქვენი ტანით რაღას სწუხდებით.

— მაშინ, — არ დაიბნა დიასახლისი, — თუ იკადრებთ, სამზადში ტაბლას გაგიშლით, შინაურულად.

ლიას გაეცინა.

— ამაზე კი უარს ვერ გეტყვით, — უტბად დაეთანხმა, — თუ შინაურულად ტაბლაზე იქნება...

ნოდარმაც თავი დაუქნია, დიასახლისს ნუ ვაწყენინებთო.

უზოში რომ გამოვიდნენ, ნოდარმა მანქანისაკენ გაიხედა, მაგრამ სამზადში მოფუსფუსე გოგონებს თავად მოეფიქრებინათ და ილიკო შემოეპატივებინათ. გარეთ გამოსული სტუმრები რომ დაინახეს, გოგონებმა დედას უსაყვედურეს:

— დედა, სტუმრებს სად უშვები!..

— ოდაში არ ინდომეს, — მოიბოდიშა დედამ ქალიშვილებთან, სამზადში ტაბლაზე გვინდაო, რა მექნა...

სამზადში შესვლა ვერც კი მოასწრეს, რომ ერთ გოგონას ტაბლა უკვე გაერეცხა, გაემშრალდებინა, მეორე კი ახლად დამზადებულ კერძებს, ზედ ალაგებდა.

— ჯორკოები, იციოცხლეთ, ბევრი გვაქვს, — გაიცინა დიასახლისმა, — ყველას გვეყოფა.

სამზადიც სისუფთავით ქათქათებდა. იატაკი ცემენტისა დაეგოთ, შუა ცეცხლის ნაცვლად ბუხარი ღულღუნებდა, კედლებს ჰკვარტლის ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა.

ტაბლა კერძებით გაივსო. გოგონებს ქათმების დაკვლა და შეკაზმვაც მოესწროთ, ხაქაპურები და მკალები დაეცხოთ. მალაზიაში ნაყიდი პურიც იყო. სტუმრებისათვის დანა-ჩანგალი გამოეტანათ.

— ჰაი, თქვე ასეთებო და ისეთებო, — დაუცაცხანა დედამ გოგონებს, — ღვინო დაგვიწყებიათ სუფრაზე. მოხდილი ჭურვიდან ამოიღეთ.

— ეს ამის საქმეა, — თვალთ ანი-

შნა უფროსმა გოგონამ ძმისაყენ. ბიჭს ბევრი არ დაუყოვნებია, ჩაფს ხელი დაავლო და ლენის მოსატანად გასწია.

დიასახლისმა თავად იკისრა თამაღობა, მაგრამ არაფერ მხარი არ აუბა. ორიოდე კიქა დალიეს. არც დიასახლისს დაუძალებია.

— ჩემი კაცი იყოს შინ, ვიცოდი როგორ გაგიშვებდით, — თქვა დიასახლისმა, — ახლა კი ქალი დამიბრყვეთ, არა?

შემდეგ შეეხვეწა, ამაღამ აქ დარჩითო, მაგრამ ლიამ უარი უთხრა და არც დიასახლისი გაჟიუტებულა.

გოგონებს მართლაც გემრიელი კერძები მოემზადებინათ. შებინდებული იყო, სუფრიდან რომ აიშალენ. ლიამ ბავშვები გადაკოცნა, შემდეგ დიასახლისს გადაეხვია. კიშკარმდე მიაცილეს სტუმრები. ვიდრე თვალს არ მიეფარნენ, მთელი ოჯახი კიშკართან იდგა.

მანქანაში ლიამ ნოდარის ხელი კვლავ თავის ხელში მოიქცია და ჩურჩულით უთხრა:

— ამ ცხოვრებაში მეტს არაფერს ვინატრებდი, ნეტავი ასეთი ბედნიერი დედა გამხადა!..

33

როდესაც ახალდაბის ქუჩაში აღმართულ პირველ ლამპიონებს ჩაუქროლეს, ლიამ თავი ასწია და შოფერს უთხრა:

— თუ შეიძლება, გაგვიჩერე. — შემდეგ ნოდარს მიუბრუნდა, — ფეხით გავიაროთ, ნოდარ.

— ნება შენია! — მიუგო ნოდარმა. ავტომანქანა თვალს რომ მიეფარა, ლიამ ნოდარს ხელაკვი გაუკეთა. ხელი ნაბიჯით გაჰყენენ დაცარიელებულ ქუჩას. გვიანი არ იყო, მაგრამ ახალდაბაში დაღამდებოდა თუ არა, იშვიათად ნახავდით ქუჩებში მოსეირნეებს. მხოლოდ რესტორნიდან ისმოდა ხალხის ყუყანი.

უხმოდ მიდიოდნენ. ნოდარს უნდო-

და რაღაც ეთქვა, მაგრამ ლიამ შეაჩერა, ასე ვიაროთო. ენერგიულად რამ აქვს სათქმელი ნოდარს, ჩამტყნა რამეს ელის ლიასგან. ის კი ჩუმად და აიძულეებს ნოდარსაც ჩუმად იყოს.

— შენსკენ რა არის ახალი? — მაინც ვერ მოითმინა ნოდარმა.

— რა უნდა იყოს, ახალი ისაა, რომ მე შენთან ვარ.

— ჩემო ლია! — ხმადაბლა უთხრა ნოდარმა.

— შენი ამბები მიაბზე?

— წერილში ეწერა ყველაფერი, ხომ მიიღე?

— მივიღე.

— მერე, რატომ არ მიპასუხე?

— პასუხს ჩამოსვლა ვაძგობინე.

— განა ჩემთან ჩამოხვედი?

— რა სულელი ხარ, ნოდარ.

— განა მივლინებით არ ჩამოხვედი.

— მივლინება მიზეზი იყო...

— ვითომ?

— შემძლო არ ჩამოსულიყავი, სხვას გზავნიდნენ, მაგრამ ვთხოვე და მე გამოგზავნეს.

— ლია! სხვა ველარაფერი უთხრა ნოდარმა.

ნოდარის ბინის წინ გაიარეს.

— მე აქ ვცხოვრობ, — თქვა ნოდარმა. შეჩერდნენ.

— რატომღაც მომწყურდა, — წაიღულღულა ლიამ, — შინ ბორჯომი ხომ არა გაქვს?

— მაქვს, სწორედ გუშინ მოვიტანე.

— პოდა, თუ ცუდი მასპინძელი არა ხარ, ბორჯომზე დამპატივე.

— თუ მიკადრებ.

— თამამად, მასპინძელი, თამამად! — შეაგულიანა ლიამ.

ნოდარი ლიას აუძღვა. კარს ძლივს მოარგო გასაღები. ოთახში რომ შევიდნენ, ნოდარმა სინათლე აანთო.

— უპ, სინათლემ თვალი მომპკრა, — თვალზე ხელი აიფარა ლიამ და სკამზე მოწყვეტით დაეშვა, — თუ გაქვს, მაგიდის ლამთა ჩართე.

— ბედად ესეც გუშინ ვიყიდე, —

გაეცინა ნოდარს, მაგიდის ლამფა აანთო და ჰერზე დაკიდებული ნათურა ჩააქრო.

— ასე სჯობია, — თქვა ლიამ, — ახლა ბორჯომიც დამალევიან და მაშინ კი მასპინძლობას არ დაგიწუნებ.

ნოდარმა ბორჯომის ბოთლი ვახსნა, ორი ჰიქა სამზარეულოდან გამოიტანა და ჰიქებში შეშხუნა ბორჯომის წყალი ჩაასხა.

ლიამ ჰიქა რომ გამოსცალა, ოთახს შეველო მზერა.

— კარგი ბინა მიგიღია. ვერ გეტყვი, რომ მეფუტრად იყო მოწყობილი, მაგრამ მარტოხელა ახალბედა ჟურნალისტი-სათვის არა უშავს რა...

— ყოველთვის მარტოკა ხომ არ ვიქნები, — შეაპარა ნოდარმა.

ლიამ ცერად გადახედა ნოდარს.

— ცოლის შერთვას ხომ არ აპირებ, იცოდე არ გამომაპარო. კიდევ რომ არ დამპატიყო, მაინც ჩამოვალ.

— შენ კარგად იცი, რასაც ვაპირებ. ერთხანს ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

— ახლა რითი გავიმასპინძლდე? — სიჩუმე ნოდარმა დაარღვია.

— ისეთი სუფრის მერე, რა გამასპინძლდება მინდა, — გაეცინა ლიას. მერე რატომღაც სიცილი ვერ შეიკავა და ცოტა ხნის შემდეგ ისე ახარხარდა, რომ დიდხანს სული ვერ მოითქვა. ნოდარი გაოგნებული იდგა, ვერ გაეგო ლიას სიცილის მიზეზი, ნეტავი მას ხომ არ დასცინოდა?

— შენ დაჯექი, დაჯექი, — სიცილსა და სიცილს შუა უთხრა ლიამ. ერთხანს კიდევ იცინა გულიანად, შემდეგ თავის თავზე გაბრაზდა და სიცილი შეიკავა.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ნოდარი.

— ღმერთმანი არ ვიცი, — როგორც იქნა, დაწყნარდა ლია, — რა ამიტყდა ასეთი. არ გეგონოს შენზე ვიცინოდი.

— რა ვიცი... — მხრები აიჩინა ნოდარმა.

— ჩემს სულელურ სიცილს ყურადღებას ნუ მიაქცევ, — სერიოზულად

უთხრა ლიამ, — გეფიცები, შენ არაფერს შუაში ხარ და ინდაურიც ვერ გიშვებ რები, თორემ მეწყინება.

— სიცილს რაღაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეს.

— ხომ გითხარი, არ ვიცი-მეთქი, — იქით გაუბრაზდა ლია, — წარბი გაშალე და მოდი, გვერდით დამიჯექი.

ნოდარი ლიას გვერდით დაჯდა. ოთახს მაგიდის ლამფა ოდნავ ანათებდა. ნოდარმა სიგარეტი ამოიღო.

— მეც მომაწოდე, — უთხრა ლიამ, — შენს რედაქტორთან მოწვევა ვერ გავებდე, იმ შესანიშნავ ოჯახშიც...

— ჰოდა, საერთოდ რად ეწვევი?

— გამომიჩნდა ახალი დედა. თუ მაწოდებ, მომაწოდე.

ნოდარმა სიგარეტი მიაწოდა და ასანთს გაჭრა. ლიამ ხარბად ჩაისუნთქა თამბაქოს ბოლი. თან ნოდარს შეხედა პირდაპირ.

— დაეკაცებულხარ, — უთხრა ლიამ, — ამ ხუთ თვეში ასე როგორ გამოიცვალე. — სიგარეტი ლამბაქზე დაასრისა და ნოდარს შეეკითხა, — რომელი საათია?

ნოდარმა მაჯის საათს დახედა და მიუგო:

— ათი სრულდება.

— კარგა დრო გასულა, — თქვა ლიამ, — სასტუმროს ნომერი რომ გამახსენდება, სულ არ მინდა იქ წასვლა.

— არავინ ვაგდებს, აქ დარჩი.

ლიამ ერთხელ კიდევ მოავლო ოთახს მზერა. ოთახში ერთადერთი გასაშლელი საწოლი იდგა.

— მერე შენ?

— მე შენს ნომერში წავალ, — უბრალოდ მიუგო ნოდარმა.

— არა, იქ ვერ გაგიშვებ, არც შენ შემეტები. მეორე საწოლი რომ გქონდეს...

— შენ ჩემს საწოლში ჩაწექი, მე სკამებზე მოვეწყობი.

— სხვა გზა არ არის, — გაეცინა ლიას, — ამ შუადამისას ვერსად გაგიშვებ და არც მარტო დარჩენა მინდა.

— ლოგინი სუფთაა, — უთხრა ნოდარმა.

— ესეც გუშინ ხომ არ გამოგვიცვლია? — გაელღმა ლიას.

— ნამდვილად გუშინ გამოგვიცვალე.

— ეს ბიჭი გამაგიჟებს, — იყვირა ლიამ, — ყველაფერი გუშინ რომ მოგმიზადებია, მე ხომ არ მელოდებოდით?

— ეგებ გელოდებოდით, გულმა მიგრძნო...

— როგორ არა, დაგიჯერებ. ეგებ აქაურ აფროდიტეს ელოდი და ჩემი მოსვლით პაემანი ჩაგიშალე. თუ ასეა შემძილია წავიდე.

ნოდარმა პირდაპირ შეხედა ლიას.

— შენც კარგად იცი, ლია, — დაიწყო დაგუბული ხმით და იგრძნო, რომ მკერდქვეშ გულმა ძალუმად დაუწყო ფეთქვა, — რომ შენს იქით... უშენოდ...

— მოდი, ერთი კიდევ მოვწიოთ. — ხმა ჩაეხლიჩა ლიას.

ნოდარმა უხმოდ მიაწოდა სიგარეტს, თავადაც ამოიღო. ისე მოსწიეს, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ. შემდეგ ლიამ საბაზანო ოთახში ცივი წყლით პირი დაიბანა და პირდაბანიღმა საწოლს მიაშურა. ახლა ნოდარი ვაეიდა სამზარეულოში. იქ საქმე არაფერი ჰქონდა, ერთხანს იტრიალა. შემდეგ გასძახა:

— დაწეკი?

— ჰო, შემოდი! — პასუხი მისცა ლიამ.

ნოდარი ოთახში შემოვიდა. ლია დაწოლილიყო. სკამზე კაბა კოხტად გადაეფინა. ნოდარმა სკამები ერთმანეთს მიადგა და ზედ პალტო დააგო.

— სინათლე ჩაქაქრო? — შეეკითხა ლიას.

— არა, ჯერ იყოს, — მიუგო ლიამ, — ძილი არ მეკარება. ცივმა წყალმა თუ დამიფრთხო. ახლო მოდი, ვილაპარაკოთ.

ნოდარმა სკამს ხელი წაატანა.

— შენს საწოლს ნუ დამლი. აგერ საწოლზე ჩამოგექე, თუ გაგვიძღებს...

— რა ვიცი... — დაიბნა ნოდარი.

— რა გულუბრყვილოც იყავი, ისეთივე დარჩენილხარ.

ნოდარმა არაფერი უთხრა.

— ჩამოგექე, — ლია გვერდზე დაწვა, საწოლი პატარა იყო, კინალამ გადაყირავდა, — ჩქარა ჩამოგექე, თორემ საწოლი აყირავდება.

ნოდარი საწოლზე ჩამოჯდა.

— ახლა შენი ამბავი მიანბე, — ლიას ხმა გაეზხარა, ჩაეხლიჩა. ნოდარმა, როგორც იქნა, ყელზე მომდგარი ბურთულა გადაყლაპა და არანაკლები ჩახლეჩილი ხმით მიუგო:

— რა გიამბო... — ბურთულა ისევ გაეჩხირა და ხმა წაართვა.

ლიას მკერდიდან საბანი ჩამოუცურდა. ქალის მაღალმა, უტეხმა მკერდმა ნოდარი სულ დააბნინა...

ლიას გაეცინა. მაგრამ ეს სიცილი სულ არ ჰგავდა წელანდელს.

— ღმერთო ჩემო, რა მოუხერხებელი ხარ, ტანსაცმლით სად მოძვრები... სინათლაც ჩაქაქე...

... შემდეგ, გვიან, ლიამ იკითხა:

— რომელი საათია?

ფანჯრიდან შემოსული ქუჩის ლამპიონის შუქი ძლივსძლივობით ანათებდა ოთახს. ნოდარმა მაინც შესძლო საათის ისრების გარჩევა.

— სამი სრულდება...

ლიამ მშვიდად აკოცა ნოდარს, თავი მკლავზე დაუდო, სავსე მკერდით მიეჭედო და დაღლილი ხმით უჩურჩულა:

— ასეთ ვიწრო საწოლზე არ ვწოლილვარ... დავიძინოთ, ნოდარ...

ნოდარს მთელი ღამე არ სძინებია, ეშინოდა ლიასათვის ძილი არ დაეფრთხო და გაუნძრევლად იწვა. ლიასაც ფხიზლად ეძინა, მაღ-მაღე ეღვიძებოდა, რაღაცას წაიბუტბუტებდა და კვლავ იძინებდა. მხოლოდ გარეკრახზე ჩაეძინა ლიას ღრმად. ნოდარს მკლავი დაუბუჟდა, მაგრამ ერთ წუთსაც არ უფიქრია ლიას თავი მოეშორებინა, საწოლის ვანძრევისაც ემი-

ნოღა. მხოლოდ თავი მოაბრუნა და ლიას დააცქერდა.

რაც ნოდარმა წუხელ განიცადა, ერთიანად ააფორიაქა ვაჟი. ამ ღამემ ერთ საკითხსაც გასცა პასუხი: ულიანოდ ცხოვრება ძნელი იქნებოდა ნოდარისათვის. ღია მისი სულის ზიარი გახდა, მისი იმედი, მომავალი, ნუგეზი და სევდა...

მაგრამ ღია? თავად ღია რას ეტყვის? იგი ნოდარის მკლავზე ნებიერად წევს, სძინავს და მისი ფშვინვა ნოდარის სახეს ტკბილად ელამუნება.

მზე ფანჯარას გასცდა, ათ საათზე მეტი იქნება. შაბათი დღეა, ნოდარს არსად აგვიანდება, მაგრამ არც ამდენხანს შეიძლება წოლა. ბოლოს გაბედა, მკლავიდან ფრთხილად მოიშორა ღიას თავი. ღიას გამოეღვიძა. ერთხანს გონს ვერ მოეგო, შემდეგ თანდათან გამოერკვა, შიშველი მკერდი საბანში ჩამალა და ნოდარს გაუღიმა. ქალის მომღიმარ სახეს რომ შეხედა, სიხარულისაგან თვალეზი აუციმციმდა. დიდხანს უცქირა ღიას, შემდეგ წუხანდელივით საწოლზე ჩამოჯდა და ღია თავისკენ მიიზიდა:

— ღია, ღია, ღია!...

როდესაც წამოდგნენ, ხელ-პირი დაიბანეს და ჩაიცვეს, ღიამ ნოდარს ღიმილით მიმართა:

— ახლა რა გქნათ?

— რა უნდა გქნათ, — გაეცინა ნოდარს, — ერთმანეთის პირდაპირ დავსხდეთ და ერთმანეთს ვუცქიროთ.

ღიასაც გაეცინა:

— ახლა შენ წახვალ და სასტუმროდან ჩემს ჩემოდანს მოიტან, — თქვა ღიამ, — თან ბაზარში გაივლი, შენ წარმოიდგინე, მომშვიდა კიდევ.

— მზად ვარ გემსახურო, ჩემო დედოფალო! — დაფაცურდა ნოდარი.

— წასასვლელი ხომ არსადა ხარ?

— შენ ჩემთან მეგულებოდე და მე სადმე წავიდე...

— უყურე ამას, როგორ ენად გაიკრიფა. შენ, ისა სჯობია, ქაღალდი აიღო და ჩაიწერო, თორემ ბაზრიდან

იქნებ ისეთი რამ მოიტანო, რაც სულ არა გვჭირდება.

ნოდარმა ბლოკნოტს ფურცელი ამოახია.

— გისმენ, ჩემო დედოფალო!

— გაზის ბალონი საესეა?

— გუშინწინ მომიტანეს.

— გამაგიყებს ეს ბიჭი აბა, ჩაიწყურე: ერთი კილო საქონლის ხორცი, ხომ არჩევ ღორსა და საქონელს? ორი კილო კარტოფილი, ერთი კონა მწვანელი, ერთი ქილა ტომატი. ქვაბი არა გაქვს? რაში მოვხარშო სადილი?

— მაქვს, მაქვს, დედამ გამომატანა, მაგრამ ჯერ არ მიხმარია.

— ხილი, შენ რაც გინდა, ის იყიდე, ბორჯომი გაქვს, სხვა რამ სასმელი აღარ გვინდა.

ნოდარი წასასვლელად მოემზადა.

— დაიცა, — შეაჩერა ღიამ, — ფული თუ გაქვს?

— მაქვს, მაქვს, — აჩქარდა ნოდარი.

— მარტოხელა ვაჟების ამბავი ვიცი, თვის მიწურულია, ხელფასი აღებული არ გექნება. ძალიან გთხოვ ფული გამომართვა, — და ჩანთიდან ათმანეთიანი ამოიღო.

— ღია, ასე რად მარცხვენ...

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს, უარს ნუ მეტყვი.

ნოდარი შედგა, ღიას პირდაპირ შეხედა:

— შენი სიყვარული?.. ისე თქვი, თუ სერიოზულად მეუბნები?

— სრულიად სერიოზულად. თუ ჩემი სიყვარული გაქვს... თითქოს ცოლისაგან აგელოს ეს ფული...

ნოდარი გაფითრდა, შემდეგ ღიას მიეჭრა და გულში ისე ჩაიკრა, რომ ქალს სული შეუგუბდა.

— გიყო, — მოიშორა ღიამ ნოდარი, — გეყოფა... შემდეგ ფული კოსტიუმის ჯიბეში ჩაუდო და კარისაკენ უბიძგა:

— გასწი! შენს მოსვლამდე ცოტათი წავიმუშავე, გუშინდელ შთაბეჭდილებებიდან რამეს ჩაეწერ. რომ

მოხვალ, მაგისათვის არ მეცლება. პო, მართლა, ზუსტად გამიგე, ავტობუსი თბილისისაკენ როდის გადის?

— რაო, წასვლას აპირებ? — შეკითხვითვე მიუგო ნოდარმა.

დღეისათვის ბილეთი შეკვეთილი მაქვს.

— არა, ლია, არა...

— არა და არ წავალ, — უცბად დაეთანხმა ლია, — ხვალამდე დაერჩები.

— ხვალ კვირაა, ხვალაც დარჩი.

— სამუდამოდ ხომ არ მიპირებ აქ დატოვებას, — გაეცინა ლიას.

— თუნდაც ასე იყოს.

— ჭერ ის მოიტანე, რაც დაგვალე და წასვლაზე შერე მოვილაპარაკოთ.

— მივდივარ, მივექრივარ, მივფრინავ, — შესძახა ნოდარმა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

სასტუმროში ნაცნობი ადმინისტრატორი დახვდა. არც უყოყმანია, ისე მისცა ლიას ჩემოდანი.

— წამოდი სადალაქოში, შაში ვითამაშოთ, — უთხრა ადმინისტრატორმა.

— სხვა დროს იყოს, — მიუგო ნოდარმა, — დღეს არ მცალია.

— მაგრად კი დამამარცხე, — გაუღიმა ადმინისტრატორმა, — ერთი სული მაქვს, როდის ამოვიყრი შენს ჭაგრს, საგანგებოდ გამოვიწერე გაზეთი, აი, „სამოცდაოთხს“ რომ ეძახიან, იქ ჰადრაკიცაა და შაშიც. ხომ ხედავ, როგორ ვეშადები რევანშისათვის.

— „ცოდნა სიკვდილდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი“, ხომ ვაგიგონია, — დამშვიდა ნოდარმა, — შაში სად გავგვექცევა, მოვალ და ვავახუროთ თამაში, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს. კარგად მენახე! — დაემშვიდობა და ჩემოდნით ხელში ბაზრისაკენ გასწია.

აგერ რამდენი ხანია ახალდაბაში ცხოვრობს და ბაზარში ორჯერაც არ ყოფილა. ბადურაც არ ჰქონდა, ახლა ბადურაც იყიდა და სანოვაგით გაავსო. ორი ბოთლი ღვინოც მიაყოლა.

ასე დატვირთულმა ერთი სულის მოთქმით აირბინა კიბეზე და მისი ნივთები გასაღები ამოიღო და კარს მოარგო. კარი არ გაიღო. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ კარს ვერ გააღებდა და დააკაკუნა. საოცარი გრძნობა დაეფუტა, თითქოს თავის მარტახელა ბინაში კი არა, იქ დაეკაკუნებინოს, სადაც მოსიყვარულე შეუღლე და ოჯახის მყუდროება მოელოდა.

კარი ლიამ გაუღო.

— შემოდი, ნოდარ, — რაღაც სხვაგვარი ხმით უთხრა ლიამ, — შენთან სტუმრები არიან.

ნოდარი ოთახში შევიდა და გოცებისაგან იქვე გაშეშდა. ოთახში ია და კიდევ ვიღაც უცნობი ქალიშვილი იყო. იას ნოდარის დანახვისას სახეზე ერთიანად აღმური მოეკიდა. საღმის თქმაც ვერ მოახერხა, იდგა შუა ოთახში დამფრთხალი და დაბნეული, ვერც წინ გადგა ნაბიჯი, ვერც უკან. იაზე კარგი დღე არც ნოდარს ადგა. უხერხული მდგომარეობიდან ქალ-ვაჟი ლიამ გამოიყვანა:

— ნოდარ, რას გაშეშებულხარ? თუ ასეთი კარგი შეგობარი გყავდა, ჩემთვის, შენი დეიდაშვილისათვის არ უნდა დაგემალა... მიდი, შეეგებე, მიესალმე...

ნოდარმა ლიას შესვლა გარეგნობით მზიარული ჩანდა, მხოლოდ თვალები ჰქონდა ნაღვლიანი, ბინდი ჩაღვრილი და ჩვეულებისამებრ აღარ უციმციმებდა.

ნოდარი, როგორც იქნა, გონს მოეგო, ისთან მივიდა და მიესალმა.

— ეს ჩემი შეგობარია... — ძლივს ამოთქვა იამ, — ახალდაბაში საქმე ჰქონდა და მეც წამოვიყვევი... შენც მოგინახულე... გაიცანი.

— ხათუნა! — გაეცნო ნოდარს უცნობი ქალიშვილი და მალულად შეათვალიერა ნოდარი.

— სასტუმროში როგორ გეძინა? — ჰკითხა ლიამ ნოდარს და მშვიდად განაგრძნო, — შენს მოსვლამდე იას ვუამბე, ოთახის ოკუპაცია მოვახდინე

და ჩემი დეიდაშვილი სასტუმროში გავეგდე-მეთქი ღამის გასათევად. — შემდეგ კართან მიგდებული ბადურა აიღო და გახსნა, — ყოჩაღ, ახალდაბადებულ შვილს გისწავლია, კარგი სანოვავე გიყილია! მაგრამ ასე რად დაიგვიანე, ხომ იცოდი, რომ დღეს მივდიოდი, გუშინ ავტობუსის ბილეთიც შეგუკვეთე და ავტობუსი ამ ერთ საათში გადის... ასე რომ, სადილის გაკეთება იასა და ხათუნას მოუხდებოდა... უყურე ამას, ღვინოც უყილია... ჰოდა... სადილად რომ დასხდებით, ჩემი სადღეგრძელოს დალევა არ დაგავიწყდეთ... რადგან მე, ყველაზე მეტად, ყველაზე მეტად თქვენი ბედნიერება გამეხარდებოდა...

— ქალბატონო ლია... — შეაჩერა იამ.

— დამაცადე, ია, სიმორცხვე ქალიშვილს ებატებოდა, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა... აქ უთქმელადაც ყველაფერი ნათელია და მე, ნოდარის ახლობელს, რატომ უნდა დაძიმალოთ... — მერე ნოდარს მიუბრუნდა, — შენს რედაქტორს რომ შევხებოდი, ის წერილი დასამთავრებელი მაქვს, შენ მანამდე ღვინო გახსენი, მინდა ერთი სადღეგრძელო დავლიო, შემდეგ მეც გზა დამილოცეთ და, თუ არ გეზარებათ, ავტობუსამდე გამაცილეთ.

ლია კუთხეში დაჯდა და წერას შეუდგა.

ნოდარი გაოგნებული იდგა. იას სიწითლე უფრო მოსდებოდა. ხათუნა მიხვდა, რომ თუ არ ჩაერეოდა, ქალკაცი ისე იყო დაბნეული, ვერაფერს მოახერხებდნენ. შინაურივით სანოვავე ამოალაგა, ღვინის ბოთლი მაგიდაზე დადგა. ლიას ბინა დაელაგებინა. ითახში მათი ერთად ყოფნის წუხანდელი კვალი არსად ჩანდა. ხათუნამ ღვინის გასახსნელს დაუწყო ძებნა.

— ამ წუთას, — გამოერკვა ნოდარი, — ახლავე მოვიტან.

ნოდარი სამზარეულოში შევიდა, ბოთლის გასახსნელი და ჭიქები შემო-

იტანა. მალულად იას გადახედა. ისე საცოდავად იყო აწურული ვიგონა, რომ შეეცოდა და დაყვავებით უთხრა: დაჯექი, ია.

— მართლა, რას დგახარ, — უთხრა ხათუნამაც, — გაზრდა მეტი არ გჭირდება და ვიდრე აქ სრულუფლებიანი დიასახლისი იქნები, მანამდე მე მოგემსახურებით.

ია სკამზე მოწყვეტით დაეშვა. კრიჭა შეეკრა, ხმა ვერ დასძრა.

ლიამ წერა მოათავა. ნაწერი დაეცა და ნოდარს მიაწოდა.

— აი, დავამთავრე. ვიდრე შენს რედაქტორს მისცემდე, გულდასმით გადაიკითხე, ვიქარობდი და ვაითუ ისე ვერ დაეწერე, როგორც მინდოდა... — შემდეგ მაგიდასთან მივიდა, არ დამჯდარა, ჭიქაში ღვინო დაისხა, ხათუნას თვლით ანიშნა, სხვა ჭიქებში შენ დასხი და ჩამოურიგეთ. ერთხანს რაღაცას ფიქრობდა, შემდეგ ჩუმით ხმით დაიწყო, — ეს გოგონა ძალიან მომწონს, — და იას პირდაპირ შეხედა, — მართალია, მას არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთი შეხედვითაც ყველაფერი ნათელია. მე არ ვიცი, მომავალში როგორ წარიმართება თქვენი საქმე. მაგრამ მე მინდა ბედნიერად წარიმართოს. აი, ეს ყმაწვილი, — ახლა ნოდარს გადახედა, — ნამდვილად ღირსია სიხარულისა. მოდი, თქვენს მომავალ სიხარულს გაუმარჯოს!.. ნამდვილს, გულწრფელს, უყოყმანოს... — და ერთი მოსმით ღვინო გადაჰკრა. შემდეგ ნოდარსა და იას გადახედა, — რა ცხვირპირი ჩამოგტირით... ჩემი ხომ არ გერიდებოდა... მე რა, მე ნოდარისთვის მუდამ კარგი მინდოდა და დარწმუნებული ვარ იას შემხედვარე ნოდარის დედაც ჩემსავით ბედნიერი იქნება...

ეტყობა იამ ბევრი ითმინა, აქ ეთთავი ვერ შეიკავა, წამოხტა და ლიას ჭკითინით გადაეხვია. ლიამ ია მკერდზე მიიკრა, ხელი თმაზე გადაუსვა და ცრემლის კურცხალი ჩამოუგორდა. შემდეგ მარჯვენა ხელით თმა გაისწორა და გაიღიმა:

— ნოდარ, ყურადღებას ნუ აქცევ ქალების ცრემლს. ჩვენი საქმე ასეა, ხან მიზეზითაც და ხან უმიზეზოთაც, სიხარულისა და მწუხარების დროს ყოველთვის ვტირით...

ნოდარი თითქოს სიზმარში იყო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მის მაგიერად ღია მოქმედებდა, ლაპარაკობდა. ახლაც ღიას სიტყვებმა გამოიყვანა ბურანდიან.

— ახლა კი გზა დამილოცეთ, დროა გავუტოოთ, თორემ ავტობუსი გამასწრებს და ნოდარს ისევ სასტუმროში მოუხდება ღამის გათევა.

— ჩვენთან წამობრძანდით, კორდ-მალაღში, — მიიბატიყა ხათუნამ, — იას მშობლებსაც გაიცნობთ, ია, შენა სთხოვე.

— წამობრძანდით, — გულწრფელად თქვა იამ, — ძალიან გამეხარდებდა...

— არა, — თავი გაიქნია ღიამ, — მეჩქარება... ვერ წამოვალ... სხვა დროს იყოს... აბა, დავიძრაო.

— ღია, დარჩი! — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ნოდარმა.

— ჩემი ხასიათი ხომ იცი, — მიუბრუნდა ღია ნოდარს, — შენი ძმა და დედა ჩამოიყვანე... მე კი ამ მისიისაგან გამათავისუფლე... წავიდეთ!

ნოდარმა ღიას ბარგს ხელი დასტაცა. ავტოსადგურში რომ მივიდნენ, შოფერი მგზავრებს ავტობუსში სხამდა. იქვე მეორე ავტობუსი იდგა.

— ჩვენი ავტობუსიც აქა დგას, — თქვა იამ, — ბარემ ჩვენც წავალთ. ხათუნა, ახალდაბაში საქმე ხომ მოათავე, წავიდეთ! — დაუძახა თავის მეგობარს.

მეორე ავტობუსი სადაცაა უნდა დაძრულიყო. ნოდარს წინააღმდეგობა არ გაუწევია. არც ღიას უთქვამს რამე. ხათუნა ბურტყუნ-ბურტყუნით გაყვა იას და როგორც კი გოგონები ავტობუსში ავიდნენ, ავტობუსიც დაიძრა.

ნოდარმა სალაროსთან შეაჩერა ღია.

— ღია, რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

— ნურაფერს მეკითხები, — მიუგო

ღიამ, — შენ რომ წერილი გადმარგეცი, იქ ყველაფერი წერიანარქონული

— ახლა მაინც დაბრუნდები

— გამიშვი, ბილეთს გამიყიდიან. — ღიამ სალაროში ბილეთი აიღო და ნოდარს მიუბრუნდა, — ნახვამდის ნოდარ... წერილი წაიკითხე... ნულარაფერს მეკითხები...

— აბა, ჩემო მგზავრებო, მივდივართ! — წაუძღვრა შოფერმა და მოტორი ჩართო. ის შოფერი იყო, რომელმაც ამ ხუთიოდე თვის წინათ ნოდარი ჩამოიყვანა ახალდაბაში. მხოლოდ დანჯღრეული ავტობუსის ნაცვლად ახალი მიეცათ, კომფორტაბელური „იკაროსი“.

— მშვიდობით, ნოდარ! — ძლივს ამოიღულულა ღიამ და ავტობუსში შევიდა. ცოტაც და „იკაროსი“ დაიძრა.

ნოდარი მარტო დარჩა. ერთხანს კიდევ იდგა ავტოსადგურთან, ვიდრე თბილისისაკენ მიმავალი „იკაროსი“ თვალს არ მოეფარა, ფეხი არ მოუცვლია. შემდეგ მობრუნდა და გზას დაადგა. არ იცოდა საით მიდიოდა. ასე იარა თავჩაქინდრულმა. მდინარის ჩხრიალმა გამოარკვია. მდინარის პირას მისულიყო. ირგვლივ კაცის ჰაჭანება არ იყო. ქალაქი შორს დაეტოვებინა. საითაც თვალი გასწვდებოდა, მოტეხილი სიმინდის ყანები მოჩანდა. ტარო გამოცლილი სიმინდის ყვითელი ღეროები თავჩაქინდრული იდგნენ.

ნოდარი მდინარის პირას ჩამოჯდა, გამხმარ მოლზე. უბიდან ღიას წერილი ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო.

წერილი დიდი როდი იყო.

„დიდი ხნის წასული არ იყავი, — ასე იწყებოდა წერილი, — რომ ია და მისი მეგობარი მოვიდნენ. მე მაშინვე ყველაფერს მივხედი. ხომ იცი, გამოცდილი ქალის ამბავი, დიდად არ გამჭირვებია იასაგან სიმართლე გამეგო, მით უფრო, რომ თავიდანვე მოვატყუე, ნოდარის დეიდაშვილი ვარ-მეთქი. არა, მე შენ არაფერში გადანაშაულებ. მე მჭერა, შენში, ალბათ, ჯერ კიდევ არ

გაღვივებულა ის ცეცხლი, რასაც ნამდვილი სიყვარული ჰქვია. საუბედუროდ, არც ჩემშია ის ცეცხლი გაღვივებული, თორემ ასე იოლად სხვას არ დავეუთობდი შენს თავს. გულწრფელად გეტყვი, წუხელ ნამდვილად მიყვარდი, შენში იმას ვეძებდი, რაც ძალიან ადრე დაგვარგე, მშველელად ვიხმობდი, მაგრამ ის გოგონა რომ ვნახე, მაშინ კი ვირწმუნე, მე და შენ ერთმანეთისათვის არა ვართ დაბადებულნი. ასე სჯობია, ნოდარ. ჩვენი ერთად ცხოვრება მომავალში კარგს არაფერს გვიქადის, შენ არასოდეს მპატიებ ჩემს ადრინდელ ცოდვას, ამ გოგონას კი შენ უმანკო გულით უყვარხარ. მე ვერ მოგიტან ბედნიერებას. ის კი მოგიტანს. შენებიც იმ გოგონას უფრო მიიღებენ, ვიდრე მე. რაც წუხელ მოხდა, დაგვრჩეს მოსაგონრად, სადაც შენ იას მდგომარეობაში იყავი და მე კი იმ ვაჟისა, რომლისთვისაც პირველი დამეცოლ-ქმრობისა პირველი არ იყო... ვერა, ვერ ვპოვე მე ჩემი ბედნიერება, რადგან იგი ადრე დაგვარგე. დაკარგულის პოვნა კი, როგორც ჩანს, არ იქნება, არ მოხერხდება. ნუ შეძებ, მე არასოდეს არ შეგხვდები. დრო გაივლის, კრილობები მოშუშდება, ეგებ მაშინ მეგობარი ეძიო ჩემში, სხვა რამ კი არ იქნება... დრომდე იმ გოგონას ნურაფერს ეტყვი, ჩემს გამოცდილებას ერწმუნე, მის ხელში უფრო ბედნიერი იქნები, ვიდრე ჩემთან... დამილოციხარო, თუმცა ამ ლოცვას ჩემი გულის წუხილსაც ვაყოლებ... რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი!... მე არც შენ გადანაშაულებ და არც ჩემს თავს... რაც მოხდა, ყველაფერი უნდა მომხდარიყო. აქ კი წერტილსა ვსვამ და ამ წერტილსაც ვამთავრებ. კარგად იყავი, ნოდარ, გისურვებ იმ ბედნიერებას, რაც მე ბედმა არ მარგუნა... მშვიდობით!..“

ნოდარი დიდხანს იჭდა გარინდებული და მდინარის მდორე დინებას ვასცქეროდა, მაგრამ ვერც ვერაფერს ხედავდა და ვერც ვერაფერს გრძნობდა.

უცბად, მის თვალწინ, რატომღაც, იას სახემ გაივლია. შემდეგ მთელი ტარნით აღიმართა, ნოდარს მხოლოდ მხედდა და ჩურჩულით უთხრა:

ნუ დარდობ, ნოდარ! აბა, მე რა გითხრა, როდესაც არც მე გამეგება ბევრი რამ ამ ცხოვრებისა... ერთი რამ იცოდე, მე ნამდვილად მიყვარხარ, მთელი გულით მიყვარხარ, და თუ ღიასავით ბედნიერებას ვერ მოგანიჭებ ამჟამად, გაივლის დრო და მიხვდები, ჩვენ ერთმანეთისათვის ვართ გაჩენილნი... მე უშენოდ ყოფნა არ შემიძლია, ნოდარ, და თუ ჩვენი სიყვარული ისეთი მძაფრი არ იქნება, როგორც შენი და ღიას სიყვარულია, სამაგიეროდ იგი იქნება უხადო და პატიოსანი, ვით ჩემი შენდამი სიყვარულია...

იას ადგილას ახლა ვალერიან გოგუაძე გამოჩნდა, არწივისებური მზერით თვალი თვალში გაუყარა და ამაყად მიმართა:

— გაგიჭირდა ყმაწვილო? ხე, ხე, ხე... შენი პირადი საქმე ვერ მოგიგვარებია და მე კი მებრძვი... ხომ იცი, ვერაფერს დამაკლებ. ერთხელ, ხომ გააკურე, ახლაც გააკურებ. შენ გგონია საწყობის ამბებში გამომიჭირე?.. ვანო ხელაძე ისე ჩანს მოსულელო კაცი, თორემ საქმეები კარგად აქვს აწყობილი, წყალი არ გაუვა. გივილოსავით კი არ არის შტერი და ბედოვლათი... ისა სჯობია, თავი დამანებო და მეც ვალში არ დაგვრჩები, ავაშენებ, მთელს შენს გვარეულობას ავაშენებ, აბა!..

ვალერიან გოგუაძის ადგილი საწყობის გამგემ, ვანო ხელაძემ დაიკვია. ჩვეულებისამებრ შეკითხვით დაიწყო:

— გვარეულობას ავაშენებო?.. — ჰე, ჰე, ჰე, — ჩაიქირქილა, — გვარეულობასაც ავიშენებს და სამუდამოდ აგავსებს. თავი დაგვანებე, ამ ცხოვრებას შენ ვერ გამოასწორებ, სჯობს შენს თავს მიხედო. ვალერიან გოგუაძე მე შემაწერს შენს აშენებას და მეც პირს არ გაუტეხს... დამიჯერე, ცხოვრებაში მთავარი ფულია, ფულით სიყვარულსაც

იყიდი, სიხარულსაც, ბედნიერებასაც,
ჰე, ჰე, ჰე...

შემდეგ ვანო ხელაძის ნაცვლად ბიქ-
ტორის შელოტმა თავმა გამოანათა.

— ეს შენი საქმეა, ნოდარ, — უთხ-
რა ტკბილად, — თუ ძალა და ნამუსი
გეყო, პატიოსანი ვზით იარე, თუმცა
ია-ვარდით როდია იგი მოტენილი. ბევ-
რი რამ უნდა გაიჭირვო, სამაგიეროდ
შენს ჭკვეუანასა და შენს შეგობრებს
თვალს თამამად გაუსწორებ...

ნოდარი წამოდგა და ჩქარა დაიქცა
აილო გეზი.

ცოტა რომ გაიარა, პატარა ქალაქის
კონტურები გამოჩნდა, ქალაქისა, სა-
დაც ელოდა ბრძოლა, მრავალი წინა-
აღმდეგობა, სიხარული და დამარცხება,
მრავალი გამარჯვება, სიყვარული და
სინანული, ელოდა ცხოვრება, სისხლ-
სავეც ცხოვრება, იმედებითა და ოცნე-
ბებით აღსავსე...



• • •

ბარიკადებზე, შუა ქუჩაში, სადაც სიკვდილმა უმძვინვარესმა ცოდვილის სისხლი საღვთის სპეტაკი და უცოდველი სისხლით წარეცხა, კომუნარების გვერდით შეიპყრეს პატარა ბიჭი, ალბათ თორმეტის.

— შენც ამათთან ხარ? — მან უპასუხა: — დიახ, მე ამათ ვერ მოვშორდები.

— შენს ჯერს მოუცდი. ყველას დაგხვრეტენ. — ასეთი იყო სიტყვა ოფიცრის.

და იდგა ბავშვი ტყვიის კაშკაშში, რომ გაემართა მწერა თოფისთვის.

ის შეპყრებდა თუ კომუნარებს როგორ ზოცავდნენ სახლის კედლებთან.

იმ ოფიცერთან მიიჭრა ბიჭი და მის თვალბში იყო ვედრება.

უთხრა: — გამიშეით, თუ შეიძლება, მე საათს აქვე დედას მავუტან.

— გაქცევა გინდა?... — მე დავბრუნდები... — იმეორებდა ბავშვი ჯიუტად.

— სომ არ შეშინდი, სად ცხოვრობ, ლეკო? — აქვე შადრევნის წინ რომ სახლია.

უთხოვთ, კაპიტანო, მე დავბრუნდები... — ჯარისკაცები სიცილს აყრიან.

— წადი, ჯანდაბას! — თქვა კაპიტანმა — ჯილდო გეკუთვნის ეშმაკობისთვის!..

და მთელ მიდამოს ეფინებოდა ხარხარი რაზმის და იმ ოფიცრის.

ის ირვოდა კაცთა ხროტინში და იცინოდა თითქოს სიკვდილი,

მაგრამ უეცრად შეწყდა ხარხარი, ბავშვი ამაყი და ფერმხიდილი.

კვლავ აღიმართა მოულოდნელად, უკვე არავინ ელოდა რადგან,

— აი, მოუვდი, — უთხრა კაპიტანს და ქედმაღალი კედელთან დადგა.

მაშინ კი შერტყა უგუნურ სიკვდილს და ოფიცრმა ბიჭი დაინდო.

ამ ქვეყანაზე, სადაც გრიგალი ასე მძვინვარებს, ბავშვო-რაინდო, და ერთმანეთში ურეც ყველაფერს — გმირსა და ყაჩაღს, ბოროტს და კეთილს შენ ვით ჩაგბი ორთაბრძოლაში და რამ გიბიძკა, მითხარი ერთი.

უგ შენი სული იყო უმწიკვლო, ამაღლებული აფრქვევდა ნათელს,

შენ უყოყმანოდ მოხვედ მაშინ და ჩაბნელებულ უფსკრულთან დადექ-დედისკენ წადგი ერთი ნაბიჯი და მეორეთი სიკვდილს მიუბველ.

კაცს გაუდვიდა ქენჯნა სინდისის-კეთილშობილი სულის სიუხვემ.

რომ ელაღატა შენთვის მხნეობას, ქვეყნად ვერავინ გაგამტყუნებდა,

მაგრამ შენ იყავ ბავშვი ამავი და ქედმაღალი გქონდა ბუნება. სიცოცხლეს, დილას, ბავშვებთან თამაშს, გასაფხულს, სულში რომ იბედებო, შემე ამჯობინე, მეგობრებს გვერდით ამოსდგომოდი პირქუშ კედელთან. შენ გეამბორა შუბლზე დიდება და მარადიულ სინორჩეს ოდა უმღერა, ასე ძველ საბერძნეთში, სად სიმამაცით გულები თრთოდა, სახელგანთქმული არგოსის კართან ელინთა ყრმანი შენი ასაკის ქალაქის კედლებს იცავდნენ მკერდით და სწაიოდნენ საქმეს გასაკვირს. ყრმავ პირნათელო, შენი ადგილი არის ღმერთების საბრძანებელში, ასეთი იყო პატივი გმირთა გინდ მესენეში, გინდა თებეში. შენ მათ ეკუთვნი, ვინც თავგანწირვით ადამიანთა მოდგმას აოცებს და ელინები ვის სახეებსაც ჭრიდნენ თითბერზე ან ბრინჯაოზე. შენ თავი უნდა იქ მოიდრიკო, სადაც ტირიფი დგას დაქანცული და იმის ჩრდილში მოსული ჭასთან დოქს გადმოიღებს მხრიდან ქალწული. ის დაგინახავს და ვერ შეამჩნევს თუ როგორ იკლავს წყურვილს კამეჩი და ფიქრიანი გამოგაყოლებს მზერას საღამოს სიკამკამეში.

• • •

Sinite parvulos venire ad me
Iesus*

მოვიდნენ ჩემთან, შემოუშვით ჩემთან ბავშვები,
ვერ გამოიჭრები, მე თუ ბავშვებს ვეთამაშები
ლაჭვარდოვანო ბუმტის ნაჭერო!
რომელმა ბრძანა: რომ ღვთაებრივ მუზას განდევნის
მათი სიცილი უზრუნველი და უდარდელი...
აქეთ, ცელქებო და კუდრაქებო!

შემოდით ჩემთან! აქ ირბინეთ, ამ ოთახებსაც
თქვენი სიცილი და ყიჟინა რომ თავს დაესხას
და შეებრძოლოს შფოთსა და ბორცვას.
არ ეშუქრება ქვეყანაზე რადგან წალეკვით
თქვენი ღიმილის სიხარული და ანარეკლი
პოეტის სულში დარხეულ ორღანს.

თქვენ ვინ გიშორებთ? ჩემთან მოდით და ამ კედლებში
ვიქნები უფრო შუბლნათელი და უკეთესი,
მე თქვენს ფერხულში თუკი ჩაგები...
ცეცხლმოდებული, სისხლიანი სიწმირის ნათელში
რად მემინოდეს, თუ ვიხილე მე უცხადესი
ოქროსთმიანი თქვენი თავები?

თქვენი ღიმილი სიცოცხლე! ვინ დაიქინა,
ვინ ამჯობინა მზიარული ბავშვის ყიჟინას
დამუნჯებულ სიხლის წყვდიადი?

* აქედით ყრმებსა ნავას მოსვლად ჩემდა. იესო (ლათ.)



ბავშვს ვინ წამართმევს? სიბრალული იარაღია, —
 ისე აშუქებს ბავშვის ღიმი ჩემს სულს ნალვლიანს,
 როგორც სიბნელეს — სხივის ჭიატი!

ნურაგინ მეტყვის, რომ ბავშვები, სადა ნახულა,
 საკურთხეველთან მიიყვანოს კულტის მსახურმა,
 რომ თითქოს მუშას დააფრთხობს ჩქამიც...
 არ მინდა-მეთქი, გეუბნებით, არა მჭირდება
 არც უკვდავება, არც პატივი, და არც დიდება,
 მსურს სიხარულის უბრალო წამი!

დღე, იმას ჰქონდეს განდიდება, ფუჭი სახელი,
 სიმღერის ნაცვლად სიმღერების გამოძახილი,
 ვინც უღალატა სიმღერას ნამდვილს,
 წუთისოფელი მწუსარე და ღვარძლით ნათესი,
 ღამის კოშმარით მარტვილობა დღის სინათლეზე
 და დამარხული დიდების ლანდი!

იმაზე დიდი სიხარული განა არსებობს,
 ჩვენი ოჯახი რომ შაგიდას უზის გარშემო
 და დროს ატარებს... ფუჭი დიდება
 განდევნილია სიცილით და ჩვენი საუბრით,
 ასე დამფრთხალი ბედურების გუნდი გაურბის
 გაქცეულ ბიჭებს და ერიდება!

ის ცოცხლობს, რასაც ბავშვის მშერა ელამუნება,
 იშლება კვირტი, ოქროვანი ჰყვავის ბუნება,
 ჯადოსნურია მინდვრის ღალანი,
 გაქვევება სული ბალადების ცოცხალ სტრიქონებს,
 ოდების სუნთქვით ფრთაშესხმული ზევით იჭროლებს
 და ის იქნება უფრო მაღალი.

ცეროდენების სიხარულით მეც ვყმაწვილდები,
 ხანსახებს ლექსი, ვით აბრილში მწვანე მინდვრები.
 ო, ძმებო, სულით რომ დანიავდით,
 მერწმუნეთ, ბავშვის ჭრიამული თუ გაალადებს
 ჩვენს ლექსს, რომ იქცეს პოეზიად, ასე ბალახებს
 აცოცხლებს ცვარი და განთიადი.

ჩემთან, ბავშვებო! ან ეზოდან ანდა ბაღიდან
 გამოიქეცით! დაეჯახეთ სკამს და შაგიდას
 და ოთახები დაინაწილეთ!
 და როცა სახლკარს ფუტკრებივით შემოესევით,
 განახლებული ჩემი სული, ჩემი ლექსები
 აუდევნება თქვენს სიყმაწვილეს!

არსებობს სული უნაზები და ის იცილებს
 მიწიერს, რადგან ეზიარა არამიწიერს



ღამის დუმილით და ჰარმონიით
და ეფინება სიმფონია სულს ფრაგმენტებად, —
ფოთლის ჩურჩული, ზღვის ღრიალი, ქარის შეტევა,
დასიზმრებული და გაგონილი.

ო, მე არ ვიცი, რა იქნება, ან რა მომელის,
მეხსიერებას რა გააკვება, რა შეცდომები,
შემინდობს თუ არ შემინდობს ღმერთი, —
მაგრამ მე მინდა, რომ იქ ვიყო და იმ ქალაქში,
სადაც სიცილი ისმის ბაეშვის, ასე ხალასი,
მე მსურს ცხოვრება ბაეშვების გვერდით.

და თუ ოდესმე დაეუბრუნდი უმშვენიერეს
ქვეყანას, სადაც ჩემი მზერა ისევ იელვებს,
და რომლის ენაც თითქოს ლექსია,
სადაც ვიხილე ულანები ნაპოლეონის,
ო, ესპანეთი! ციხე სიდის! კიდევ ლენინი,
არაგონია და ვალენსია!

დე, აღიმართონ რომაული აკედუკები,
ჩემი ბაეშვობის მოედნები ანდა შუკები,
ანდა ნაშთები მავრთა ქალაქის,
დაე, მირბოდეს დაკლაკნილი გვადალკვიერი,
ჩარდასზე ვიჯდე, აქეზებდნენ ჯორებს ყვირილით
და ჟღარუნებდეს კვლავ ზანზალაკი.

კლფრად და მიუსკ
(1810-1857)

დაპირბული საღამო

მე ერთ საღამოს კომედიის თეატრში მარტო
შევედი, მაგრამ ცარიელი დარბაზი აეტორს
არა სწყალობდა, რადგან ახლა ფიქრობენ ასე,
რომ გაუვიდა დრო მოლიერს და იმის აღსუსტეს;
არ უხიციანებს ის გონებას და ამის გარდა
არ იცის კიდევ დროზე როგორ დაუშვას ფარდა.
ზოგნი რომ ვფიქრობთ სხვანაირად, მაღლობა, ღმერთო,
სხვა არის მოდა და მრავალი ემზრობა მეთოდს,
როცა ინტრიგან დიაცთა და კაცთა კრებულში
პიესა ისე იხლართება, როგორც რებუსი.

მე პარმონია ბუნებრივი მსიბლავდა მშვიდი,
 მე ვგრძნობდი ნათლად გენიოსის სიტყვასთან ჭიდილს,
 როგორი ენებით ესწრაფვოდა ქვეშაობებს,
 რა წრფელი იყო, რა ამაყი, რა სულს იტყვდა.
 ისეღებოდა კაცის სულის ოკეანეში,
 კაცური იყო მისი სვედა, მისი ალერსი,
 უნდა ვტიროდეთ, თუმც გვაცინებს იგი მრავალჯერ!
 თავს შევეკითხე: „რომ ამძიმებ ასლა სავარძელს
 და აქ შემთხვევით რომ შემოხველ, თუ კი ნახავდი
 და მოისმენდი გატანჯული სულის ღალადისს,
 ნუთუ შენ მხოლოდ შეიშრობდი ცრემლსა და შემდეგ
 კვლავ იცხოვრებდი ისე, როგორც ცხოვრობდი დღემდე“.
 ო, თუმცა თავი ფიქრს მივეცი ადამიანურს,
 მაგრამ ღორნეტით შევეკურებდი ჭალს და იარუსს.
 უეცრად ახლოს გაიღვავა თეთრმა კისერმა,
 რომელსაც შავი ნაწინალები ასალისებდა,
 თმის აბანოზით ტყვედპყრობილი შუქი ღვთაების...

ანდრე შენიეს გამახსენდა ერთი ტაეპი,
 განმეორებას რეფრენივით თითქოს ითხოვდა,
 მოულოდნელი ისე, როგორც შემთხვევითობა.
 არ იქნებოდა მოლიერის შეურაცყოფა,
 მისი ანრდილი არ იწყუნდა ალბათ სრულებით,
 თუ ამ ორ სტრიქონს იმ დარბაზში ვინურჩულებდი,
 სადაც იმ ბავშვის არსებობა თვალმა მაცნობა:
 „თქვენ დაიხარეთ და კისერი დასრილი ოდნავ
 იყო ნაზი და უსპეტაკეს თოვლივით კრთოდა“.

მე ფიქრს გავეყვი (ჩემი ფიქრი სად არ დაქროდა).
 რომ ჩვენ დაეკარგეთ გულწრფელობა და რომ მზაკვრობამ
 გაიდგა ფეხი, აღარა ვართ გულისხმიერნი,
 უარტ ურწმუნონი, სახიათი გაქრა ძლიერი;
 მხოლოდ განკიცხვა რომ ეკუთვნის ქვეყანას გულგრილს,
 რადგან აქცია მოლიერის დიდებას ზურგი, —
 რომ ვით სიმღერა ამბობს ერთი, „დრო არის უკვე“
 ამ საუკუნეს გადახედოს გონებამ უკეთ.
 რომ სამარცხვინოდ ჩაფლულია ლაფში თვატრი,
 ცხრჩობა მუნა, იმ დღეშია, ვერვინ შენატრის.
 გვარწმუნებს ბრიყვი, ხანამ აღვირს ვლექავთ ლაჩრობით,
 რომ ბებერ მზის ქვეშ ყოველივე არის ნაცნობი;
 თითქოს უოველ დღე მანკიერი და ბიწიერი
 ადამიანში არ ახლდება სულ სხვა იერით.
 დაასვა ჩვენმა საუკუნემ დალი ზნეობას.
 ჩვენ ველოდებით, ვინ გაიხდის მოვალეობად
 თქვას გაბედულად ყოველივე... მე გავბედავდი,
 სატირის მათრახს დავიჭერდი სიტყვის მხედარი,
 რომ ჩამეცმია ჩემს გემოზე შავი ფრაკები
 იმათთვის, გული ვინც იჯერა ლექსის ძაგებით.



ალსესტს პარიზი ზელმეორედ დღეს რომ ანახვა,
ვერ დაუკარგავს მოთმინებას ასე ვაგლახად
ვერც დედაკაცი საძაგელი და ვერც სონეტი,
ჩვენ უდიერად სხვის სსენებას გავიგონებდით.

ჩვენო მოძღვარო! ვერ დაგიშლის ცივი აკლდამა,
მოდო, რომ იგრძნოს შენი ცეცხლი თვით მომაკვდავმა.
იქნებ მიღვივის ნაბერწყალი, დაშხედე დინჯად,
თუ ვერ მოგბაძე ღირსეულად, რა მოხდა, ვსინჯავ!
მსურს, სიტყვა ეღერდეს ფოლადივით, ბრძოლა მომელის,
შთამბერე სული ქვეყანაზე სიმართლის მომხრის,
გენიოსს შევეცვლი მგზნებარებით და მონდომებით
და მე ვიქნები მრისხანე და ვერაჟინ მომხრის!

მე ასე დიდხანს ვეაღერსე ალბათ ქიმერას;
ის დედის გვერდით იჯდა ისევ და ციმციმებდა
თუთრი კისერი, ირხუოდა ნაწნავი ისევ
და დაბნეული გერძაღვოდა უნაზეს კისერს.
დაემევა ფარდა. წამოვდექით. ნელა ვიშლებით
და იფარება უკვე შალით მხრები შიშველი.
ო, მაღე ზელებს თავშესაფრად ექნება მუფტა...
როდესაც იგი მისი სახლის დადგება ზღურბლთან,
მაშინ მივხედები, ავედვენე თურმე თავიდან,
ო, მეგობარო, ეს ცხოვრება ასე გავიდა.
სულის სიმტკიცეს რომ ვლტვოდა ჩემი გონება,
მზერას და სხეულს სილამაზე კვლავ იმონებდა;
ოცნება გაქრა, სული ჩემი რომ გამოფხიზლდა,
რა შერჩა გარდა უცოდველი სახით თრობისა!
„თქვენ დაიხარეთ და კისერი დახრილი ოდნავ
იყო ნაზი და უსპეტაკეს თოვლივით კრთოდა“.

პიერ დე რონსარი
(1524-1585)

გასტინის ზყეს

გასტინის ტყეო, ვალში ვარ,
შენზე სიმღერა მელის,
ერიმანთოსის ტყეები
ვით შეუშკია ელინს.

რომ მომავალი თაობა
ენდოს რონსარის სტრიქონს
და მიხედეს, შენი შრიალი
რა სიბარული იყო.

ჩემს მუზას მოჯადოებულს
 და ოცნებაში წასულს
 თუ როგორ ჰყავდი მფარველად,
 შენგან ელოდა პასუხს.

შენს ჩრდილში თავისუფალი
 არ ვიკარებდი ლაგამს,
 წიგნით შორს ვიკარგებოდი,
 სხვაგან დავკროდი, სხვაგან.

შენ ხარ მიჯნურთა მფარველი
 და ათამაშებ სატირს,
 შენს ტვერში ნაიაღების
 მთელი ლაშქარი დადის!

დე, აჩაღებდე ბოლომდე
 მხოლოდ მუზეუმის კოცონს,
 მე არ მსურს, შენი სახელი
 რომ ხანძრით წარიხოცოს!

თითისგანი

შენ ხარ ათენას ერთგული და ჩემს სიყვარულს გატან
 მასთან, ვინც ყველგან წამყვება ძვირფას სალოცავ ხატად.
 ალბათ მოიწყენს უჩემოდ და დამწუხრდება სახლი,
 შენ გაუქარვე ნაღველი შენთან ღიღინით დახრილს.
 შენზე გულს გადააყოლებს და გაუქმებულ კართან
 კალთაში დაგაბზრიალებს, არ მოათავებს დართვას.
 იქნებ დრო გააყვანინო იქნებ როგორმე დამთმოს,
 რადგან შორს მივალ, ვშორდები მარის, ჩუმსა და სათნოს.
 თითებით მოგეფერება, სულ სხვა გოგოა მარი,
 მოცლა არა აქვს; დილიდან დადამებამდე პარიკს
 კი არ ისინჯავს სარკესთან, კი არ იღებავს ლაწვეს
 და არც ის უნდა, რომ ვიღაც თავქარიანთან დაწვეს.
 შენ იმის თითებს ბარდები, ვინც უმკლავდება ნაღველს,
 ვინც არის დაუხარელი, ძაფს თითისტარზე ახვევს.
 ორი დის გვერდით ფუსფუსებს, ხარშავს, კრავს და ართავს,
 ზაფხულს შვის გულზე ატარებს, ბუხართან კიდევ — ზამთარს.
 ვანდომუარში გაჩაბრულს ვანდომუარის ჩარხით,
 სადაც ნამდვილად არ საბლობს წელმოწყვეტილი ხალხი,
 ანეუსიცი მოგინახავენ შენს შესაფერის ადგილს
 და არც იქ შეგტამს ლურსმანზე უსაქმურობის ეანგი.
 დარწმუნებული იყავი, რომ უფაქიზეს თითებს



ქვემოთა
საქართველოს
საქართველოს

ენდობა ნაზი ქსოვილი; მაუდს, რბილსა და წითელს,
რომელიც მჭიდროდ მოქსოვეს, რომელიც წითლად ღებეს,
არ დაიწუნებს ზეიმზე თვით საფრანგეთის მეფე.
წავიდეთ, გველის ქალწული გაღიმებული პირით,
თითისტარს, თუკი გივარგა კვირისტავი და ჩხირი,
დაჯდება, დაგაბზრიალებს მისი თითები სწრაფი,
მონტუარამდე მიადწევს იქ დაგრეხილა ძაფი.
ძაფის და მატყლის დობილო, უნდა წახვიდე სხვაგან,
მომღერალი ხარ ოჯახის და მედიდური ხმა გაქვს.
დღესვე დავტოვოთ კუტური და გავიხუროთ კარი,
ჩვენ ბურგელიში მოგველის თვალანთებული მარი.
მიჯნურის ძღვენი უბრალო ბაჯალო ოქროდ გვიღირს
და იგი აღემატება მეფის სკიპტრას და გვირგვინს.

თარგმანი ფრანგულიდან პიპი პაპიკორისა





ბიბლიოტეკის კოფილი

ომროს პანკი

იმ შიშის იალღუჯდა
ცივი წყარონი დიანო,
ვაღაღებულნი ცხვარ-თოხლი
ღრუბლებად დაჰყენიანო...
ხალხური.

თრიალეთი

არაინ იცის როდის დაიბადა მწუქმის ეს სიმღერა, მაგრამ ერთი კი ცხადია: როცა კი-ხიყელი მწუქმა ამ სიმღერას თავის ვანუტრელ წონგურს დააღუღუნებს, მის წარმოსახვაში უთუოდ თრიალეთის მთები აღიანდებიან. თრიალეთი და მეცხვარე ერთი-მეორისაგან განუფარდელი არიან.

საქართველოში მთებს რა დაითვლის! ხაი-ლალო მთებიც ბევრია — მთათუშეთი, ზევსურეთი, ლეკოსთა, ბევრი სხვაც, მაგრამ თრიალეთის ღალა და ბარაქა მაინც ხევა არის. ქართველი თრიალეთს რომ ასხენებს, უთუოდ ცხვარ-მეცხვარეობაზე საუბრობს. ბოლო მეცხვარე, სადაც უნდა იყოს, მისი ფიქრი და ოცნება ცხვრის ფარას დასტრიალდეს. ცხვარია მისი საზრუნავიც და სიამაუვეც.

ამ დღეს, როცა თბილის-ბოგდანოვკის მარ-შრუტის ავტობუსით თრიალეთზე მივემგზავრებოდი, მანქანა ხალხით იყო გავედილი. აგვისტოს ნახევარია. პაპანაქება ხიცვ დახურულ მანქანაში სულს გვიხუთავს. მგზავრებმა მაინც ააწყეს საუბარი. მგზავრულ კრიალოხანს მარცვალ-მარცვალ ემატება ცხოვრებისეული ამბები. ერთნი უმადლეს საწაულებლებში შესასვლელ გამოცდებზე კამათობენ, მეორენი—თავიანთ თავმჯდომარეზე. მგზავრთა შორის ოთხი კაცო ცხვარზე ლაპარაკობს. მათხადაზე, მეცხვარეობა არაინ.

მ. „მნათობი“, № 12.

— იმ წინა წელიწადს, — დაიწყო ერთმა, — ძალიან გავეციქირდა. ის ტიალი ზალახი, არც თრიალეთის საზაროებში მოვიდა და არც სა-მგზავრო ტრანაზე. გზაში ფარას დროვის ცხენებივით ვაჩქარებდით. ცხვარი ფერღებგალასტული მილასლასებდა. დროზე რომ არ ჩავსულიყავით იორზე, ეს ამოდენა პირუტყვი ხელიდან გვეცლებოდა.

— მაშ, კაცო, რა იყო ის ტიალი, — დაუდასტურა მეორემ, — მართლაც, რა უბაღახო წაღებულ-შემოდგომა შეგვხვდა. მძიმე წამთარიც, რომ ზედ დაერთო?

— პოდა, იორზე ისევ ხმელმა ავშანა გვივლდა. იქ წვიშიანი ამინდი დაგვხვდა. ავშანი დაეღბო და ცხვარი ბარბად სმოვდა, შერე კი მოგვეყარეს საკმელი და პირუტყვი მაინც კარგად გამოვაწამორგეთ.

— პოდა, დილას იმას გეუბნებოდი, შარშან კი მთაც კარგი იყო და იორზეც იმისთანა ზალახი დაგვიხვდა, რომ თოხლი შიგ იმაღებოდა. აბა ვინ უფრო კარგი ბიჭია და ცხვარს კარგად გამოაწამორგებს, კარგ დოლსაც აიღებსო, ამაზე ვეჭიბრებოდი ერთი-მეორეს.

ჩვენც ვიკისრეთ ვაღებებულება და პირი არ გავიციბავს — ცხვარიც კარგად გამოვწამორგეთ და განსაღი დოლიც ავიღეთ. ახლა თითო ბატანზე კილოგრამზე შეტ მატულს ვმარსავთ. წლეთულს თითო ცხვარზე ოთხ კილოგრამამდე

მატყულს მივიღებთ და გვემას გადაჭარბებით შევასრულებთ.

— საგარეოელებს შეცხვარებშიც კარგი გყავთ და...

— მო, რა თქმა უნდა, მინდობი რაც უნდა კარგი იყოს, შეცხვარე თუ არ ვარგა, პარუტყვი ვერ გასუქდება. ზომ გაგივინა მამა-პამათა ნათქვამი: „ცხვარს ზურგზე დახედე და შეცხვარის ამავს გეტყვობს!“ წლებულს ყოველ 100 ნერბზე 90-95 ბატკანი გამოვზარდეთ. ქიტება სახაშვილი გავეჯონება, იმის ბრიგადაში კი ცხვარზე ბატკანი გაუყენეს მთის გზახა. ასზე — ახი. წინათ ამდენი წამატის მიღლებს ვინ იღობრება. გაზაფხულზე ქიტებაში თითო ცხვარზე კილოგრამანახევარი მატყლი ვაპარსა, ახლაც თითოეულ ბატკანზე ამდენივე მიიღო. ეგაც შენი სახი კილო. წლიური გვევა შესრულებულია. შემოდგომის პარსავზე რახაც მიიღებს, ის მატყლი გვემას ზევით იქნება.

— ეგ რომელი კოლმეურნეობის ცხვარია? — არ გაგივინა?! ახლა საგარეჯოს რაიონში კოლმეურნეობებს ცხვარი აღარ მყავთ. ჩვენს ფარები საყოლმეურნეობათაშორისო ფერმებში გაერთიანეს. გაზაფხულზე ორი ასეთი ფერმა შექმნეს.

— შერე, კარგია? — ქვრჭერობათ საქმე კარგად მიდის. ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი წამთარი. გაერთიანებულ ფარებს ვეტექიმები ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. ჩვენ ჭერ საზომროს სამოტრებზე გამგზავრების პაიპოშიც არა ვართ და მომთაბარე ვეტექიმმა ზურამ ლუგაშვილმა ცხვარის ასრს უყვე დაიწყო, თურქული არ შეეყაროსო...

ავტობუსმა ხეწეშით ათავა ხრამქსის მიხვეულ-მიხვეული აღმართი და თრიალეთის ილაღებზე ავიკა.

ღამაში სანახავია ამ დროს თრიალეთის ილაღებში. ბარში სიციხისაგან ყველაფერი იწვიის. აქ კი თვალისამოპრტლად ეღვარებენ ათახფრადი ყვავილები, მწვანედ ხასხასებენ მთის ფერდობებში, რომელთაც თეთრი ღრუბლებიანი ჩამოქვეთია ცხვრის ფარები და მთებს უფრო მეტ მიმწოდებლობას აძლევენ. მთების ხიდრშიაღ ფარუვის თვლებიანი ფურებიან საღამოსი და ფარაჯის ტბები.

მარტქნივ, ტბაფარაჯის იქით, სოფელ ჩაშკას სანახებში, ახულის მთების ფერდობებზე სიღნაღს რაიონის კოლმეურნეობების ცხვარი ბაღახობს. მარქსნივ — ნადირბულაყის ფერდობებზე წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს ცხვრის ფარები გაშლილან.

წელწადის ამ დროს თრიალეთის მდებლოება თუ მთის თავებზე გაშლილ მომცრო ვაყებზე სიყოხლედ ხარობს — მეცხვარეები თავიანთი შრომის ნაყოფს იმყოფენ, ბატკანს პარსავენ და სამშობლოს „ოქროს კანქს“ უგზავნიან. წალკისა და ბოჯღანოჯკის რაიონების კოლმეურნეები კი მინდვრად გასულან, პირუტყვს

წამორსათვის თვებას და ხილოს უწოდებენ. მის შუქზე ეღვარებენ მთიანეთი ცულები, მინდორში აბრეშუმეითი თიხის ქვარტხი და ზეინები მომარაგებულან. შავრას — ასევე მათობული ბაღახის საამო სურნელით არის გაფლენილი. შვრიისა და ქერის ყანებს ოქროსფერი შეპარავიათ. უყურებ და ვერა ძლები ამ სილამაზის ცქერით. მართლაც რომ ხარობს სიციხლედ მთებში, მეცხვარეც და მინდვრის მუშაც თავისი შრომის ნაყოფს იმკის.

ნადირბულაყი

დილაა. ბაღახზე ნამი შესრა და მთის ფერდობებზე ფარები გამონდნენ — მეცხვარეები დღეღმეი მოგრეტებოდნენ. აქ გადახურულ ფარდულში პარსავენ ბატკანს. წითელწყაროს რაიონის სოფელ შემომანახანის კოლმეურნეობის 200 მწყემსი ახლა აქ 58.000 ცხვარ-ბატკანს აბაღახებს. მათი მამა-პამაც ამ მთებში ასოვებდა ცხვარს.

მთების მუდარობა მოულოდნელად ცხვრის ელექტროსაპარსი ავრგვატების მოტორების გუგუნმა დაარღვია. აქ კონტეინერიით მოუწყვეათ მუშაობა. ერთა ნოტო „პათიბახლილი“ გამოღის ფარდულადან, მეორე რიგში დგას. ვეუ-ბერთელა მარღანება „ოქროს კანქით“ ივლება. მეცხვარეები იქვე ახარისხებენ მატყლს და მიმღებ პუნქტში გზავნიან.

მწვემსები ცხვარს პარსავენ. კარგ ამინდს ეშვარებიან. მათი ყურადღება ახლა იქითკენაა მავკარბილი, რომ მზიან ამინდში გაპარსონ ბატქის მთელი სულადობა და სახელმწიფოს მხოლოდ მაღალი ხარისხის მატყლი ჩააპარონ. და შერე ვანა ცოტა? წლებულს შემომანახანელებმა 105 ტონა მატყლი უნდა მიპყიდონ სახელმწიფოს, შავრამ მეცხვარეები გვემას როდღე ჭჭრდებთან. ისინი მეტის მყოფდვას ვარაუდობენ.

105 ტონა მატყლი! ეს ხომ ორასი ათასზე მეტ ადამიანს შემოსავს!

მპარსავები ოფლში იწურებიან. მუხლის ჩახარის დრო არა აქვთ. თეთრული მწვემსი დღეში 70-80 ბატკანს პარსავს. შუადღისას განრიგის მიხედვით მეოთხე ბრივადის ფარა ჩამოდვა. ბინისთავი მღლხა წახარაშვილი სამწყემოს წინ ჩამოუდღვა და პარსვის რიგში ჩადვა. მან პარსვის დამთავრებისას იქვე იანგარისა შედღევა — თითოეულ ბატკანზე კილო და საშახვრამი მატყლი მიიღო. გაზაფხულზე თითო ცხვარზე გაპარსული მატყლიც მიუშატა და გამში ორნახევარი კილოგრამი ჩაწერა. წლიურ /● გვემას შესრულებას მხოლოდ 800 ვრამა აღლიათ, — თქვა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს გივი ბიკაშვილს უთხრა, — აია, შეელო, მეტს რაღას მომთხოვთ, გვემის გადაშებტებო წლებულს თითო ცხვარზე ნახევარ კილო მატყლს ჩავაპარებთ. ჩემი ვარაუ-

ლო ზედმეტად სულ 800 კილოგრამამდე მატლს ვაეპარსავთ.

გაპარსული ზატკანი მალხაზმა დღლის იქით, ფერდობზე გაიარკვა და შუადღის შესვენებაზე ფერმის საწვინულს საღვამის მიბრუნდა. მძინე, გაიწოწილი ნაბიჭით მოდიოდა. ეს ტანბრჯე, სახედავდერებული ვაჟაკი ორმოცდამეორამეტრ წელიწადია ამ მთებში დაღის დღ, ვინ იცის, რამდენი ტონა მატული და ზორცი მისცა სამშობლოს. ნახევარი საუკუნე მოდუნა ამ კიუბებში სარსულით, თვითონ კი ისევ მშენდ არის, მუხლიც კარგად უტრის და თვალც. ის ქველი შეცხვარის დუხტირ ცხოვრებას აქ. ამ მთებში ეწაიარა და ამ ზედნიერ დღეებსაც აქ შეესწრო.

— ძველი შეცხვარის ცხოვრება ახა რა მოსაგონია, — გვეუბნება მალხაზო. არ ვაგიგონათ მწუქმის სიმღერა; „ბაღისმად შედვა სიამ ქვა, ნაღაღ ნახდის ჩულია, ხახნად შეხურა ზურხნი და ჭანდი ჩამოსულაია“. ამაზე კარგად შე რთვორ ვიტყვო.

ამ მძიმე ცხოვრებას ცოტა ხნით მეც მოეხსენარს. მამანემმა ცხვარში, რომ წამოიმიყვანა, ახლად წვერ-ულვანაშედილი ბაჟი ვიყავო, ჭანს ვეთამაშებოდი, მაგრამ მაინც ვამიჭირდა. ჭერ ერთი, მგული და მტერი ვაწუხებდა, მეორეც, რკა ზამთრის ბინებიდან გამოვიდოდიო, ნოემბრის ბოლომდე ღია ცისქვეშ ვიყოთო. ნახადო იყო ჩვენი სახლ-კარი, წვიმაც ჩვენს თავზე გადადიოდა და ზებტვაც. თუ ავად ვაუღებოდიო, ვინ იყო ჩვენი მშველელი. მაშინ ექიმი სოფელშიც არ გვეყვდა და შეცხვარებს ვინ მიხედავდა. ჩვენი მგწავარობა ზომ ნამდვილ ომსა ჰგავდა. სულ ჩხუბი და დავიღარაბა გვქონდა. ხან მინდვრის მველემ გადაგვადგებოდა წინ, ჩემს მინდორზე არ ვაგატარებთო. ხან მთელი სოფელი დაგვდებოდა. იყო ერთი ვაწევა-გამწევა, თოფ-ხანჭლის ტრიალი, კაცის ტემა თუ სიკვდილი. მთაში ამოვიდოდიო და ვაგრიფებოდიო ხოლმე ამ ქვეყნური ცხოვრებიდან. ხარში ჩანკლამდე ვეღარც ცოლ-შვილის ამხავს ვგებულობდით და ვეღარც ქვეყნისას.

ვინაც ბუერს ცხვარი ჰყავდა, მწევემს ქიარიოდა. მართლაც, ტანქვა და ხაცოდობა იყო ამ მწევემის ცხოვრება — საქონლის პატრენი წელიწადში ორ წველ ქალამანს, ერთ ნახადსა და ექვსიოდე ცხვარს აძლევდა. მწევემს ნახევარზე მშიერი დადიოდა, მისი უღლუფა დღეში ერთ-ორი იქრა ქერის ქუმული იყო. ახლა ჩვენი თვითუფლი მწევემსი თვეში 180-200 მანეთ ზედუფაზე გამოდის, პარსვისა და დოღის დროს კი 300-400 მანეთამდე დებულობს.

ახა შეხედეთ ამ ქველდებს, ისე არიან გამოწყობილი, თითქოს თეატრში მიდიანო, წინათ ამისთანა საცემელი მწევემს დღეობაში წასახედილადაც არ ჰქონდა. მთაში ღოგინს ვინ გაიგონებდა. ახლა, რომ ბინაში საწოლები გვიდგა, ძველ მწევემს ზღაპარი ეგონებოდა. ძველ-ანაგელებმა ჩამყავი აბანოც კი გააკეთეს.

ახალმოვდა. საპარსი ავტოგატრების გუტუნში მიწვდა. ნაფთარმა მწევემსმა მუხლი ჩახარეს. ცხელი წულით ხელ-პირი დაიბანეს. დანაურდნენ. რადიომიმღები ჩართეს. ახალი ქართული სიმღერები მალამოსავით მოეცხო ამაგდარ მვესოველეთა გულს.

ზადრი მთავრე მთის ქიმზე შემოქდა და დღელი ჩამოხებდა. დამის სიწუნარეში გარინდებულ მთის მწვანე ფერდობებზე, ხადაფის დილბაებით, მოსჩანს ალხაზე დაყრილი ცხვრის ფარები. სიწუნარეს ხანდახან თეოზე წამოცუქტებული ნაგაზა აჩლევს. ხადაღც რაღაცამ გაიფრთხილა, ცხვრის ფხიწელ გუშავს არ გამოიერა და შეუაფვა.

— რა მოგჩვენა, აფთარე. შე ბაიალნაო, — შეეხიანა მორიგე მწევემსი და უარას გარშემო შემოურა.

მეცხვარეთა საწაფხულო საღვამეში, ქეიოკირის მშვენიერ სახლში კი გვიან დამემდე ანთია სინათლე. ფერმის გამეც ბაილო ბოლოთაშვილი, თეუქლომარის მოაღვლედი ვიეი ბიკაშვილი, მთავარი ვეტქიმი ვიორგი სიფარაშვილი, აღმრიცხველ-პრიგადირები პარსვის შედეგებს აქამებენ.

ბატკნის პარსვაშიც პირველობა არავის დაუთმო ოცდამეერთე ბრიგადამ, რომელსაც ნოდარ ჩანაშვილი ზელმძღვანელობს.

ბრიგადის სარქალი ნოდარ ჩანაშვილი ნახევარი საუკუნის მიწნაზე დგას და გავლილ გზას სიამაყით ვასტერის. მოსაგონარი ბუერი აქვს. ეუცქერი შრომაში გართულ ნოდარს და მეთამყება ასეთი ვაჟაკის გაცნობა. ვფიქრობ: — ნეტავი შენ, ადამიანო, რომ ისე ცხოვრობ ქვეყანაზე, უკან მიხედვისა არ ვრცხვენიან. შენი შრო და მართლთა ქვეყნის სიეთისთვის მოვიზმარებია, კვლად წინ იუურები და დღენიადე ამაზე ფიქრობ, თუ შენი მარჭვენიო რა არგო მშობლიურ ქვეყანას, რა შემატო საერითი-სახალხო დოღლათს. ვინდა, რომ შენს ზელში ქვეც-კი ამდერო და ის ზვენი ცხოვრების საძირკველში ჩაადღებო.

ცხრაასორმოცდასამი წელი იყო. ჩვენმა მეტრძოლებმა ფრონტზე სამაშულო წარმოების ახალი, მოდერნიზებული იარაღი მიიღეს, მეთაურებმა კარგად ისწავლეს ბრძოლის ველზე ცდებლის წარმოება და ქვედანაყოფების მართვის ორგანიზაცია, მაგრამ არმიას მეომართა ახალი შეცხება სჭირდებოდა. ახალგაზრდა პატრიოტებიც ბრძოლის ველისაყენ მიემურებოდნენ. მათ შორის იყო ცხრაამეტო წლის ნოდარიც. მან შეცხვარის კომბალი თავისზე უფროს პატარა ბიჭებს დაუტრავა და თვითონ ომის გზას გაუყვა. მისი თოფი მიწანს აუცდენლად ისროდა. ომის შემდეგ ნოდარს ისევ ცხვრისაკენ გაუწია გულმა. ეს ბოლო თოფმეტო წელიწადი კი ორიითანა ცხვრის ფარას სარქლობს. ვაჟაკური გარჯისა და შრომისათვის

ჭერ სამატიო ნიშნის, შერე შრომის წითელი დროშის ორდენები დაიხმებურა.

ნოდარი კვლავ თავდადებით იღწვის. მის ბრიგადას მუდამ მაღალი მაჩვენებლები აქვს.

მწყურისის ჩონჯური

ტაბაწყურის მიდამოებში ნაშდვილი ზაფხული აგვისტოში დგება. ტბის ცისფერ ეკრანზე ირეკლებიან ყვავილოვან მთათა კონტურები და მის მომჭადოებელ სიღამაზეს აძლიევენ. აქედან შევიძლიათ დაიხანოთ კობტაგორასა თუ ნარჩინის ფერდობებზე ცხვრის რამდენი ფარა ბალახობს. იმახაც კარგად შეამჩნევთ, რომ ფერდობის თავზე გამოშვრალი სიპზე განმარტოებული მწყურისი ჩამოშვარა, კომპლეს დარღწობია და ფიქრებში ჩაბრუნდა, გვერდზე, სიციხისაგან ენაწამოგდებული ნაგაზი უწყევს.

ძალღმა შეგვაჩინია, საგუშვავო მიატოვა და თავვერ დაეშვა. მწყურებმა დატუქა. წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშის კოლმეურნეობის მეცხვარე ვახტანგ ხეფაშვილი გამოდგა ის მწყურმა. ქუდი მოიხადა და მთების მასპინძელი სტუმრებს გულთბილად მოგვეხალღა...

ამ ჭოტეში არბოშეკლები 22.000 ცხვარ-ბატკანს აძოვებენ, ვახტანგი მთავარი ბინისაგან წაგვიძღვა; იქვე, ახლოს, ღელეში, ბოლო ამოდიოდა, აქ არის ჩვენი საზაფხულო კანტორა, — გვიხორა ვახტანგმა და ბინას მაღე თავს გადავადქვით. ჩვენ ერთ ქობს მოვეულოდით, აქ კი მთელი ქალაქია — ცენტრში ხისიენიანი ღამაში სახლი დგას. მის გვერდით ქვითყირის საწყობი, ცხვრის საპარის ფარულია და სხვა ნაგებობანი ჩამწკრივებულან. ეწოში სატვირთო ავტომობილები დავინახეთ.

კარგი ამინდებია და დროზე თუ არ გადაზიდეს, შატული წესტს აიღებს, ხარისხს დაკარგავს.

მეცხოველეთა საეკონომიკო შეჭიბრების სტენდს ერთი კედელი აქვს დათმობილი. აქ გამოკრულია მეცხვარეთა ვალდებულებები, შესრულების შედეგები. მე-8 ბრიგადის მწყურებს შართლაც ვაყვაცურად უშრომიათ. ცხვარი ჩანმრთელად გამოუწამორბიათ და ყოველ 100 ზერაზე 103 ბატკანი გამოუშვრდით. ამ წარმატებისათვის მწყურებს შრომის დამატებითი საზღაური მიუღიათ, ხოლო ბინის სარქალი დავით ბატკაშვილი კი, რომელიც მეოთხედი საუკუნეა ამ მთებში აბალახებს სამწყურებს, მაქის საათით დაუჭილდობიათ.

მოდლ ფერმაში პირველ ადგოლზე ისევ გიორგი ბაცაცაშვილის ბრიგადა გამოსულა. ბატკანიც ბლომად გამოუშვრდა, შატკლიც და ხორციც ერთიორად მეტი მოუნაგრებია. გიორგიმ ფრონტზეც ვაყვაცურად მოიხადა თავისი ვალი. ის ენაწყულიანი, ტპილმობებზე კაციათაეიხუფად დროს, როცა მეცხვარეები ნახა, ღახარ პირუტყვს არხაჭზე მორტყავენ და მუხლს ჩახრიან, ჩონჯურს მისწვდება ხოლმე და ამ

მრასხანე ომში ჩვენი გამარჯვების საგლოზობებს დაადუღუნებს.

იმ დღესაც, ბინის წინ, მწყურისის მიასთავზე ვაორგა შატკანად უყვარდობენ.



შენ შირიგენიხარ ყველასა, ციფო წყაროო მთისაო, სრიალით წაშინადენო, ჩამონაყარო კლდისაო, შენა ხარ გამაგრებელი დღლილი ვეგაციისაო.

ჩაეწყვით აყოფებში, მოლოლინი გვაქვს შტრისაო, მოვლენ და უნდა დავუბღვეთ დრო არი ცილიობისაო. დადგება თოფის ზვილი შხაუნი ხიშტებისაო.

გვონია წარღენა მოვიდა, ამ ელვა დადგა ცისაო, სისხლი წაიღია ღვარადა, ნათიში შიაქვს მკედრისაო, გამომცდელი ხარ ოხერო, დროებზე კი ყმისაო.

ნულარა შეთიხეთ ამზავსა, იმ ტიად შარხისაო, სადაც იბრძოდნენ ქართველები, ეფუტეები ჩვენი მთისაო, წარბა არაეინ შეხარა ჩაერი არ ქამა შტრისაო.

ირველიე ყიფლის მთებია, ზევეი ჩამოდის კლდისაო, უბა დაუღლიათ უფსერულემს, გაგნება გვიქირს გზისაო. წამოეა ღეგა დრუბლები დაზნელებია მშისაო.

ხორწაო, ტყეია — უფშმარა სულ ერთმართად წვიმისაო, მაგრამ ქართული ვამათი შტრაციც კი გავაოცვეით, თუმცა ცოტანი ვიბრძოდით მომხდერნი ბევრი ვხოცვეით.

მგელს შევეყარით, მგლის კბილი, მუშლი შევშერეთ მენაზე. დაკარითი წინ არ ვაუშვით, — ჩამოგვიოდა რუხაზე, არ წამოშალოს შარხი ზვენი საშობლოს რუჯაზე.

იგრეე ზვენია შარხი, ჩვენი მიწა და წაალია, თუმცე ზოგს იქ ჩამოვღამდა მამულს შესწირა თავია, მათ სძინავთ სამწო საღლაეშა, არვის გვეონით მკედარია.



ვახტანგ სეფიაშვილიც. პირველი რომ შემო-
ვევებმა აქ მოსვლისას, ომის დროს ფრონტზე
იყო. მან მძიმე ბრძოლებით გაიარა ბელგორუ-
სია, პოლონეთი, შემდეგ, ქალაქ კენიგსბერგის
მასაფრებთან დაიჭრა და ნაირივე დაუბრუნ-
და შშოხლოვარ კერას. მალე ისევ საუვარდელ
საქმეს მოჰკიდა ხელი. ოქტომბრის რევოლუ-
ციის შემდეგ მისი ბრძოლებს დაუწყებდა ვახტანგ
და ივრის სახანოთა სამოვრებადანი თრიალეთ-
ამდე უცხოთ იმხელა გზა გაუვლია, რომ საბ-
ქოთა კავშირის სახელმძღვანელო რქვერ მანც შე-
მოუვლიდა.

— არბოშეკო კოლმურნეობა რომ შედგა,
თქვენსებრ წილსა ვიყავი, — ივონებს ვახტან-
გა. — მაშინვემმა ახორმოცდაათი ცხვარი მთ-
არგა ახლად შექმნილ არტელში და მეც თან
გამაყოლა მწყევსხად. მას შემდეგ სხვა საქმისა-
თვის აღარც მომიკიდეა ხელი.

კულაკები გაათორებით ებრძოდნენ არტელს.
1930 წელს ილია დაუკვივილიის ბრძოლადში
ვითუ მწყევსხად. ერთ დღეს ბინაში შორიგედ
დაშტოვეს. ის იყო პური გამოვაცხებ და ცხელ
ხშიალს წაცარი მოვაშორე, რომ დღელიდან მო-
ულოდნილად შეიარაღებული ცხენოსნები ამო-
ვადნენ. ბინას გარშემო შემოეხვივნენ. ერთმა
ჭერ თათრულად მკითხა: ვინა ხარო, ცხვარი
ვისიასო: რომ ვერადფერი გავიგე, მერე კვლავ
წამოიჩტა და ქართულად მკითხა:

- შე მამაძაღლო, ქართველი ხარ?
- ქართველი ვარ.
- სადური ხარ, ან ვის ცხვარს ამოვებ?
- არბოშეკელი ვარ და ცხვარიც იმ სოფ-
ლისაა-მეთქი.

— ჩვენგან უოფილან, კაცო, — უთხრა მეო-
რემ, — მოეშვი, ცოტა პური შევჭამოთ და წა-
ვიდეთ.

უჩაღებმა ისადილეს, ბინაში რაც საჯნალი
გაგვანდა, წადილეს და წაიღიდნენ. მეც თან წა-
მეყვანეს, მერე, ცოტა გზა რომ გავიარეთ, მით-
ხრეს:

— დაბრუნდი ახლა ბინაში და ჩვენს აქ ყოფ-
ნაზე არავისთან არადფერი დაგვიღებს, თანაც გა-
მართხილეს — წადი და უკან აღარ მოიხედო,
თორემ გეხვარიო.

კოლმურნეობის ცხვარს უჩაღები ხშირად
იტაცებდნენ. საშინი იყო მანინ მთაში წამოსუ-
ლა. მთავრობამ მანინ თოფებაც დაგვიარგა. ახ-
ლა მწყევსს ხანჯალიც კი აღარ მკიდეა.

ის სტამე უნდა მოგპარდეს

არბოშეკის ფერმაში თვრამეტი კომუნისტი
მუშოიას. პარტბუროს მდივანი, ახლგაზრდა

წოოტქენიკოსი დესტო ალადაშვილი მას უნა-
რიაწად უმღევდა. პარტბუროუ ჯექმტე ცოდფროთ
ხელმძღვანელობს მეცხოველეთუქს მორჩხეცქს
ლილ სოციალისტურ შექიბრებას.

არბოშეკელმა კომუნისტებმა თავიანთ ღია
პარტბურ კრებაზე გულდასმით განიხილეს ბატ-
კინისა და ცხვარის საშემოდგომო პარსვის ორ-
განიწებულად მოწყობის საკითხი. კრებამ კოლ-
მურნეობის გამოვობას სთხოვა შემოდგომის
პარსვაზე დასახმარებლად გამოეგზავნა გამოც-
ვლილი მპარსავი მწყევსები, რომლებიც ახლა
მენსიაზე არიან. გამოვობამ შეასრულა მათი
თხოვნა და ოთხი მპარსავი ამოვიდა მთაში.

ფერმაში ბევრი მოსაგვარებელი საქმეა. გა-
ნა არ შეიძლება ცენტრალურ ბინაში ელექტ-
როსინათლის გამოყენება? მოთმეტეს, რომ სო-
ფელ ტამაწყურდიანს, სადაც ელექტროდენის
ქვესადგური არის, მხოლოდ შევიდა კოლმეტ-
რია არბოშეკელთა ბინამდე კოლმურნეობა
ერთიორად ანაწდაურებს დენის გამოყენა-
ზე გაწეულ ხარჯებს. საქმე ისაა, რომ ცხვარის
ელექტროსპარსი აგრგვავის ასამუშავებლად
მოდრავი მოტორები სოფლიდან ამოაქვთ. ამ
პერიოდში ბევრი საქმეა. თვითეული სატვირ-
თო ავტომანქანის მოცდენა აფერხებს მინდვ-
რიდან მოსავლის გამოწილვას. ამასთან არის
შემთხვევა, რომ თაღებმა მოტორის საწვავი,
წოგვერ კა გვიანდება მისი მოტანა, პარსვის
ხელსაყრელი ამინდი უქმად იკარგება. ეს თა-
ვის მხრივ იწყვეს ზამთრის სამოვრებზე გამე-
წარებების დავიანებას. ყველა ამ შემთხვევასა
და ხარჯებს თავიდან აცილებდნენ. საპარს ფარ-
დულმა ელექტროდენი რომ იყოს გაყვანილი.
ეს ახანოს მოწყობის საშუალებასაც მისცემ-
დათ.

მწყევსებს დიდი სამღურავი აქვთ ნაბდების
დამამზადებელი უწყევლის მიმართაც.

— ჩვენი ნაბდები, — გვეუბნება ფერმის
გამე, ახლგაზრდა სპეციალისტი ზურ ბატია-
შვილი, — მხოლოდ თბილ ოთახში დასაკიდებ-
ლად ვარგა. ჭერ ერთი, რომ ის ძალზე მძი-
მეა. მეორეც — წვიმის დროს ისე იწყებდა,
რომ მწყევსი ფეხს ზედ ადგამს მის კალთებს,
წვიმას ხომ არ იჭერს და დასაძინებლადაც არ
ვარგამ ერთ წვიმიან დღეს თვითონ ამ ნაბდის
გამკეთებელი უნდა დააყენოს ცხვართან თავი-
სი ნაბდით და ენახოთ რა ხახიათზე დადგება.

სასახლეოდ შრომობენ ჩვენი მწყევსები მთა-
შიცა და ბარშიც. ისინი პირნათლად იხდიან
ვალს საშრობლოს წინაშე, და ჩვეუც ვალდუ-
ბულნი ვართ უფრო გულმოდგინედ ვაზრუნოთ
მათზე. შევუქმნათ ყველა პირობა უფრო სა-
უოფიერო შრომისა და დასვენებისთვის.



მიხეილ ღვინტიანი

კონსტანტინე ლესელიძე

მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებმა, ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქის მეომრებმა ფართოდ აღნიშნეს გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრის, დიდი სამამულო ომის, კერძოდ, კავკასიის დაცვის აქტიური მონაწილის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის დაბადების 70 წლისთავი.

ამ თარიღს გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ა. ბრეჟნევი, რომელიც კ. ნ. ლესელიძის ოჯახისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, რომელთანაც ომის უმძიმესი გზა გავიარე, კარგად მახსოვს, იგი იყო ნიჭიერი, ნებისყოფიანი და ენერგიული არმიის სარდალი, სამშობლოს მამაცი და შედგარა ჯარისკაცი, შესანიშნავი ადამიანი, ნიჭიერი ქართველი ხალხის ღირსეული შვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია მტერზე გამარჯვების დიად საქმეს, მის მხედართმთავრულ ნიქს უწდა უმადლოდნენ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებას ჩრდილოეთ კავკასიის ბევრი ქალაქის და რაიონის მშრომელები, ვანსაკუთრებით მშრომელები ნოვოროსისისკისა, რომელსაც ახლა მიენიჭა მაღალი სახელწოდება ქალღმერთი — „გმირი ქალაქი“ საპატიო წოდება“.

ომის პირველი დღეები

ომის დაწყების პირველ დღეებს კონსტანტინე ლესელიძე საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვართან შეხვდა, ბრესტის რაიონში. მეორე მსროლელი კორპუსი, სადაც იგი არტილერიის უფროსად იყო, სწორედ იქ იდგა. ამ დროისათვის პოლკოვნიკი ლესელიძე უკვე გამოცდილი მეთაური, არტილერიის საქმის შესანიშნავი ოსტატი გახლდათ. მას ჰქონდა საფრეზლიანი ცოდნა და სერიოზული პრაქტიკული გამოცდილება. ბალტიისპირეთის განთავისუფლება, აღმშრობა დასავლეთ ბელორუსიაში — აი, ახალგაზრდა მეთაურის საბრძოლო ნათლობები, ამ ლაშქრობებში მიღებულმა გამოცდილებამ მას დიდი სარგებლობა მოუტანა სამამულო ომის წლებში.

22 ივნისს 4 საათზე, გათენებისას, პიტლერელთა პირველი ჭურჭებისაგან მიწა სვეტებად ავიდა ცაში..

ამ მისისთან მომენტამდე თხუთმეტი წუთით აღტ გენერალმა გულგრილად შედ მიმდინარე ბუვის ნაპირას, ბრესტის მახლობლად, თავისი ამილითურთ გადაიღო სურათი. ამ ზროვას თავი ისე ეტყირა, თითქოს შორიგი მსხვერპლისაკენ მიმავალ გზაზე ერთადერთ დაბრკოლებას მხოლოდ ეს ბუვი წარმოადგენდა—გადალახადენენ მას და შემდეგ მათი ჯაშინიანი არმადი იქით გასწევდა, საითაც მოებრიანებოდა, იმას გააკეთებდა, რასაც მოისურვებდა. წითელი არმიისა და, საერთოდ, საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური და მორალურ-პოლიტიკური პოტენცილის შეუფასებლობა გონება-ჩლუნგი ქატერისა და მისი ვარგმოცივის საბედისწერო სენი აღმოჩნდა.

ამრიგად, „ბლიცკრიგის“ მოყვარულები იოლ გამარჯვებას ვარაუდობდნენ, მათ, რასაკვირველია, აზრადაც არ მოუვიდოდათ, თუ რა შვიი

დღე ელოდათ მოსკოვთან, სტალინგრადთან, კრისკის რკალზე, და რომ ომის ფაშისტური გერმანიის განადგურებით დამთავრდებოდა.

მთელი პარტიკულარული კაცობრიობა აღსდგა წინააღმდეგობა ომში მონაწილეობისათვის.

ომის პირველსავე დღეებში იგრძნო მტერმა საბჭოთა სამშობლოს დამცველთა უღრვევი ძალა. საბჭოთა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ომების ისტორიაში მასობრივი გამობრძნის უბადლო მაგალითები აჩვენეს. გერმანელი ფაშისტები გაოცებული იყვნენ ჩვენი არტილერიისტების მოქმედებით. გერმანიის სახმელეთო ჯარების დანაშაულოვანი შტაბის უფროსი პალდერის თავის აღწერებებში ვერ ფარავდ გაოცებას საბჭოთა ზოგადობის გამობრძნის გამო: „თვალში გეცემა ის გარემოება, რომ არტილერიის ბატარიების ხელში წაგდებისას ტყვედ თითქმის არაფერს ვერ ვხედავ. ისინი იბრძვიან, ვიდრე არ მოკლავინ...“ ეს რომ არა, წარმოუდგენელი იყო კბილბამდ შეიარაღებულა პიტლერების უეცარი და გააფთრებულა შემოტევის შეჩერება.

ბრესტის ციხე-სიმაგრე მტრისათვის იდუბეღელ ბასტიონად გადაიქცა. ჩრდილო-დასავლეთით მის ფედეღმარშოდ ფონ კლუგის მე-4 არმია და გენერალ-პოლკოვნიკ გუდერიაინის მეორე სატანკო ჯგუფი უტყვედა. მტრის გეგმა ასეთი იყო — ორივე მხრივ გაერღვია ბრესტის გაზაგრებული კვანძი, გაქრიდოო სლუცკისა და მინსკის მიმართულებით, აღუაში მოექცია ბელარუსისა და მინსკის შორის განლაგებული ჯარები.

პოლკოვნიკ ლესელიძის არტილერიისტებს მტრად მძიმე უბანი ებარათ, საქირო იყო მათ თავისი სიტყვა ეთქვათ. მტრისათვის საჯადრისი პასუხი ვაეცათ. მაგრამ როგორ, რა ზერხებით, რა საშუალებით?

მოსალოდნელი იყო პიტლერულია მორიგი მოძალემა. საკომანდო პუნქტზე ლესელიძე თავნადრული ჩასტყროდა ფართო საეველ ჩანთაში გადაშლილ ბრესტის რაიონის რუკას და დროდადრო საარტილერიო მოხატეებზე თვალის მოსავლებად ღერებინდს მომარჯვებდა ხილმე.

„ბრესტის საკვანძო იდგოლია, — ფიქრობდა იგი, — ცხადია, მთავარ ძალებს თავს აქ მოუფრის მტერი. — დასავლეთიდან შესანიშნავი მავისტრალი მოემართება ბრესტისაკენ. ასეთი გზა პირდაპირ მისწრება ტანკებისათვის, თუ გერმანელები ბრესტს ხელთ იგდებენ, მათ ძალედ ფართო მანევრირების საშუალება მიეცემა“.

ბრესტიდან აღმოსავლეთით, მინსკისა და ჟიტკოვიჩისაკენ, რკინიგზაზე ვადიოდა და გზატყეცილიც, საშბრეთისაკენ რკინიგზის ორი ხაზი — კოველისა და ელოდვისაკენ, ჩრდილოეთით — ბელოსტოკისაკენ. მტერს შესანიშნავი პუნქტი ამოერჩია.

ბრესტი ძლიერ დაეცას მოითხოვდა.

„ბრესტი საბჭოთა ბელიორუის ვასილება. თუ ხელიდან გამოგვეცალა, მტერი მტრის შეჩერება საეველია“, — განაგრძობდა ლესელიძე. მერე კორპუსის შტაბის უფროსს ოზეროვს მიუბრუნდა:

— ბიუ ხომ სათქმელია, რომ ბრესტი შესანიშნავი ადგილია თავდაცვისათვის. პიტლერულეს აქ ძალიან ცხელი აბანო უნდა მოუფუყოთ. არტილერიის უფროსი ერთხელ კიდევ ამოწმებს ბატარიების შხაფიფუნას — წინ ცხარე ბრძოლებია მოსალოდნელი. საეველუ პოზიციების გადაადგილების შემდეგ ლესელიძე კორპუსის მეთაურთან მიდის და არტილერიის განლაგებას აცნობს.

— კარგი განლაგებაა, — მოუწონა კორპუსის მეთაურმა და თანაც დაინტერესდა, ჰურეები საეშარისი მქონდათ თუ არა და როგორი იყო კავშირი მსროლელ დივიზიებთან.

საეველუ პოზიციებზე ჰურეების ორი დღის მარაგი გააჩნდათ. მეზენიტებიც მზად იყვნენ. მსროლელ დივიზიებთან განუწყვეტელი კავშირი იყო დამყარებული. ყველა დანაყოფმა კარგად იცოდა თავისი საბრძოლო ამოცანა, ლესელიძე სწრაფად გამობრუნდა კორპუსის მეთაურისაკენ თავის საკომანდო პუნქტისაკენ. მისვლისთანავე მოესმა მეთვალთვალის ძახილი:

— პერი!

კიდევ რამდენიმე წუთი და ცაში სვასტიკიანი ბომბდამყენები გამოჩნდნენ — ბრესტისაკენ აეღოთ კურსი. ლესელიძემ ღერბინდი მოიმარჯვა და მეზენიტებს უბრძნა:

— ცეცხლი!

და ზეცას თითქოს მართლაც ცეცხლი წაევიდა. მტერი შედრკა, იძულებული გახდა მდინარე შენაევეცისა და დასავლეთ ბუგის ნაპირზე ჩამოეყარა ბრესტისათვის განუყოფელი ბომბები.

მცირე ხნის შემდეგ მოტორიზებული ქვეითი ჯარის გუგუნი მოისმა. წინ ტანკების კოლონა მოუძლოდა.

ამ მიწვეულოვანი კვანძის ასე უბრალოდ დათმობა სერიოზული სტრატეგიული ზარალი იქნებოდა ჩვენი ჯარებისათვის, საბჭოთა არტილერიისტებმა ბრესტის საშბრეთ-დასავლეთის კიდებზე წინ მომავალ ტანკებს გრიგალისებური ცეცხლი შეაგებეს.

გერმანელებმა გეზი მინსკისაკენ იიღეს. არტილერიისტები უქმად რიდი იდგნენ. კორპუსის ჯარების გადმოადგილებამდე ოზეროვმა და ლესელიძემ ახალი პოზიციები შეარჩიეს ბელიორუსის დედაქალაქის მისადგომებთან.

— არტილერიამ აქ ყველა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს, — უბნდა კორპუსის მეთაურმა ლესელიძეს.

— მე მათ ტაქტიკას უკვე ვიცნობ, — უბანდა არტილერიის უფროსმა, — მთავარია

ქვეითი წარმოების ტანკებს ჩამოეპრობათ, შემდეგ მათი ცალ-ცალკე განადგურება აღვილია. ტანკები ჩერჩხობით ბევრი აქვთ ვერმანდლებს, — ამბობდა მაშინ ლესელიძე. — მაგრამ ჩვენი შიერ მოსპობილი ან დაზიანებული მათი ყოველი ტანკი პიტრულის ამბობს ძლიერების დაცემას გვაძენობს. ამიტომ მოწინააღმდეგეებს ტანკებითა შეხვედრას კი არ უნდა ვერადიოთ, უნდა ვეძლიოდათ სასტიკი ცეცხლი შევაგებოთ მათ და დაუნდობლად განადგუროთ. — და თაყვის სიტყვებს ლესელიძე საბრძოლო საქმეებით ესამდა ხორცს.

მისიკის დასავლეთის ზღვრებს გერმანელთა ახალმოსული სატანკო დივიზია უტევდა.

ტანკები შვიდრო წყობით მოდიოდნენ, მათ ჩვენი მოგერიების გარდგევა უნდოდათ, რათა თავიანთი ქვეითი დივიზიისათვის გავსენათ გზა. ფოლადის უზარმაზარი ურჩხულები გუგუნითა და ღრქნით უახლოვდებოდნენ ჩვენს პოზიციებს. ქიტრებმა მთლად გადათხარეს ველი.

და ამ გადაწყვეტ ემას ჩვენმა არტილერიისტებმა წინააღმდეგობის გასაოცარი უნარი გამოამჟღავნეს.

მტრის შეტევა კი არ წაღებოდა, გარდგევა ყოველ წამს იყო მოსალოდნელი, გერმანელთა ტანკების გვერდს ხევიმ ვაღაგებულ ირნი ბატარია დაუპირისპირდა. აქ ყველაფერი მხოლოდ სწორ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული და ლესელიძემ იპოვა იგი: სხვა ბატარიების ხეობაში ვაღაგენა უკვე დაგვიანებული იყო. ტანკება ხეობას 150-200 მეტრზე მიუახლოვდნენ თუ არა, პირველად მესობულ დივიზიონებს უნდა გავსენათ ცეცხლი.

ანგარიში ზუსტი აღმოჩნდა, შეტევაზე გადმოსულ ტანკებს წინ ვაღაგელობა შეზიბულა ბატარიების ცეცხლის კედელი. ქიტრებმა შეკობა-რიდან გამოიყვანეს მტრის რამდენიმე ტანკი — ისინი აღვარსე ტრაპაზებდნენ უშველოდ, ხოლო ორი მოთვანი ცეცხლის აღში გაეხეთა. ამაღ, ცხრიდა, მტრის რიგებში არეულობა გამოიწვია. ტანკისტები დაიბნენ და თავიანთი მანქანები იმ მხარეს შიპარუნეს, საიდანაც ჩვენი არტილერია ურტყამდა. სწორად ეს უნდოდა ლესელიძესაც. ახლა ტანკება ყოველ სამიზნეება იქცნენ, ხეობაში წამაფრებული ჩვენი ქვეშევრდებისათვის. საბჭოთა არტილერიისტებმა ქვეშევრდები და პოზიციებზე გამოაგორეს და ვრეგალისებრი ცეცხლი გახსნეს. მტრის ტანკები ზედაზედ გამოდიოდნენ წყობალებიდან. ვაღარჩენილები სწრაფად ვაბრუნდნენ უკან.

ამ ოცდაათწუთიანმა ბრძოლამ გერმანელთა „უძლველი“ არმიის წარსაცეები დაარწმუნა, რომ ომის ბედი ყოველთვის მათ მარჯვეს რისადა — სატანკო დივიზიამ, ჩვენი თავდაცვის გარდგევას რომ ეძლიადა, სერიოზული დანაჯლისი განიცადა. ამ ბრძოლით ლესელიძემ ვერმანტიცა მის მიერ აღრე გამოთქმული ან-

ანტყერი სასყაროს ვანქმული მოქანდაკე ფიდიასე, რომელიც ძალიან დაახლოებული იყო პერიკლესთან, რამეც შერის ნიადაგზე მას მტრების გაუჩინა, ან ბრალდების მსხვერპლი შეიქნა, თუმცა თვით ბრალდება ოქროს მითვისებაში არ დადასტურდა. ათინა პალდას ქანდაკების გაცეთებისას პერიკლეს ურჩევია ფიდიასესათვის ოქრო ისე გამოეყენებინა, რომ საჭიროების დროს მისი მთლანად მოხსნა შესაძლებელი ყოფილიყო თვით ქანდაკების დაშლანებლად. და როცა ფიდიასეს თანაშემწეს ვინმე მენონს, პერიკლეს მტრების წაქეზებით, ოფიციალური ბრალდება წაუყენებია დიდი ზელოვანისათვის, ათენის კვეიან მმართველს საბალხო ერებაში ბრალმდებელთათვის მიუმართავს წინადადებით — მოეხსნათ ოქრო და აეწონათ. ასედაც მოხსნა. როგორც პლუტარქე წერს, აეწონათ და ქურდობა არ დადასტურებულა. მაგრამ ფიდიასე ვერ ვიქცა მეორე ბრალდებამს. ფარზე მას ამოუყვითავს ამორჩალებთან ბრძოლა. გამოუხატავს თვისი თვით მულოტი მოხუცის სახით, რომელსაც ორივე ზღწლით აღდა ექვა, რათა ესროლოს ამორჩალებს. იქვე მას მოუთავსებია „ამორჩალებს წინააღმდეგ მეომარ პერიკლეს მშენიერი პორტრეტი. პერიკლეს ზღწ, რომელსაც სახის წინ უკეთია აღმართული მახვილი, გაცეთებული ისტატურად, თითქოს და სურს დაფაროს მსჯავსება. მაგრამ იგი ჩანს ორივე მხრიდან.“⁴ ასე წერს პლუტარქე, რომელიც ამ ისტორიას გადმოიყვემს, როგორც ფიდიასეს მომჭირნების ცდას — ბრალად დადონ ზელოვანს თვითანდადება. ფიდიასე წაუყენათ ცახეში, სადაც იგი ავადმყოფობით გარდაცვლილა. პერიკლეს მტრებს კი ხმები გაუფრცელებით — პერიკლემ მოწაწლა, რათა სასამართლოში მისი ჩვენებების ეწინოდო.⁵

დაახლოებით იმავე პერიოდში, როგორც ისტორიკოსები ფაქტობენ 432 წელს ზემს ერამდე, ოფიციალური ბრალდება წაუყენეს

¹ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, 1, 1961 წ., გვ. 208-209.

² იხ. ამ საკითხზე პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიების I ტომის შენიშვნები (გვ. 489), სადაც ვკითხულობთ: „მეღლა ჩვეულების მიხედვით, აღამიანები, რომლებიც კვდებოდნენ ან რომლებსაც სურდათ თავისი ნებით მომედარიყვნენ, თავს წაფარავდნენ“.

³ იქვე, გვ. 209.

⁴ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, 1, 1961 წ., გვ. 218

⁵ იქვე, გვ. 490.

ასახიას „უნამუსობაში“. აღიძრა სასამართლო პროცესი. ბრალდებულად გამოხდეს კომიუნური პოეტის გერმანიას. მას ასახიასათვის უძველესი ბრალდება წაუყენებია, რომ ამ უნამუსოებთან დადიან თავისუფალი ყოფილების ქალები, რომელთაც ასახიასი ღებულთან პერიკლესათვისო.¹ დიოპიტეს წინადადება შეტყობია — „აღამიანები, რომლებსაც ღმერთები არ სწამთ ან აგრცელებენ მოძღვრებას ციური მოვლენების შესახებ, სასამართლო პასუხისგებაში იქნენ მიცემული, როგორც სახელმწიფო დამნაშავეები. მას სურდა ეკუთვნოდა პერიკლეს, არაპირდაპირი გზით ანაქსაგორით“² ორივე ბრალდებამ პერიკლეს მიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სოკრატეს მოწვევს ესქინეს უთქვამს — პერიკლემ ბევრი ცრემლი დაღვარა ასახიასი საქმის გარჩევის დროს და მეუღლე გადაარჩინა. რაც შეეხება ანაქსაგორს, პლუტარქემ ამბობს, რომ პერიკლემ ჩემად გააპარა ქალაქიდან მოხუცი ფილოსოფოსი, თავისი მასწავლებელიო.

ამ ბრალდებების გარდა, პერიკლეს უჭებოდა არაერთი დავიკნის ატანა, რასაც მისი და მისი ოჯახის შესახებ კომიუნური პოეტები აგრცელებდნენ თავიანთი ლექსებით თუ დრამატული თხზულებებით. პლუტარქეს შემოხვევით არ მოკავს არისტოფანეს, კრატინეს, ეპიკლიდეს, გერმანიასეს თხზულებებიდან აღვყოფი, სადაც ათენის დიდკაცს. მის მეუღლეს ასახიასი, შეილებსაც კი სასაცილოდ იყვებდნენ. მაგრამ ის უფრადლებას არ აქცევს „აღმფრთხილულ წამოძახილებს და მოქალაქეების უცმაყოფილებას“. თავის სიმაართლესუ დარწმუნებულნი ისე ბელმდინელობის ქვეყანას, როგორც ალელეებულ ზღვანს ოსტატი „მესსაჲ ვეშე“, რომელიც არაფრად ივლებს შეშინებულ „მგზავრთა ცრემლებსა და თხოვნებს“. ომში წასვლის წინ, როცა ტრიერზე ავიდა და სწორედ ამ დროს მოხდა მზის დაბნელება, რამაც მეომრები საშინლად შეაშინა, პირდაპირ სასოწარკვეთილებში ჩააგდო, ზოლო შესაქე სრულად დაიბნა, პერიკლემ მიუღო მასთან, მისი თვლების წინ აღმართა თავისი ლაბადა, გადაათარა და უთხრა: ნუთუ ამში არის რაიმე უბედურება ან ის თვლის ამას რაიმე უბედურებას წინასწარ-მამუწყებლად? არაო, — უპასუხებია მესსაჲს. „მაშინ ის მოვლენა რითღა ვანსხვავდება ამისაგან, თუ არ იმით, რომ სავანი, რომელიც დაბნელების მიზეზი იყო, მეტრა ლაბადაზე“³ ამგვარი მოთხრობა გვხვდება ფილოსოფოსების ლექციებში, — დასტუნს პლუტარქემ და

გასაყერი არ არის. თუ ბუნებისმეტყველებაში ანაქსაგორს მიერ ვაწერონელი კაცი ასე საღად მსჯელობს იმ დროისათვის, მაშინ ციური მოვლენებზეც.

სიკოპლეს ბოლო წლებში, სახალხო მღელვარების შედეგად, პერიკლემ გადაყენებულ იქნა სტრატეგობიდან. ამას ზედ დაერთო დიდა ოჯახური ტრაგედია — შეილების — ქსანტიპესა და პარალის, აგრეთვე საყვარელი დის, ბევრი ნათესავისა და აბლობის სიყვლილი გამძეინვარებელი შვიი კირის ეპიდემიის შედეგად. მართალია, ქსანტიპემ მთელი სიკოპლეს მანძილზე აძაგებდა მამას, ეჩხებებოდა, დასაცილოდა, კორიცი ვაუერცელა — ჩემს ცოლთან იცხოვრაო, მაგრამ შვილი მაინც შვილი იყო, ხილო პარალის დაკრძალვის დროს პერიკლემ ატირებდა, როცა მის საფლავს გვირგვინს ადებდა.¹ ასეულის სიდიადე და სიმტკიცე მაინც არ დაუარგავს.² თუმცა პარალის სიყვლილმა გატეხა და პირველად ატირა მთელი სიკოპლეს მანძილზე.

გადაყენებულ პერიკლეს ადგალზე ვერავინ შეარჩიეს ათენელებმა, არცერთი იმდროინდელი ორატორი და სტრატეგი არ აღმოჩნდა მოწვევის სიმძლავრეზე ატორიტეტით ან ხალხზე გავლენის ძალით. ათენელები ნანობდნენ, რომ პერიკლემ გადააყენეს, თხოვნა დაუწყეს გამოცხადებულყო ორატორულ ტრიბუნაზე ან სტრატეგების შერობაში. დამგლოვიარებულ პერიკლეს უახს ამბობდა, წასვლას ურჩევდნენ მეგობრები, პირველყოფისა, აღკრბადე. მაშინ კი, როცა ხალხმა სთხოვა — ვეაბატიე ჩვენს მიერ ჩაღვნილი უსამართლობაო, — პერიკლემ ისე აიღო სტრატეგობა (ისეუ აირჩიეს) და შეუდგა თავისი დიდი მოვალეობის შესრულებას.

არჩევისთანავე პერიკლეს მოუტოვია გვეუქმებინათ ის კანონი, რომელიც მისივე წინადადებით იყო შემოღებული. კანონი ეხებოდა შეილებს — კანონიერებს და უკანონოთ. კანონიერებად ითვლებოდნენ ის შეილები, რომელთა ორივე მშობელი — დედა და მამა ათენელები იყვნენ.

არისტოტელესაც მითითებული აქვს: „პერიკლეს წინადადებით, დადგინეს, რომ არ შეიძლება სამოქალაქო უფლებები ჰქონდეს იმას, ვინც ორივე მოქალაქიდან არ წარმოსობილა“.³ როცა ეს კანონი გაყავდა, პერიკლეს კანონიერი ორი შეილი ჰყავდა პირველი მეუღლიდან — ქსანტიპემ და პარალი. მაგრამ ორივე დაეღუპა შვიი კირის დროს,

¹ პლუტარქემ, პარალელური ბიოგრაფიები, I, 1961 წ., გვ. 221.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 221.

¹ პლუტარქემ, პარალელური ბიოგრაფიები, I, 1961 წ., გვ. 222.

² იქვე, გვ. 222.

³ არისტოტელემ, „ათენის პოლიტეა“, 1973 წ., გვ. 38 (რუს. გვ.).

როგორც ზევით მოვიხსენიეთ. ასპაზიასთან მის ჰაყვდა ვაფიშვილი, ხოლო რაკი დედამისი მიღუთიდან იყო, კანონიერ ქვილად არ ითვლებოდა ზემოხსენებული კანონის ძალით. ათენელებმა ყურად იღეს პერიკლეს თხოვნა. და ნება მისცეს მისი ვაფიშვილი, ასპაზიასთან შექნული, შეეტანა „ფრატრიის წევრთა სიაში“,¹ რათა პერიკლეს მოდგმა არ გადამწინებულყო. თუმცა ადრე მიღებული კანონი არ გააუქმა. ბედი მისი სამინელი აღმოჩნდა. ჩვენს ურამდე 406 წელს, როცა პერიკლესა და ასპაზიას ედამა ბრწყინვალედ გაიმარჯვა არგინუსის კუნძულებზე პელოპონესელებთან საზღვაო ბრძოლაში, ჯილდოების ნაცვლად სიკვდილით დაისაჯა, სხვა. მეომარ-სტრატეგებთან ერთად, ვინაიდან დიდი მტრომის გამო ეერ შეიადღეს ომში დაღუბულთა ცხედრების მიწაში დამარბვა. აქ კი 23 წლის წინათ გარდაცვლილი სახელოვანი მამის ავტორიტეტი უძლური აღმოჩნდა თავის ვადასარჩენად.

სტრატეგად უკანასკნელი არჩევის შემდეგ პერიკლეს დიდხანს არ უყოცხლია. მძიმე სენით დაავადებული მსწრობას არ ჰკარგავდა, თუმცა მისი ძლიერი ორგანიზმის ცოცხალი ძალემა დღითიდღე ილეოდიან. სიკვდილის წინ ერთგული მეგობრები და ახლობლები იყრიბებოდნენ სახელოვან სტრატეგის სახლში, იხსენებდნენ გარდასულ დროებს, აქებდნენ პერიკლეს „დიდ ღირსებებს და პოლიტიკურ ძლიერებას“, ჩამოთელიდნენ „მის ვმირულ საქმეებს და ტროფებს რაოდენობას“.² ეკონათ, რომ პერიკლემ უკვე დაჰკარგა ცნობიერება, ილარიფერო ვსმის, აგონიაშია, მკარამ, თურმე, სტრატეგი ყველაფერს ყურადღებით ისმენდა, მზაგაერბილი იყო. მოულოდნელად პერიკლემ შეაწყვეტინა მეგობრებს საუბარი, გაევირკვეა გამოსთქვეა, თუ რატომ განაიღებენ ისინი მის ისეთ დამსახურებებს, რომლებშიაც თანასწორი წილი მიუძღვით ბედნიერ შემთხვევებსაც და რომლებიც უკვე ჰქონდა მრავალ სარდალს. ხოლო ყველაზე სახელოვან და მნიშვნელოვან დამსახურებას არ იხსენებენ!

რა იყო ეს „ყველაზე სახელოვანი და მნიშვნელოვანი დამსახურება?“

პერიკლეს ასე დაუხასიათებია თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი დამსახურება: „არც ერთ ათენელ მოქალაქეს ჩემს გამო შავი ლაბადა არ მოუსხამსო“.³ ეს სიტყვები დიდა კაცის, დიდი პოლიტიკური მოღვაწის მარბოლავ ვეირვეინია!

ასეთი იყო პერიკლე მისი ბიოგრაფების, პირველყოფლისა, პლუტარქეს, გავსულსმით, მკარამ პერიკლეს იგი ნაჩვენებია, როგორც უცხოცი თათენიდან?*

გარდა იმისა, რაკ უკვე ვთქვით, ზოგადად თუ კერძოდ, ტრილოგიის მეორე ნაწილზე, აქ ვვინდა იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ პერიკლე წარმოდგენილია რომანში ისე, როგორც ჩვენ მას ვიცნობთ მეცნიერული ისტორიიდან. მაშინ რალა საჭირო იყო რომანის დაწერარო, — შეგვეთხუხუხებო გულგონრველი მკითხველი, რომელიც ნაყუნად ერკვევა ისტორიისა და ხელოვნების შეშეცნებითი სპეციფიკის პირობეებში. დიახ. საჭირო იყო. ვინაიდან, ისტორიას არ შეუძლია ვეითხის ის, რასაც ხელოვნება გვეტყვის, ხელოვნება კი შერის თქმა შეუძლია, ვიდრე ამას თუნდაც ბრწყინვალედ დაწერილი ისტორია აკეთებს. ჟერ კიდევ არისტოტილე მართალი იყო, როცა პოეზია შეშეცნებითი ღირებულებით უფრო მდლა დააყენა ისტორიისთან შედარებით, როგორც ზოგადი ყოველთვის მეტია კერძოზე. გულბას რომანში ეს „მეტა“ იმდენად კარგად არის მიღწეული, რომ ჩვენს წინაშე არჩეულღებრივი მიმზიდველი სურათებით ცოცხლდება პერიკლეს მონუმენტურ სახესთან ერთად მთელი მისი მღელუაყ ეპოქა ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს ვერაწნობთ, ყველაფერს ვეხებით და ყველაფერი ვეხებვამ. თითქოს ჩვენც უველოფრის მონაწილე ვიყოთ. არტემონი ისტორიის რამდენიმე მშრალი სტრიქონიდან ანტიკის ცოცხალ, დიდ მიღვაწედ გვევლინება: მედიცინის მამა, სახელოვანი პიპოკრატე ათენის პატრიოტ მოქალაქედ და ბრჭენ კაცად, რომელიც პერიკლეს ყოველგვარი პირობითი ნიშნის ვერშე ეუბნება: „შენი სიყოხლე ხალხს სჭირდებაო“ (ძნ 7. გვ. 140). რომანის ყველა ისტორიული პირი და მონაწილე — ასპაზია, ვვანგელი, ქსანტიპე, პარალი, სოკრატე, ანაქსაგორე, თუკიდიდე... ამგვარად არის წარმოდგენილა. გზადგვა ცოცხლდება პერიკლეზელი საბერძნეთის უძველესი ისტორიის მიმზიდველი ფერტილები და ყველაფერი ისეთ ორგანულ მთლიანობაში ვეეძლევა, რომ ჩვენ მთელი ძალით ვსუნთქავთ კაცობრიობის წარსულის შესანიშნავ ხანას, რომელშიც თანამედროვე ცივილიზაციის აყვანი დაარწია.

აგტორმა კოლორიტული სტრნელებით ვადმოგვეა პერიკლეს ისტორიული შემოსელა დიდი ფლოტიით კოლხიდაში 444 წელს ჩვენს ურამდე: მისი დაინტერესება არგონავტიკის მოთხრობებით: იპსონის ლეგენდარული მოკხატრობა, „ოქროს ვერძი“ მას ყოველთვის აინტერესებდაო, — დასქენს ატორი (ძნ 7, გვ. 143). ეს აშხები პერიკლეს მოუთხრო ანტიკის დიღმა ისტორიოსმა და მშვენიერმა

¹ პლუტარქე, პარელელური ბიოგრაფიები, I, 1961 წ. გვ. 223.
² იქვე.
³ იქვე, გვ. 224.

წერალში პერიოდულად ინტერესობა არ არის სოცლისა და ათენელი სტრატეგის დასუსტება სიამართლის ერთიანობის, „შეწინების სიამართლის“ და „მანიჩი თუ შერე სიამართლის“ პრობლემაზე. არ ვიციო შიშო-ლად, საიდან არის აღებული ანუხური სიტყვების სიახლოვე ვუდასის შეილის სიტყვებთან (№ 7, გვ. 147). ასეთ შემთხვევაში ისტორიული პრობლემა ვაღივებულა წყაროებს უთითებდეს, თუნდაც სქოლიოსთან, როგორც საკითხი იყო ასეთი ნაბიჯის გადაღება ჯგერდისა და მსუგერდის, ვაგრისა და ვაგარეს, ტაპარისა და ტუპასეს მსავსეების აღსანიშნავად (№ 7, გვ. 155; № 8, გვ. 77). ავტორი სწორად ახასიათებს პერიოდებსა და მენონს. განსაკუთრებით აღიბიადეს, პერიოდებს აღზრდილს, რომელზედაც დიდ იმედებს აყარებდნენ, ამასთან შეცდომას, აღზრდილს რომ შიშულია მომავლის შეფასებაში (№ 7, გვ. 159. ალყობიადემ სამშობლოს უფრო მეტი ზიანი მოტანა, ვიდრე სარგებლობა). ერთ-ერთი მშენიერი ადგილია რომანში სენა, როცა პერიოდ, თავისი მრჩევლის — დამონიდეს ათენიდან გაძევების გამო (ისტორიკოსით დასჯა), პერიოდებსა და მენონს თანდასწრებით ეუბნება მას: „შე შენ მებრალეები, დამონიდე... მათ სურდათ ჩემი გაძევება, მაგრამ ჯერო შენზე ამოიყარეს. შენ კი არ გადავეს ისტორიკოსში. მე გამაძევებს... თუ ჩემს მრჩევლს ცხოვრებას უკარგაღვეს ათენში, რომელიც მისგან ბევრი რამით არის დაფარებული, — მამასადაშე, მრჩეველში როდია საქმე...“ (№ 7, გვ. 162). გადაყენებულ პერიოდს, რომელსაც გაძევება ვერ გაუბედეს, დამონიდე თავის მხრით ეუბნება მებრალეების თანდასწრებით: „შე მალე ვქენები თქვენგან შორს... ისინი (ათენელები — გ. ქ.) მოვლენ აქ, მასთან (პერიოდსთან — გ. ქ.) და დაწვევებენ პატრიების თხოვნას. ისინი... სთხოვენ მას დაიკავოს წინანდელი მალაი თანამდებობა, რომელიც ასე მოუფარებლად წარადგეს“ (№ 7, გვ. 163). დამონიდეს ეს სიტყვები მალე გამართლდა. პერიოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მალე ისევე აბრჩიეს სტრატეგად, თუნდაც დიდხანს აღარ უცოცხლოა.

რომანში ისე ბევრია მშინიდელო, ისტორიად დაწერილი სიტყვები, ისე საინტერესოა ყველაფერი, რასაც ავტორი გვაძლევს, რომ შეუძლებელია თვითონულ მათგანზე დაწერილობით შეჩერება. საქმარისა დაეასახელოთ ათენელი პატრიოტი ჰაბუტი აგენორი, რომელსაც პერიოდ ტირანად მიანიბა და მისაკლავად დასდევს. აუღლებლად ვერ წაიკითხავთ პერიოდსა და აგენორის დიალოგს, რომელშიაც ათენელი სტრატეგის სიბრძნე მთელი ძალით ჩანს (№ 8, გვ. 78-79, 81-86).

მაგრამ აქ ისევე უნდა გავიშვიროთ, რომ

ზოგიერთი დიალოგი გაქიანტებულია (მთელითად, № 8, გვ. 90, 93). ლაქონურთა მათ უფრო მეტად საინტერესოს განხორციელებულა ლოვეში პერიოდ ვეველიანებში და მისი კაცად, სახელმწიფოს მმართველისათვის აუცილებლად საპირო ცოდნითა და გამოცდილებით. როცა ასპაზია შეუდღეს ეუბნება აგენორზე — „შე დარწმუნებული ვარ, რომ იგი მტრებას მოვხვანილა შესაძლოა, უაულოები რივი სიყოფიანიათ“. — პერიოდულ ზეპროფს ქვეიანი მეუღლის აბრს — არა, სიყოფიანი არ არის, მე ისინი ცოტა როდო მინახეს, აგენა მათ თვალეში ინთებული აქვთ? განა ისინი დედავენ? განა ისინი იტანებაინ? (№ 8, გვ. 93). მარტო დიდკაცს შეეძლო ასე ობიექტურად ემსჯელა მოწინააღმდეგეზე. და რა კარგად მოიქცა ავტორი, როცა თავისი რომანის მეოთხე თავი დაამთავრა პერიოდსადაშე აგენორის შემდეგი წერილით: „ო, დიდო პერიოდე, შენ ტირანი იყავი მაინც და ტირანად დარჩევი, თუ ისევე ავირჩევდი სტრატეგად გულბრუელიო ათენელები. შევდობით, დიდო, კეთილშობილო ტირანო აგენორი“ (№ 8, გვ. 96). ასეთი ჰაბუტი, როგორც აგენორია, სახელმწიფოს მმართველობაში გარეყვევლო, სხვაგვარად ვერც შეაფასებდა ათენის დიდ სტრატეგს.

ძალიან კარგია პერიოდებსა და ისტორიკოს პერიოდებს საუბარი პოეზიაზე (იტალიელი პოეტების ქება, კოლხიდის მიწის მომღერლები — კოლხიდაში ბევრი პოეტიო, ვრათობაინების ძაგება, მესიეთს გამეორებელი ძალის ხაზგასმა), რომელსაც მთელი თავი უკავია (გვ. 96-99). მომღერო თავიც ასრუბიად ზელოვნებას, არქიტექტურას ეძღვნება და ამ ფონზე აკროპოლისს მშენებლობას. ქვეშარიტებისთან ძალიან აბლოა, როცა ავტორი სახელმწიფოულ არქიტექტორ კალიკრატეს ათქმეივნებს აკროპოლისს მშენებლობაზე: „ყველაფერი, რაც აქ ამენდება ადამიანის ზელებით, უნდა ეკიდებოდეს ღვთაებრივს“ (გვ. 101). არამარტო ფიდიასე, ალკმონი, კლინტო, კალიკრატე, მენსიკლე, მხატვარი მიკონი, მოქანდაკე პოლიკლეტო, არამედ, ყველა, მათი შორის ფილოსოფოსი ანაქსაგორი, ისტორიკოსი პერიოდე, ასალზრდა ექიმი პპოკრატე, — ერთი სიტყვით, მართლაც ყველა ერთნაირი გარტყებით ეკიდება აკროპოლისს მშენებლობის იდეას, პერიოდსთან ერთად, რაც უმკველად ისტორიულ სიამართლედ უნდა მივიჩნიოთ. აკროპოლისს მშენებლობა პერიოდს დროის ერთერთი დიდი წამოწყება იყო, რომლის გრანდოზულობა დღესაც გვაოცებს, და შეუძლებელია მდრთინედელ თავაყებს, რა სპეციალობისაც არ უნდა ყოფილაყენენ, მისდამი პატრიოტული გრანდობები არ ქონებოდით.

მიუთხველს უთოოდ დაინტერესებს პიპო-

კრატეს შესახებ ცნობების ისტორიი გა-
მოყენება, კერძოდ, სისხლის გამოშვების შე-
სახებ, ავრთვე ის, რომ ახალგაზრდა პი-
პოკრატე, იმდროინდელ მედიცინაში სასწაუ-
ლებს რომ ახდენდა, წერილობებს უყოფდა მზრი-
დან დღეებლობდა“ (გვ. 104). მათ შორის კოლ-
ხიდიდაც. ტრილოგიის ავტორი შემთხვევით
არ ათქმევინებს ისტორიკოს პეროდოტეს შემ-
დეგ სიტყვებს პიპოკრატეზე — „უცნაური ექი-
მიაო“ (გვ. 105).

საერთოდ, ვინც ანტიკური საბერძნეთის ის-
ტორიას იცნობს, მისთვისაც ძალიან საინტე-
რესოა ველოდ ის ფაქტი, რაც დღეს კაციბ-
რიობას განაწი აქველი ელადის მკვიდრთა შე-
სახებ, და მათი მხატვრული გააცოცლება.
აქ არის პრობლემის მშენებელი მწესიკლე,
სოკრატეს მეფლდე ქსანტია, რომელმაც, ოცე
წლის ლამაზა, მოხდენილმა პელიშელმა 40
წლის უღამაზო სოკრატე ამკობინა სილამა-
ზითაც განთქმულ უმაწილე ალიბიადეს. თქვენ
დაგანტერესებთ იმდროინდელი ფილოსოფი-
ური გარემოს ცოცხალი ვადმოცემაც. კერძოდ,
სოკრატეს ჩვენება ოთახში, თითქო ავირახე
იფოს, სადაც თავის მოძღვრებას ვადამცემდა
მოუფეებს, მისი მსველობა, რომ ვონება სულ-
ზე მალაღია, როგორც მშობელი შვილზე საქე-
დან — პლატონისა და შემდეგ ნეოპლატონი-
კოსების ფილოსოფიური მრწამსი ვონებისა და
სულის ურთიერთმომართების შესახებ), სო-
ფოკლესა და ასპაზის დიალოგე, დრამის ეან-
რში ვადახელა, როგორც ამას ვხედავთ მე-
სამე რომანშიც — „სულა“. რა თქმა უნდა,
ავტორს ბევრი რამ საკეთარი შეაქვს ისტო-
რიაში, უმეტებს და ამატებს, მაგრამ ისე, რომ
ისტორიის სულს ეი არ არღვევს. პირაქით,
ამოლიანებს, რაც ჩვენამდე ფრავშენტების ან
ლაკუნების სახითაც მოღწეული. სახეობრივად
რომ ითქვას, მწერალი ასე იქვეყნა: იქ, სადაც
ისტორია გვეფხნება „მოვიდა“, მწერალი ამ-
ბობს: „ნაბაჭი ვადადგე, ქენა ვადაკვეთა,
ეზონი შევიდა კარი შეადი“ ამიტომ ხდება
შესაძლებელი, რომ ისტორიის ერთ ნაფლეთ-
ზე, ფოკლორის ორთოდე სტილიქონზე 2 არც
თუ იშვიათად იწერება მთელი ნაწარმოები.
ასეა აქაც, გულის ტრილოგიაში, სადაც ის-
ტორიის წყართთა ლაკუნებს მხატვრის რეა-
ლური ფანტაზია ამოლიანებს.

ფაქტი ვნებათ?

ფაქტი მთელი რომანია, კონკრეტულად ეი
შეიძლება ტრიანიის წინააღმდეგ ამხედრებულ

1 ამ საკითხზე იხ. ვიორგი ჯიბლაძე, რუს-
თაველის ესთეტიკური სამყარო, 1968 წ., გვ.
219-222.

2 დაწერილებით ამ საკითხზე იხ. ვიორგი
ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. II, 1955
წ., თავი V, „ავაჟი ფშაველა“, გვ. 323-348.

ქაბუე ავენორისა და პერიკლეს ასე ხშირ
შეხვედრები დავასახელოვებოქნე შეხვედრები
რომანის ერთერთი სუფეფესტური ფიგურებია,
სიუჟეტის განვითარებაში ორგანიზულად რომ
არის ჩართული. მაგრამ დაეაცნოთ კითხვა:
შეიძლებოდა თუ არა ათენის რიგითი მოქა-
ლაქე, ისიც უმაწიელი კაცი, რომელიც ასე ფა-
ნატეკური ვატაცებით ბრალსა სდებს სახელმ-
წიფოს პირველ მმართველს ტირანიამი, მოე-
ვლითაც ემპერება, მასვე პირადად შეხვედ-
როდა (ისიც რამდენჯერ!), თავისი ანტიპერა-
კლური პოლიტიკური ქადაგება დაეწყო და უე-
ნებელი დარჩენილიყო? არავითარ შემთხვევა-
ში, თუ პერიკლე კომონი იქნებოდა, რომელა-
მე მომავალი სულა ან ცეზარი მაგრამ შეიძ-
ლებოდა, რაც პერიკლე იყო პერიკლე, რომ-
ლის ტალანტმა, აღამიანტმა გულმა და კ-
ურეკაცობამ ის ვაყეთა, რომ ორმოცი წელი
ზღმუფეხებლად დატოვა ათენის სახელმწიფოს
გაიბანელო კაცად, იქედან იქედან თხოთმეტი წელი
პირველ კაცად და რა მიაღო საზღვარად?
თეთონვე ამბობს ავენორთან დიალოგში: „შენ
მართალი ხარ: მე ორმოცი წელიწადი ვეშსა-
ხტრე ათენელებს. რა შევიძინე ამ დროის გან-
მავლობაში? ქალაქი? კრილობა? ვადამყო-
ფობანი? უბედურებანი ოყანში? და კიდევ რა?
ნეთუ მხოლოდ-და ერთი ზედმეტი ნაჭური მი-
წისა, საგვარეულო ნაკეთის ზევით? ნეთუ
მხოლოდ-და ერთი ზედმეტი ობოლი (ფულის
ზომა — გ. ქ.) სახელმწიფო ხაზინიდან? ნე-
თუ-და ვადავამეტე საკეთარ ძალაუფლებას,
რათა მედგინა ზემო პოლიტიკური მოწინააღმ-
დეგენი? ვის მივსაქვს და ვინ დამსაქვს? ვის
მივაყენე შეურაცხოვა მწარე, დაუმსახურე-
ბელი წყენით? ვის? და როცა მე, სტრატეგს,
დამიძახეს სასამართლოში, რა ვთქვი? ვინა მე
ხელები შევეყარი მისამართლებს? ვინა მე
ვაფაგზაუნე მყეულები, რათა ისინი განეფე-
ნათ? არა, მორჩილად დაეკვემდებარე, ვინა-
დან მე — დემოკრატე ვარ და მთელი არსე-
ბით ვენობ ხალხის უმაღლეს სამსჯავრის და
უმაღლეს ძალაუფლებას, და დაე ნუ მისაყუე-
დრებენ მისს, რომ თვისუფლად ვცხოვრობ,
და არა საპერიობილემში. და არა ვანდეწილო-
ბაში. მე ვეტყვი რა მოხდა სასამართლოში:
უდანამულო ვიყავი, სრულიად სუფთა. ეს
დადისტურდა! სწორედ ამან და არა ზემო
სიტყვამ ითამაშა როლი, როგორც ამას ჩემი
მტრები ამტკიცებენ. ათენის სასამართლო არ
არის ოდენონი, სადაც ტრაგიკოსი მყურებლის
კრემლბეს ვამოსწერავს ხოლმე, რათა მო-
წონება დაიმსახუროს. თუ შენ უნარი გაქვს
სადად იაზროვნო, დაუფიქრდი ჩემს სიტყ-
ვებს“ (გვ. 124).

აქ მთელი პერიკლეა, მთელი მისი არსე-
ბა, მთელი ცხოვრება, აზრი, მოწოდება, საქმე,
პოლიტიკური მრწამსი, მორალი და სინდისი.

ფრო მოკლედ მაგრამ ასე სრულად მისი ნათესი დახასიათება ძნელად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მართალია, ავროზი ისტორიული პიროვნება არ არის. ცხადია, არასოდეს შეხვედრია პერიკლესაც, მაგრამ ავროზის სრული უფლება ჰქონდა თავის რომანში შემოეთყუანა ეს ახალგაზრდა კაცი, როგორც ათენის პირველი სტრატეგის პოლიტიკური მოწინააღმდეგე. დაეყენებინა აღწერილ სიტუაციათა ცენტრში, საშუალება მიეცა ჭაბუკისათვის ესაუბრა ათენის დიდ მმართველთან და ამგვარად ფრო კოტხლად დაეხატა ჩვენთვის ანტიკური საბერძნეთის იმდროინდელი რთული ვითარება. ამას ვეძახით ჩვენ ისტორიის წყაროთა ლაქუნების გამთლიანებას მხატვრის რეალური ფანტაზიით.

ან იღუტე პართენონის მშენებლობის აღწერა. ისტორიამ ძუნწი ცნობები შემოგვიწინა ავროპოლისა და პართენონის მშენებლობაზე, მაგრამ რომანში ისე ვრცელად არის უველაფერი მოცემული, რომ ჩვენ, მკითხველები, უნებლოდ ვხვდებით იმ დებატების მონაწილედ, რომლებსაც უძველად ვწინვადით აღვადგინებთ პერიკლეს დროს. ეს დებატები ტრილოგიის ავროზის ძალიან კარგად გადმოვცია. უძველესად ისტორიულ კვლევებში გამომავალს იმის ზანჯანა, რომ პერიკლე ცილობს (აღწევს კიდევაც!) შეათანხმოს თავისი დროის ორი დიდი არქიტექტორის — იქტინოსისა და კალიკრატეს პროექტები; არა შექანიერად, წინდა შემოქმედებითი გზით გამოიყენონ როგორც დიორები, ისე იონური სტილი მერტგრანდიოზულობის შესაქმნელად. ორი სტილის სანთები ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. მემორიალში — „ხელოვნების შორეულ ძეგლებთან“ ჩვენ შემთხვევით არ ვწერდით: „ფილოსოფიისა და კულტურის დიდად მოყვარულმა, ლამაზმა, ჰეიანმა და გულაღმა პერიკლემ ყველა თავისი პირობითი ღირსება თავისივე დროის თვისებებზე გადააქცია, წინ წასწია ხალხის ცხოვრება და მე-5 საუკუნეში ჩვენს ვრამდე ისეთ წარმატებებს მიიღწია, რომლის მსგავსიც მის წინაპრებს არ უნახავთ. პერიკლეს დროს ათენის სახელმწიფო აღწევს თვალსაზრისით წარმატებებს სავოგადობრივი ცხოვრების ყველა დარგში. მის დროს ახალი ძალით იწყებს აყვავებას ფილოსოფია, დრამატული ლიტერატურა, პოეზია, თეატრი. მის დროსვე ბოპოქრობს ათენის დემოკრატიული სული, იგება ახალი დაწესებულებანი, ტარები, საზოგადოებრივი, რელიგიური თუ კერძო ხასიათის შენობები... პართენონის არქიტექტორები იყვნენ იქტინოსი და კალიკრატისი... პართენონს უკავშირდება ისეთი გენიალური მოქანდაკის სახელი, როგორც ფიდი-

ასია.¹ შემდეგ: პროპილის „წმინდა ფიქლოგიური და ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. დორიული სტილის „გვესერიკურნი“ განასახიერებდა სიმამრეს, სიმტკიცეს, ვაჟაყურ სულს, ხოლო იონური სტილის სამი კოლონა — სინაზესა და სილამაზეს. პირველი შთაბეჭდილება — ვაჟაყური, გამართლი ხასიათისა იყო, ხოლო მეორე — ნაზი, ქალური.“² მთელს ავროპოლში, მასთან დაკავშირებულ ანსამბლში რომ გაბატონებულია დორიული და იონური სტილი, უძველესი ეგვიპტურ-სირიული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების გამოყენებით, სრულიად უეჭველია.³ ამიტომ სხარული ვანიცადეთ, როცა წავგივითხუთ რომანის ფურცლებზე პერიკლეს შემდეგი სიტყვები, ფიდიასესთან ღიალოგში: „ფიდიასეს აზრი (დორიული და იონური სტილის, კალიკრატისა და იქტინოსის პროექტების შემოქმედებითი გავროთანება — გ. ქ.)... თავის საფუძველში მე სწორად მიმაჩნია, მკაცრი დორიული სტილი ახლა ჩვენთან, შემოპრებთან. მაგრამ არიან პოეტებიც, ისინი ხალხის შუაგულში არიან, როგორც სამხედროებიც. ფრიად და ფრიად შესანიშნავი იქნება შევიტანოთ მსუბუქი და ლამაზი იონური სტილი დორიულს სიმკაცრეში. მოდიოდა გავაერთიანო ჩვენს არსახულ წამოწყებაში ორი თანო — იქტინოსისა და კალიკრატისისა — და ვუთხრათ მათ: „წარმატებები თქვენ. ზურთმოდვარნი!“ (გვ. 126).

ეს არის, როგორც აღვნიშნეთ, მხატვრის რეალური ფანტაზიით ისტორიის წყაროთა ლაქუნების გამთლიანება, რასაც ტრილოგიის ავროზი ოსტატურად იყენებს, რაიც მას ცოდნასთან ერთად შემოქმედის ნიჭიც ყველგან თან ახლავს.

შეიძლებოდა დაგვესახელებინა მესამე ფაქტიც. პერიკლეს დროს, როცა დაწყებულია პელოპონესის ცნობილი ომი, საბერძნეთს შუა პირი მოედო. ქარიღ და სამოქალაქო მოსახლეობა ძალიან დაზარალდა. მრავალის სიცოცხლე შეიწირა უღმობელმა სენმა, მათ შორის პერიკლეს ვაჟებისა — დაიღუპნენ ქსანიტივე და პარალი, უფრო გვიან თვით პერიკლეც ვერ გადაურჩა უბედურებას. ის დადიოდა შეილების საფლავზე, გლოვობდა, ცრემლებს ღვრიდა, იქვე შეხვდა (მერამდენაყურს) აგნორს, რომლის მშობლებიც შეე პირს მოუვლავს. გადის დრო და ერთ მშვენიერ დღეს მსახური ვეანგელი სტრატეგა მოახსენებს —

¹ გიორგი ჭიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, 1961 წ., გვ. 660—661.

² იქვე, გვ. 663.

³ დაწერილობით ამ საკითხზე იხ. გიორგი ჭიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, 1961 წ., გვ. 655-684.

აგნორი შავი ჰირით გარდაიკვალაო (გვ. 133). ყველაფერი ეს ბუნებრივად, ისე ცოცხლად, დამაყრებლად არის გადმოცემული, რომ თქვენ ვერ გრძნობთ ხარვეზს ისტორიის ძუნწ ცნობებსა და რომანში აღწერილ ცოცხალ სინამდვილეს შორის. მხატვრის რეალური ფანტაზია, რომელიც ისტორიულ რეალობებს ეყრდნობა და რომელსაც გამოგონებაში არაფერი შეაქვს, რაც ნამდვილად შეუძლებელია არ მომხდარიყო, დიდი ღირსებაა, ხოლო ვისაც იგი არა აქვს, მან ისტორიული რომანის წერას ხელი არ უნდა მოკიდოს. ეს ღირსება ტრილოგიის ავტორს ისე კარგად აჩნს „ფარაონ ეხნატონს“ და „კაჟში ათენიდან“, რომ ჩვენ სრულად დამწვიდებელი ვიწყებთ რომან „სულას“ კრიტიკულ ანალიზს.

„ს უ ლ ა“

შეთხვედმა უკვე იცის, რომ გიორგი გულიას მუშაობა ფარაონ ეხნატონისა და პერიკლეს შესახებ რომანებზე დაგვირგვინდა ტრილოგიის მესამე ნაწილის დამთავრებით. ორი ისტორიული მხატვრული ნაწარმოების ავტორს, შემოქმედებითი ძალების გაფერქვენის ასაკში, შეუძლებელი იყო გამოცდილების ძალით ახალი წარმატება არ მოეპოვებინა. ისტორიული მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ დიდი შრომითა და დიდი ცოდნით იქმნება ტალანტის პირობებში. ეს სამი აუცილებელი პირობა ჩვენს ავტორს უშუალოდ ჰქონდა და ხელი რას უნდა შეეშალა? ჩვენ გულწრფელად ვაგვახარა გიორგი გულიას ახალ რომანში ახალმა გამარჯვებამ. ეს არის რომანი „სულა“, რომელიც ანტიკური რომის ისტორიას ეხება მისი ერთერთი ძლიერი შემოხატუნების პერიოდში.

რომან „სულას“ გარჩევა აუცილებლად უნდა დავიწყოთ ორი დიდი მოღვაწის ზოგადი პარალელით. დემოკრატი პერიკლე ანტიკურ ისტორიაში უშუალოდ ერთერთი გამოჩენილი პუბლიცისტი, ცხადია, პუბლიცისტი ლოკალიზებული ვაგვობთ, რელიტირად. არ შეიძლება პიროვნების შეფასება მისი დროის, ეპოქის დამახასიათებელ თვისებათა გათვალისწინებლად. თუ ყოველი ადამიანი თავისი დროის შეილია, ეს მით უფრო ეხება დიდ ადამიანს, რომელიც ეპოქის სახეს ისევე გამოატარებს, როგორც საყოფარ აზრებს ტრიბუნადან გამოსთქვამს ხოლმე. თუ რაიმე შეიძლება ითქვას ანტიკურ პუბლიცისტზე, მაშინ პერიკლე ამ პუბლიცისტის ერთერთი დიდ წარმომადგენლად უნდა ვაღიაროთ.

შემახვევით არ მომხდარა, რომ თვით დრომ შემოგვინახა პერიკლეს პუბლიცისტის დამამტოცებელი სიტყვები. ათენის ბრძენ კაცს ასე აქვს ნათქვამი: „მე არასოდეს არაფერი კარგი

არ მინახავს იმაში, რომ სხვები პერიკლეს განათლებულ მტერს. მოუწოდებდი რა მტერების წინააღმდეგ უღმობედლი მოქმედებებისაკენ, მე ყოველთვის ვიხარებდი. [ქართულში] უღმობედლის შეწყალებას. ასეთია ჩემი აზრი ახლაც. ასეთი იყო იგი ყოველთვის“ (გვ. 135). და სვესებით მართალია რომანის ავტორი, როცა გვეუბნება: ეს სიტყვები მთლიანად უღებია პერიკლეს საქმეებს, მის უმადლეს ზრახვებსო.

თუ ისეთი კეთილშობილი იყო ბერძენი სტრატეგი პერიკლე, როგორც ჩვენ ის წინა რომანში ვნახეთ, მის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა რომელიც დიქტატორი სულა, რომელმაც თავისი ბატონობის წლებში სისხლის ტბები დააყენა. ნიკე, ტალანტი სულასაც არ აელდა, მაგრამ მისი დროის რომელიც ცხოვრება, ხშირი სამოქალაქო და გარეშე ომებით დაწეწილი, სულ სხვა იყო, სხვაგვარი ტიპის მოღვაწეს საქმიანობდა. თანამედროვეთა შორის სულა უველაზე ძლიერი აღმოჩნდა და გამოარჩევა კიდევ. ვაითვალისწინოთ მითროს დიდ ევპატორის სიტყვებში იმდროინდელი რომის პოლიტიკურ ცხოვრებაზე: რომს პარტიული ბრძოლები უფრო ასუსტებდა, ვიდრე სავაჭრო ომებიო.

ამ რთული ისტორიული მასალის მხატვრული ასახვისათვის, პლუტარქეს განთქმული პარალელური ბიოგრაფიების გარდა, რომანში სულას შესახებ ძირითადად გამოყენებულია თეოდორ მომზენის უაღრესად მდიდარი ცნობები, 2 აგრეთვე აიანეს „რომის ისტორიიდან“ ჩვენამდე მოღწეული ნაწილები, რომლებშიც ძველი რომის სამოქალაქო ომების მეტად კოლორიტული აღწერებია მოცემული, 3 და პოლეთსორი მაშკინის ნაშრომი ძველი რომის ისტორიის საკითხებზე. 4 სხვა წყაროებს აღარ მივუთითებთ, კომენტარების ჩათვლით, ვინაიდან მათი რიცხვი მეტად დიდია.

მაგრამ შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ ფრემენტების სახით ვადარჩენილი თვით სულას ოცდობრივი ტომისაგან შემდგარი „მოგონებებები“, რომლებიც მან სიკედილის წინააღმდეგში დამთავრა და ლუკელს მიუძღვნა. ტრილოგიის ავტორს ჩვენამდე მოღწეული ყველა ამონაწერი მოაქვს სულას „მოგონებებიდან“, რაც მეტ დამაყრებლობას აძლევს მისი მხატვრული ნაწარმოების ისტორიულ სიმართლეს.

1 პლუტარქე. პარალელური ბიოგრაფიები, II, 1963 წ., გვ. 119-153 (რუს. გამ.).

2 მომზენი, რომის ისტორია, II, 1937 წ., გვ. 50-430 (თითქმის მთელი მეორე ტომი, რუს. გამ.).

3 ერთი ნაწილი შეტანილია წიგნში. «Поздняя греческая проза», 1960 г. стр. 203-215.

4 ნ. ა. მაშკინი, ძველი რომის ისტორია, 1948 წ., გვ. 237-249 (რუს. გამ.).

მაგრამ ვინ იყო სულა?

ძველი რომის ისტორიაში ლუციუს კორნელიუს სულა იმდენად დიდი ფიგურაა, იმდენად ბევრი რამ არის დაკავშირებული მის სახელთან, რომ შეიძლებადა ერთი რომანი კი არა, მთელი ტრილოვია დაეწერათ მისი საოცარი პიროვნებისა და კიდევ უფრო რთული მისი დროის შესახებ. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, პატრიციების ანუ ევპატრიციების შთამომავალი სულა, რომლის ერთერთი წინაპარი რთვით კონსულიც კი ყოფილა, იზრდებოდა მცირე შემოღების მქონე ოჯახში, ვინაიდან სწორედ ამ წინაპრის დანაშაულით მოულო მოდგმა გადაიბეებულა. ახალგაზრდობაშივე სულას ხელმოკლეობა და პიროვნული ღირსებები ისე შეუთავსებელი ჩანდა, რომ შემდეგ, როცა აფრიკაში ლაშქრობით გამდიდრებულა, ვილაციუს უთქვამს გამედიდრებული სარდლისათვის: „აბა, როგორ შეიძლება წესიერი იყო, თუ შენ, რომელსაც მაშინაგან შემკვიდრებით არაფერი მიგიღია, ფლობ ასეთ ქონებასო“.¹ მაგრამ სულამ დიდი ქონება მიიღო არამარტო აფრიკის ლაშქრობისაგან; ისეთმა ქალმა, როგორაც ნიკოპოლა იყო, ხნიერმა, მდიდარმა და ვაჭრულიმა, თავის საყვარელ ახალგაზრდა სულას მემკვიდრეობა დაუტოვა. ასევე მოიქცა სულას დედინაცვალი, რომელსაც გერი შეილივით ჰყვარებია.² მთელი ცხოვრება ამ დიდმა რომელმა სარდალმა ისე გაატარა, იმდენი სახედისწერო განსაცდელი უვნებლად გადაიტანა, იმდენი სასიკვდილო რისკი გასწია, ყოველთვის წარმატებებით დაჯივრდებოდა, რომ შემთხვევითთა არ იყო მისთვის ებითეტი — „ბედნიერი“ მიეკვრებინათ. სულა თვითონვე ასე უწოდებდა თავის თავს, ბედით და ტალანტით განებივრებული, მაინდა, რომ იყო „აფროლიტის ჩნეული“. პარდაში დაუქვრებელია, თუ როგორ გადაურჩა იგი ნემოდის მფრთხე ბოქსის ვერავობას. ბოქსმა თავისი სიძე იუგურტა, სულას მიერ შეპყრობილი (ორივე კი ნემოდის მეფეს ხელში ჰყავდა, ორივეს მოსპობა შეეძლო), დიდი ყოყმანის შემდეგ, თუ რომელი გაწვირა, მტრებს სიძე გადასცა და საღუბავად. სულა კი გადაურჩა: ეს იყო მისი უდიდესი გამარჯვება, რამაც კონსულ მარიუსთან მისი უფაყოფილება სახედისწეროდ გააძლიერა (აფრიკაში სულას ეს გამარჯვება მარიუსს მიუწერეს, ვაბრაზებულმა სულამ კი თავიხი გამირობის აღსანიშნავად გააკეთებინა მედალი, რომელზედაც თვითონ იყო გამოსახული, ბოქსისაგან იუგურტს რომ დებულობს

ამან, როგორც პლუტარქე შენიშნავს, კონსული მარიუსი გაანწყენა).¹ მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ სულამ პიროვნების დახასიათებას.

ანტიკურ ისტორიაში გაცხარებული კამათი აღიბასს არ შეწყვეტილა ამის შესახებ, რომ სახელი სულა ნიშნავს კორფლიანს, იგი სწორედ აქედან წარმოსდგება, ვინაიდან სულას მართლაც კორფელი ქონდა. პლუტარქე იმავეს დასძენს, რომ ლუციუს კორნელიუს სულა ენაშთისწრებული, ხეშარა, ლეინის მოყვარული, ლეველასი იყო. ეს თვისებები მის სარდალურავს არც დიქტატორად ყოფნის დროს, მოხუცებულობაში.² მას ადრევე უწინასწარმეტყველებდნენ, თავისი ხასიათის გამო, დიდ დაწინაურებას სახედადო და პოლიტიკურ ასპარეზზე, ხოლო ერთერთ უტოვებს, რომელიც მუფე არსაკის ელს ორობაზს ახლდა სულასთან მოსალაპარაკებლად. უთქვამს: „ეს კაცი უუპეველად მიადრწევს ყველაზე მაღალ მდგომარეობას, და ახლაც გასაყვია, თუ როგორ იბრუნს თავის თავზე ვილაც სხვის ძალაუფლებასო“.³

მაგრამ სულას ქონდა უნარი — შეეკავებინა რისხვა, თუ აქედან საარგებლობას მიიღებდა. ისტორიკოსები ყოველთვის გაკვირვებული იყვნენ მისი ხასიათის წინააღმდეგობებით — სულ მცირე დანაშაულისათვის ზოგჯერ სიკვდილით სჯიდა ადამიანებს, ხოლო დიდი ბოროტება ზნორად თითქოს შეუწინეველი რჩებოდა. მას ერთი რამ ამოჩაყვებდა ყველგან და ყველაფერში — დასახული მიზნის შესრულება ამისათვის ყველაფერს აკეთებდა, ყველაფერს სწირავდა. არაფერს ვრადებოდა, უსაშინელებს ვერავობასაც კი. ვარდა ამისა, შეუპოვარი, გულადი, უღრესად მტკიცე იყო მოქმედებაში. ქალების მტრისმეტად მოყვარული — ცოლების დაფსებავც იყოდა. თუ ნიკოპოლას არ მივუღებთ მხედველობაში, რომელთანაც ოფიციალურად შეუღლებული არ ყოფილა, სულას ცოლები იყვნენ: ილია, ვლია, კვლია, ცეცილია მტრელა, ბოლოს ვლერია, რომელთანაც რამდენიმე თვე იცხოვრა და რომლის ხელშიაც 60 წლის ასაკში ჩვენი ერთმეფე 78 წელს ვარდაიცვალა. პლუტარქეს აღნიშნული იქვს, თუ რა პატივისცემით განსორდა სულა კვლიას და იგი რა მდიდრულად დასახურქა.⁴ რაც შეეხება ცეცილია მტრელას, რომელთანაც მისი ავადყოფობის დროს განქორწინდა, ყოფილი ცოლი დაკრძალა დიდი პატივით, რითაც დაარღვია საყრდამი

¹ იქვე, გვ. 121.

² იქვე, გვ. 120.

³ იქვე, გვ. 122.

⁴ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, 1963 წ., II, გვ. 24.

¹ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, 1963 წ., II, გვ. 119.

² პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, 1963 წ., II, გვ. 120.

რო ინიციატივით შემოღებული კანონი დამარ-
ხვის ხარჯების შეზღუდვის თაობაზე.¹

როგორც პოლიტიკური მოღვაწე და სარდა-
ლი, სულა უძველესი დიდი ფიგურა ანტი-
კური რომის ისტორიაში. საქმარისა გავისხე-
ნით ჩვენს ერამდე 87 წელს მისა ლაშქრობა
ნოლადან (ეზლანდელი ნეაპოლიდან) რომის
წინააღმდეგ ტირანიის მოსასპობად. ამ ტირა-
ნიაში ის ვულოსხმობდა ვათეს მართვისა და
პუბლიუს სულპიცუსის მმართველობას, ადა-
მანებისა, რომელთა გვერდითაც ის თვითონ
მყოფობდა ათელთა წლების მანძილზე, რო-
გორც მეგობარი, ტირანმა მართესმა ერთხელ
სიკდილსაც კი გადაარჩინა სულა, რომელმაც
ეს ამგი მალე დაიფიქვა, ზოლო რომის აღე-
ბის შემდეგ ჯილდო დააწესა მართვის თაუ-
სათვის, სულპიცუსი კი მოაკვლევინა. უმაღლე
გაუქმა სულპიცუსის კანონები, შემოიღო
თავისა, რაც ნიშნავდა სერვიუს ტულუსის კა-
ნონთა მკვდრეთით აღდგენას ოპტიმატური
პარტიის სასარგებლოდ. წმინდა პოლიტიკური
მოსაზრებებით დაიახლოვა მარიაწელი ცინა,
თავისა მოწინააღმდეგე, კონსულად დასვა. მა-
ნამდე ერთგულების „საშინელი ფიცა“ მიადე-
ბინა კაპიტოლიუმზე (ეს ფიცა ცინამ მალე და-
არღვია), სასტიკად დასაჯა მტრები, ერთი სი-
ტყვიით, რომის სრული ბატონ-პატრონი გახ-
და. ასე წერენ პლუტარქე (გვ. 126-127), მომ-
ზენი (გვ. 240-247), მაშკინი (გვ. 240-441) მე-
რამ იგივე ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ
ასეთ პირობებში, თუ როგორ მოხდა სულას
გამებზარება ელინურ აღმოსავლეთში მითრი-
დატე პარტიოელის წინააღმდეგ სამბრძოლველად,
აუხსნელი და გაუგებარი რჩება. მომზენის საე-
სებით სწორი შენიშვნით, ეს მეორე დიღემა
იყო, ზოლო პირველს რომის უშუალო საქმეე-
ბის ბოლომდე მიყვანა წარმოადგენდა. „სახელ-
ღობრ რომ აიძულა იგი გაეციეთინა ასეთი არ-
ნეინა: „პარტიოტრანშია თუ გულგარობაში,
სამუდამოდ უცნობი დარჩებაო.“² — წერდა
მომზენი და ეს პირობემა დღესაც აუხსნელია.
რომიდან გამგზავრების შემდეგ სულამ და-
იშორილია საბერძნეთის ბეერო ქალაქი და ში-
აღვა ათენს, რომლის აღების შემდეგ, მწ წელს
„ააობრა აკადემია, ხეებით ყველაზე მდიდარი
კარუებანი, და ლიკეო.“³ ამ აღვარებში იყო
მოთახსებელი პლატონისა და არისტოტელეს
სახელგანთქმული ფილოსოფიური. სკოლები
— აკადემია და ლიკეო. ათენი გაპარულ, დან-
გრეულ, აობრებულ და აწიოებულქნა. მაგრამ
ტირანმა მანინე გამოიჩინა „სულგარბელობა“ —

ზოგი რამ „აპატია“ ათენს თავისი დიდი წარ-
სულისათვის. კერძოდ, სისტოლის ნამდვილი ტბე-
ბის დაყენების შემდეგ, როცა წინასწარების
გრძნობა დაიხსრო, მთელი ქალაქი გაიანთვა,
პარტიებისათვის მისულთ რამდენიმე თბილი
სიტყვა უთბრა ათენის სახელგან წარსულზე,
თან დასძინა: „ეოწყალებ ცოცხლებს (ცინა
დადარჩა? — გ. ქ.), მკვდრებისათვისო“ (უე-
ოა ხომ მოსრნა). თვითონ ტირანმა მეორე ტი-
რანი — არისტოინი შხამით მოაკვლევინა, რაც
შეეებდა მითრიდატეს წინააღმდეგ ლაშქრობას,
პლუტარქე ამბობს, რომ ფიშპარტიის მიერ
კონსულ ფლავის მოკვლისა და პონტოელ
სარდლების დამარცხების შემდეგ მდგომარე-
ობა შეიცვალა. მითრიდატემ სცადა დაემე-
გობრებინა სულა ფიშპარტიის წინააღმდეგ,
მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი თვით სულ-
ლას პოლიტიკურ მტერს წარმოადგენდა. მით-
რიდატე და სულა მორიგდნენ დარბანში (ტრი-
ადა), ზოლო ფიშპარტიისა, რომლის ჯარები
სულას მიემხრნენ, თავი მოიკლა.¹

ამის შემდეგ სულა პარტიში ჩავიდა, ხელთ
იგლო „თესულ აქელიკონის ბიბლიოთეკა,
რომელშიაც იყო არისტოტელესა და თეოფრას-
ტეს თბთქმის ყველა ნაწარმოები, მაშინ ჯერ
კიღვე მეგრისათვის უცნობი, როცა ბაბი-
ლოთეკა პარტიში იქნა რომში, გრამატიკოსმა
ტირანიონმა, როგორც მოგვეთბრებენ, ბეერს
რამ წესრიგზე მოიყვანა, ზოლო როდოსელმა
ანდრონიკემ, მიიღო რა ტირანიონისაგან ჩამო-
ტანილი წიგნების ასლები, გამოაქვეყნა ისინი
და შეადგინა საძიებლები, რითაც დღემდე სარ-
გებლობენ.“²

სულას პიროვნებაში სამხედრო ტალანტი
ორგანიულად აერთიანებდა გამბედაობასა და
მთხერხებულობას. სციპიონის ორმოცი კო-
პარტის წინააღმდეგ მას ჰყავდა მხოლოდ ოცი,
მაგრამ ეშმაყურად გადმოიბირა მტრის ჯარები
და უბრძოლველად გამარჯვება მოიბოვა.
მის პიროვნებაში ერთად ცხოვრობდნენ მელია
და ლომი. კარბონს უთქვამს: „ვეომებოდი რა
სულას სულში მცხოვრებ მელიასა და ლომს,
უფრო მეტს განვიცდიდი მელიისაგანო.“³
მისი გულადობა, გულცივობა, საზრანობა,
მოკლევნობა სწრაფად, თან შეუძლომოდ გარ-
კვევის უნარი მართლაც საარაყო იყო, რო-
გორც მისივე შეუბორაკვი სისასტიკე, როცა
ლომი მოქმედებდა, ზოლო შეწყალება, როცა
ლომის ადვილს მელია იყავებდა. მითრიდა-
ტესთან ომის დამთავრების შემდეგ, სულა მი-
უბრუნდა იტალიის უშუალო საქმეებს, 83
წელს სასტიკად დაამარცხა მარიაწელები, აიღო

¹ იქმე, გვ. 147.

² თეოდორ მომზენი, რომის ისტორია, II, 1937 წ., გვ. 247.

³ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, 1963 წ., ტ. II, გვ. 129.

¹ იქვე, გვ. 138-139.

² პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, II, 1963 წ., გვ. 139-140.

³ იქვე, გვ. 142.

რომი და ისევ დაიწყო საშინელი ხოცვა-კლავა. ბელონის ტაძარში მან შეკრიბა სენატორები, ის-ის იყო დაიწყო სიტყვა, რომ გარედან მოსმა აღამიანთა სასიკვდილო ყვირილი. შეშფოთებულ სენატორებს კი სულამ დაშვიდებით უთხრა: „მოვითხოვ ყურადღებას ჩემი სიტყვებისადმი. ბოლო ის, რაც გარეთ ხდება, თქვენ არ გეხებათ: იქ ჩემი ბრძანებით შეგონებას უკეთებენ ვილა-ვილაკებებს არამზადთაგანო“¹ თუ რა იყო ეს შეგონება და ვინ იყვნენ ეს ვილა-ვილაკეები, ისტორია ასე გადმოგვცემს: რომის აღების შემდეგ სოცხლად ვადარჩენილ მტრებს სულამ აღეთქვა უშიშროება, თუ მასთან გამოცხადდებოდნენ მორჩილების ნიშნად. ციკთან შეიკრიბა 6 ათასი კაცი, რომლებსაც სულას წარგზავნილებმა საშინელი ტანჯვით ბოლო მოუღეს.² ასე ესმოდა სულას „შეგონება“ და 6000 კაცის ერთად მოკლა „ვილა-ვილაკეზად“ მიაჩნდა.

თუ რა განუეთხავე იყო იმ დროს რომში ხოცვა-კლავა, დაწვრილებით არის გადმოცემული ისტორიულ წყაროებში. შედგენილ იქნა განსაკუთრებული სიები — პროსკრიპციები, რომლის მიხედვითაც განუსჯელად სპობდნენ აღამიანებს და იტალებდნენ მათ ქონებას. მამა და შვილი ჯილდოებსაც კი ღებულობდნენ ერთმანეთის ან ნათესაების დახოცვისათვის. ასე ხდებოდა იტალიის ყველა ქალაქში, ტაძრებსა და ქუჩებშიც. „ქმრებს ჰკლავდნენ ცოლების თვალწინ, ბავშვებს — დედის თვალწინ“.³ რომთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ პრენესტის 12.000 მცხოვრებელ ერთად ამოხოცეს. პროსკრიპციაში შეტანილი ოთხმოცი (პლუტარქეს ცნობით), თუ ოთხმოცდაათი (მაშენი) სენატორი და ორი ათასექვსასი მხედარი მოკლეს. ლეციუს კატონისამ, რომელიც ცნობილია 63 წლის შეთქმულების მოწყობით, სულსადმი ფანტატიკური ერთგულების ნიშნად საკუთარი ძმა მოკლა, პროსკრიპციაში უკანა რიგებით შეტანილი ტირანს და მადლობის ნიშნად მარკუს მარინუსის თვით მარათვა მარტინებულ ფორუმზე, შემდეგ კი აპოლონის ტაძრის ახლოს სისხლიან ხელებზე დაიბანა „წმინდა საიახზე ქაში“.⁴ ყველა იმპრონიდელი საშინელების აღწერა, რასაც ისტორია გადმოგვცემს, აქ საუბროვ არ არის. მაგრამ, უნდა ითქვას, საერთოდ, გაუთეს მარინუსისა და სულას დროს პროსკრიპციამ მიიღო მანამდე არნახული მასშტაბები.

თუ რა იყო ეს, აზიანეს მოწყავს ცეზარის-დროინდელი ტრიუმვირატის ერთგულელება პროსკრიპციის შესახებ. იქ ნათქვამია: „მეტივენი არ დავსჯით ისე ბევრ აღამიანს, როგორც ახლო ხანში — სხვა დიქტატორმა (ნავულის-მეხეი სულა — გ. ქ), რომელმაც გადაარჩინა სახელმწიფო სამოქალაქო ომის დროს და რომელსაც თქვენ მისი წარმატებით მოქმედების გამო ბედნიერი უწოდებთ.“¹ მაგრამ ისე ბევრს არ დავსჯითო, როგორც სულას დროს, ნათქვამი რომ იყო, უფრო თავისმართლებას შეიცავდა, ვიდრე სიშარბლის აღიარებას. აზიანე, რომელმაც ამ პროსკრიპციის დროს ტრაგიკულად დაღუპული დიდი ციკარონის ვილა დათხოვია (სადღე ძველი რომის განთქმული ორატორი და ფილოსოფოსი იმის-ლებობდა); წერს: „პროტიმპქმედბანი იყო საზარელი — ასეთს ვერ ნახავთ აქანუების დროსაც კი ან მტრის გამარჯვების შემდეგ, როცა ემინათ. აქანუბულის ან მტრისა, მაგრამ მტიციოდ სწამთ თავიანთი შინაუბნისა: ახლა კი თვით შინაურები უფრო მეტად ამინებდნენ. ვიდრე მკვლელები“.²

სისხლის ტბების დაყენებით, მოწინააღმდეგეთა და უდანაშაულოთა განუკითხველი მოსპობით, სულამ ხელში ჩაიგდო განუსაზღვრელი უფლებები, რომის სრული ბატონ-პატრონი — დიქტატორი გახდა. რაც უნდა ჩავდინა, არაფერზე პასუხს აღარ აგებდა. როცა ლეკციუსს ოფელამ, მისმა ერთგულმა ცენტურიონმა, განიზარაბა კონსული გამზღარო-ყო, სულამ ისე მოაკვლევინა, რომ დოსკურების ტაძრიდან თვითონვე ეუფრებინა საზარელი აქტის აღსრულებისათვის.

სულამ ოფიციალურად მიიღო სენატისაგან დიქტატორის ტიტული, მაგრამ, თუ წინათ დიქტატორებს ირჩევდნენ განსაზღვრული ვადით, სულასათვის არავითარი ვადა არ დაუწესებიათ. მიუხედავად ამისა, სრულიად მოულოდნელად, ვამპირმა თვითონვე მოიხსნა 79 წელს დიქტატორის ძალაუფლება, დაიტოვა მხოლოდ ჯარების სარდლობა, კონსულების არჩევამაც მონაწილეობა მიიღო, როგორც კერძო პირმა, ერთი სიტყვით, დიდების მწვერვალზე დარჩა თავისი დამსახურებისა და უწვეულო ავტორიტეტის იმედით.

ამ დროს სულა ცხოვრობს დიდ ფუფუნებაში. უზომოდ ეტანება, თითქმის ყოველდღე 40 წლის ხანდაზმულ ლეინოს, თავის მეგობრებთან ერთად აწყობს ორგებს ქალების მონაწილეობით. ლათობას იწყებს დილიდანვე, მსახიობი ქალები, მამაკაცები, კიფარზე

¹ იქვე, გვ. 145.
² იქვე, გვ. 144.
³ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები. 11, 1963, წ. გვ. 145.
⁴ იქვე, გვ. 145.

¹ «Поздняя греческая проза», 1960 г. стр. 206.
² იქვე, გვ. 207.

დამკრეპნი ართობენ სერიოზულად დაავადებულ მბრძანებელს. სახელგანთქმული კომიკერი მსახიობი როსციუსი, მიმიკოსი სორაი, ქალთა როლების შემსრულებელი, უკვე მოხუცებაში შესული მამაკაცი მტრობისა, რომლასადმი სიყვარულს, როგორც ისტორიკოსები შენიშნავენ, სულ არ ჰქონდა, რაც შეუძლიათ ართობენ მას, თუმცა ახლადშერთული ჰყავს ლამაზი, ახალგაზრდა ცოლი ვალერია. თეატრში ყოფნის დროს, როცა გლადიატორების ქვიდის ესწრებოდა, ჰგორავდნენ ვალერიას ადგილი დაუვალებია სულას უკან, მას ახლო გავლის დროს დიქტატორის ტოვიდან ბეწვა ამოუწყვეტია, თან უთქვამს: „და არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, იმპერატორო, უბრალოდ შეც მინდა ჩემთვის შენი ბედნიერების უმცირესი ნაწილიო“.¹ ეს ქალი სულამ ცოლად შეირთო, მაგრამ წელიწადი აღარ უღებოვარია მასთან, საშინელი ავადმყოფობით, რომელსაც „ფტირიაზისი“ (მებენარებით დაავადება) ეწოდება, იგი გარდაიცვალა 60 წლის ასაკში, 78 წელს. დაკრძალვა მოუწყვეს გრანდიოზული. ამაინეს უთქვამს, რომ სულა შევლასათვის „იყო საშინელი სიკვდილის უმღვრევი კი“.² ამიტომ, ბუნებრივი იქნება ეთიქარით, მისი ამგვარი დაკრძალვა უფრო შინით ახსნებოდა, ვიდრე გულთაღი პატივისცემით, თუმცა უკანასკნელთა სიმკერე ძველი რომის სისხლიან დიქტატორს არასოდეს უგრძნობია არც სიკაცხეში, არც სიკვდილის შემდეგ. ინტერესსმოკლებული არ არის პლუტარქეს ცნობა, რომ სულას თვათონვე შეუდგენია საფლავის ქვის წარწერა, რომლის აზრი ასეა გადმოცემული: „არავის გაუკეთებია მეტი სიკეთე მეგობრებისათვის და ბოროტება მტრებისათვის, ვიდრე სულას“.³ ეისიც არ უნდა იყოს, ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ რომელი დიქტატორის პიროვნებისა და პოლიტიკის ხასიათს.

ასეთია სულა, მოკლედ რომ დავახასიათოთ, ისტორიული წყაროების მიხედვით.

მაგრამ როგორაა იგი ნაჩვენები გულის ტრილოგიის უკანასკნელ წიგნში?

რომანი იწყება სულას მზადებით რომის დასაღმკრავად. ექსპოზიცია უკვე გავრძობიანებით ანტიკურ რომაულ სულს, იმდროინდელ სიტუაციას, მარიუსისა და სულაპიეტის წინააღმდეგ სულას გააფთრებამს, მითრიდატე პონტიელთან ომის დროებით გადადებას, „შე-

ნაური საქმეების“ მოსაგვარებლად. აქვეა დიქტატორი, მარტოხელა ადამიანი, ფანტიკული მეომარი, ცენტურიონი, რომელსაც სხვედ უწატიურად უყვარს ძლიერი სულა, მამად და მამად რომ მიაჩნია. ავტორი შესანიშნავად გვიხატავს სულას პორტრეტს, მის დემავოციას, რითაც ამდენ წარმატებას აღწევდა: „აფორდიტეს რჩელი“. ისე კარგადაა აღწერილი რომელში სულას ბანაი, მისი გარემოცვა, ეპიკელი — სარდლის უეროველესი მსახური, საერთოდ, ჩვენს ერამდე 88 წლის ისტორიული ამბები, რომ გვიჩვენება — მხატვრულ ნაწარმოებს კითხვობს, თუ მხატვრულად ამტკავლებულ შეცნობურულ გამოცვლას. ზუსტი ისტორიული ფაქტები იმდენად ძლიერი მხატვრული შტრიხებითაა გადმოცემული, რომ ფაქტის საცხად შთამბეჭდავია. შეადარეთ, მაგალითად, სენატის გამოგზავნილი ორი ტრიბუნის — ხარის ლამიენისა და გენუს რეგულუსის — მარიანელის ჩაქოლების სცენა რომანში — ისტორიული წყაროებს. ერთში მოკლე. ბუნში, გულცივი თხრობაა, რომელიც ტრივიალურად მოგვჩვენება, ხოლო, მეორეში შეგარტობს, ავადუღებს, ისე დაეძაბეს, რომ სულა შეეკრება. ეს „სულის შეყვარება“ ხელოვნება და გულის სასაბელოდ უნდა ითქვას: ის, რაც ისტორიადან ვიცოდით, მან ისე ღრმად გვიჩვენა პროზის მხატვრული პალიტიკით, როგორც ჰემარტ ბელეტრისტს შეუძლია. სწორედ აქ მდლავდება ხელოვნების შემეცნებითი ბუნების სპეციფიკური დანიშნულების ის მომენტები, რაც ჩვენ შესავალში უკვე გვქონდა მითითებული.

აქაც, ამ რომანის განხილვისას, ცალკე გვიინდა აღვნიშნოთ ძველი რომის ისტორიული ფაქტების ზუსტი ცოდნა, რაც ავტორს საშუალებას აძლევს სწორედ ამ ფაქტებზე დაყრდნობით ახალი ფაქტები შექმნას, ესე იგი ისტორია გააძლიეროს მისივე მონაცემების ხანძმად. ყველა ისტორიული პირი ისტორიულ ჩარჩოებში რჩება, გამოვინილი და შეთხზული — ისევე ისტორიის განასახიერებს, ამიტომ „სულა“ თავიდან ბოლომდე ისტორიული რომანია, როგორც „ფარაონი ეგნატონი“ და „კაცი ათენიდან“.

ნუ მომთხოვთ ტრილოგიის ამ მესამე წიგნიდან ამოწვრიო ყველაზე ძლიერი ან ყველაზე შთამბეჭდავი ადგილები. იქ იმდენია კარგი, იმდენია შესანიშნავი სცენები, რომ თუ ყველას ეტირებებს მოვახდენთ, ჩვენი სათქმელი აღკაფერი დარჩება. აიღეთ, თუნდაც სიმბედროს კარავი სულას შეხვედრა ოცი წლის უღამაზეს ფილენიდასთან, რომელმაც ეს-ესაა ლაბადა გადაძრო და მთელი თავისი თეთრი, ქორთა სხეულით დადგა დიდი სარდლის წინაშე. სულას ორგვარი ცეცხლი. წავს: მკითხავმა ბუფტოპიუსმა, რომელმაც თავისი ძმის-

¹ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, II, 1963 წ., გვ. 147.

² მოკვეყანს ნ. ა. მაშინის მიხედვით: ძველი რომის ისტორია, 1948 წ., გვ. 247 (რუს. გამოც.).

³ პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, II, 1963 წ., გვ. 149.

წელი ფილენიდა აქ მოიყვანა, უნდა თქვას — რით დამთავრდება რომე ლაშქრობა, თან ულაძეს ასულს თვალს ვერ ამორებს. ეს სცენა, ვახშის შემდეგ ფილენიდასთან ურთიერთობა ისე ისტატურადაა გადმოცემული, რომ ჩვენს სიტყვებში სრულიად ზედმეტია, ხოლო ამოწერა შეუძლებელი, რაჟი მას რომანის მთელი გვერდები უკავია. სცენა მთავრდება ვადაქრული სიტყვებით, რაჟ ყოველგვარ აღწერაზე უკეთესად აგრძნობინებს მკითხველს ლოკიერ აღსასრულს: სულს მიერ „მასწინათ გამოცხადებული წესი, რომლის თანახმადაც „კარავი — ტაძარზე უწმინდესია“ უკვე იყო დავიწყებული მის მიერ“ („ზევგად“, 1971, № 9, გვ. 64. მომდევნო მსჯელობის დროს ეტრნალის მხოლოდ ნომერს და გვერდს მივუთითებთ). აეტორი ყველგან ახერხებს სულ მოკლე აღწერით ან მოქმედების ჩვენებით მთელი სურათი გადმოგვეს. ილუსტრაციისათვის მხოლოდ ერთი მათგანი დაგვამოყვლილდეთ: რომის წინააღმდეგ ლაშქრობა და იწყუ, სულა თავისი ლეგიონებით დაიჭრა მართისისა და მარიანელებისათვის ანგარიშს განასწორებდა. ის ამ დროს უკვე 50 წელს მიღწეული იყო. მაგრამ კვლავ მხნე გამოიყურებოდა. «Судле подвели белого коня, и он показал такую сноровку, садясь на него что ему могли позавидовать молодые. За ним последовали ближайшие помощники, а также и Буфтомий. Прекрасная Филенида следовала за войском в более удобном экипаже, чем военная телега из обоза» (№ 9, გვ. 65). მშვენიერია, მაგრამ ვინ მოსთვლის ყველა მათგანს!

მთელი რომანის მანძილზე აეტორი ისტორიულ სიმართლეს არსად ღალატობს ოპტიმისტულსა და პოპულარ მართისი დახასიათების დროს. დოკუმენტური პირობის ხერხებსაც იყენებს, მაგრამ ეპისტოლარულ მასალას ისე ორგანიზულად აქსოვს მხატვრულ ტექსტში, რომ ვერსად იგრძნობთ ზელოენერობას, ისტატობა კი ყველგან ჩანს. სულს ცნობილი დემაგოგიური წერილი შემფიოთებელი სენატისადმი საქმარისია ჩვენი დებულების დასამტკიცებლად, თავი რომ დავანებოთ მომავალი დიქტატორის „მოგონებებიდან“ და სხვა წყაროებიდან მოტანილ ისტორიულ ცნობებს. პარალელურად, გამოვინილი პირებიც, მავალითად, ვლადიპეტორი კორდი და მეწადე კრისპი, თავიანთი კოლორიტობით, ძალიან კარვად ეთვისებიან ნამდვილად ისტორიულ ტიპებს. პირველი სულს მიმდევარია, მეორე კი არა, სკვპტიკურად უყურებს „აფროდიტეს რჩეულს“ საქმეებს, როგორც იმდროინდელი რომის ბევრი მოქალაქე. მათ შორის არიან მეძებვე სესტრუსი, მეწმინდე მარცელი, ერთი სიტყვით. რომის მდებარეობა მასა, მსახურნი და მონები, სამო-

ქალაქი და სასულიერო წოდების ყველა წარმომადგენელი, ჩვენს ერთდღე პირველ სკვპტურის 80-იანი წლების რომი ცოცხლად დგას მკითხველის წინაშე პარტიული პირობებით, შინაგანი ომებით, ვერავანობით, სისხლით, სოციალ-ეკონომიკითა და გავგონარი ტანჯვა-წამებით. ბატალური სცენებიც ყველგან დიდი ზომიერებით არის წარმოსახული. აეტორს არ გამოჩენია დამარცხებული მართისის უკანასკნელი თავშესაფარიც პალატინზე, იულიების გვარის შთამომავალ ტატუსის სახლში, სადაც ცენტურნიონი დეციმი შეხვდებოდა კორინას, უმაღლესი შეიჯარებს და ამ მიზეზით მისი ბინის განხრეკაზე უარს ამბობს. კორინა რომ არ ყოფილიყო, სულს ფანატურად ერთგული ცენტურიონი დეციმი აუცილებლად შეიპყრობდა კონსულ მართისს, დეციმისათვის ეს დიდი შეცდომა იყო, სულს რომ გავგონ, აუცილებლად სიკვდილით დასჯიდა. შემდეგ კი, როცა სულამ მეორედ აიღო რომი და ისევ სისხლის ტბები დააყენა, თავის ერთგულ ცენტურიონს არ აპატიო შეცდომა. დეციმი მოაკლდევინა მეორე ცენტურიონს, როგორც იმ დროს რომში ხდებოდა ხოლმე. დეციმისა და კორინას სიყვარულის ამბავი ერთი ტრაგიკული ფერცულია რომანში, მკითხველი დიდი გატაცებით, დიდი გულსიტყვილით ეცნობა მას, იმსჯელება თანაგრძნობით ახალგაზრდა აღმამანებისადმი, რომლებსაც ზედმა საშინელი ზვედრი არგუნა.

როცა სულამ რომი აიღო, სოციალ-ეკონომიკური ხანძრები და ნგრევა ისეთი მასშტაბით მოაწყო, რომ სასოწარკვეთილი გაკიოდნენ რომაელები — „რას შერებით, ეს ზომ კართაგენი არ არისო!“ (№ 9, გვ. 87). მართალია, კართაგენის ზედი რომს აკლდინა, მაგრამ სულს ნებასურვილით დაზოცილი რომაელების აკრფვას სამდღეს მოუწოდნენ, მეოთხე დღეს კი გამარჯვებული ეახლა სენატს, რომლის სხდომა ბულონის ტაძარში მოაწყო. ჩვენს მიერ უკვე დახასიათებული ეს ისტორიული ფაქტი აქ იმდენად მხატვრული სიმართლითაა გადმოცემული, რომ თვით რომანის წაკითხვაა საქმარისია ვისაც სურს ბოლომდე გაიგოს სულს დემოკრატია, ეგრავანობა, ის ახრი, რაჟ ჩაქოსილია „აფროდიტეს რჩეულის“ შემდეგ სიტყვებში — „ეს ევაბატონები, მგონი კმაყოფილნი არიან, — სთქვა სარდალმა წყნარად. — საქმაროდ წავიდეთ აქედან — ჩვენ ნამდვილ საქმეს უნდა მოვიყოლო ბელი“ (№ 9, გვ. 90), თითქოს არაფერს წარმოადგენდა სენატისათვის მიცემული ფიცი, რომ მასთან მეგობრობას დამყარებდა, არმია კი რესპუბლიკის ერთგული იქნებოდა, რითაც გულუბრყვილო სენატორების მისაღება დაიშახურა.

შესანიშნავად არის მხატვრულ ფერებში გადმოცემული სულს ორგები, როცა ერთგული მეგობარი მსახიობები შემოუყვანებენ მას

სამ უღამაზეს ასულს — ატიცილას, პერეგრინას და ვალას. სულა გახარებულია, რომ მანამდე არცერთი მათგანი არ უნახავს, არცერთი სათვის არ უყოცნია, არცერთთან არ უცხოვრობა (№ 9, გვ. 93). და ეს ორგვითი მართლაც მხატვრული ფერხებითაა გადმოცემული, ზუსტად აღადგენს ძველი რომის გარყვნილებას, რაც ასე მოუჩივრებლად შემოგვინახეს ისტორიულმა წყაროებმა. საქმარისია დავასახელოთ. პლუტარქეს ვარდა, სვეტონიუსის „თორმეტი ცეზარის ცხოვრება“, რომელშიც ამგვარი და უფრო მძიმე სცენები (მამათაყლობა) ჩვეულებრივი მოვლენების სახითაა აღწერილი.

უეჭველად თხრობისა და ჩვენების მრავალფეროვნებისათვის გულია მიმართავს დრამატულ დიალოგებსაც. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კორდისა და მარკელის მსჯელობა (№ 9, გვ. 98-99), კრასისა და პომპეუსის საუბარი (№ 10, 95-96 გვ.), კორდი და სესტიუსი (№ 10, გვ. 106), რითაც ახალი შტრიხი შემოაქვს თავის რომანში. არ ივიწყებს პოეტებს (კაეკრას სცენები), მეგობრების უხვად დასაჩქარებას (გვ. 100-107), ფალოსოფიის ძაგებას — ბრძოლაში ცუდი თანამშენებელი, ჩემი ფილოსოფია ფარი და მახვილიაო (გვ. 104), სულპიცუსის მოკვლას (მის მსახურს გილს მოაკლევინა, შეშდებ, მალე, ჯილდოს ნაცვლად ვილი მოქლა), ცინას ოპოზიციას, ცინას, რომელსაც გამარჯვებული სულა მეგობრობას სთავაზობს, ფიცსაც მიადებინებს, თან პერიკლეს დამოწმებით ეუბნება: „საქართველო გამოვიჩინეთ მოთმინება ჩვენი მოწინააღმდეგეების მიმართ. გეონი, მე პირველი არ ვამბობ ამას. პერიკლე ამავე პრინციპს მისდევდა. პერიკლე და ჩვენი წინაპრები. მე მინდა, რომ ისეთი დიდი პოლიტიკერა, სახელმწიფო მოღვაწე, როგორც ცინაა, ჩემს გვერდით იდგეს და მედაყვებოდეს მე, რათა ამ დავაში კუმშარიტება დაიბადოს“ (№ 9, გვ. 112). ამის შემდეგ მეგობრობა და ერთგულება შეპყრობის ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცინამ სულ მალე დააბრუნა ეს დიდი.

რომანში მოქმედი გმირები ძალიან ცოცხლად არიან წარმოსახულნი. ერთი მათგანია ეპიკლეი, რომელიც სულას უფროსი ძეგის მსახურიცაა და მრჩეველიც. სულას იგი უყვარს. ავტორი სავსებით მართალია, როცა ამბობს: «Да, Сулла любил Эпикледа. С давних пор. Привязан к нему. Любит его всей душой». Странно звучат эти слова, когда говоришь о человеке, который презирал даже само имя человека. И презирал человечество. Счет людям он вел только на когорты и центурии. Женщина любил только потому, что они доставляли ему наслаждение. И Рим любил только потому,

что ни в каком другом городе мира не могли бы исполниться его заветные мечты. Ни Фивах, ни в Афинах, ни Карфагене. Его честолюбивые помыслы связаны только с Римом. Без Рима он — один из особой рода человеческого: Ему нужен Рим. Не может он без Рима. И без Эпикледа не мог обойтись. Слуга говорит ему все. Любую дерзость. Разумеется, наедине. Да и сам Эпикед, который тоже любит Суллу, никогда не позволяет себе высказать какой-либо попрек на людях. Потому что для всех он — прах.

Мужеложество Сулла не считал пороком. И не скрывал своих чувств к пригласившемуся мужчине. Например, к актеру Метробию. Об этом знали в Риме. Но никто не занкался о корнелии Эпикеда. Не потому, что тот был вне подозрений, а потому, что попросту не шел он в счет. Ибо был слугой, рабом, прахом. Сулла любил и уважал Эпикеда, как свое сердце, как желудок, печень или ноги. Хорошо это или плохо? Об этом можно поговорить на досуге или высказать свое мнение в специальном учебном трактате. Римские писатели, мало известные миру (есть и такие) по-разному писали об отношениях Суллы и Эпикеда, но никто из них не придавал отношениям этих людей особого значения. Это естественно: Эпикеда не мог соперничать с Марием или Цициной по своему весу в общественной жизни римля...» (№ 9, გვ. 115—116).

ასეთია სულა. ეს არის მისი პიროვნების შინაგან ძალთა და შინაგან სულიერ მოთხოვნათა სავსებით მართებული, სავსებით ზუსტი დახასიათება.

და ჩვენ ვამართლებთ ავტორს, როცა მთელი რომანის მანძილზე ყველგან ცდილობს სულა წარმოგვიდგინოს ისე, როგორც იყო იყო სინამდვილეში, და არა მხოლოდ რომელიმე ერთი წყაროს. მისი განმარტებლის თე დამამკირებლის მიხედვით. თანამედროვე ისტორიოგრაფის დამოკიდებულება სულას პიროვნების, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობისადმი, ძველი რომის ისტორიაში მისი ადგილისადმი რომანში ბოლომდე შენარჩუნებულია და ეს უეჭველად ავტორის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამისათვის სჭირდება მას გაიხსენოს ეხნატონი, სულა ალაპარაკოს პერიკლეს შესახებ, ბოლოს და ბოლოს, ტრილოგის ავტორს ხომ კარგად ესმის, რომ მისი რომანების სამივე მოქმედი პირი, დროით ასე დამორბეული, თავიანთი ქვეყნების ისტორიაში შემობრუნების მიქნებს წარმოადგენენ, ამღე-

ნად. რაღაც საერთო აქვთ თუნდაც შემოქმედებითი უნარის მერიდიანზე.

სამივე ეს მოღვაწე თავისებურად მორწმუნეც იყო. ეხნატონმა, როგორც ვნახეთ, ძველი ღმერთი ამონი ღაამხო და ახალი ღმერთი — ატონი იწამა. ამისათვის მისმა დრომ ფარაონი სიკვდილის შემდეგ დამნაშავედ გამოაცხადა, ზოლო ძველი ღმერთი ამონი — დიდებით ისევ აღადგინა. ფილოსოფიურად განსწავლული პერიკლე, სოკრატესა და ანაქსაგორეს შეგობაში, ბერძნულ წიარმართულ ღმერთების ცნობდა, მაგრამ ცრუმორწმუნეების არაფერია სჯეროდა. სულა უღვთო კაცია, ათეისტაც, მაგრამ ბედისწერა სწამს, ცრუმორწმუნეობას პატივისცემით ექცევა, ერთი სიტყვით, პრედესტინაციას განადიდებს. ეს იცის ტრილოგიის ავტორმა და ამიტომ გვიჩვენა ლამაზობების წინ სულა წითხავეუბი — ბუნებრივად და პოსტრემიუსის სრულ მორჩილად.

სულას შინაგანი სულის დასახასიათებლად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის „მოგონებებს“, რომელიც ისტორიას არ შემორჩა, მაგრამ არის ნაწილები, ძველი ავტორების მიერ ციტირებული, რასაც გვლია შენაშინავეად იყენებს, როცა თავისი მოქმედი გმირის არსებობაში სურს ჩაეხეხოს. ერთი მათგანია კამპანეში, სადაც დიქტატორობიდან გადადგომის შემდეგ ცხოვრობდა, სულას მიერ დაწერილი შემდეგი სიტყვები (ლაპარაკია რომის პარტეული დალაშქრების ცინსანი გარიგებისა და მითრიდატე პონტოელის წინააღმდეგ საომარად გამგზავრების შესახებ, რაც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ): «В то время я не мог поступить иначе. Я мог бы пойти и на другие унижения. Ради того, чтобы достичь главной цели своей. Ради того, чтобы после унижить всех моих недругов. «Мы ждем от тебя беспощадных действий в соответствии с твоей силой, твоей великой мощью, а ты унижаешь себя и тем самым унижаешь нас», — говорили мне многие мои друзья из числа знатных и родовитых римлян. Я волегал тогда, волеагу и сейчас, находясь на своей вилле в Кампанье, что поступил правильно. Кто знает, что было бы, если бы я заартачился, заупрямился, словно осел, и поссорился с Цинной? Представляю себе примерный ход событий: вполне возможно, что Цинну все равно избрали бы — вопреки моему противодействию, — как избрали Секунда и Севера в виду мне. И что бы я тогда выгадал? Разве не ясно, что я оказался бы в проигрыше? Даже то, что случилось между мной и Цинной позже, не переубедит меня во мнении, что я был совершенно прав, поступая так, как поступил. Мне надо было ду-

мать о походе, мне надо было формировать войско, собирать карабли для переброски армии в Малую Азию, накапливать в городе Брундизий продовольствие, оружие запасное, и прочее. И в то же время вести дурацкую интригу с сенатом, который не переспоришь, ссориться с Цинной и тому подобное — это выглядело бы совершенно по-мальчишески. Я бы не жил сейчас на покое здесь, в Кампанье, по существу держа в руках всю власть, если бы не последовал велению своих чувств!»... (№ 9, გვ. 119—120).

დიქტატორის გამჭრალი „მოგონებებიდან“ ეს უაღრესად საგულისხმო ნაწილები ამაყრფელიც რომ იყოს, უცეთესად ვერაფერ იტყვოდა იმას, რაც აქ არის ნათქვამი. ზოლო ის, რაც არის, ნამდვილად სწორია, ისტორიულად დამტკიცებულა, რომ სწორედ ასე მოხდა. სულას იმდროინდელი მოქმედების ახსნა-განმარტება, მოცემული თვით დიქტატორის მიერ, ბოლომდე ნათელი და დასაბუთებელია, მისში ეჭვის შეტანა ვაუმართლებელი სტატიკიზმი იქნებოდა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დასახული მიზნისაკენ როცა მიდიოდა, სულა არაფერს ერიდებოდა — არც რის, მაგრამ არც/ზავს (ვახსენეთ მითრიდატე პონტოელი), არც მტარაგალობას (პროსკრიპციები), მაგრამ არც შეწყალებას (ცინსანთან შერიგება), ერთი სიტყვით, გამარჯვების მოპოვება მისთვის იყო უმთავრესი, სულერთია, რა საშუალებითაც არ უნდა მოეპოვებინა იგი — ლომის ძალით, თუ მელიის უშეაკობით. სრულიად უეჭველია, რომ სულას ლეგენდარული ძლიერების ერთერთი წყარო უფოოდ იყო გამარჯვებისათვის ყველა საშუალებას ერთნაირად გამოყენება, თვითოდ მათგანში ერეკულო შეუპოვრობის გამოჩენა — არსად სისუსტე, ყველგან შეტევა, თუ გადაწყვეტილება მიღებულია და მიზნისათვის ბრძოლა დაწყებულია. ეს არის სულა, ეს არის მისი ვაუტეხავი, მართლაც კლდესავით მაგარი ნებისყოფის უპირველესი ნიშან-თვისება. ამიტომ ჩვენ საუბრებით ვეთანხმებით ტრილოგიის ავტორს, რომ მისი სულა — ისტორიულად არსებული სულა და არა ვინმეს შეთხზული ან გამოგონებული; მისი სულა მხატვრულად ისეა განსაზღვრებული, რომ ზელოვნება არსად მიცნერადე შემმარტებას არ დაღატობს, ზოლო მეცნიერება არსად ზელოვნებას არ უარყოფს. ვახსენეთ პლეტარქესა და აპიანეს ნაწერებიდან ციტატების ჩართვა (მაგალითად, № 19, 96-97 გვერდებზე), როგორც ავტორის პროზული ტექსტის ორგანიული ნაწილებია. ამ ზერხით ორი რამ არის მიღწეული: მართალი ისტორიული წყაროებით მეთხველის ბოლომდე დაწმუნება და შეთხზული საკუთარი ბეღტრისტიკით იგივე საქმის გაკეთება, ანალოგა-



ური ფუნქციის შესრულება. საქმარისია დაგ-
სახელოთ პოეტ ვარინიუსისა და დიქტატორ
სულს ურთიერთობა, ჩვეულებრივი ღრეობას
დროს მათი კამათი, რომლის შემდეგაც ნას-
ვამი და გულშისთვილი „აფროდიტის რჩეული“
ცენტურიონ დეციმუს ავალბს — ეს პოეტი
გამოუსწორებელი მარიანელია, მისი ქონების
ნახევარი შენი იყო, მოჭირილი თავი კი ფო-
რუმზე გამოიტანეთ (№ 10, 99-100). დიქტა-
ტორის სურვილს უერთგულესი ცენტურიონი,
ისივე უსწავლელი და გაუნათლებელი, რომელ-
საც პოეტის ნამდვილ ღირსებაზე სულ არ
ქონდა წარმოდგენა, როგორც ბერბიკაშვილს
ქაუჭავაძეზე, ამა როგორ არ შესარულებდა?
ვარინიუსი ტრაგიკულად დაიღუპა, ხოლო სუ-
ლა ციკში ესწრებოდა ბესტიარიების (გარე-
ულ მხეცებთან მოტყინალი გლადიატორების)
წარმოდგენას და იხსენიებს პოეტს — „პოეტი
ვარინიუსი ცოცხალი რომ უოფილიყო, თვი-
თონვე დაინახავდა, თუ რა მხარული და ბედ-
ნიერია რომელი“ (№ 10, გვ. 102). სცენები
ცირკში — გლადიატორების ბრძოლა, ოცდაათი
წლის მიტრინის უჩვეულო ვაცნობა მოხუცი
(59 წლის) სულს მიერ იმდენად მიმზიდველია,
რომ დიდ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. ასე-
ვე ისტატურადაა გადმოცემული ცენტურიონ
დეციმის აღსასრული, თვით დეციმის მიერ
ასტრონომიით გატაცებული ქაბუკი ჭარისკა-
ვის გნეეს აღკომის მოვლა, და ბოლოს, ეპა-
ლოგი, რომელშიაც აღწერილია ისტორიული
ფაქტი — მომავლადემა „აფროდიტის რჩეულ-
მა“ როგორც დაიბარა ქალაქ პეტროლის მა-
ვისტრადი ვრანდუსი, რომელშიაც უარი თქვა
სახელმწიფო ვალის გადახდაზე, იმ იწველით,
რომ ვადამდგარი დიქტატორი კვდება, ფული
შემიჩხება. სულამ უყვრილით უბრძანა თავის
მსახურთ — დააბრუნეთ! საშინელი ყვირი-
ლისაგან უოფილ დიქტატორს დაავადებელი
ყელის ძარღვი გაუსკდა, მოასწრო მსხვერპ-
ლის განადგურება, და თორმეტი საათის შემ-
დეგ, დილით ადრე, 60 წლის ასაკში „აფრო-
დიტის რჩეული“ გარდაიცვალა. ტრინანის სიკე-
დილი, შემდეგ მისი ვეამის დაწვა და დარ-
ბალვის სხვა ცერემონიალი ტრილოგიის ავტორს
ისევე ზუსტად აქვს გადმოცემული, როგორც
პლუტარქეს, საერთოდ, ძველი რომის ყველა
ისტორიკოსს. მაგრამ ეპილოგის ბოლო ფრაზა
— „კოკონი მჭრებოდა, რომის თავზე მქეინ-
ვარებდა ქვეპაუტხილი“ (№ 10, 110), თუ, ერთ-
თი მხრივ, სულს დარბალვის დღეს წყიზი-
ან, მოღრუბლულ ამინდს გვიხატავს, მეორე
მხრივ, ალფეორიულად გვიანშნებს იმ ახალ
სამხედრო-პოლიტიკურ კატაკლიზმებს, რომლე-
ბაც „აფროდიტის რჩეული“ — ვხლანას მიც-
ვალბებელი ტრინანის შემდეგ ძველი რომის
თავზე მართლაც საშინელი ძალით დატრიალდა.
ასეთია ზოგადად ლუციუს კორნელიუს სუ-
ლას ისტორიული პორტრეტი, ძველ წყაროებ-

ში შემონახული, და ასეთია მისი მხატვრული
სახე, ვულის ტრილოგიის მესამე ნაწილის
მიხედვით.

მოსალე რაზიუმი

მხატვრული ზერების ანალიზმა დაგვიჩ-
მუნა, რომ ტრილოგიის სამივე ნაწილასათვის
დამახასიათებელია დიალოგების პრევალირე-
ბა. აღწერებს შედარებით ნაყლები ფუნქცია
აქვთ დავისებულო. ეს დიალოგები სხარტა,
მოსწრებელი, მიმზიდველია. თუ ზოგჯერ
გვხვდება გულბრყვილოც, ალბათ, იმის გა-
მი, რომ შეუძლებელია ორი ადამიანი ლაპა-
რაობდეს და სადღაც, რომელიდაც ადგილზე
მათ საუბარს ბზარი არ გაუნდეს. ჩვენ არ
გვინდა ამოწერათ ამგვარი დიალოგები ტრი-
ლოგიის სამივე ნაწილიდან. „ფარაონ ენა-
ტონში“, მაგალითად, 468-ე გვერდზე, სრუ-
ლიად ნათელია, რომ შერი, მახუ, ნეფტერევი
ენატონის წინააღმდეგ ლაპარაკობენ და მაინც
«Ты хочешь сказать—Эхнатона?» ეს სრუ-
ლიად ზედმეტია, როგორც ზოგიერთი ფრაზა
471, 472, 473, 475, 540 გვერდებზეა დიალო-
გებში.

ცალკე თუ ავიღებთ ტრილოგიის სამივე ნა-
წილს და შევაჩერებთ ერთმანეთს, უპიკვლად
საინტერესო დასკვნებს მივიღებთ. ჩვენ უდა-
ოდ მივგანზი, რომ „ფარაონ ენატონში“ რა-
მანტიკული პრევალირებულია ფილოსოფიურ-
ზე სოციალურის ვხიბ. ტრილოგიის მეორე
ნაწილში — პერიოდის შესახებ — ფილოსო-
ფიური ერწყმის რომანტიკულს სოციალურას
გამოყვებლად, ხოლო „სულა“ ამთლიანებს
რომანტიკულსა და ფილოსოფიურს სოციალურ-
თან. ამევე დროს, ლირიკული არსად დაიწვე-
ბული არ არის, როგორც ყველგან ხაზგასმე-
ლია ეპიკური, და მთელი ტრილოგია ტრაგი-
კულის ფონზე ლირიკულის ეპიკურში, ხოლო
ეპიკურის ლირიკულში გადასვლის ერთერთი
საუკეთესო მაგალითია.

რაც შეეხება ენას და ხტოლს, რამდენიმე
შენიშვნა აუცილებლად უნდა გაეკეთათ.
გარდა იმისა, რაც ზემოთ უკვე გვაქვს ნათქ-
ვამი.

ტრილოგიის ენა და სტილი ლაციონური,
მაგრამ შინაგანად თბილი, მგზნებარების გა-
მომხატველი, სილამაზით სავსე. დიალოგებს
ყველგან თან ახლავს თბრობა, ხოლო თბრობას
დიალოგები, ორივე შემთხვევაში ორგანიულო-
ბა ჩანს, ორიგინალობა კი ერთმანეთის მოუ-
ლოდნელ შეცვლაში კარგად ამტკიცებს თა-
ვის თავს. ავტორის შინაგანი მღელვარება
წერის დროს იმდენად საგრძობობა, რომ შკი-
თხვედლებც ახდენს უშუალო გაგულას. ამა-
ტომ მისი ნაწერების კითხვა აუღელვებლად
წიუძლებელი ხდება. ზღვისპირად გაზრდილი

კაცო, ტაღების ხმურს შეწყველი და შერბილი, რომელსაც ბუნებამ ასე უხვად მიანიჭა დინამიური ხასიათი, ალბათ სხვაგვარ სტაბილურს იარჩევდა, როგორი ლაქონიურობითაც არ უნდა დაეწყო წერა. თანამედროვე თემას ამოწავებს, თუ ისტორიულს, მისი წერის მანერა იმდენად გამოკვეთილი, იმდენად თავისთავადია, რომ ყველგან შეიძლება ავტორის ცნობა სპეციალური კვლევის ჩატარებლად. პოეტურად წერს, იმდენად პოეტურად, რომ მისი პროზის შინაგანი რიტმი ბევრგან პოეზი-აში გადადის. იმიტომ შემთხვევითი არ არის შევნიშნული ტავტოლოგიის ასე ხშირი გამოყენება ტრილოგიის სამივე ნაწილში. ფაქტებისათვის შორს წუ წახვალთ, ყველა რომანსაც ამ თვლით წუ წაიკითხავთ. მარტო „ფარაონ ეხნატონის“ გვერდებზე ამოიკითხავთ ფაქტებისათვის საკირო ადგილებს. შავალითად, ეხნატონის პოლიტიკური და რელიგიური მოწინააღმდეგე ნეტარეფი ამბობს: „მალე, ჩვენ თავის დაკერას დაეწყო მათ (უბრალო ხალხს, რომლის გამოყენებაც სურთ ეხნატონის წინააღმდეგ — გ. ქ.). მადლობას ვუტყვი მათ!... მადლობა თქვენ, ჩვენი მსხენლებო! მადლობა! მადლობა! მადლობა! მადლობა!“ (ტ. II, გვ. 243). ნეტარეფის მეგობარი სეროც ასევე ტავტოლოგიით ფრაზებით ლაპარაკობს მომდევნო 244-ე გვერდზე. თვით ფარაონის შესახებაც, ეფექტის მისაღწევად და მისი შინაგანი დაძაბულობის გამოსახატვად, ავტორი ასევე შეგებულად ტავტოლოგიის მიმართავს, როცა ეთიოპიიდან მსურელი მდევარი მოახსენებს ფარაონს: „თქვენო მეფე რო უდიდებულესობავ, ათი დამნაშავე უსერკაფის მეთაურობით... ჭურღმულებიდან გაიქცაო. ეხნატონი მრისხანედ წამოღვება ტახტიდან, მდევართან მივა და წარამბრა იმეორებს: „ვისი მეთაურობით?“ მისთვის ყველაზე საშინელი კაცის სახელის ვაგონება არ სურს, მაგრამ რა ჰქნას — თითქოს ერთხელ კიდევ სურს დაწმუნდეს, რომ მართლაც ასეა და ავტორი შემდეგ სიტყვებით გამოხატავს ფარაონის შინაგან ვანდლას: მას არ შეეძლო გეგონა ეს სახელი! არ შეეძლო! არ შეეძლო!“ (გვ. 269). რომანის ზოგიერთი თავი ეთ ასეა წარმოდგენილი: „ღამე, ღამე...“ (გვ. 360), „სორტ, სორტ, სორტ...“ (გვ.401), „სიყვარული, სიყვარული, სიყვარული“ (გვ. 508). ან კიდევ: „სახლები, სახლები, სახლები“ (ავტორტონის აღწერისას); „მე ვხედავ ჩვენს სულთამხუთავს ხელებში მეფურა წარჩინების ნიშნებით. ვხედავ მათაც, ვინც შრომისა და ზრუნვისაგან სულს დაფავს. ვხედავ დიდკაცობას — კემის დიდ დასაყრდენს ყველა დროში, ყველა დროში! მე მინდა ვთქვა, შერბი, რომ ვისმინ არამარტო უტრებით, გულითაც. ვხედავ

არამარტო თვალბით, სულითაც. დამზობლად ამონი, ჩვენი ღმერთები გადაყვებულე წყველაკრულვისათვის, და ყველა ექვსად ზრუნვის უნარი აქვს, ლებთან ოქროს მადნებში. მე ამას ვამბობ, იმიტომ, რომ ყველაფერი ჩვენი თვალბით ვნახე. მე ესეამლი შრომიან წყალს და ვამბლი მშორს. და მე მოველი აქ, სადაც არ მელოდებოდნენ და არ მელოდებიან, სადაც ჩემი მტრებია, სადაც ჩემი მტრების ბუნავია. აი სად მოვედი მე!“ (ტ. II, გვ. 238). შწერალი სტილია და სტილს შწერალი ქმნას. გულიამ დიდხანია შექმნა წერის საკუთარი მანერა, საკუთარი სტილი, რომელიც თავისუფალია უცხო მინარევებისა და რემინისცენციებისაგან. ეს უშეველად მისი გამარჯვებაა, რაც შეუძლებელი იყო ცალკე არ აღგვენიშნა.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ტრილოგიის ავტორის უშეველად გამარჯვებაზე მეტყველებს. მხედველობაში გვაქვს ისტორიული რომანის სიუჟეტი.

საერთოდ ისტორიულ რომანებში ყველაზე რთული პრობლემა ავტორისათვის ფაბულა და მთლიან სიუჟეტად. მისი შეყვრა. თუ შწერალი ისტორიული ფაქტების იფორირებას ახდენს, მარტოდენ თავის ფანტაზიას ვერდნობა, გამოგონილ ამბებს მიმართავს, მაშინ ეს პრობლემა მისთვის უკვე აღარ არსებობს. მაგრამ, თუ ზუსტად იცავს ყველაფერს, რაც ისტორიაში იყო, ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოვიდა, გამოგონილ ფაქტებს მხოლოდ იმისათვის იყენებს, რომ ხელი გასდოს ხარვეზების შესაერთებლად, მაშინ ფაბულის, სიუჟეტის პრობლემა მთელი სიმწვაით დგება ხოლმე და შემოქმედის მართლაც ილაქამწყვეტ შრომას მოითხოვს. პირველი გზა შედარებით ადვილია, მეორე კი შეუდარებლად ძნელი. გულიას არჩეული აქვს მეორე გზა, ყველაზე რთული, ყველაზე მძიმე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტრილოგიაში ვერსად იგრანობთ, რომ არ იყოს შწერული, გამოლიანებელი სიუჟეტი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამგვარ რომანებში, სადაც დიდი ისტორიული ფიგურებია გამოყვანილი, ფაბულის ერთგვარი სისუსტე იფარებს მოქმედი გმირების ძლიერებით, მაგრამ ავტორი მინც ვალდებულია მარტო ამით არ შემოიფარგლოს, ყველა ზომა მიიღოს, რათა ნამდვილად ისტორიული და შეთხზული ორგანიულად შეაერთოს. სიუჟეტი დახვეწოს, მაქსიმალურად მთლიანი, ბოლომდე თანმიმდევრული გახადოს. სამივე რემანში ეს მთლიანობა მიღწეულია, პრობლემა შესანიშნავად არის გადაწყვეტილი, ტრილოგიის ყველა ნაწილი შწერული სიუჟეტით გამოირჩევა.

ლევან ფრუიძე

ღღუს შველა შიშლუბა, ხვალ გვიან იქნება!

ამას წინათ ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მუშეუში, გაიშარათა საბჭოთა კავშირის შექმნის იმ წლისათვისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. ჩვენი რესპუბლიკების წარმომადგენელთა გარდა, სესიაში მონაწილეობდნენ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი) მოწინავე მეცნიერები. ეს იყო ხალხთა მეგობრობის ტრეშარიტი ფორუმი, სადაც მეცნიერულ-თეორიულ პრობლემათა გვერდით მრავალი სადღეისოდ გადასწავლეთ პრაქტიკული საკითხი წამოიჭრა. ამთჟან უმთავრესი იყო ხალხური გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობა. ჩემი პროფესორის ლუდვიგ კუნცის მოხდენილი თქმით, თანამედროვე ცივილიზაცია იმ მანქანას ვაგს, რომელიც გზატკეცილზე ასფალტს ტყეშის და ყოველივეს ახწორებს. მუშეუშის მუშეები და ეთნოგრაფები წინ უნდა უძღოდნენ მას და წარსული ყოფის ღამაშ, სურნელოვან ყვაილებს მომავალ თაობებს უნარჩუნებდნენ. პროფესორმა კუნცმა ისიც ვაუწუა, რომ მორავიაში, საში თვის წინათ გარდაიცვალა უკანასკნელი სახალხო მეთუნე და ამით ჩეხოსლოვაკიაში შეწუდა შთამომავლობით კერამიკოსთა სკოლის არსებობა, საზაგიროდ პროფესიული მხატვრები აგრძელებენ მათ საქმეს და მყარად იცავენ ხალხური, ტრადიციული ფორმების სიწმინდეს. მაგრამ ბრნოს ეთნოგრაფიული მუშეუშის დირექტორი კუნცი სინანულს ვერ ფარავდა ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უკანასკნელი კერის ჩაქრობის გამო.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან, საქართველოში? როგორია ხალხური გამოყენებითი

ხელოვნების ბედი? ვწრუნავთ თუ არა ამ ყოველთვის საჭირო უძველეს და უმშვენიერეს დარგზე? აი, კითხვები, რომლებიც ყარგახანია გვაწუხებს და შევეცდებით შეძლებას-დაგვარად გავცეთ პასუხი. მოტანილი მასალა სრული არ იქნება, მაგრამ შეითხველს ერთგვარ წარმოდგენას მაინც შეუქმნის.

ქართულ ხალხურ „გამოყენებით ხელოვნებას“ თუ „მხატვრულ რეწვას“ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. მისი ფესვები ჩვენი ისტორიის სიღრმეში იკარგება და ხანგრძლივი, განსაკუთრებული კვლევა-ძიება საჭირო მათ გამოსავლენად. საერთოდ, ხელოვნების ეს დარგი საგანგებო, მეცნიერულ შესწავლის საგნად არაუგს ვაუხდია და დღემდე ამოდ მოვლის თავის მოჭირნაზღუდს.

ჩვეულებრივ, ხალხურ გამოყენებით ხელოვნებას „ოქახური მრეწველობის“ ან „შინამრეწველობის“ სფეროში ათავსებდნენ და ამდენად მისი უტილიტარული მხარე აინტერესებდათ, ხოლო როგორც ხელოვნების დარგს, უურადღება ნაკლებად ექცეოდა. ეს მდგომარეობა აშეამადაც გრძელდებოდა. წინამდებარე წერილი, ბუნებრივია, ამ სარკვეს ვერ შეავსებებს, მისი მიზანი მხოლოდ საკითხის დასაშა

ანსანური ტრეშარიტებაა, რომ ხელოვნება ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, ხოლო ხელოვნობა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა თუ წარმოების სხვა სფერო, ძირითადად, უტილიტარულ მიზნებს იხაზავს. მაგრამ გამოყენებითი ხელოვნება იმ თავითვე მტკიცედ იყო შერწყმული ყოველდღიურ მოთხოვნილებასთან, ამიტომ ყოველთვის უჭირდათ გაერჩიათ ამ საქმეში

ნაშედილი ხელოვანი — ხელოსნისაგან; ადამიანის მხატვრული აზროვნება მისი ჩასახვის პირველ ეტაპზევე ფართო, მრავალმხრივი და დაუსაზამო იყო. წოგი სიტყვაკაშულობაში და მუსიკაში ავლენდა „ზეშთაგონებულ ნიჭს“, წოგი ქვას ამღვრებდა, ან რაიმე ნივთში აცოცხლებდა მხატვრის დაუდგრომელ ხელს. პოეტები, მუსიკოსები იმთავითვე აიყვანეს ხელოვნების მეშვედევ ცაზე, ხოლო ნივთებისაგან პოეზიის შემქმენლნი დღესაც არ არიან აღიარებულნი. მათთვის, ჭერჭერობით, შესაფერისი სახელიც ვერ მოგვიჩანავს, ხან ხელოსნებს ვეძახით და ხან შინაშერწველებს.

დასაშალი არ არის, ამ სტატიის დაწერის წინ, ბევრი ვიფიქრე რა ტურმინი მემშარა, ხოლოს შეხსწული თუ ნისესები ვამოქმედა „გამოყენებითი ხელოვნება“ ვარჩიე, მაგრამ გულს მაკლია, ნუთუ ქართულში არა გვაქვს უფრო მარჭვე, შესაფერისი სიტყვა?

მერე და, ხელოვნების ეს დარგი რა მდიდარი, რა მრავალფეროვანი იყო ჩვენში. ქართველთა ნაოსტატარი ხომ ვეროახს, ინდოეთის და სხვა შორეულ ქვეყნებსაც აღწევდა.

ქართული ნაქარგობანი და განსაკუთრებით ოქრომკედი მთელ მსხლობელ აღმოსავლეთში პირველობდა და მძალად ფასებში იყიდებოდა. ამ საქმის სწორულოვარი ოსტატი თვით თამარ მეფე იყო. მშაბტანად იუწყება: „ხელსაქმარი მისი ვანიყოდის და ევლოდენი ფასი გლახაკთა მისკის და არა სამეფო შემოსავლისაგან“. ქვრივ-ობოლთა და გლახაკთა საბოძვარი სახელმწიფო ხაზინიდან კი არ უნდა გაცემულიყო, არამედ საყუთარი ნაჭაფ-მოსახვექისაგან. სახელმწიფო საქმეებისაგან თავისუფალ დროს თამარი თავდაუწოვავად შრომობდა, რათა სამოწყალოდ გასაცემი თანხა ჰქონოდა.

ეს ტრადიცია საქართველოში კარგა ხანს ცოცხლობდა. 1887 წელს გავრთი „ივერია“ (№80) იუწყებოდა: დაბა ღანჩუთში „ქანახეთ ღამაზ გურულ ქალების ხელში გასაყუდად გამოკანონის ისეთი მშვენიერ ნახელავს, თუ დარაიებს და თუ აბრეშუმის წაოსასხამებს, თავ-საფრებს, ქისებს. უმალახებს და აბრეშუმ ნარვე შაღებს და სხვა, რომ ვერ დაიჭრებთ, თუ ესენი მართლა მათი ნახელავია და მათის ხელის ნაშოქმედარი“.

დაბ, ასე იყო მე-19 საუკუნის დამდეგს, ამჟამად კი ქართველ ქალთა მხატვრული ხელსაქმე თითქმის დაიწვებულია.

ცარიშმა დროულად იგრძნო კავკასიური გამოყენებითი ხელოვნების უდიდესი მნიშვნელობა და მის მარცვაშიც დიდი გულშოდვინება გამოიჩინა. სამეფო კარი, დიდებულეები, ანტიკარული ნივთების ევროპელი თუ ამერიკელი მოყვარულნი, ყოველი ჭურის კაპიტალისტი თუ ავანტურისტი ერთმანეთს

ეიბრებოდა კავკასიურ „ეზოტიკურ წახელებათა“ დატაცებაში. ჩალის ფსახად მიჭონდათ ძვირფასი ნაკეთობანი, უმეტეს შემქმენელი ოსტატები კი არავის ახსოვდა მხრეჭედებოდა თითქმის მთელი მე-19 საუკუნე, მაგრამ 1899 წელს თბილისში შეიქმნა „შინაშერწველობის კავკასიური კომიტეტი“, რომელმაც სასარგებლო მუშაობა გასწია, გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი ადგილობრივი „შინაშერწველობის“ შესასწავლად და ასაღორძინებლად. დაარსდა საჩვენებელი, სასწავლო სახელოსნოები (თბილისში, ბაქოში, შუშაში, სტეფანწინდაში, ოზურგეთში და სხვ.) მენოხობამებაბრეშუმეობის ძველი კულტურის აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1907 წელს გახსნილი „მხატვრო სპელოსნოს“ საქმიანობა, რომლის მიზანი იყო თავმოყრა, შესწავლა და აღდგენა ძველებური ადგილობრივი ორიგინალური ხალხური ორნამენტებისა; ეს საქარო საქმედ იქნა მიჩნეული, რადგან „კავკასიის ხალხთა ძველებური ორიგინალური ორნამენტები სწრაფად ქრება, შუდეგად იმისა, რომ საზღვარგარეთ გააქვთ მხატვრულის თვალსაზრისით უველა განთქმული ძვირფასი ძველებური შინაშერწველური ნაკეთობანი“.

კომიტეტი იღწვის აგრეთვე იდეკროს ნაკეთობათა, მეთუნეობის, წნელი კურკლის და დგამ-ავექის ხალხური წარმოების გამოყენება-გამოცოცხლებისათვის. ადგილებზე გზავნის გამოცდილ სპეციალისტებს, რომლებიც არა მარტო სწავლობენ ხალხის შემოქმედებას, არამედ დაინტერესებულ პირებს ასწავლიან კიდევ მშაბაბადან მომდინარე უკვე დაიწვებულ საქმიანობას.

„კომიტეტი ჰქონდა შინაშერწველობის მუზეუმი (1913 წლიდან), რომელიც ემსახურებოდა წმინდა პრაქტიკულ მიზნებს. კომიტეტი რუსეთისა და უცხოეთის (ტურინის—1911 წ.; მოსკოვის — 1912 წ.; ბეტერბურგისა და ღონდონის — 1913 წ.; ბერლინის — 1914 წ.) გამოყენებზე აგზავნიდა ადგილობრივი შინაშერწველობის ნაკეთობათ, რათა გუფართობინა მათი ბაზარი“.

კომიტეტი ნედლეულით მარაგებდა ოსტატებს და ცდილობდა მათი ნაწარმის გასაღებას. „შინაშერწველობის კავკასიური კომიტეტის“ საქმიანობა საგანგებო შესწავლას საჭიროებს, იქნებ დღესაც გამოგვადგეს მისი გამოცდილება.

1918 წელს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა აკად. ივ. ჭავჭავაძემ საქართველოში

1 კ. გუგუშვილი, შინაშერწველობა საქართველოში და ამიერკავკასიაში; ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, IV, 1950, გვ. 118.
2 კ. გუგუშვილი, იქვე, გვ. 118-114.

მოღვაწე ეროვნულ საზოგადოებებს ასე განუ-
საზღვრა მოქმედების ასპარეზი: „სახისტორიო-
სათნოგრაფო საზოგადოება საქართველოს
ყოველ კუთხეში საეთნოგრაფო მასალებს და
შინამარწვევლობის ნიმუშებს შეავსოვდა და
თავის მუზეუმში თავს მოუყრიდა, რომ მათი
შესწავლა ადვილი იყოს. რასაკვირველია, ამი-
სათვისაც შემკრებთათვის ცალკე სამოქმედო
გეგმისა და სახელმძღვანელო დარგების შედ-
გენაა საჭირო.

ქართულ ხელოვანთა საზოგადოებამ თავის
მხრივ უნდა ამ მასალების მხატვრული შესწავ-
ლა იკისროს, მოუვანილობისა და სახეების
მხრივ და თანდათან ქართული მხატვრული
შინამარწვევლობის განახლებისათვის საქარო
სახეების ნიმუშები და სამაგალითო ეტიკეტი
შეადგინოს.

ქართულ სამეურნეო საზოგადოებამ
უნდა საეთნოგრაფიო მასალების და შინა-
მრეწველობის ნიმუშების ტექნიკური შესწავ-
ლა იკისროს, ნამუშევრის მასალის თვისებები
და ხელოსნური ტექნიკა, მათი ღირსება-ნაქ-
ლოვანება გამოიყვეთოს და თანაც ქართული
მხატვრული შინამარწვევლობის განახლების და
შესაქვით ყველა ტექნიკური საკითხები გაი-
თვალისწინოს და მათი საბოლოო განხორციე-
ლებისათვის საჭირო ტექნიკური მხარეც გა-
მოარკვეოს.“¹

აღნიშნულმა საზოგადოებებმა საბჭოთა ზე-
ლისუფლების დაჟვარებაშივე იარსებებს და
მრავალი პრაქტიკულად სასარგებლო საქმე
გააკეთეს, მაგრამ ქართული ხალხური გამოყე-
ნებითი ხელოვნების მეცნიერული შესწავლი-
სათვის, მაინცდამაინც, ბევრი არაფერი შეუმა-
ტებიათ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების შემდეგ მიწასაკომთან 1926 წლამ-
დე იყო „შინამარწვევლობის განყოფილება“,
რომელიც შემდეგ სარეწაო კომპარტიის გა-
დაცვა. ამით თავის მიზანს ასცდა და მალე გა-
უქმდა კიდევ. 1938 წელს ხალხური შემოქ-
მედების სახლთან გაიხსნა ექსპერიმენტული
სახელოვნო, რომელმაც ნაწილობრივ შესძლო
გამოჩინილი სახალხო ოსტატების შემოკრება.
მისი საქმიანობა სამაშულო ომის დაწყების
დროს შეწყდა, ომის დამთავრების შემდეგ, 1946
წელს, ისევ გაახლდა და 1951 წლამდე გაგრ-
ძელდა. ექსპერიმენტულ სახელოსნოს მეცნიე-
რული მუშაობა არ ჩაუტარებია და არც მიზ-
ნად ქმონია.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ექს-
პონატოა შევსრულებასა და პოპულარიზაციის
ენშვა „შინამარწვევლობის მუზეუმის“ მეშვე-

დრე „კუსტარულ ნაკეთობათა მუზეუმში“, რო-
მელიც „საქართველოს ხალხური და გამოყენე-
ბითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის“
სახელწოდებითი დაღესაც არსებობს საქართვე-
ლოს სსრ კულტურის სამინისტროსთან. საქარ-
თელთს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართუ-
ლი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში არის
მცირე და გამოყენებითი ხელოვნების განყო-
ფილება. ახეთია სქემატური მონახაზი იმ სა-
ზოგადოებების და დაწესებულებათა ისტორი-
ისა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულნი
იყვნენ ქართულ ხალხურ რეწვასთან.

1925 წელს აკად. ივანე ჭავჭავაძის თაო-
სნობით სარეწაო კომპარტიის პრეზიდიუმმა
დიდი სახალხო საქმე წამოიწყო. გადაწედა სა-
ქართველოს შინამარწვევლობის ისტორიის შე-
სახებ აკადემიური ხასიათის კაპიტალური ნაშ-
რომის გამოკემა. ადგილებზე დაიწუნა „სა-
ხალგაზრდა სამეცნიერო ძალები“. ისინი მასა-
ლებს აგროვებდნენ აკად. ი. ჭავჭავაძის
მცირე შემუშავებული პროგრამით, რომელიც
გაზეთ „საქართველოს შინამარწვევლოში“ (№9,
1925) გამოქვეყნდა. პროგრამა ორ ძირითად
მიზანს ისახავდა: სამუზეუმო ნივთების გა-
მოვლენას და შეგროვებას, აგრეთვე საცხოვ-
რებელ, სამეურნეო და თავდაცვით ნაგებობა-
თა, მეურნეობის ძირითადი დარგების, ხის,
ქვის, რკინის, ილექროს, სამშენებლო მასალებ-
ის და სხვათა დამუშავების, ფეჭობის, ავე-
ჩის და საერთოდ, ყოფაცხოვრებისათვის სა-
ჭირო ყველა დარგის შესწავლას თვალის-
წინებდა. ახალგაზრდა მეცნიერებმა ეს ამო-
ცანა წარმატებით შეასრულეს. შეგროვდა-
მდიდარი, უნიკალური მასალა; შემდეგ აკად-
გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით ქართველთა
ეთნოგრაფებმა მონოგრაფიულად დაამუშავეს
მატერიალური თუ სულიერი კულტურის მარ-
ვალი პრობლემა, ამით შინამარწვევლური დარ-
გების შესწავლამაც საგრძნობლად წაიწია წინ.
მაგრამ თითქმის დაიწყებული იქნა ამ საკით-
ხის პრაქტიკული მხარე, რაც ცხოვრების მო-
თხოვნილებამ მთელი აუცილებლობით კვლავ
დააყენა ჩვენს წინაშე. აშეამად უძვეველი ვაზ-
და, რომ თვით სოციალისტური მრეწველობის-
პირობებშიც კი დიდია მოთხოვნილებაა ხალ-
ხური გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმზე.
ისე როგორც ფოტოგრაფია მხატვრობას ვერ-
შეცვლის და გამომთქმელი მანქანა პოეტს,
ასევე ქარხნულ-ფაბრიკული პროდუქცია ვერ
გამოადგება სახალხო ხელოვანთა შემოქმედე-
ბის სანაცვლოდ. დროთა მსვლელობაში ეს-
უფრო და უფრო საგრძნობი ხდება. მეტადრე
შწრომელთა მატერიალური კეთილდღეობის
ამაღლებისა და უცხოეთთან კონტაქტების
გაცხოველების გამო, ამიტომ საბჭოთა კავშა-
რის მინისტრთა საბჭომ მიიღო დროული დად-

¹ ი. ჭავჭავაძის თაო, ქართველ ხელო-
ვანთა საზოგადოების გამგეობის მოხსენება,
„ქველის მეგობარი“, №7, 1966, გვ. 46.

გენილება: „ხალხური მხატვრული რეწვის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (1948 წლის 14 აგვისტო). ამ საქმის განსახორციელებლად ჩვენს რესპუბლიკაში, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან, 1969 წლის იანვარში ჩამოყალიბდა გაერთიანება „სოლანი“. ეს კეთილშობიანი სახელი, რომელიც ხელოვნებისა და ხელოვნობის სვანურად ღვატების კუთვნილებაა, გაერთიანებას აკადგ. ჩიტაიამ უწოდა „ხალხური ხარეწვისა და სამაზხოვროების კომბინატი“ ჩამოყალიბდა „ცეკავშირთანაც“, აგრეთვე საუფავცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ბევრი საამქროს „ხალხური სუვენირების სამედილოდ იქცა“.

დასაბუთებულ ორგანიზაციებს წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაეწვალათ.

ქართველ ხალხს ზომ საუყუნეთა მანძილზე შეუქმნია მხატვრული ღირებულების მქონე დიდი თუ მცირე ძეგლები, რომელთა ფორმა და შინაარსი ცვლავიც ღრმა ინტერესს იწვევს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია უოფამი დღემდე შემონახული ხალხური გამოყენებითი ნაკეთობანი ისეთი დარგებდან, როგორცაა: ხის, ქვის და ლითონის დამუშავება, კერამიკა, ქსოვა და ქარგვა, გირის დამუშავება და სხვ. აღნიშნული დარგები მეტ-ნაკლებად იყო განვითარებული საქართველოს ცალკეულ თემებში და ზოგან თითოეული მათგანის სპეციალიზაცია პროდუქტულ დონეს მიაღწია. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელდობრ თუშეთში (ომილო, ზემო და ქვემო ალღანი) ძველთაგანვე ამზადდებდნენ გროვნილი ორნამენტებით შემკულ ხალიჩებს, ფარდავებს, ზურჩინებს, ზუსტურებს და სხვ. მაღალ დონეზე იდგა ფერადი თექვბები, თუშური ქუდების და ვერცხლის სამკაულების წარმოება.

ზეესურეთი ვანთქმული იყო ორნამენტირებული ქსოვილებით (ხათარა, მანდილი, ფარაგი, ჩხოთები), შიხანი ქსოვის სხვადასხვა სახეებით (ორშიანი, წაღუკუღმა, ცლაპარა), ფეხსამოსით (ჭორაბები, პაპიკები, ზუსტურები), ხეზე კვეთილობით (სეკური, მაქალოზი, სახრელი, ტარტუცი), ოქრომჭედლობით (საურბები, თავსაკაული, სამაჭურები, ბეჭდები, ელსაღები).

ფშაველებს ქალღათ ვერცხლის შესანიშნავი სამკაულები, სახიანი წინსაფრები, ყვარაქნები, მითილებს — მოჩუქურთმებული მერხებია, სავარძლები, ქვაზე კვეთილობის საუცხოო ნიმუშები, რქისა და ძვლის ნივთები, ბავშვების მრავალფეროვანი სათამაშოები.

რაკა-ლჩხუმსა და სვანეთში განვითარებული იყო ხის დამუშავება (მრავალგვარი ავეჭი, სასისინები), ოქრომჭედლობა, სარტყელები. სამკაულები, მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება (გულანტყარი, ჩანგი, ქუნირი), შე-

თუნობა, ქარგვა-ქსოვა, თქვის მოთრევა და ა. შ.

მთას არც საქართველოს მარცხაპირი მხარის მთიანეთის, თბილისის, თელავის, გორის, ახალციხის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის ოქრომჭედლობა (სევადი, ცვარა. შინაშქარი, სადაღი) უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით იქცევდა ყურადღებას აბრეშუმის დამუშავება, ქარგვა-ქსოვა (ოქრომჭედი, ანლიკაცია, გვირისტი, სარტყელ-გულისპირები, თავსაკრავები, ჩახსაკრავები, უხალაბები, აბრეშუმის ვრცელი ძაძის ბადელება ჩანთები, დაბასული ღმწაქები, ხალიჩები, ფარდავები, ლურჯი სუფრები და ა. შ.), კარამიკა, ტყავის დამუშავება ხესა და ქვაზე კვეთილობა და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ოკრიბაში (ტყიბულის რაიონი) შერჩენილ გირის მოპოვება ამ კეთილშობილი მინერალის წარმოება მხოლოდ საქართველოს სინამდვილისთვისა და მასხაათებელი.

ეს არასრული სიაც ნათლად გვიჩვენებს ხალხური შინაშრეწველური დარგების მრავალფეროვნებას. მართალია, ბევრი მათგანი დაიწვეებას მიეცა, მაგრამ ზოგიერთი ჭერ კიდევ ცოცხლობს.

ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი საწარმოები ანტიკვარულ ნივთებსა და სუვენირებზე ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებას, ვერც პროდუქციის რაოდენობით და რაც მთავარია ვერც ხარისხით. მათი ნაშაღი დაბალი ხარისხისაა, ხშირად უცვლელეხელულოილია ეროვნული კოლორატი, დაინწყებულა ხალხური სისადავე, უბრალოება. ზოგიერთი ნივთის ფორმაში აშკარად ჩანს ნაციონალური თავისებურებათა უცოდინარობა. სერთოდ იგრძნობა, რომ ზვენს წინაპართა ცოდნა-გამოცდილებას ნაყლებად ვიყენებთ, რის გამოც ბევრ რაშეს ვკარგავთ. ჭერ ერთი, სამუდამოდ იღუბება და დაიწვეებას ეძლევა ისტორიულ ქარტყელში ვამოტარებული ხალხური ხელოვნება, ხელს ვაღებთ ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაციაზე და ბოლოს, მნიშვნელოვან ფულად მოგებაზე. მაშინ, როდესაც მოძმე ქვეყნებში ამ საქმისადმი ვაცილობით მეტ ყურადღებას იჩენენ. ასე, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში, ხალხური ხელოვნების განვითარების მიზნით გამოდის ორიგინალურად ილუსტრირებული შურნალი, სადაც საინტერესო სატატიების გვერდით ვხვდებით ქსოვილებისა და ტყავის ნიმუშებს, უყეთესი თვალსაჩინოებისათვის ეროვნული ორნამენტის ხსენები დაბეჭდილია თვით ქსოვილზე. შურნალი მრავალათასიანი ტირაჟით ვრცელდება. პოლონეთში და ბალტიისპირა რესპუბლიკებში დიდი ხანია შექმნილია „ფირმები“ და „ვა-

ერთიანებაში", რომლებიც პატრონობენ მატერიალური კულტურის ამ სფეროს.

როგორც აღნიშნული გვეჩვენა, ჩვენთანაც ჩამოყალიბდა მსგავსი დაწესებულებანი, რაც მისასაღებელი ფაქტია. მოგვარდა ამ დიდ ეროვნული საქმის „ტექნიკური მხარე“, მაგრამ ისევ ღიად რჩება უფრო მნიშვნელოვანი — მეცნიერული. რესპუბლიკაში ადრე მოქმედ ნაწარმოებებს ეროვნულობის პრეტენზია მანძილ-დანაშინებდა არა მქონდათ, ამიტომ მათ კიაც რეთორიკულად ვერც წყაუფენებდით. ახლა კი, როცა ამ მიზნით ჩამოყალიბდა საგაგებო საწარმოები, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა იზრდება. აუცილებელია მათი საქმიანობა დასაწყისშივე მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ პრინციპებზე წარსმართოს. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული, სკოლა თითქმის ზეთითა და წყლითაა ჩვენი ხალხის სულიერ და მატერიალური კულტურის სწავლობის, საქართველოში არ არის დაჩენილი სოფელი, სადაც ჩვენს სპეციალისტებს არ ეშუაშავნოთ. დავროვილია უამრავი მასალა, რის გამოყენებლადაც წარმოდგენილია ხალხური ხელოვნობის თუ ხელოვნების განვითარება. ეთნოგრაფები სავიწრო-საექსპედიციო მუშაობას აწარმოებენ ჯად. ვ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით, რომელიც ხალხის ყოფისა და კულტურის ამომწურავად შესწავლის საშუალებას იძლევა. პირველ რიგში სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს ახლად შექმნილი „გვერთიანებათა“ მეცნიერებმა. უკეთ რომ მოხდეს დავროვილი ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა, და თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გაიშალოს შინამრწველობის მოქმედი თუ აღსადგენი კერების გასაზრდად-ნებადად საველე მუშაობა, ამისათვის საჭიროა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და ეთნოგრაფების ერთობლივი მოქმედება. მაგრამ გერქვრობით ნაყლებია კონტაქტი, მეცნიერებს სამუშაოდ არ იწვევენ, ველზე ზოგჯერ არასპეციალისტები სილიან და, აქედან გამომდინარე, შედეგაც არ ჩანს. დრო კი არ ითმენს. ცალკეული მოხალისის ან ენთუსიასტის კეთილი სურვილები ამინდს ვერ შექმნიან. აუცილებელია სახელმწიფოებრივი დონის-ძიების გატარება, ადგილობრივ ორგანოების დაარსება და ხალხში სათანადო აგიტაციის გავრცელება. უკველივე ამას სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა კამპანიური. მხოლოდ ხანგრძლივი, კომპლექსური მუშაობა გამოიღებს სასურველ ნაყოფს.

დიდ პასუხისმგებლობას გვაუბებს ის ფაქტი, რომ ქართული ხალხური შინამრწველობის შესაძლებლობანი დაუშრეტელია. ასე მაგალითად, ამ სტრუქტურების ავტორს ახლახანს შესაძლებლობა ჰქონდა შეიკრეოდა ქვემო სვანეთი და ლეჩხუმი. ჩვენ აღარას ვიტყვიო

იმის შესახებ, რომ თითოეული გლეხის კარმიდამოს, სახლ-კარის და შრამელ-ბურღლის (სამურწერო ნაგებობანი) განლაგება დასრულებულია, არქიტექტურულად დასრულებულია. სოფელი სოფელი ვასოცარი სრულყოფილებით არის შერწყმული კონტრასტულ რელიეფს. და რა დასანანი, როცა აღაგადად ხელაღებით ირდევთა დასახლების ეროვნული სტილი. აქერად მხოლოდ იმაზე ვაიამახილებთ ყურადღებას, რომ თანამედროვეობის მძლავრი ზეგავლენა ძირფესვიანად სპობს ყოველივე ძველს. სოფლები მოფენილია აქ გამოუსადეგარი, ნაბერად დაგრეული ნაგებობებით, ცალ ქვეშ ურია, ისობა მრავალი საინტერესო საშუალოში ღირებულებებს ნივთი. მშველელი კი არ ჩანს. არც ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისათვის ცდილია ვინმეს. თუ რომელიმე მოხუცი ვაიხხხეებს ძველ საქმეს, წახლისების ნაცვლად ავიწროვებენ. სწორედ ამ არასწორმა მიდგომამ გაანადგურა ცაგერის რაიონის სოფელ საირმის სახელგანთქმული მეთოქობა.

რატომღონივრის და ქვემო სვანეთის რამელ სოფელშიც არ უნდა მიხვადეთ, ურელვან გაივონებთ ჩივლს საირმული ქურქების გატარების გამო. ადგილობრივ მცხოვრებთა ქურები, დერგები, დორები, დოქები, სურები უბადლო იყო, როგორც გამძლეობით, ისე სიოხის შესახვის მადლი ღირსებით. ოც წელზე მეტია რაც საირმეში ქურქებს ნაყლებად აშხადებენ, ამიტომ უოფაში ფართოდ დაიწერა ლითონის ფაბრიკული ნაწარმი, რისი უარყოფითი ზეგავლენა ხალხმა იმთავითვე იგრძნო, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეებიდან შემოტანილი კერამიკა გაზრდილ მოთხოვნალებას ოდნავად ვერ აკმაყოფილებს, ცაგერის რაიონში კი ამ საქმეს გულშემატკივარი არა მყავს. ეს მით უფრო დასანანი, რომ სხვაგან ახალი სტანდარტების გამოშუშავებისა და რეკლამირებისათვის უამრავ ენერჯიას და თანხას ხარჯავენ, ჩვენ კი საუფუნეთა მანძილზე, ტრადიციულად შექმნილ სტანდარტებს ვეიწყებთ.

...ვიცნ საირმეში ჩავა, უხაოთლად შეგვდება მოხუც მეტოქელებს, იხანი გაბრწყინებული თვალებით ვაამბობენ თავათი ხელობის გარდასულ დიდებაზე, წელიწადში რამდენი დღეა, იმდენ დორიანი (დორაში ორი ფუთია). ვეებერთელა ქურების შენებაზე... შემდგმ კი სინანულს გამოთქვამენ შამაპური საქმის დავიწყების გამო.

საირმული მეთუნეობის დაცემა ერთბაშად არ მოხდარა. სამამულო ომის წინა წლებში კოლმურწეობა შეეცადა კერამიკის საწარმოო შექმნა, აავს ქურები, მაგრამ უხეირო ხელმძღვანელობის გამო საქმე ჩაიშალა. სამაგიეროდ ინდივიდუალურ ხელოსნებს მუშაობა

აუტყალებს, და ზოლოს შედეგაც სავალალო მივიღო...

სხვათა შორის, საირმე ერთადერთი ცოცხალი კერა იყო, სადაც აშკარად დენდნ დახვეწილი ფორმის იარაღი დროებს, რომელთა ანალოგები უხვად მოიპოვება საქართველოს განათბარ კერამიკაში, ეს კი ქართულ მიწაზე მეთუნეობის ტრადიციის უწყვეტობის მაჩვენებელია.

საირმეში ხელოსანთა სპეციალიზაცია იმდენად შორს იყო წასული, რომ თითოეული გვარა რომელიმე კურტლის კეთებაზე იყო დასტატებული. თიხის მოპოვების ადგილის მიხედვით დახასიათებლად „კახურას“ მიწა გამოიყენებოდა. „სასახლის“ თიხა კარგი იყო ქოთნების, ფილების, თონების და კეცებისათვის, ხოლო „გაღმარეულიში“ საქურე მახლას იღებდნენ. სამივე ადგილის თიხა ადგილი მისაღვანობა, მხოლოდ მონდონება საქირო, რომ საირმის მეთუნეობა კვლავ აღდგეს.

რკუ-ლერხუმსა და სვანეთში ძველად მასობრივ ხმარებაში იყო ხის კურტლებული, რომლის წორსუბიკოც ოსტატები სვანები იყვნენ. ამ ხელოსან ძირითადად სასახლო ონანებია მისდევდნენ. წამოჩინებოთ ისინი ჭკუფეხუთად გადადიოდნენ იმ. ლაქანურის სათავეებში, ცახვით მდიდარ ლანქორის ტყეში. იქ გამოქვებულში დახანაკლებოდნენ, გაპაროდნენ სახარატო დაწვებს და ნაირგვარ კურტლებს აშკალებდნენ. თან ლაქანურის საცალფებო ზიდებსა და ბოვირებზე კვერონების დახვეწარად ხეაწვენებს აგებდნენ. როცა საქათ რაოდენობის კურტლებს და ბეწვეულებს დაგროვებდნენ, ცაგერის, ლალაშის, ონისა და ქუთაისის ბარებებს მიასურებდნენ და თავიანთ ნახელავს უღიდდნენ. დიდ მოწონებაში იყო წყლისა და ღვინის მოხერხებული საზიდაუი, ხეღკასრის მავგარი, მელანია ხის ორიგინალური კურტლები „ოსარი“, ვედროსნარი „სეგა“, ფქვილისა და მარცვლულის მოზრდილი სათავსო „ნობირი“, სასმისები „კობა“, „კვანხა“, ნაირგვარი კოლები, ქაშები, გობები, სუფრასთან ნამცხვრებისა და ტყილუღუღის მისატანი ორნამენტირებული ხანჩაბი და სხვ.

საშუალება მოგვეცა ამ თვალსაზრისით გუარაისაც გავცნობოდათ.

...აცანა და აყეთი. ვის არ სწენია ამ სოფლების შესახებ. ისინი ზომ მთელ საქართველოში გამოქმული მეთუნეობის კერებია. რაქს აღწევდა აქაური გურული ხადვიანობა, აცანურა ქვეყრა ზომ ახლაც უხადლოა. გურიაში არ არის ოქსი, სადაც აცანელ და აყეთელ ხელომადლიან ოსტატთა ნახელავს არ ხმარობდნენ. ამიტომ მივაშურებთ ეთნოგრაფებმა იქ სოფლებს, სრულად დარწუნებული ვყავით.

რომ ენახვიდით მამა-პაპური სქმის განვითარებულ მრავალ მეთუნეს, მაგრამ ჩვენი იმედა არ გამართლდა. თურმე აეთმო (ტურქმენ) მღწერაინ აყეთებს, მხოლოდ აცანში — დარწმუნებულ თითო-ორთა კერამიკოსი. ისიც გაირკვა, რომ ადგილობრივ ხელოსნულებს დიდად არ აღონებს ეს ფაქტი. მართლაცდა ახლა, „ატომის ბანაში, რაღა დროს მიწის თიხნა“, მამინ როდესაც კოლმეურნეობას სხვაც ბევრი მასრუნავი აქვს, გაზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი, მეთუნეობა კი გაიჭრებინა იყო. თითქმის არაფერი მოდიოდა აცანის და აყეთის მიწარ მიწაზე. მადლარი ვენახიც კი ნაკლებად ზეირობდა, ამის გამო აქაური გდებდა ყურძის საყრფელად, დღიურ ქარაზე, ვაიჭვრის, შემოქმედის და მკვანეთის თემებში მიდიოდნენ. სოცოხლის რსკის ფსად დღემთითო ფუთ ღვინოს იღებდნენ, მარცვლულებს კი თავიანთი ნახელავი კურტლის გაუიდეით შოუღობდნენ. ახეთი იყო მათი მიწარ ხედრა, ახლა კი ჩაბ — „მწვანე ოქროს“ გაამდიდრეს ორივე სოფელი. „უიდას სცლია ნეთუნის ჩარხს მიუღვეს. თუმცა ზოგერთმა არ მოიპაღა და მამინ ზელს მიწას, გააკვირი კია, აღბათ ფულს ართან დახარბებულნი, მერე თახა ადვილი საშოვნელი მამინც იყოს“.

- როგორ, კლდიდანაა გამოსაღები?
- არა, მაგრამ ვიდაც-ვიდაცებია უიღანი... მიწას ყიდანი!

ჩვენმა გარკეცებამ მასხანალები დააფრთხო და ამ ავხედითი ვაქრობის შესახებ მეტე ვერაფერი გაიყვით. დაღ, ეს იყლიოს მან, ვისი საქმეც არის, ოღონდ აქვე უნდა დავიჩინოთ, რომ ხალხური, გამოყენებითი ხელოვნების მრავალი ნაშქალა თუ ნახევრადნაშქალა კერა ვვინახავს, მაგრამ ახეთი კურაოზულს ფაქტო ქერ ახლად შეეგზეუდრა.

რაც შეეგება ზემოთ მოტანილ თვალსაზრისს. ვერ დაეუთანხმებოთ. მართალია, ჩვენი სოფელი. გარდაქმნა, რაც საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული მიღწევაა, მაგრამ მეთუნის შრომა აუგად ხდენებისა და დაწვეების ღირს როდება. მითუმეტეს, ისინი სხვა საზოგადო საქმესაც არ გაურბან. და მამინც, მეთუნეებს კარგი თვალთ არ უყურებენ. როცა ერთ ერთ კერამიკოსთან სტუმრად მივედი, თიხისხლი ს გული ცუდად გაუსხა, ხოლო დაბეღული ოსტატი თავს იმარბლებდა:

— პენსიონერი ვარ და, რა მოხდა თუ ხანდახან კურტლებს გაეკეთებო. მთელ დღეს მასთან დაჯრნი და მისი საქმიანობით ვტკებობდი: ერთად დაუწეოთ ოქვებს მეტე კურის „აშენება“, თითოეული ოცი-ოცდაათ ფუთიანი იქმებოდა. ათი მითანი დაემათვრებინა, დანარჩენი კი „თაფლასადგამი“ იყო. ვუცერდი ამ ქვერებს და მაგონდებოდა კარხირ-ბლურის ურარტული მარანი. ამ-

ფამად მხოლოდ ჩვენთან აგებენ თიხის ასეთ უზარმაზარ კურბლებს. თანამედროვე სამეოთხეურო ტექნიკას, ჩერკერობით, ვერ მიუღწევია შექმნას მისი ნახევარი ტევადობის სათავსო. ჩვენი წინაპრები კი განსაცვიფრებელი სადილის ქვევრებს აეთებდნენ. მე-19 საუკუნის პრესისი ძალიან პოპულარული იყო მინდაციხის (ჩაპუ) უზარმაზარი კურბი — „ჩასავალი“, რომელშიც იმდენი კასრი ღვინო ჩადიოდა (კასრი ორი ფუთია), რამდენი დღაც იყო წელიწადში. მსგავსი ქვევრები სხვა ციხე-სიმაგრეებშიც პქონიოთ, სახელდობრ, ასკანის ციხეში. ორას-სამას ფუთიანი ქვევრები ხომ წოვრები ძველ ოჯახებში დღესაცაა შემონახული. თიხისაგან ასეთი ვებერთელა კურბლებს აშენება განსაკუთრებული ტექნიკური მიღწევია, რაც შთაბრძნავლობით მიღებულ მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას და რაღაც ქაღალდურ ინტუიციას ემყარება.

აგრე ჩემს თვალწინ იღვწის აცანელი ოსტატი „მოკრავზე“ გამოუყვანია კურბის „კურბტული“. ზედზე გაუშვრია და ღირს დაუდგამს, ირგვლივ სამი ქვა აქვს შეყენებული, ფენა-ფენა აშენებს თიხის „ვარგალებს“. დღემო მხოლოდ ერთი „შემოყვლა“ შეიძლება, მერე კუთხურას ფოთლები უნდა დააფაროს და მეორე დღემდე იცადოს, რათა გაშრეს. ამიტომ აკეთებს ერთდროულად რამდენიმე ქვევრს. არავითარი ხელსაწყო არა აქვს „ფაქვის“ — სავარცხლისა და ხის დანის ვარდა, რომელიც მარტოოდენ მოსაშენებლად და ორნამენტების გაშლისთვის იყენებს. ყველაფერი დამოკიდებულია ოსტატის შერჩევითიან თითქმის და თვალის სიმარტვეზე. შენების პროცესში პროპორციულად თუ დიორდება, კურბი მაშინვე ჩაწვება. ის ხომ წვრილ წვერზე — „კურბტულზე“ დგას, რომელზედაც გადის „ფეხზე სადგომი სისწორის ხაზი.“ და ადგილიან ხელთაყვანს საარაკო მიხედვრადობით ყოველგვარი ზუსტი ინსტრუმენტის ვარტე (სხეუნი ხელსაწყო არც არსებობს) შეუძლია ქვევრის კედლები კვერცხებით ჩამოქნას, გამოქვრწოს. ყოველივე ეს ქართველი კაცის მაღალ ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ვატაკებით მუშაობს აცანელი მექურე. დვარად ჩამოსდის ოფლი და ნამავს ვაცოცხლებულ თიხას. ასე შრომობდნენ ჩვენი წინაპრები უზხოვარი დროიდან და თიხით სასწაულებს ახდენდნენ. ამ სასწაულმა სწორედ ამ თმაშევერცხლი კაცის წყალობით დღემდე მოაღწია და, რა დასანაია, რომ მის დიდებულ ხელოვნებას ვერ ვაფასებთ. გულისტყვილით გამანდო ოსტატმა თავისი ზეშეიადი:

— დიდი ხანი აღარ ვაკეთებდი კურბებს. მერე პენსიაში ვავდი და ვეღარ მოვისვენე, რა ვქნა, მიყვარს ეს საქმე... სოფლის ერთერთმა თავაკმა რაცა ვიგო, მითხრა: რატომ

არცხვენ შვილებსო, შერცხვენა ესა და მან ფარული სიამაყით გადამეხდა. თავის ნაშადას საუცხოოდ ორნამენტარებულ ქვევრებს.

აჰა, ეს საამაყო ოთხმოც წელს მიღწეული კაცისათვის!

და განა მარტო მისთვის, ყველა ჩვენგანისათვის იმის ნაცულად რომ სახალხო კერამიკოსებს ვახლისებდეთ, მუშაობის ნორმალურ პირობებს ვუქმნიდეთ, ვავიწროვებთ. ვდებ-ნით. ნუთუ მათ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოთ თავიანთი მძიმე შრომისათვის ვასამარტლობა. უფაოა, რომ ადამიანს ხარისხობრივ ჩინისთან ერთად სჭირდება ქვევრები, საღვინეები, ჩაფები, ქოთნები, დერგები, სასმისები და სხვ. ჩვენი კერამიკული ქარხნები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა ფართო მოთხოვნილებას. ქვეშარტება მოთხოვს ვთქვათ, რომ ფაბრიკული ნაწარმი ვერ შედრება ძველ ოსტატთა ნახელებს. ხალხური კურბტული დახვეწილობით, სისაღვით და ფორმის სინატიფით გამოირჩევა. მერე და, როგორ სჭირდება ის ყველა ჩვენგანს არა მარტო სუვენირებად და საქურტებად, არამედ ყოველდღიურ სახმარად. სად თუნუქის სათლში ჩასაბული წყალი და სად ქარაკაში ჩაყვრებული, ადარას ვიტყვი ქოთნის ლობიოზე. ნიტრებიან და ქინოლიდან სახმელის ზემსაზე და სხვ.

აცანასა და აკეთში თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოდან ადგილობრივი კურბტლის შენახენად, ჩამოდან და უკან ხელტარვილი ბრუნდებან. ორიოდე ისტატი, რომელთაც საწმუყაროდ, თიხა საყიდელი აქვთ და თითქმის არაბევალორად უხდებიან მუშაობა, მოსხოვნელებას რას აუვა. სოფლის მოთავენი კი მათ ბედზე ნაცლებად ზრუნავენ, ადრე აშკარად დევნიდნენ, აშუამად კი ცოტა შეწყნარებლობას იჩენენ და ეს დამოკიდებულია თითოეული თვექმდომარის ხასიათზე. იძულებული ვართ, ახსანავებს მოვაგნოთ საკლმენურნეო წებებიდან მეწვიედ პუნქტი, სადღე ნათქვამია: „შრომის რესურსებისა და ნედლეულის ადგილობრივი წყაროების უფრო სრული და თანაზომირი გამოყენების, საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების მაზნით, კოლმეურნეობა ქმნის და ავითარებს სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის ზარალის მიუყენებლად, დამხმარე საწარმოებს, აგრეთვე სხვა სარწებს; შესაძლოა სახელშეკრულებლო ურთიერთობა დაამუაროს სამრწველო საწარმოებთან და სავაქრო ორგანიზაციებთან სასოფლო სამუშაოებისაგან თავისუფლად პერიადში კოლმეურნეთა ძალეობის სხვადასხვა ნაკეთობისა და საქონლის წარმოებისათვის კოლმეურნეობაში ფლიადების (სამაქროების) შენაქმნელად“.

საკვირველია, რატომ არ ვიყენებთ ასეთ

კარგ შეხედულებობას. ადგილობრივი კურკულის დამსახურებით ხომ დავიწყებისაგან ვიხსნით ხალხური რწმენის ტრადიციულ დარგს და თან მნიშვნელოვან შემოსავალს მივიღებთ. დროა დავფიქრდეთ ამ საკითხზე, ეს სრულყოფილი არ არის მეთრეხარისხიანი და წვრილმანი საქმე.

